1899/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲐᲮᲐᲚᲘᲡ

ᲗᲕᲘᲣᲠᲘ

ᲞᲠᲘᲖᲛᲣᲚᲘ

წელიწადი მეოთხე

IX

სექტემბერი, 1899

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ
ღამბაშიძის სტამბა ✲ Типографія Гамбашидзе
1899

შინაარსი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი განყოფილება.

		გვ.
I	**განცხადება.** რედაქციის-გან	
II	**ახლანდელი სიზმარი.** ავკაესა .	1— 12
III	**განდეგილია.** ლექსი. მისავე . .	13— 16
IV	**გვარამიძის ოჯახი.** (მოთხრობა) დასასრული. თ. ხუსკივაძისა. . ..	17— 37
V	**კრიტიკული შენიშვნები.** დ. კლდიაშვილი. ხიმლელისა. . . .	38— 78
VI	**წერილი ჩერნიგოვიდან.** ი. ბაგ. დავ.	79— 81
VII	**ბ. კიტა აბაშიძე და მისი ფარ-ხმალი.** სოზღვარ-გარეთელისა . . .	82—104
VIII	**ქუთაისის საშეუარნ. სკოლ. გამოფენა.** მიცანი-სა	105—114
IX	**გუჯარი.** ბ. კ.-ისა. . . .	115—121
X	**პროგრამმა ეთნოგრაფიულ და იურიდიულ ცნობების შესაკრებად.** (გაგრძელება) ს. ხახანაშვილისა.. .	122—134

მეორე განყოფილება.

I	**სოფ. ქვიტირი,** ზეპირ-გარდმოცემანი, ხალხის ჩვეულებანი, წარმოდგენილი დ. ავალიანის-მიერ . . .	1—15
II	**მოხუცი ნავეზირალის რჩევა.** (არაკი) ჩაწერილი „ქართველი ოსებში"-ს მიერ.	16—24

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკის

თვიური

კრებული

წელიწადი მეორე

IX

სექტემბერი, 1899

81
1899

ქუთაისი
ლამბაშიძის სტამბა ✡ Типографія Гамбашидзе
1899

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 18 Октября 1899 г.

შინაარსი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი განყოფილება.

			გვ.
I	**განცხადება.**	რედაქციისაგან	
II	**ახლადელი სიზმარი.**	ვკაკისა. .	1— 12
III	**განდგილია.**	ლექსი. მისივე . .	13— 16
IV	**გვარჭიჭის ოჯახი.**	(მოთხრობა) დასასრული. თ. ხუსკივაძისა. . .	17— 37
V	**კრიტიკული შენიშვნები.**	დ. კლდიაშვილ. ხომლელისა.	38— 78
VI	**წერილი ჩერნიგოვიდან.**	თ. ბაგ. დავ.	79— 81
VII	**ბ. კტა აბაშიძე და მისი ფარ-ხმალი.**	სოზდვარ-გარეთელისა . . .	82—104
VIII	**ქუთაისის სამეურნ. სკოლ. გამოფენა.**	მიცანი-სა	105—114
IX	**გუსარი.**	ბ. კ.-ისა. . . .	115—121
X	**პროგრამმა ეთნოგრაფიულ და იურიდიულ ცნობების შესაკრებად.**	(გაგრძელება) ს. ხახანაშვილისა . .	122—134

მეორე განყოფილება.

I	**სოფ. ქვიტირი,**	ზეპირ-გარდმოცემანი, ხალხის ჩვეულებანი, წარმოდგენილი დ. ავალიანის-მიერ . . .	1—15
II	**ოზურგეთი ნავეზირალის რჩევა.**	(არაა) ჩაწერილი „ქართველი ოსებში"-ს ბერ.	16—24

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

მომავალ იანვრიდან მესამე წელიწადში გადადგება „კპული“. მე დიდი ხანი, იმ თავიდანვე, სურვილი მქდა ჟურნალის გამოცემის, მაგრამ ვერა ვბედავდი, რაანაც ვიცოდი, რომ ჩვენში ამ გვარი რამ ფეხს ვემოიკიდებდა; ჩემი მეგობრები და ნაცნობები-კი სულ სხვასა ჰფიქრობდენ: შენ ნაწერებს ხალხი კითხულობს და ხელ-მომწერლებიც ბევრი გეყოლებაო. თქმის უსურვილობასა და სიზარმაცეს მწამებდენ. ახლა დამტკიცდა, რომ მე მართალი ვიყავი: პირველ წელიწადს „კრებულს“, თუმცა მისი ფასიც მცირე იყო და შემოსატანი ფულიც ყოველ-თვიურად გავანაწილ, მაგრამ მაინც იმდენი ხელის-მომწერი არ ჰყოლია, რომ ხარჯი დაეფაროს. შრომა-კი უსასყიდლო იყო!.. ამ მიზეზად ბევრი რამ მოიტანეს: „მარტო ერთის ნერი „ხელის-ხელ საგოგმანებელი მარგალიტი“ რომ ის, მაინც მოსწყინდება მკითხველსო და ეცადე უფლების გამოტანას, რომ სხვებმაც სწეროონ შენს „კრებულშიო“. მირჩევდენ და მწერდენ ზოგიერთები. ამასთავე მომტკიცებდენ, რომ იმერეთში გადამეტანა გამცემა, რადგანაც ხელ-მომწერლები იქიდან მეტი არიან და სხვანი. ესეც ავასრულე, მაგრამ უარესი მოუვდა „კრებულს“: მეორე წელიწადსაც პირვანდელზე ეთი-ორად ნაკლე ჰყავდა ხელის-მომწერლები და ზარლიც ერთი-ორად მეტი ნახა. მკითხველები ბევრი ჰყავდ და ჰყავს „კრებულს“, ასე რომ არ მოსწონთ [illegible] ი/უნებენ-თქო, რომ ვსთქვათ, ტყუილი იქნება!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუქთად ბევრს ჰსურს წაკითხვა და ნათხოვრობთ, საგან ბევრი ჰკითხულობს, მაგრამ გამოწერა-კი ყ ლას არ ეხერხება. და რა არის ამის მიზეზი? სიღარიბე და უფულობა? არა! „კრებულის“ ხელ-მომწერლები, როგორც დაბეჭდილ სიიდამაცა სჩანს, უფრო ღარიბი და ხელ-მოკლე მუშა ხალხია. შეძლებულები ძალიან ცოტანი იწერენ. ასე გასინჯეთ, რომ არიან მთელი გვარები თავად-აზნაურთა, და იმათ რომ ერთად, ერთი ან ორი წიგნი გამოიწეროონ, ოჯახს გროში თუ შეხვდება, მაგრამ მაინც არ იწერენ და თუ ისე ჩაიგდეს ხოლმე ხელში „კრებული“ სიამოვნებით ჰკითხულობენ... ხშირად ნაცნობი ვინმე შეგხვდება და გისაყვედურებს: „კრებულს“ რომ არ მიგზავნით, ნდობა არა გაქვსთ, თუ როგორ არის თქვენი საქმეო? შენც, რასაკვირველია, პირ-იქით ბოდიშს იხდი, უგზავნი და მას შემდეგ იმასაც ველარ ტყობილობ, მართლა მიუდის, თუ იკარგება? ათში რომ ხუთს შემოჰქონდეს ფული დიდი ღვთის წყალობაა! და ამის მიზეზი, ზემოთაც მოგახსენეთ, შეუძლებლობა კი არ არის, რაღაც ქართველური დაუდევრობა და უგულობაა. უბრალო რამეზე ფულის გადაყრა ემარჯვებათ და ამ გვარ შემთხვევისათვის-კი არ ემეტებათ. ერთმა ხელის-მომწერთაგანმა, ერთ ლორწილში, ბოდიში მოიხადა ჩემთან: ამდენი ხანია ვერ გამოვგზავნე რედაქციაში ხვედრი ფული და ნურას უკაცრავადო!.. იმ საათშივე-კი მეთარეს ოქრო ჯადაუგდო. ჩვენ ხალხს მე კარგად ვიცნობ, ვიცი მიი გულის პასუხებიც და მიტომ ვერ ვბედავდი ადრე „კრებულის“ გამოცემას!.. მაგრამ ბოლოს დროს-კი ველარ წავუედი სხვების სურვილს. ის დალოცვილები ეხლაც კიდევ თავისას არ იშლიან და მეუბნებიან: ხელ-მომწერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები ბევრი გეყოლებოდა, რომ ტფილისიდან შორა-
ბა ს არ გადაგეტანა „კრებული“ და მარტო შენ გე-
წერაო. ეს რასაკვირელია, ყოლიფერი სიტყვის მასა-
ლაა: მეც რომ ვსწერ და სხვებიც, ის არა სჯობს? და
რაც შეეხება გამოცემას, გამომწერს ხომ მიუვა და საიდ-
განაც უნდა იყოს, რა ენაღვლება?

მე სხვათა შორის იმან უფრო შემაცდინა, რომ
„ზეპირ-სიტყვაობის“ იმედი უფრო მქონდა: ადრე, რო-
ცა „ზეპირ-სიტყვაობის“ პროგრამა გამოვაცხადე, ბევრ-
მა სიხარულით მიიღო და თითო-ოროლა გროში კიდეც
შემოსწირეს შეძლებისა-და-გვარად თანამგრძნობლებმა
და მასთანვე ყოველ წლიური დახმარებაც იკისრეს,
მაგრამ როცა შევუდექით საქმეს თვალი აგვარიდეს და
მიგვანებეს თავი. ხოლოდ ერთმა, კნეინა ალექსანდრა
მაკარის ასულმა მელიქოვისამ, რომელიც კალმითაც
გვეხმარებოდა, ალმოუჩინა ფულითაც შემწეობა ჩვენ
ნაკისრავ-საქმეს. მის მეტს არც-კი გახსენებია ვისმე!..
ეს წასული ორი წელიწადი გვიმტკიცებს, რომ ამ მე-
სამე წელიწადში უფრო მეტს გაჭირვებას ვნახავთ „კრე-
ბულის“ გამოცემით, მაგრამ ჩვენ მაინც თავს არ და-
ვანებებთ, არც შრომას დავზოგავთ, არც ხარჯს, გინდ
ბუკმაც გაგვწყდეს, და კიდევ გავაგრძობთ გამოცე-

ნავთ, რომ არავინ შევაწუხოთ და ისე თავის თავად ვინც დაგვეხმარება, მადლობას შევსწირავთ. ხელის მოწერა შეიძლება პირდაპირ რედაქციაში დ. ყვირილას. ტფილისში — „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოების“ კანცელარიაში ბატ. შიო ქუჩუკაშვილთან. წინანდელ აგენტებს უგულითადესს მადლობას უცხადებს რედაქცია შრომის მიღებისა და დახმარებისათვის.

რედ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახლანდელი სიზმარი.

გამეგონა, რომ ზოგიერთი სიზმარი ახდებაო. არ მრწამდა და ახლა-კი მჯერა: ახალ-წელიწად ღამეს, ძილში ყეფა ჩამესმა, გადავდექ, ვითომ, სერზე და გადავიხედე. ჩემს გარდა სხვებიც მოსულიყვენ საყურებლად. დაბლა, მთის ძირში მოგროვილიყვენ ძაღლები და ხორხოზობდენ; ასე ჰქიჩნიდენ ერთმანეთს, რომ სასიკვდილოდაც აღარ ჰზოგავდენ. დავიწყებოდათ თავისი პირდაპირი მოვალეობა: ცხვრები ღვთის ანაბარა დაეგდოთ და ფარას მგლები ანადგურებდენ. გამიკვირდა და ვსთქვი: ეს რა ღვთის რისხვა მოსვლიათ-მეთქი?

— არაფერი!.. ჩვეულებრივიაო.—მიპასუხა ერთმა მაყურებელთაგანმა—ხომ ხედავ, რომ ორ ხროდ არიან გაყოფილი ქოფაკები?.. ერთი მხრით შავები და მეორეთი თეთრები?!.. იმ შავებმა მძორი ჩაიგდეს ხელში და შეექცეოდენ. თეთრებსაც სუნი ეცათ და მოაშურეს; მოინდომეს შავების გადარეკა და მათი ადგილის დაჭერა. მოუვიდათ ჩხუბი და ერთმანეთსა ჰგლეჯენ! აქ სულ მარტო კუჭისა და მსუნაგობის საქმეა!.. არც ცხვრები აგონდებათ და არც მგლებიო!

—მაშ, მოდი, ერთი შევუქაქანოთ, რომ ისევ ცხვრებისაკენ მივაბრუნოთ, მადლია-მეთქი—შევეხვეწე, მაგრამ შორს დაიჭირა.

— აჰ!.. რა ბძანებაა?!.. კუჭს გარდა ახლა მაგათ აღარა ახსოვთ-რაო!.. ბრაზი მორეული აქვსთო... მე მაინც არ დავიშალე და ერთი შევუქაქანე ყველას ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თად!.. შე...მი...ქა...ქა...ნესო?!.. მისთანა ოჯ-ბეს მტერს! აიქოჩენ ყველა ერთად და მე დამიწყეს ღრენა. გამეცინა და წავედი ფარეხისაკენ... გვერდი ავუარე ძაღლებს. შეიქნა ერთი საზარელი ყეფა; შავებიცა და თეთრებიც ყალყზე დგებოდენ: როგორ თუ ძაღლადაც არ ჩაგვაგდო და გვერდი აგვიარაო? ფარეხში ერთიორი მწყემსი კიდევ დარჩენილიყო, სხვები სულ ძაღლებისაკენ წამოსულიყვენ სეირის საყურებლად. მარტო ჩვენ რაღას გავაწყობდით, დავცალეთ თითო თოფი, რომ მგლები დაგვებრუხო და მაშინ-კი მეც შინისკენ დავბრუნდი. სახლში რომ შევედი და მივმართე საწოლს, უჩვეულო რამ ვნახე: დიდ-ძალ მკბენარს მოეყარა თავი ჩემ სკამ-ლოგინთან და ემზადებოდენ, რომ მომცვენოდენ საკბენად. ეს ამდენი ჭიანჭველები, ბაღლიჯო, ძაღლის ტკიპა, ჭიამყრალები და სხვანი საიდან გაჩენილან? მაღლა ჭერიდან ჩამოცვენილან, თუ კედლებიდან გამომძვრალან?.. ავიხედე მაღლა და დავინახე, რომ ჭერთან ახლოს, ერთ შხამიან ობობას ქსელი გაება და გადმოიყურებოდა. მივხვდი, რომ ეს მკბენარები ყველა მისი მოგზავნილი და შემონასევი იყო!.. მეწყინა!.. დავაგდე ჩემი საწოლი ბინა, დავსტოვე ჩემი ოთახი და გავემართე სხვა კუთხით.

„ვაშა!.. ვაშა!“—დაიწივლეს ჭიამყრალებმა.—„გაუმარჯოს საქართველოს! განვდევნეთ ქვეყნის მტერი და ორგულიო!“ „ვაშა! ვაშა! ჩვენს ერთობა-ძლიერობასაო!“ აძლევდენ ბანს სხვა მკბენარებიც. ობობა-კი მაღლიდან გადმოცუცქულიყო და ფეხების ქნევით ამხნევებდა თავისს უწმინდურ-რაზმს. გამიკვირდა! ადრეც მინახავს, რომ ლოთი, დუქანში შესული, თვისს სიმთვრალეს საშშობლოს ამადლიდა ლ გულ-დიდად იძახოდა: „ვეეყუუ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეე... ყუუუ!“ „გაუმარჯოს საქართველოსო!“ ... გამიგონია, რომ უზნეურები და გარყვნილები საროსკიპოში „ვაშა-ვაშა! საქართველოსო!“—იძახიანო. ქვეყანასაც სამშობლოს ხსენებით აოხრებენო... მაგრამ ეს კი, სწორედ, არც მენახა, არც გამეგონა და ვერც მოვიფიქრებდი, თუ მკბენარებიც ამავე ხერხს მიმართავდენ. ამან გამაოცა და ჩამაფიქრა. რაღაცამ, თუ ვიღაცამ, ჩამჩურჩულა ყურში: სად მიდიხარო?

— არსად! მინდა მოვშორდე აქაურობას და სხვაგან სადმე გადავიდე-მეთქი—ვუპასუხე ნაღვლიანად.

— ვე! შეგაშინეს?

— როგორ თუ შემაშინეს?

— მაშ რად სტოვებ შენს ბინას?

— აქ შიში არაფერ შუაშია?!.. მხოლოდ სიბრალული და ზიზღი მაიძულებს, რომ გაუწმინდურებულ აქაურობას თავი მოვარიდო და ბინა ვიცვალო! ნუ თუ შენ-კი ვერ ჰხედავ, რომ მე თვითეულ ამ მკბენართაგანს ცალ-ცალკე და გინდ ჯგუფადაც, ფეხის-ბრჩხილით გავსრეს, რომ მოვინდომო, მაგრამ...

— მაგრამ?!

— მაგრამ ღმერთმა დამიფაროს!.. ჯერ ერთი ეს, რომ მაგათი გასრესაც ამაყროლებელი საზიზღრობა იქნება და მეორეც კიდევ: რა მაგათი ბრალია, რომ ეგ საცოდავები ბუნებას საზიზღარ ბუზ-ჭიებად გაუჩენია და არა ფუტკრებად?.. მაშ რა ჰქნან, რომ თავისს პაწაწინა კუჭისათვის საზრდო არ ეძიონ?.. ე მაღლა რომ ქსელი გაუბამს და თვითონ-კი მიმალულა კუთხეში, იმ დედაზარდლს ეგენი ხელში უჭირავს და მათ მიუსევს ხოლმე, ვისაც ქსელში გაბმა უნდა და დაჭერა!.. მაგ

ჭიანჭველების შემწეობით ბევრჯელ მოსვლია შხამიანს «დუშაში».

— მაშ ახლა შენზედაც მომდგარა ჯერი?.. შენზედაც „დუშაში“ მიუდის?

— არა მგონი!.. მე იმ ბინასა და სარბიელს ვსტოვებ, სადაც ეგენი დაცოცავენ და არა ჩემ ხელობას!.. გამოვძებნი უფრო წმინდა სადგურს, სადაც მოსვენებით გავაგრძობ ჩემ საქნარს. და მაგათ-კი ჩემ ნადგომზე იღოღიალონ, ნამცეცები ჰკრიფონ და იძახონ: „გაუმარჯოს საქართველოს“ და „ვაშა-ვაშა! ჩვენს მწყალობელს ბატონ—ობობას და მის ხელოვნურ ქსელსო!“ იძახონ, სანამ, საჭიროების დროს, თვითონ ის მათი მწყალობელი ობობა არ ჩანთქავს მათ. და მე-კი ღმერთმა მაშოროს მაგათი არა თუ სამაგიეროს გადახდა, თვალითაც დანახვა-კი!..

ასე ვსთქვი და კიდევაც გამომელვიძა. მაშინვე ხელი წავუპოტინე ახპატელოვის წიგნაკს, რომელსაც ასოთ სამღერალი და სიზმრის ასახსნელი ჰქვია. მართალია, ეს წიგნაკი თავისთავად სისულელეა, მაგრამ სხვა ჩვენი, მეცნიერებისა და საფილოსოფოსო თხზულების მწერლები, ამაზე მეტ სისულელესაც არ სწერენ, რომ ხან და ხან ვკითხულობთ ხოლმე? აქ სასაცინო მაინც რამე იქნება და, მოდი, ვნახოთ-მეთქი. ვსთქვი გუნებაში. გადავავლე თვალი და ამოვიკითხე: „სიზმარში ძალლების ყეფა ნიშნავს ჩხუბს და მკბენარების დასევა მტრების შემოსევასო“. ან საჩხუბარი ვისთან რა მაქვს და ან მტრები სად მყავს-მეთქი? ვსთქვი და მივაგდე წიგნაკი განზე.

გაიარა რამდენიმე თვემ, დადგა თვალ-მშვენიერი მაისი, გაბრწყინდა ცა და დაშვენდა ქვეყანა; ამწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვან-აბიბინდა ტყე და ველი; ამღერდა ბუნება!.. ყოველივე მოძრაობს!.. ვისაც რისი შნო აქვს, იმას ეტანება. ნაცარქექიებმაც კი დააგდეს კერა და თავისს „ნაცარ-გუდით და სადგისით“ გამოდიან სარბიელზე. სწორედ ამ დროსვე გაიმართა „ბანკობიაც“. ორასი ხმოსანი, ათი იმდენი-კი ხმის მიმცემ-მიმჯდოსანი!.. ერთი მომქმედი, ათასი ფეხის-ხმის ამყოლი!.. გამეფდა ენა!.. გაუვეზირდა მცდარი გულის თქმა! გაისმა საყვირი და გახდა განგაში!.. აირია ქვეყანა!!.. ბრბო ორად გაყოფილა და ერთმანეთზე მიდიან სამუშტ-კრივოდ. ვინ ვისი მტერია და ვინ ვისი მოყვარე, ვინ-ღა გაარჩევს? „დაჭკა მაგას! გაუმარჯოს საქართველოს!“ გაიძახიან. ახა, ღმერთო! აქაც კიდევ საქართველო?... დრო შეურჩევია იუდას!... საპირადო საქმის გამოწყობა, საზოგადო სახელით—დიდი ხერხია! ვისი ბანკი და რისი ბანკობია! ეს სულ ყოლიფერი თვალ-მაქცობაა. ზოგს თავის გამოჩენა უნდა და გაუბამს ბანკის თავზე ბაწარი, რომ ზედ ჯამბაზის ჯოხით გაიაროს. ზოგიც თავს იმალავს და ბანკს ეფარება! ზოგს კიდევ რა უნდა, ზოგს რა!!... რამდენადაც ეს ფარისევლები არიან საზიზღარი, იმდენადვე, მათი გულ-წრფელად ამყოლი, მომხრეები არიან საბრალო!.. ქორი რომ მაღლა დაჰფრენს და უთვალთვალებს: თუ სად მოვიტაცო წიწილიო, იმ დროს ეზოში პატარა ოჯახის ერთგული ლეკვი, ჯერ გამოუცდელი, მიწაზე დადებულ ქორის ლანდს დასდევს დასაჭერად. საბრალოს მოჩვენებული ნამდვილი ჰგონია და უნაყოფოდ ახლის ხოლმე ცხვირ-პირს ხან იქით და ხან აქედ. სწორედ ასე ემართებათ ზოგიერთებს საზოგადო ხორხოზში რომ ჩარეულან „ჰაუ—ჰაუ“-ს ხმაზე. მაგრამ ეს კიდევ არაფერია!.. თუ დღეს მომც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარან, ხვალ მაინც გამოდგებიან!.. დეე, აჩრდილზე და ლანდზე დაიგეშონ და გაიწაფონ, რომ მერე, ოდესმე, როცა მტერ-მოყვრის გარჩევა შეეძლებათ, ნამდვილ მხეც-ნადირებსაც შეუყეფონ!!..

ეს ჩვენი ქალები მაინც რამ ააღელვა ასე, რომ საამკაროზე გამოსულან და თავს აღარ იზოგვენ? მაგრამ, როგორ თუ რად?.. ესენიც იმ ჩვენი ძველი დედების ჩამომავალნი არ არიან?.. ისინი თუ-კი ერეოდენ საერო-საქვეყნო საქმეებში, ამათ რაღა შეუშლის ხელს? ესენი უფრო ჭკვიანები და ნასწავლები არ არიან მათზე?!.. ისინი მონასტრებში და ოჯახებში იზდებოდენ და ესენი-კი სამეცნიერო ოთახებში, გარედ ხრიგინობდენ. ისინი ქართულად საუბრობდენ და ესენი-კი პრიშტი-პრუშტებით თავ-მომწონეობენ. ისინი მოკრძალული იყვენ და ესენი-კი გამბედავი, თამამი და შეუპოვარი. და ნუ თუ ამათაც არ შეუძლიათ ავ-კარგის გარჩევა? აი ახლაც ერთმანეთს მიტომ სწეწენ და ჰგლეჯენ, ორ სხვა-და-სხვა ბანაკად გასულნი, რომ ერთი პეტრეს მომხრეა და მეორე პავლესი! პეტრე ბანკშია, პავლე—ოპპოზიციაში. ისინი ერთმანეთის წინააღმდეგი არიან და მათ-მათი მომხრე ქალებიც ერთი მეორეზედ იწევენ. გაურჩევიათ-კი, თუ რა არის ან ერთისა და ან მეორის სიმტყუნ-სიმართლე? როგორ არა! შავი, მაყვალა-თვალები და კოპწია ულვაშებიო! ამბობენ პეტრესიანები. არა! სიმართლე ევ-კი არ არის! სიმართლეცა და სიმტყუვნეც „და საერო და საქვეყნო საქმეც, პავლეს გულ-მკერდია და მისი მხარ-ბეჭიო!“ გაიძახიან პავლესიანები!.. და მაშ არ დაიძახონ „ვაშა—ვაშა?“ «გაუმარჯოს საქართველოსო?» რასაკვირველია, უნდა იძახონ და კიდევაც მიტომ გაჰკივიან!.. ეს ყველა-ყველა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპირადო „ჩემიან-შენიანობა“ ვის არ მოხიბლავს და
არ აცდუნებს? მაგრამ ამ გარეშეებს რალა ემართებათ,
რომ ისინიც „ბანკობიაზე“ აჭიკჭიკებულან და იმათაც
ამ პაწაწინა ბანკის მეტი აღარა მიაჩნიათ-რა საქვეყნო
საქმედ? ეტყობათ, რომ „ჯაჯიას სენი“ შეჰყრიათ: შაჰ-
აბასი რომ საქართველოს ამხობდა და კახეთს შემოე-
სია, ქართველები აქედან მიჰყავდა და სპარსეთში ასახ-
ლებდა და სამაგიეროდ იქიდან სპარსები მოჰყავდა და
ჩვენში აბინავებდა, რომ ამ მკაცრისა და გაიძვერული
პოლიტიკით მოესპო ქართველობის სახელენებელი!.. იმ
დროს დიდი და პატარა, ერი და ბერი, ქალი და კაცი,
ყველა ერთად საგონებელში იყო ჩავარდნილი!.. სწო-
რედ იმავე დროს გამოსულიყო საჯაროდ ერთი ვილაც
„ჯაჯია დედაბერი“ და გაოცებული წუწუნებდა: „რა
ღმერთი გასწყრომია ამ ხალხს, რომ აღარა ეყურება-
რაო? ტურა-მგლები სოფელს შემოესიენ, ლამის გა-
გვაწყალონ და ყურს-კი აღარავინ უგდებს, ხალხი სულ
სხვა რამეზედა ჰფიქრობსო!.. მის ნაცვლად რომ საქათ-
მესთან თავი მოიყარონ ნადირის მოსაგერებლად, სად-
ლაც სხვაგან გარბიანო და თვალები სპარსეთისაკენ
უჭირავთო!“ რას წარმოიდგენდა საბრალო დედაბრის
ჭკუა-გონება, თუ იმ დროს საქართველოს ტურა-მე-
ლებზე უფრო საშიშარი მტერი აწუხებდა. ბოდიშს
კი ვიხდი მაგრამ დღესაც კიდევ ბევრი „ჯაჯიები“
ჰყავს ჩვენ ქვეყანას, რომ ქვეყნის წარმატებას საქათმე-
საბატეებში ჰხედვენ და ქვეყნის სიცოცხლესაც კრუხ-
წიწილებითა ჰზომვენ!.. ესეები ყველა მომაგონდა, რომ
შევხედე შორიდან ჩვენ «ბანკობიას!» შიგ როგორ გა-
ვერეოდი? და ავუხვიე გვერდი. მივდიოდი ჩემთვის,
მაგრამ მეორეებმა გზა გადამიღობეს: „არა ჩვენსკენ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ჩვენსკენო! ახმეტა და მახმეტაო, ორივე ცოდვაა ახვეტაო!» ნათქვამია, და მეც შევუქაქანე ორივეს და მოვშორდი!.. ერიჰა! „ჩვენთან არ არის, მაშ იმათთან იქნება!“ ამბობდა ერთი მხარე. „თუ აქ არ არის, მაშ იქ უნდა იყოსო“—ჰფიქრობდა მეორე და ბრბოთა უმეტესობაც ბანს აძლევდა. ისარგებლეს ამ გამოურკვევლობით იმ მორიელებმა, რომელთაც ჩემგან ბევრჯელ ასწვიათ კუდი!.. დრო იშოვნეს, მოიქნიეს კუდი და ასტეხეს ერთი „ვაი-უშველებელი“, გაატარტალეს ენები; ჭორს ჭორი ემატებოდა და იზრდებოდა. ჭორი ხომ მთის წვეროდან დაგორებული თოვლის გუნდაა? რამდენადაც დაბლა ეშვება, იმდენად იზდება და იზდება; ბოლოს გადაიქცევა ზვავად, ჩავა დაბლა სადმე სოფლად და იქ ათას გვარად დაშლილი გაწყალდება და ორთქლად ავა! ვინც პირდაპირ არ შეეხლება ზვავს და გვერდს აუვლის, იმას რა უჭირს?.. მეც გავდექ განზე და სიცილით ვამბობდი: ესეც ჩემი ახალწლის სიზმარი-მეთქი!“ მეგონა, როგორც სიზმარში ვნახე, სწორედ, ეს ცხადიც ისე გათავდებოდა, რალაი-კი მე გავშორდებოდი და მკბენარებიც თავს დამანებებდენ... მაგრამ თურმე რა ბრძანებაა, მოუნდომებიათ საფლავის კარამდე მიყოლა. ამას შემდეგი წერილი ამტკიცებს, რომელიც „მწყემსის“ რედაქტორს, დეკანოზს დ. ღამბაშიძეს მოსვლია:

„ბატონო რედაქტორო, მამაო დეკანოზო! ის წრე წინეთ რომ ვანო მაჩაბელს ემუქრებოდა, (დედანში აქ არის კიდევ სამი სიტყვა) ახლა წათამამებული და თავ-გასული სხვებისაც დალუპვას. (?*) ალბათ ღვთის განგებით მე

*) სწორად აკლია: „უბირებს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავესწარი ყური მოვკარი ამბობდენ, არ უნდა დავბლ-
გოთ ისინიო და სხვებთან ზოგთან თქვენ და ბა-
ტონი პოეტი აკაკიც იყო დასახელებული, იქ ერთი
ქალიც იყო გული მოუვიდა ბეჩა აკაკის რაღა თქვენი
გულზე ხეთქა ეჭირვებაო. ბატონმა აქტორმა თქვა ის
არის რაც არისო თქვენზე რაღაც მასალის გამოსაძიებ-
ლად აქტორი მანდეთ წამოვიდა გაფთხილებთ ბატონო.
ამ ამბავზე ბატონ აკაკისაც ვაფთხილებ წერილით. თქვენ-
მა მადლმა რასაც გწერ მართალია სახელს და გვარს ვერ
ვამხელ პატარა კაცი ვარ უბრალო მუშა. მეშინია დამ-
ლუპენ და სხვა ახლა თქვენ იცით ბატონო. თქვენი ერთ-
გული სტამბაში მუშა". (ამოწერილია უცვლელად.)

სხვა-და-სხვა ეფისტოლები, მუქარით სავსე, რომ მა-
ჩაბლის დღეს დაგაყენებთო და მის კვალს გამოგიყენებთო,
მოგვდის ხოლმე რედაქციაში, მაგრამ ჩვენ მიჩვეული ვართ
და არ ვაქცევთ ხოლმე ყურადღებას! ეს უკანასკნელი
წერილი-კი სულ სხვა გვარად ჰფენს ნათელს გარემოე-
ბას: თურმე, რა შუაშია, ბანკი, ბანკობია, ჩიკვაიძე, ოპო-
ზიცია, სამშობლოს ერთგულება და სხვანი?.. ესეები ყვე-
ლ მხოლოდ ხელზე დასახვევი მიზეზები ყოფილა და
ბ ლის თავი-კი სხვაგან მარხია!.. ძველი ანგარიშები ყო-
ფილა გასასწორებელი: მაჩაბელს რომ გაუბეს, იგივე ქსე-
ლი გაუბამსთ ჩემთვისაც, რომ მეც მისი დღე დამაყე-
ნონ!.. ეჰ, ეს კარგი ჭადრაკის თამაშია!.. მაგრამ შემც-
დარა ოინბაზი: ბაიკებით ლაზიერის დაჭერა ძნელია!..
ვმადლობთ იმ, სტამბის მუშას, ჩვენზე რომ გული შესტ-
კენია და გვაბრთხილებს, აგრეევე იმ ქალსაც, რომ შევბრა-
ლებივართ, მაგრამ ტყუილი შიში მოსვლიათ!.. ამ ნა-
ხევარ საუკუნის განმავლობაში ბევრი მაგისთანა წისქვი-
ლის ქვა დატრიალებულა ჩვენს თავზე, და ჩვენ-კი ყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიც არ გაგვიბერტყია!.. --მადლობა ღმერთს, ჭირი და ხრიკები თავის თავადაც ფქვილად წასულა და ჩვენ-კი არა დაგვშავებია-რა, იმდენად, რომ ჩვენ საქმეზე გული გაგვტეხოდეს და სხვების ყურ-მოჭრილ ყმად გამხდარვიყოთ, ზოგიერთებსავით!.. და რაც შეეხება მცირე უსიამოვნობას, ის-კი ბევრჯელ აგვიტანია და ახლაც კიდევ ავიტანთ!.. სადაც მტრებია, იქ მეგობრებიც არის! ქვეყანა უმტერ-მოყვრო ვის გაუგონია? მართალია, მეგობრობა სასიამო ბულბულის ჭიკჭიკია და მტრობა შხამიან გველის სისინი... და თავზე გინდ ბულბულთა ვუნდი დაგფეთქდეს და დაგჭიკჭიკობდეს, თუ იმავე დროსვე შენს მახლობლად, ერთიც არის, შხამიანი გველი დასრიალობს ან მორიელი დაცოცავს, სიამოვნებაც დაკარგულია, ბულბულებიც უსარგებლოა. მაგრამ ეს საზოგადო ცხოვრების კანონია და მხოლოდ სიფრთხილე ეჭირვება. ნურავინ ნუ იტყვის: რას მიზამს ერთი მტერი, როცა ასი და ათასი მოყვარეცა მყავსო? ამას არც ჩვენ ვიტყვით, მაგრამ ისე მაინც არ შევშინდებით, რომ გულზე გავსქდეთ, როგორც იმათა ჰგონიათ; მით უმეტეს, რომ დღევანდელი ჩვენი მტრები, რომელნიც სიზმარშიაც ვნახეთ, ცხადათაც აწონ-გაზომილი გვჰყავს და ვიცით: რასაც იწონის მათი ლიტრა-ჩარექი? მათში უკეთესები და ურჩეულესნი დავლურშიაც-კი გვიწვევენ შვილდ-ისრით ხელში.

ზოგიერთმა ჩვენმა ჟურნალ-გაზეთებმა გული გაუხსნეს იმ ნაცარ-ქექია - მეომრებს, მიიღეს თავისს წიაღში, როგორც ვითომ ფალავნები, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ ისინი ღირსი არ არიან შებმა-შეჭიდების!.. სამინუშო განჩინება, ყველაზედ პირველ „ივერიამ“ გამოჭედა თავისს მოცლილ ფურცლებზე „სილოვანის“ სახელით: «აკაკი საქმით ყოველთვის ორგული და მოდალატე იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნის, თუმცა სიტყვით კი სულ სხვას გვიმტკიცებდაო. ეს მე ამ ათის წლის წინედაც ვაუწყე ქვეყანას ლექსადო, მაგრამ არ დამიჯერესო, და ახლაც ჩემ მოვალეობადა ვრაცხ განვაცხადოო!» პროკლამაცია არ არის სუსტი! მაგრამ ერთი ესეც გვიბძანონ: ვინ არის ეს ვილაც „სილოვანი“ თუ „ფსხილოვანი“, რომ საერო უფლებით აღუჭურავს თავი და დიქტატორულის კილოთი, გარიბალდის რიხით, მიჰმართავს ერს? თუ საქვეყნო გმირია ქვეყნისგან აღსარებული, რატომ ვერავინ იცნობს? და თუ საიდუმლო მოღვაწეა, სად არის მაგისი ნაშრომი? ან უკან რა მოსდევს საერო ბარგად, და ან წინ რა მიუძღვის სამერმისო საგზლად? თვარა, ორშაბათის ყეენივით, უკან რომ ვისმეს ბარგად სისულელის მეტი არა მოსდევდესრა, და წინ საგზლად მხოლოდ სიბრიყვე მიუძღოდეს, რა რჯის „ნახირ-ნახიროობას?“ საბრალოს უბრალო საქვენაო ქალალდის ნაგლეჯი ქვეყნის გული ჰგონია და ზედ ვითომ განჩინებასაც სწერს!... ღმერთმა შეუნდოს!..

მეორე? მეორე მეშვილდისრე ვინღა არის, „ჭორის ფურცლ ში“ რომ ჯამბაზობს? ვინ და „კიჭობიას“ მოთამაშე, ბასხარა, რომელიც ლუკმისათვის ხან მარჯვნივ იგრეხს ყბას და ხან მარცხნივ, ოღონდ-კი ვინმე გააცინოს!.. აი, ახლაც სხვისაგან მოპარული მაშხალა აუშუშხუნებია და უვიცებს ატყუებს: ქვეყნის დასამგვრევი დინამიტიაო!.. ქალალდის გველი აუფრიალებია და ბავშვებს-კი გველეშაპი ჰგონიათ.

მესამე? მესამე ვინღაა? ის სისხლ-გაუწმენდელი ღრიანკელი, რომელმაც ცხოვრებაში „იაგოს“ როლით შემოდგა ბიჯი!.. „დესდემონას“ გაწირვით ლუკმა იშოვა და დღესაც კიდევ მის ცხვირსახოცს ეძებს, რომ ვერ აგობამ წინ ბიჯი წაადგმევინოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე? მეხუთე? მეექვსე და სხვანი? ესენი ყველა ერთი გვარისანი არიან! ერთ-ხორც და ერთ-სისხლ!! და ესენი აპირობენ ჩვენზე ძლევა-მოსილობას და გვემუქრებიან: „მაჩაბლის დღეს დავაყენებთ და მის კვალს გამოვუყენებთო!“ ვსთქვათ, რომ ეს კიდეც შეიძლონ და აისრულონ, მერე რაო? თუ არჩევანზე მიდგება საქმე, ჩვენ გვირჩევნია, რომ მაჩაბლის კვალს გავჰყვეთ, ვიდრე ამათთან დავრჩეთ და ამათ ფერხულში ჩაგებათ, გინდ ოქრო და ვერცხლიც გვაყარონ თავზე...

მართალია, ვერაგობასა და მოღალატობას ძალა და გოლიათობა არ უნდა, პატარა მატლსაც შეუძლია შეპარვით გაიმარჯოს და ჩვენც, როგორ ვიტყვით, რომ ვერა გვავნებს-რა-თქო. მაგრამ მაინც, რაც უნდა მოხდეს... რაც უნდა მოგველოდეს, მაინც არ ვჰკადრებთ ჩვენს თავს, რომ ჭია-მატლების საპასუხოდ და მოსაგერებლად ფარხმალი ავიღოთ ხელში!.. და რაც შეეხება მათ ტარტაროზს, იმ ობობას, ქსელს რომ ამოფარებია და იმ მორიელს, კუთხეში რომ მიკუნჭულა და კუდს იქნევს, ის კი სულ სხვა არის!.. და იმას ჩვენც იმასვე მოვახსენებთ, რასაც ზეპირ-სიტყვაობა «ბაყათარს» ეუბნება:

„გეყოფა ოსო ბაყათარ,
ნულა რჯი წვრილ-ფეხობასა!..
მარტო გამოდი საომრად,
ვნახავთ შენს ვაშკაცობასა!..“

ბაკაკი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განდეგილია

(აპოკრიფული ამბავი)

უდაბნოში განდეგილი
სულის საქმეს შესდგომოდა.
საამქვეყნო, საბირადო
„ვარხალალო“ არ ესმოდა.

მისი ქვეყნის ავსა და კარგს
იგონებდა... გულში ჭკრებდა,
და შემოქმედს მუხლ-მოდრეკით
წრფელის გულით ავედრებდა:

„ეს ქვეყანა ცოცხალ-მკვდარი,
დღეს რომ ქედი მოუხ[illegible]ა,
უბიწო და უგინებელ,
თვით ქალწულის წილ-ხვედრია!

„მართალია, დღეს ჯოჯოხეთს
თავისაკენ მიუმხრია,
მაგრამ ადრე, ვით მოწამეს
შენთვის სისხლი დაუღვრია.

„ნუ ამხილებ გულის-წყრომით!..
მოიბრუნე მადლით გული!..
შეუნდვე მას შეცოდება!..
მიანიჭე სინანული!!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„და თუ მსხვერპლი საჭირო,
ვით წვდილი ქვრივის მცირე,
ნუ განმაგდებ!.. სხვებზედ უმალ
მიმიდე და შემიწირე!..“

ამ სიტყვებით გამოსთქვამდა
ტკბილ სურვილს და მწარ გულის-თქმას...
და ცრემლებსაც ასხურებდა
ზედ, ვით წმინდა ია ზმას!

ესმა უფალს ხმა ცოდვილის;
შეიწირა სამსახური!..
განდეგილის ალსარებას
ქვეყანამაც მოჰკრა ყური.

სთქვა: „ეს კაცი ცოდვილთა თვის
ებებ წინა-მორბედია?!..
და მაგის შორს-მჭვრეტელობა
მალლით ქვემო, ორბედია!!..

ჩაგულისხმდა, გამოერკვა,
მოაგონდა წინა-ხარი,
რომ თავს სდებდა ქვეყნისათვის
და იწვოდა ვით ლამპარი.

განიზრახა კრინი მოძღვრის,
მიბაძვა და მიმდევრობა;
შეაჩვენა ძალი ქვენა!..
ალიარა ზესთ-მთავრობა!!

ამ ამბავმა ჯოჯოხეთი
ააშფოთა!.. შავად ჭლეალვს!
თვით სატანა, ცეცხლის მფრქვეველი,
შესაზარად ჭქუხს და ელავს!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მის წინ დგანან მოწიწებით
წვრილ-თვეხობა—ეშმაკები;
ჰკანკალებენ, უთრთის უგელას
კულ-ბრჭყალები, ნისკარტ-რქები!..

„ვერა ჭხედავთ—სთქვა—განდეგილს,
ქვეუნად წინ რომ მედობება!?
ლამის ლოცვით შეარეიოს
ჩემი ძალა-მეუფება!..

„რალას უცდით? ადრე თუ სხვაც
დაგიდუბავთ მაგისთანა,
ჩემი რჩევა და ბრძანება
გეჭირვებათ კიდევ განა?

„შეიცვალეთ სულ სხვა-და-სხვად:
ჭიად, მატლად, ბაყაყ-გველად,
ბუზად, ბუბლად, ჭია-მჭრალად,
ბალღიჯოდ და მორიელად!..

„მიესიეთ უგელა ერთად!
ნუ მისცემთ მას მოსვენებას!!..
გაჭირვება დაავიწყებს
ქვეუნის ვალს და ზეცის მცნებას!“

ასრულა წვრილ-თვეხობამ
ბნელ მთავარის სურვილ-ნება,
და მისცვივდნენ საწყალ-მლოცველს,
რომ არ მისცენ მოსვენება.

ჭირში მეოთმა დმერთს შეჰვედრა:
„თუ ეს შენი არის ნება,
შენვე მომეც მეტ უფალო,
იობისა მოთბინება!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭებენენ, სჩხვლეტენ, გესლს ანთხევენ,
ჭაერს ბიდწავს ჭია-შერალა,
მაგრამ ვერ სჭრის ძველებურად
უბუდმართი მათი ძალა:

იქვე ახლოს, უჩინარად,
სხივ-მოსილი იდგა ქალი,
განდეგილის მეარეულ-მცველი,
ადმგზნებელი იდიალი!..

მოახსენებს უფროსს ბატონს:
„დიდებულო სატანაო!
ვერას გაგხდით!.. მან შეიძლო
გაჭირვების ატანაო!!“

ეუტხოვა ეს ამბავი
ჯოჯოხეთის ბობოლასა;
ვერ იტანდა ძველი ძალის
ის ხელიდან გამოტლასა.

კვალად ჭბრძანა: „უარს ვერ ვჭეოფ
მე მაინც ჩემს საწადელსო.
და თქვენც, გირჩევთ, ნუ დაგდებთ
თქვენს საქმეს და საცადელსო!

„თუ პირადად მას ვერ ავნებთ,
სხვებს ხომ მაინც მოსჭრით თავსო?!
შეაშინებთ, რომ ვერ მიჭეფენ
განდეგილის გზა-და-კვალსო!“

ეს ბრძანება, სულ ახალი
ხელთ უპურიათ ეშმაკებსო,
და ვაი მას, ვინც სატანას
არ ადიდებს!.. არ აქებსო!!..

იკეკი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გვარამიძის ოჯახი.

(მოთხრობა)

(გაგრძელება *)

IV

გიმნაზიიდგან გამოსვლის მეორე წელშივე გარდაიცვალა შალვას მამა, თ. ქაიხოსრო გვარამიძე. მისი უეცრივ გარდაცვალება ექიმებმა გულის სისუსტეს მიაწერეს, მაგრამ ხალხი-კი სულ სხვაგან ეძებდა ამის მიზეზს და ამტკიცებდა, რომ თ. ქაიხოსრო შალვას ჯავრმა იმსხვერპლაო.

მართლაც თ. ქაიხოსროს ცხოვრების მსვლელობას რომ კარგად დაჰკვირებოდა ადამიანი—საიმედოს მასში ძლიერ ცოტას იპოვიდა: მთელი დიდებული ოჯახი, სოფლად მიტოვებული ბიჭი-ბუჭების ხელში, მნახველს მწუხარების ცრემლს მოჰგვრიდა.—ადგილ-მამული ზოგი გაყიდული, ზოგი დაგირავებული და ზოგიც მძიმე ვალებით დატვირთული უიმედოს თვალით იყურებოდა. ერთად ერთი იმედი შალვა-კი თავის ტოლ-ამხანაგებისაგან არამც თუ რამე სიკეთით განსხვავდებოდა—არამედ ფულების ოხრად ფლანგვაში, საზოგადო წესი-

---

*) იხ. „კრებული“ 1899 წ. № VIII.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერების დარღვევაში და ყოველგვარ უწესობაში კიდევ ვაც აჭარბებდა მათ.

—„მამის სიკვდილის შემდეგ მაინც ჩადგება ჭკუაში და ოჯახს მოხედავსო!“ ჰფიქრობდა დედა მისი—კნ. სოფიო, მაგრამ, საუბედუროდ, აქაც გაცრუებული შეიქნა. შალვა მამის სიცოცხლეში ღამ-ღამობით მაინც შემოდიოდა შინ. მამის სიკვდილის შემდეგ დედას სანატრელად გაუხდა მისი ნახვა. შალვამ გიმნაზიას თავი დაანება თუ არა, მაშინვე ახალგაზდა თავადების გუნდში ჩაეწერა. ეს გუნდი მთელი წლობით, ყოველგვარ საქმეს მოწყვეტილი, სცხოვრობდა ქალაქის საუკეთესო სასტუმროებში და ბანქოს თამაშით ერთობოდა. კარგად ეცვათ, კარგად ეხურათ, მდიდრულად საზრდოებდნენ, თეატრში პირველი ადგილები ეჭირათ და ცირკი ხომ თითქმის სულ მათი იყო და მათი... თუმც ადგილობრივი პოლიცია ეჭვის თვალით უყურებდა მათ ამ გვარ ცხოვრებას, მაგრამ პირ და პირ მაინც ვერას უბედავდა.

შალვაც ნიადაგ მათთან იყო. მის ყოველ დღიურ საქმეს ბანქოს თამაში, სასტუმროს ბალებში ქეიფი და ქეიფის შემდეგ ეტლით ტარება შეადგენდა. თუ შალვა როდისმე ავად გახდებოდა, ეტლი მის მაგიერ შალვას ნაბადს ასეირნებდა. ვსთქვათ, მალაზიაში რამე საყიდელი ჰქონდა, ან ვინმე ლამაზ ქმნილებას მიყვებოდა, შალვა მალაზიიდგან მალაზიაში შედიოდა, საკაროს ჰკითხულობდა და ეტლი-კი გვერდით, მალაზიების წინ ცარიელი მოჰყვებოდა ხოლმე. შალვას ვერც მამის სიცოცხლეში და ვერც მის სიკვდილის შემდეგ ფეხით გავლილს ვერ ნახავდით.

ერთმა მეგობარმა კიდევაც უხუმრა: „შალვა! რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომ შენს საკუთარს ეტლს არ გაიწყობო! ხომ მაინც ფეხით ალარ გვინახავხარ გავლილი და მეტი არც მისი შენახვა დაგიჯდებაო?! მაგრამ შალვაზედ ამ გვარი ხუმრობა სრულებითაც არ მოქმედებდა. რაც დრო და ჟამი მიდიოდა ისე შალვა ზნეობრივად იხრწნებოდა. მისას არც სიტყვას და არც საქმეს ფასი ალარ ჰქონდა.

თუმც მუდამ ლოთობაში, ბანქოს თამაშში და უბრალოდ დროს გატარებაში იყო გართული, მაგრამ ლიზიკოს სიყვარული მაინც არ დავიწყებოდა და ობოლ ნაკვერცხალივით ჩაეხვია გულის ნაღვერდალში. გარეგნულის შეხედულებით ძნელი სათქმელი იყო, რომ შალვას რაიმე ნატამალი სიყვარულისა მაინც უღვივოდა გულში; რადგან არასოდეს არ ეკარებოდა, ხმას არ სცემდა და იმ ქუჩაზედ, სადაც ლიზას მამა იდგა არც გაუვლია მას აქეთ, რაც უკანასკნელად გამოემშვიდობა ლიზას. ერთი სიტყვით გეგონებოდათ შალვას ლიზას სახე და სიყვარული სამუდამოდ გულიდგან ამოხოცილი ჰქონდაო. მაგრამ მათ შორის ეს მაღალი გრძნობა სრულებითაც არ მომკვდარაყო, მრთლად ეძინა და დროებით შეეწყვიტა ისართა ტყორცნა.

ამ გვარ გრძნობების დამშრეტი მხოლოდ სიკვდილია; მხოლოდ მას შეუძლია შესწყვიტოს ისართა ტყორცნაც და სიტკბოების შემოკლებაც. ადამიანიკი ამ გვარ შემთხვევაში ცეცხლზედ ზეთის დამსხმელია. ის უფრო მჭიდროთ აკავშირებს ორ შეყვარებულს ერთმანეთთან. და მით უფრო აჩაღებს მათ შორის გაღვივებულს სიყვარულის ცეცხლს.

რაც დრო მიდიოდა, ისე ლიზას გულის კარები თავისუფლად იღებოდა შალვას მისაღებად და თან და თან ნათესაობის გრძნობები სიყვარულის გრძნობებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ითელებოდა. თედოძე სტუდენტი უნივერსიტეტის მეორე კურსზედ იყო. ზაფხულობით ყოველთვის თავის ქვეყანაში ვერ ჩამოდიოდა, რადგან სილარიბისა გამო გაკვეთილებით ირჩენდა თავს.

„თვალი, რომ თვალს მოშორდება, გრძნობებიც გაგრილდებაო“, ნათქვამია. მიზეზიც ეს გახლდათ, რომ შალვას სიყვარული ლიზას გულში თან და თან მაგრად იდგამდა ფესვებს. შალვას გმირული თავ-განწირულება და იმ ლამის გულნატკენი გამოთხოვება ლიზას დღე და ღამ მოსვენებას არ აძლევდა. „მართლაც, შალვამ სასიკვდილოდ ხომ ჩემთვის გაიწირა თავი?! ხომ მე ვიყავი ამის მიზეზი?! მამა მისიც ხომ ჯავრს გადაჰყვა თან? შალვას ამ გვარად გაქსუების მიზეზიც ხომ მე ვარ და მე?!. მაშ ნუ თუ ჩემი ვალი არ არის გავასწორო ეს შეცდომები და ამით შალვა სწორ გზაზედ დავაყენო?..“ ჰფიქრობდა თავისთვის ლიზა და მოხერხებულ დროს ეძებდა შალვას თავისუფლად გამოლაპარაკებოდა.

ერთს საღამოს ლიზა სტუმრად იყო დაპატიჟებული. მასპინძელს შალვაც მიეპატიჟა. სხვა სტუმრებთა შორის შალვამ ლიზასაც ჩამოართვა ხელი. ლიზას ხელის მიცემამ შალვას ჟრუანტელი გაუტარა მთელს აგებულობაში. ლიზამ რაც სიტყვით ვერ მოახერხა სათქმელად, ის გრძნობებით გადასცა. ცოტა ხნის შემდეგ სტუმრები მხიარულებაში გაერთვენ. ამ არეულობით ლიზამაც ისარგებლა და შალვას გვერდით სკამი მიიდგა. შალვა ცოტა შეიშმუშნა, თავის სკამი ცოტა გასწია, მაგრამ ლიზას მოშორება მაინც ვერ მოახერხა.

— რას მემდური, შალვას ჭირიმე? ჩუმად ყურში უთხრა ლიზამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეე? არაფერს. მე რა ნება მაქვს დაგემდურებოდ? ან რა შეგემატებათ მით რომ მე დაგელაპარაკოთ? მიუგო ცივად შალვამ.

— მე? რა მომემატება მით რომ შენ დამელაპარაკო?! ჰმ! უთხრა ლიზამ, ხელი მოჰკიდა და ორივე აივანში გამოვიდენ.

— ნუ თუ ჰგრძნობ, შალვა, რომ მე შენ დაგივიწყე? განაგრძო გარედ ლიზამ. დარწმუნდი, რომ შენს სახეს მე მუდამ ვალმერთებ. ჩემს სიცოცხლეს შენს მეტი არაფერი აცისკროვნებს! რაც ჩვენ ერთმანეთს დავშორდით, რაც მე და შენ გულწრფელი გრძნობანი ერთმანეთს გავუზიარეთ, მას აქეთ, მერწმუნე, არ მომისვენია, მას აქეთ მთელი ჩემი არსება სულიერ ბრძოლაში იყო. ებრძოდა ჩემში ნათესაური გრძნობა სიყვარულის გრძნობას, ებრძოდა, საზოგადოთ, გრძნობები ჭკუას და ხანგრძლივი ბრძოლის შედეგი მხოლოდ ეს გულწრფელი შენი ხვევნა და ტკბილი ალერსია. უთხრა ეს და მჭიდროდ გულ-მკერდში ჩაისკვნა. ამ დროს მხოლოდ გაბადრულ მთვარის სხივები ამოწმებდენ მათ ერთმანეთთან დაკავშირებას და შურის თვალით დაქათქათებდენ ლაჟვარდ ცის სიმაღლიდან.

— მე არ ვიცი სადა ვარ?! ლიზა, შენი სიყვარული ვერ გამიგია! თედოძეს რას უშვებ? უთხრა ბოლოს შალვამ.

— თედოძე სანამ რუსეთიდგან მოვიდოდეს, ჩვენ საქმეს კიდევაც გავათავებთ. მე დედის ნათესავი მყავს. ქვემო იმერეთში გაუვალი ტყეებია. იქ წავიდეთ, სანამ მღვდელს ვიშოვნიდეთ, იქ ნათესავებში შევიფაროთ თავ...

— მობრძანდით, მობრძანდით, ვახშამი მზად გახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავსთო! გააწყვეტია მასპინძელმა ლიზას სიტყვები და ორივე ოთახში მიიპატიჟა.

გავიდა რამდენიმე თვე. ლიზას სიტყვები შალვას მოსვენებას არ აძლევდა. თუმც ლიზას მამის სახლში არც ამის შემდეგ დადიოდა, მაგრამ გრძნობების ერთმანეთისადმი გადაცემას წერილების საშუალებითაც ადვილად ახერხებდენ... მაისი ილეოდა. შალვას ლიზას მოტაცება კაი ხნის გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ ამის განხორციელებას ერთი დიდი გარემოება უშლიდა ხელს: მოეტაცნა—ხსნილი სულ რამოდენიმე დღე დარჩენილიყო და მღვდელიც შეპირებული არსად არ ჰყავდა. სხვა დროისათვის გადაედვა—არც ეს იყო შალვასათვის სასარგებლო, რადგან დღეს თუ ხვალ თედოძეც ჩამოვიდოდა ? საქმეს სულ სხვა ფერი მიეკემოდა. ორ ცეცხლს შუა იწოდა შალვა გვარამიძე. დიდხანს ებრძოდენ ერთმანეთს შიშის და სიყვარულის გრძნობანი. ბოლოს შალვას ვაშკაცურმა გაბედულებამ, ლიზას მოხერხებულმა საქმის მოწყობამ და შალვას მეგობრების დახმარებამ ყველაფერს ბოლო მოუღო, ყველა წინასწარ-მოსაზრებანი გააქარწყლა. ლიზამ ერთს მშვენიერს დილას აფხაზეთის გაუვალ ტყეში ამოჰყო თავი.

ლიზას მშობლებზედ და მეზობლებზედ ამ მოტაცებამ საშინელი შთაბეჭდილება იქონია. ვინ რას ამბობდა და ვინ რას?!

— კი, ბატონო! ჩვენ კაი ხანია ვატყობდით, რომ მათ ერთმანეთი ნათესაურად არ უყვარდათ. ამბობდა ერთი.

— ღმერთო, ღმერთო! რატომ სულს არ ამოგვაძრობ, რას ვხედავთ, რა გვესმის ეს?! ვინ ბიძაშვილი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ მოტაცება?! ჰკვირობდენ მოსწრებული ქალები.

— ესეც შენი სტუდენტის სიყვარული, მიცემული სიტყვა! გესმოდათ ახალგაზდა ყმაწვილებისაგან.

ყველაზედ დახაშმული და გაბრაზებული ლიზას მამა თავადი რევაზი იყო. თავ. რევაზი თავმოყვარე და სახელოვანი მებატონე იყო. როგორც ძველი მიმართულების სამხედრო კაცი, ის მორჩილების გრძნობას ყველა გრძნობაზედ ზევით აყენებდა,—მას ყველა დანარჩენ გრძნობას ანაცვალებდა. ამიტომაც ლიზას და შალვას დაუკითხავმა საქციელმა თავ. რევაზი მოთმინებიდგან გამოიყვანა და მთელი ადგილობრივი პოლიცია ფეხზედ დააყენა. გავიდა დღეები, კვირეები. გაბრაზებული მამა და ადგილობრივი პოლიცია ახალგაზდების ძებნაში იყო. ახალგაზდებს-კი აფხაზეთის გაუვალ ტყეში დაეცათ ბინა და ერთმანეთის სიყვარულით სტკბებოდენ.

რაც დრო მიდიოდა, ისე მღვდელი უფრო ძნელი საშოვარი ხდებოდა, რადგან ადგილობრივ მღვდელთ-მთავარს მათი ჯვარის წერა მღვდლებისთვის სასტიკად აეკრძალა. ამასობაში კიდევაც დამარხვდა და შალვას სიყვარულმა სიტკბოება ძიმწარეზედ უფრო გაუშხამა. ახალგაზდები დიდმა მწუხარებამ შეიპყრო.

ორი კვირის შემდეგ პოლიციამ შეპყრობილი შალვა თავის ამხანაგებით სატუსაღოში მიაბრძანა, გაბახებული ლიზა-კი მშობლებს ჩააბარა. გამოძიებამ ცუდათ ჩაიარა შალვასათვის. რაც ლიზას გამოძიებლისათვის ეჩვენებია, ყველაფერი სიყალბეზედ იყო დამყარებული, მაგრამ შალვა მაინც ამართლებდა ლიზას: „ლიზას მშობლები შეავიწროვებდენ და ისიც მათ წინააღმდეგ ვერას იტყოდაო!“ გათავდა გამოძიებაც. საქმე

ოლქის სასამართლოს გადაეცა. შალვას დედამ შვილის თავდებით გამოშვება ითხოვა. სასამართლომ კნ. სოფიოს თხოვნა პატივდებაში მიიღო და სათავდებოდ ორი ათასი მანეთი ფული მოსთხოვა.

ამ დროს შალვას მამული ძლიერ დაქუცმაცებული იყო. კერძო და ბანკის ვალები მამულის საღირალს გადააჭარბებდა. ნდობა შალვას კაპეიკისაც აღარ ჰქონდა, რადგან მისი ცხოვრება და ყოფა-ქცევა ყველასთვის თვალსაჩინო იყო. ერთად ერთი იმედი სოფლის ეზო და სახლ-კარი-ღა იყო, რომელიც ურიას სულ ცოტაოდენ ფულში ჰქონდა დაგირავებული. შალვას დედას მოსვენება არ ჰქონდა; სულ ფულის ძებნაში იყო გაკრული. ვექილის მისაცემი ფულიც სწორედ ამ ფულებთან უნდა ეშოვნა, რადგან შალვას საქმე ძრიელ ცუდათ მიდიოდა. გავიდა ფულის ძებნაში რამდენიმე თვე. შალვას დედას, კნ. სოფიოს ბოლოს მელიტონა თევზაძეზედ მიუთითეს.

მელიტონა მარკოზას ძე თევზაძეს უნდა იცნობდეს მკითხველი. ეს ის მელიტონა გახლავსთ, რომელიც პატარა შალვას თ. ქაიხოსროს სასახლეში თავშესაქცევ მოსამსახურედ ჰყავდა მიჩენილი და ბატონ-ყმობის გაყრამდის მას ემსახურებოდა. მელიტონა ახალგაზდა გლეხი იყო. ის სულ ორი ან სამი წლით უფროსი თუ იქნებოდა შალვაზედ, მეტი არა. მელიტონა სულ პატარა ბიჭი იყო ბატონ-ყმობის გათავისუფლების დღეს და როგორც ფიზიკურად სუსტი, ამასთან სასახლეში უსაქმობას მიჩვეული—ოჯახში ალბად მუშად ითვლებოდა, მძიმე სამუშაოს მუდამ ემალებოდა. მელიტონა სულ 12—13 წლის არ იქნებოდა, რომ მმართებლობის მიერ პირველ გამართულ სახალხო სკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაში მამა მისმა მიაბარა; რადგან ატყობდა რომ ოჯახში მუშაობა არ ემარჯვებოდა. მელიტონამ სახალხო შკოლა სამი წლის განმავლობაში დაამთავრა; თუმც დამთავრებული მასში და შეგნებული არაფრის ცოდნა არ იყო. იცოდა ცოტაოდენი წერა-კითხვა; ჰქონდა ცოტაოდენივე ცნობა საღმრთო სჯულზედ, იცოდა ანგარიში საშვალოდ და ეს იყო და ეს მისი ცოდნით ალჭურვა. მაგიერ მოწყვეტილი იყო ოჯახს! გარედ გასვლისათვის ცოდნა არ ყოფნიდა და შინაურ მუშაობასაკი პატარაობიდგანვე გადაჩვეული იყო.

ახლა მელიტონა კაი 18—19 წლის ბიჭი იყო. რადგან წერა-კითხვა იცოდა და აქა-იქა რუსული ლაპარაკიც გაეგებოდა—მელიტონა რკინის გზის სადგურში დარაჯად დადგა. მის მოვალეობას სადგურის წმინდათ შენახვა და მატარებლის გამოსვლის დროს ზარის დარეკვა შეადგენდა. რკინის გზაში სამსახური სულ ახალი საქმე იყო მაშინ და თითქმის ყველას ღებულობდენ. ამ სამსახურის დროს მელიტონამ სადგურის უფროსის ყურადღება დაიმსახურა, რადგანაც მან ზეზედ სამსახური პატარაობიდგანვე თ. ქაიხოსროს სასახლეში შეისწავლა. მელიტონა დიდ ხანს არ დარჩენილა სადგურის დარაჯად. სადგურის უფროსმა მელიტონა შინ მოსამსახურედ დაიყენა და ჯამაგირიც მოუმატა. მელიტონას აღტაცებას სამზღვარი არა ჰქონდა. სადგურის უფროსი განათლებული კაცი იყო და მრავალგვარ ჟურნალ-გაზეთებს იწერდა. მელიტონა ფარულად კითხულობდა რუსულ წიგნებს და ორი წლის შემდეგ ისე მშვენიერად შეისწავლა რუსული, რომ სადგურის უფროსმა მელიტონა თევზაძე საქონლის მატარებელზედ კონდუქტორად დანიშნა. აქედგან იწყება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიტონას ბედნიერების დღენი. ეს ის დრო გახლდათ, როდესაც მთელი მატარებლის უფროს-პატრონი მარტო კონდუქტორი ბრძანდებოდა და მატარებელს ისე უცქეროდა, როგორც თავის საკუთარს ეტლს.

მელიტონა საქონლის მატარებლიდგან მალე მგზავრების მატარებელზედ უფროს კონდუქტორად გადმოიყვანეს და ჯამაგირიც მიუმატეს. ამ დროს მატარებელზედ სამსახური მელიტონას ისე გამტკბარი ჰქონდა, რომ უჯამაგიროდაც დიდის სიამოვნებით იმსახურებდა. მელიტონა თითო მგზავრობაში ორას-სამას მანეთზედ გამოდიოდა. მელიტონა კონდუქტორის სიმდიდრის ამბავი მთელ იმერეთს მოდებული ჰქონდა. იმას ფულიან კაცს ეძახოდენ და არც შემცდარი იყო ხალხი ამაში. მელიტონას ორ-სამ სართულიანი სახლები მნახველის თვალებს იტაცებდენ. რაც დიდი ან ცოტაოდენი შემოსავლიანი სოფლის მამულები იყო, მელიტონას ჭვანგებში იყო ჩაჭერილი, ყველა მას ჰქონდა დაგირავებული.

რამდენჯერ უჯაშუშეს რკინის გზის სამმართველოში, რის გამო გამოძიებაც დანიშნეს, მოიწადინეს შეეტყოთ ასეთი თვალთმაქცური გამდიდრების მიზეზები, მაგრამ მელიტონას სქელი ჯიბე ყველაფერს თავისებურ მომხიბლველ პირ-ბადეს აფარებდა.

რამდენჯერ დაუჭერია კონტროლერს მელიტონას მატარებელზედ უბილეთო მგზავრები, მაგრამ ამის შესახებ ცნობას ერთხელაც არ მიულწევია გზის სამმართველომდის... ამგვარად გათამამებული მელიტონა ერთხელაც იყო გადააწყდა ხიფათს. ერთხელ მატარებელი სადგურის უფროსმა გაჩხრიკა. სადგურის უფროსი მელიტონასთან უსიამოვნოდ იყო. უფროსმა 15 მგზავრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუჭირა მელიტონას და მელიტონაც მსწრაფლ რუსეთ-ნის გზის მმართველობამ სამსახურიდგან დაითხოვა. სამსახურიდგან გამოსვლის შემდეგ მელიტონას იმდენად ადგილის დაკარგვა არ აწუხებდა, რამდენადაც თ. ქაიხოსროს სოფლის სახლ-კარი და ეზო-გარემოს ხელში ჩაგდების ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა.

ამ რამდენიმე წლის წინეთ მელიტონას აზრადაც არ მოუვიდოდა ამ დიდებულ მამულის ხელში ჩაგდება, იმ დიდებულ სასახლეში გაბატონება, სადაც პატარაობისას მოსამსახურობდა და აივანზედ გავლაც-კი შიშის თავზარს დასცემდა ხოლმე, როცა-კი ბატონს მოჰკრავდა თვალს, მაგრამ შალვას ცხოვრების მსვლელობამ მასში ერთხელვე ჩანერგული აზრი ობოლ ნაკვერჩხალივით გაალვივა, დაამწიფა და მელიტონას გონება შალვას სახლ-კარის დაპატრონებაზედ მეტს არას ფიქრობდა მაშინ, როდესაც ლიზას ბოლმით სავსე გული შავს კაეშანში გახვეულიყო.

თედოძეს ჩამოსვლის დრო თან და თან ახლოვდებოდა. ლიზას მშობლები თუმც დღემდის არც თედოძეს სთვლიდენ ღირსეულ სასიძოდ, მაგრამ დღეს-კი ისინიც თანახმა იყვნენ. ამ დროს ლიზას გულის დარდებს ვერვინ ვერ გრძნობდა, მის დაკოდილ წყლულების დასამშვიდებლად არვინ არ ფიქრობდა. შალვას დაკავება და საქმის ბოლო ლიზას საშინლად აფიქრებდა. თუმც გამომძიებელს შალვას წინააღმდეგ ა'ვენა, მაგრამ ყველა შეატყობდა, რომ მშობლების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. შიშის და მორჩილების გრძნობამ სატრფოს ღალატი აფიქრებია. მაგრამ მაინც იმედობდა, რომ სასამართლოში ამ შეცდომის გასწორება ადვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაძლებელი იყო. ამგვარი მუდმივი სულიერი ბრძოლა თავის კვალს აჩენდა ლიზას სილამაზეზედ.

ლიზა თუმც ფიზიკურად სუსტი იყო, მაგრამ გარეგნობა შეერთებული სულიერ მის ღირსებასთან ერთ საუკეთესო ადამიანად ჰხდიდა ლიზას და მიზეზიც ეს იყო, რომ ლიზა და შალვა ასე მოულოდნელად ერთმანეთს დაუახლოვდენ. ფარული გულის ნაღველი ლიზას თან და თან ასუსტებდა. ეს სევდა და ბოღმა, რაც დრო მიდიოდა, ისე უფრო მაგრად იდგამდა ფესვებს ლიზას გულის სიღრმეში. თვეები, კვირეები მიდიოდა. შალვა, დაკავებულიც რომ არ ყოფილიყო, ლიზასთვის ჯერ-ჯეროობით მაინც მოწყვეტილი იყო. ის, რაც ლიზას ასე მოუსვენრად ანაღვლებდა, მარტო შალვას საიდუმლოს შეადგენდა, მარტო მას შეეძლო სცოდნოდა. რაც შალვას გამოშვებას და საქმის დაბოლოვებას აგვიანდებოდა, ისე ლიზას მწუხარე გულს ცეცხლი ეკიდებოდა. რამოდენიმე თვის შემდეგ შალვა თავდებით გაათავისუფლეს. სათავდებო ფულში მელიტონა თევზაძეს სოფლის სახლ-კარი და ეზო-გარემო დაუგირავეს. განთავისუფლდა შალვა, მაგრამ ამ გვარ განთავისუფლებას სატუსაღოში ჯდომა ერჩია. თედოძე სტუდენტმა ლიზას მამას უარი შეუთვალა და მიზეზად ლიზაზედ ძალმომრეობის შედეგი მოიხსენია. თავმოყვარე თ. რევაზმა ლიზა მსწრაფლ გულიდგან მოიწყვიტა და ოჯახიდგან გააძევა. ლიზას პატრონ-მშველელი ახლა მარტო შალვა-ღა დარჩა. ლიზა ყოველს დღე თვალ-ცრემლიანი შესტიროდა შალვას და სთხოვდა, რომ ეს საქმე როგორმე საიდუმლოდ მოექრო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

V

ქ. №-ის ერთს ბნელს და მივარდნილ ქუჩაზედ, რომლისთვისაც ბრწყინვალე მზე დღეში თითო საათს თუ გამოიმეტებდა თავის ცხოველ-მყოფელის სხივების სითბო-სინათლეს—ამ რამდენიმე წლის წინეთ იდგა ძველის ძველი, ფიცრული, ყავრით გადახურული ხის სახლი. სახურავი სიძველისაგამო ისე გამხდარიყო, რომ პირველ შეხედვაზედ ვერც-კი გაგოიცნობდით სახლი მიწით იყო გადახურული თუ მწვანე ხავსით. ყავარი სიდამპლისაგამო ხავსად გადაქცეულიყო და ხავსსაც ისე ოსტატურად გაებანდა ერთმანეთში თავისი მრავალი, ძაფის მსგავსი წვრილ-წვრილი ძარღვები, რომ სახურავიდგან, რაღაც მანქანების ძალით, სახლში წყლის წვეთებს აღარ უშვებდა და ამით ლონისძიებას აძლევდა ბებია მაკრინე ამ სახლში ხანგრძლივ ‘ძდგარიყო და ცხოვრება იოლად წაეყვანა. ეს სახლი სულ ორი ოთახისაგან შესდგებოდა. ერთი ოთახი ნამდვილ ჯოჯოხეთის ბნელს ჯურღმულს წარმოადგენდა. კარების გარდა არსაიდგან სინათლე არ შედიოდა, მიწის იატაკზედ იდგა; ხის სკამ-ლოგინი, ორიოდე ხის სკამი და უბრალო მაგიდა, შეადგენდა მის შინაგან მოწყობილებას. სტუმარსაც ძლიერ იშვიათად ღებულობდა მაკრინე ამ ოთახში. დდე მუდამ კარებ-ჩაკეტილი იყო და მხოლოდ ხანდისხან ღამის სინათლე გააბრწყინვებდა ხოლმე ამ მოხიბლულ არე-მარეს. ამ გვარი კარ-ჩაკეტილობის მიზეზი ბევრისთვის დიდი საიდუმლო იყო. მაგრამ ბებია მაკრინეს წასრულისათვის რომ თვალი გადაგეევლოთ, მისი სიყმაწვილის დღიური დაბეჯითებით გადაგეთვალიერებიათ—ადვილად დარწმუნდებოდით, რომ ბებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაკრინე ბოროტად დაბადებულა, ბოროტად აღზრდილა-
რია და ბოროტებითვე აგვირგვინებდა დანარჩენ სი-
ცოცხლის დღეებსაც.

მაკრინე პატარაობისას თავის მებატონის სასახლე-
ში სცხოვრებდა. ის სულ პატარა გოგონა იყო, დედა
მისს, ხვარამზეს რომ თან მოჰყვა სასახლეში, როდე-
საც დიდ ქალბატონს მოახლედ გამოატანეს მზითევში.
პატარა მაკა, (მაკრინე) პატარაობისას სილამაზით თა-
ვის ქალბატონებს არ დაუვარდებოდა. მაკრინემ კარ-
გად იცოდა, რომ ხვარამზე მისი ღვიძლი დედა იყო,
მაგრამ მამაზედ კი არც დედა და არც სხვა პატარა მა-
კას არაფერს ცნობას არ აძლევდა. რაც ზრდაში შედი-
ოდა პატარა მაკა, ისე უფრო ლამაზდებოდა და მეტს
თაყვანის მცემლებს ჰპოულობდა. სახლის ბიჭებმა ილა-
ჯი გაუწყვიტეს ლამაზ მაკრინეს და რამდენიმე ხნის
შემდეგ კიდევაც გახადეს მსხვერპლი ამ სილამაზისა.
დედის სიკვდილის შემდეგ მაკრინემ სასახლეში თავს
ველარ მოუარა და ნამუს ახდილი მოსამსახურე ქალ-
ბატონმა სასახლიდგან გამოაძევა. მაკრინეს სოფელში
ამის შემდეგ რაღა დასადგომი პირი ჰქონდა, ადგილობ-
რივ ქალაქს მიაშურა და მოსამსახურობით თუ რეცხ-
ვით დროებით თავს ირჩენდა. მოხუცებულობის დროს
„ბებია-ქალობაც“ შეისწავლა და დაბალ საზოგადოე-
ბაში ბებია მაკრინეს ხშირად ჰპატიჟობდენ. გაჭირვე-
ბულ და უპატრონო მშობიარე ქალებს ხშირად ღებუ-
ლობდა თავის ოთახში და ფარულად მოანამუსებდათ
ხოლმე. ბებია მაკრინეს იმ ბნელ ოთახში ყოველთვის
უწვა თითო, ორ-ორი მელოგინე ქალი. ახლად დაბადე-
ბულ ბავშვებს ან ქუჩაში დააგდებდა ღამღამობით, რომ
პოლიციას ენახა, ან და ვინმე მდიდარს უშვილოს მიუგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებდა ბარათით ხელში: „მოუნათლავი ვარ, მოინათ-
ლე და მიპატრონე!“ შორს იყო გავარდნილი ბებია
მაკრინეს სახელი და ბევრს ნამუს-ახდილს გაუთხოვარს
ქალს ფარულად მოუქვრია თავის სიყმაწვილის შეცდო-
მანი.

მზე კაი ხნის ჩასული იყო. თუმც მანემდისაც ჩაბ-
ნელებული იყო ის ქუჩა, სადაც მაკრინე სცხოვრებდა,
მაგრამ იმ დროს როდესაც თ. შალვა გვარამიძეს
მაკრინე საიდუმლოდ გარედ გამოეხმო და რალაცაზედ
ლაპარაკობდენ—მაკრინეს ოთახში სინათლე კაი ხნის
გაჩალებული იყო.

— არაფრის გზით არ შემიძლია კნიაზო! ბინა არ
მაქვს, ერთი მელოგინე მიწევს, მეტი ჩემს პატარა ოთახ-
ში ვერ მოთავსდება! ეუბნებოდა მაკრინე შალვას.

— მიწაში უნდა ჩაძვრე და ეს საქმე როგორმე უნ-
და გამიქრო! უთხრა მრისხანედ შალვამ და მაკრინე
ოთახში შეიყვანა. ოთახში პირველად მაკრინემ შეად-
გა ფეხი, მაკრინეს შალვა მიჰყვა და შალვას ვილაც შალ-
ში გამოხვეული ახალგაზდა ქალი შემოჰყვა. მაკრინემ
ამ ქალს თავისი ცბიერებით სავსე თვალები დააჭყიტა,
მაგრამ უცხომ პირისახე მიიბრუნა და მაკრინეს დათვა-
ლიერების ღონისძიება მოუსპო.

„შვილო, რას მემალვი, რისი გრცხვენია, რალაი
ჩემთან მოხველ ყველაფერს უნდა გამიტყდე!“ უთხრა
ბებია მაკრინემ და შალვას გვერდით მიუჯდა.

„რადგან ასეა შვილო! დასტოვე, ვეცდები რამე-
ფრად მოვანამუსებინო. უთხრა შალვას მაკრინემ და
შალში გახვეული ქალი მეორე ოთახში შეიყვანა.

ბებია მაკრინეს მეორე ქალის ბინა თუმც არ ჰქონ-
და, მაგრამ გაახსენდა, რომ ამ რამდენიმე დღის წინეთ

ეროვნული

ერთმა რუსის „ჩინოვნიკმა“ ძიძის შოვნა შეუკვეთა. მაკრინე მეორე დღესვე გიექანა ამ რუსთან და მოახსენა:

— ბატონო, მე გიშოვეთ ერთი საწყალი გლეხის ქალი. ჯერ სულ ახალგაზდაა. ქმარი ციმბირში დაუკარგეს, თვითონ არაფრის ლონისძიება არა აქვს. დღეს თუ ხვალ მორჩება და თუ ისურვებთ სულ თქვენთან დარჩება და გემსახურებათ. ბავშვის დაბადებისთანავე მე წავიყვან, სხვამ იშვილა და ის-კი თქვენს შვილს აღგიზრდისთ. გნებავსთ დღესვე მოგიყვანთ?

— თვეში რა ეღირება? ხომ იცი, მე ბევრის მიცემა არ შემიძლია?! ჰკითხა მაკრინეს მოხელეს ცოლმა.

— რაც თქვენ გნებავდესთ! ფული არაფერია. მე ვიცი თქვენი კეთილი გულის ამბავი, ისე შეიყვარებთ, რომ თავის დღეშიდაც არ მოიშორებთ. იმედია ტანსაცმელს შეუკერავთ, რადგან ძლიერ ღარიბია და ტანზედ არაფერი არ აცვია. უთხრა მაკრინემ და მეორე დღეს ლიზა ჩითის კაბით და უბრალო შალით თავმოხვეული ამ რუსის „ჩინოვნიკის“ ოჯახში დააყენა. ეს მოხელე კაი ხნის აქ მცხოვრები იყო. ცოლად იმერელი ქალი ჰყავდა და ორივე ცოლ-ქმარი ღვთიური ადამიანები იყვნენ.

ლიზას შეხედულობამ, მისმა სუსტმა და ზნეობრივ დაქანცულმა სახის გამომეტყველებამ დიდი სიბრალულის გრძნობები გამოიწვია ორივე ცოლ-ქმარში და ლიზას მაშინვე ახალ-ახალი ტანსაცმელი ჩააცვეს. ლიზას დახშული გული გაიხსნა და ცოტაოდნად მოლბა ამ გვარ კეთილ ოჯახში ჩავარდნით; მაგრამ შალვა და მისი მდგომარეობა-კი, თვითეულ გახსენების დროს გულის ძაფებს უწყვეტდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი კვირის შემდეგ ლიზას ანგელოზივით ვაჟი შეეძინა. ბავშვი პირველ შეხედულობითვე ამტკიცებდა, რომ უბრალო გლეხის შვილი არ იყო. გულკეთილმა „ჩინოვნიკის“ ოჯახმა ეს ბავშვი ბებია მაკრინესათვის ველარ გაიმეტა და მაკრინე ისევ ხელ-ცალიერი გამოისტუმრა.

ჯერ ჯეროობით, სანამ ლიზას ბავშვს გააძიძავებდენ, ლიზას ძუძუ ორივესთვის უნდა ეძლია. დრო მიდიოდა. ლიზას ნაღველი და ჯავრი კიდევ უფრო რთულდებოდა. ლიზას აქ დასადგომი პირი არ ჰქონდა. ფეხი უნდა დაეკრა და ღამე ფარულად, ქურდის მსგავსად მოშორებოდა იმ ოჯახს, იმ არე-მარეს, რომელმაც ის მიიკედლა, მშობლურ გრძნობით გულში მიიკრა, თბილი ბინა მისცა და მოანამუსა. საუკუნოდ უნდა მოშორებოდა იმ ლამაზს, უცოდველს და სრულებით უმანკო ქმნილებას, რომლის გაჩენაშიდაც ის, მარტო ის იყო დამნაშავე და დღეს ასე უპატრონოდ, ასე გულცივად გულიდგან უნდა მოეწყვიტა და ღვთის ანაბარა ქუჩაში დაეგდო!!. ეს და ბევრი ამის მსგავსი ფიქრები ლიზას მოსვენებას არ აძლევდენ. შუალამის მესამე საათი იქნებოდა. სულიერ მღელვარების გამო ლიზას მთელი ღამე არ დასძინებია. ლიზამ დღეს დილიდგანვე გადასწყვიტა ამ ოჯახის მოშორება. აღელვებული ადგა, თავის შვილის აკვანს მიუჯდა და ცხარე ცრემლების ღვრით ჩაატირა: „მშვიდობით შვილო! ვინ იცის, ეგებ გაიზარდო და შენი ღვიძლი დედა დაჰგმო შენი ასე დაგდებისათვის... ღმერთმა გისმინოს, შვილო, ღმერთმა!“ უთხრა ეს და თავის ქალბატონის ტანისამოსში გამოწყობილი „ჩინოვნიკის“ ოჯახიდგან ფარულად გადმოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI

ახალი გამოზაფხული იყო. ქ...ის ოლქის სასამართლოს შენობა სავსე იყო ხალხით. ეტყობოდა, რომ რაღაც შესანიშნავი საქმე უნდა გარჩეულიყო. იმდენი თავად-აზნაურობა მიაწყდა სასამართლოს დარბაზს, რომ მესამედის დატევაც არ შეეძლო. თავმჯდომარემ განკარგულება მოახდინა და ბოქაული მსურველებს განგებ ამ შემთხვევისათვის დამზადებულ ბილეთებით უშვებდა. ერთს წამს მთელი დარბაზი საზოგადოებით გაიტენა. ყველა მოწიწებით მოელოდა საქმის დაწყებას, დამნაშავის დანახვას. დამნაშავის სკამზედ იჯდა კნიაჟნა ლიზა გვარამიძე და თავ-ჩაკინძული მორცხვად იყურებოდა. უცებ გაისმა ბოქაულის ხმა:

— აბრძანდით! მსაჯულები მოდიან! ყველანი ცქვიტად წამოცვივდნენ ზეზედ და მსაჯულებისკენ გაიყურებოდენ. მსაჯულებმა თავ-თავისი ადგილები დაიკავეს.

— გთხოვთ ჩემი საქმე, რადგან ზნეობას ეხება, საიდუმლოდ გაარჩიეთ! დაუდგა წინ მოსამართლეებს ლიზა და მოახსენა. ლიზას სიღარიბისა გამო ვექილი არ ჰყავდა. თვითონვე იცავდა თავის თავს.

მსაჯულებმა ერთმანეთს გადუჩურჩულეს, ლიზას თხოვნა კანონიერად სცნეს და საზოგადოება კარში გამოიყვანეს...

სასამართლოს დარბაზში მარტო რუსი „ჩინოვნიკის“ ცოლი დარჩა და თვით ლიზა.

— თქვენ, კნიაჟნა ლიზა გვარამიძე, გბრალდებათ სხვა სახელით და გვარით რუსის „ჩინოვნიკის“ ოჯახში ძიძად დადგომა, იქ ორსულობისაგან განთავისუფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება, ახალ დაბადებულ ბავშვის უპატრონოდ ჩქარ დაგდება და იმ „ჩინოვნიკის“ ცოლის ტანისამოსის ქურდულად წამოღება. დამნაშავედ აღიარებთ თქვენს თავს თუ არა? წაუკითხა თავმჯდომარემ ლიზას ბრალდებითი ოქმი.

— ამაში მე არ გახლავართ დამნაშავე! საქმე სულ სხვანაირად გახლდათ! მიუგო ლიზამ.

— მაშ მოჰყევით, რაში იყო საქმე! განუმეორა თავმჯდომარემ.

— მე, მამის ოჯახიდგან გამოგდებული ვიყავი, რადგან ბინა არსად არ მეშოვებოდა. მაგ „ჩინოვნიკის“ ოჯახში მივედი და მოსამსახურედ დავუდექი...

— იქ შვილი არ შეგძენია? გააწყვეტია თავმჯდომარემ.

— დიახ... დიახ... შემეძინა...

— მერე? თქვენ ხომ გაუთხოვარი ხართ ახლაც?

— დიახ... გაუთხოვარი ვარ...

— მერე, რა უყავით ახალ დაბადებულ ბავშვს?..

— იქვე დავტოვე. რადგან მე მისი არც მოვლა და არც პატრონობა არ შემეძლო. დიახ, ბავშვი დავტოვე მხოლოდ, მოპარვით-კი სრულებით არაფერი არ მომიპარავს...

— რა ტანისამოსი გეცვათ აქედგან მისვლის დროს?

— ჩითის კაბა.

— იქიდგან რომ წამოდით?

— შავი კაბა.

— ვისი იყო ის შავი კაბა? შენი თუ შენი ქალბატონის?

— ჩემი ქალბატონის, მაგრამ მე დარწმუნებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიყავი მის კეთილ-გულობაში, რომ მეთხოვა, კიდევაც მაჩუქებდა.

— მერე რად არ სთხოვე, რად წამოხველ ასე ფარულად, ღამით?

— მიტომ რომ იქ დასადგომი პირი აღარ მქონდა. მე თავადის ქალი ვიყავი, გამოჩენილ ოჯახში გაზრდილი და მოსამსახურობით თავის რჩენა როგორ შეშეძლო? ან როდემდის უნდა ვყოფილიყავი ამ სატანჯელში?!

ლიზამ თითქმის ყველაფერი თავის გასამტყუნებელი სთქვა. შემდეგ მოწმებმაც დაამტკიცეს ლიზას ნაამბობი და მსაჯულებმა რამდენიმე წამით საქმის გარჩევა შესწყვიტეს.

საღამოს ჟამი იყო. დარბაზში სანთლები აანთეს. ცოტა ხნის შემდეგ მსაჯულები ხელ-ახლად გამოვიდნენ, ლიზას ყოველი ღირსების ახდა და ერთი წლის სატუსაღო გამოუცხადეს. რადგან ლიზამ თავდები ვერ იშოვნა, ლიზა იმ წამშივე სატუსაღოში გაგზავნეს, საიდგანაც დაბრუნებული ლიზა მის ნაცნობებს ამის შემდეგ აღარ უნახავს, რადგან საბრალო ლიზას სუსტმა აგებულობამ სატუსაღოს დახშული ჰაერი ვერ აიტანა და ვადის შესრულებამდის შალვას შეეწირა მსხვერპლად.

არ გაუვლია ამის შემდეგ ხუთ-ექვს თვეს, რომ შალვა გვარამიძის საქმეც იმავე სასამართლოში გაირჩა და ჯერ ისევ სიცოცხლით სავსე ახალგაზდა თავადი თავის საყვარელ ქვეყანას საუკუნოდ გამოასალმეს და ციმბირისაკენ უკრეს თავი.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა შეემთხვა დანარჩენს ჩვენი მოთხრობის გმირებს, სწორედ უნდა გამოგიტყდეთ, რომ ნამდვილს მათზედ ვერას გეტყვით; მხოლოდ ეს-კი ვიცი, რომ მელიტონა თევზაძეს რომ თ. ქაიხოსროს სოფლის სახლ-კარი და ეზო-გარემო სასამართლოს ბოქაულმა ჩააბარა, ეს ოდესმე დიდებული თავადის სასახლე გულ-მოსაკლავ სურათს წარმოადგენდა: ეზო, ოცი ქცევის სივრცეზედ შეულობავი იყო და შინაურ ცხოველების სამეფოდ გამხდარიყო. სასახლე ცალ გვერდზედ ყავრით დახურული, მეორე გვერდით-კი სრულებით თავ-ღია, წვიმისაგან დამპალი და გაშავებული კედლები ცალ გვერდზედ წამოზნექილიყო და ფეხ-მოტეხილ ბატივით აგერ-აგერ მიწაზედ შოლტივით გაკვრას აპირებდა. ფანჯრებში მინების მაგიერ თეთრი ქაღალდი იყო გამოკრული და თვითეულ ქარის შემობერვაზედ დაირის მსგავსად „ბრიგი, ბრიგინი“ გაჰქონდა. მელიტონა თევზაძემ გაამხიარულა ეს მოწყენილი და სასიკვდილოდ კბილებ-დაღრეჯილი თ. ქაიხოსროს არე-მარე, შემოსა იგი ახალ ტანისამოსით, გამოაწყო იგი სადღესასწაულოდ, მიანიჭა მას თითქმის ყველაფერი ბედნიერება, გარდა გვარამიძის ბატონობისა, გვარამიძის მაგიერობა-კი თვითონ მიისაკუთრა და დღეს თ. ქაიხოსროს სასახლეში მელიტონა თევზაძე-ღა თავადობს და ქაიხოსრობს...

თეოფ. ხუსკივაძე.

ქ. ქუთაისი 1899 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრიტიკული შენიშვნები

დ. კლდიაშვილი.

როგორც ჩვენს აწინდელს პუბლიცისტიკაში, ისე თანამედროვე ქართულს ბელეტრისტიკაშიაც თავი იჩინა სხვა-და-სხვა, მრავალ გვარმა მიმართულებამ. თითოეულ ამ მიმართულებათაგანმა წინ წამოგვიყენა ქართულს ლიტერატურაში თვისი საკუთარი წარმომადგენელი, და არც შემინიშნავს ჯერ-ჯეროობით ის ამბავი, რომ ერთი მიმართულება სასტიკად და ძლიერად სდევნიდეს მეორეს და, რაც ღონე აქვს, სცდილობდეს ლიტერატურაში მეთაურობის დაჭერას და გაბატონებას. პირ-იქით, შემიძლია გადაჭრით ვსთქვა, რომ ესეთი მოვლინება ჯერ-ჯეროობით ჩვენში სრულიად წარმოუდგენელიც არის, რადგან არც ერთს ამ ახლად მოვლინებულს მიმართულებათაგანს ცალკ-ცალკე იმდენი ღონე და შეძლება არ მოეძებნება, რომ საუკუნოდ გაანადგუროს და მოსპოს სხვა დანარჩენი მიმართულებანი და ერთს თვის მიერ არჩეულს საკუთარს გზაზე დაიყენოს ქართველთა გრძნობა-გონება.

ჩვენ, ქართველნი მაინც იდეიურ (იდეების) სფერებში არ ვვარგივართ და შესამჩნევს ბრძოლასაც ვერ გავსწევთ აქ. ქართველი ფილოსოფოსი, როგორც მოგეხსენებათ, ჯერ ისტორიამ არ იცის, რადგან ლოღიკური განვითარება იდეებისა არ განგვიცდია და არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვაინტერესებს ჩვენ. წარსულში ხომ წარმოუდგენელიც იყო ჩვენი ასეთი მუშაობა, რადგან ჩვენ მუდამ მტრებს ვიგერებდით და ჩვენს ადგილ-მამულს, ჩვენს საცხოვრებელს გმირულად ვიცავდით. ჩვენ არ მოგვეძებნება აზრის ის დიადი და გასაცვიფრებელი დისციპლინა, რომელიც საშუალ საუკუნოების სხოლასტიკამ მიანიჭა ევროპელთა ტვინს და, ამიტომაც, ჩვენში რა მიმართულებაც უნდა დაიბადოს, ჩვენ იმას მოვეკიდებით ძალიან უგულოდ, ულონოდ, უგრძნობლად და უჭკუოდაც. იმის დამკვიდრების, გამარჯვების გულისთვის ბრძოლას ვერ გავსწევთ, მრავალ-გვარ სახიფათო გზას ვერ გავივლით და გაჩენისათანავე ჩავკლავთ ხოლმე. ამ დამღუპველს მისწრაფებაში ჩვენ დიდს ვაშკაცობას ვიჩენთ და, წარმოიდგინეთ, ვამაყობთ კიდეც ასეთი საზიზღარი საქციელით. ამიტომაც გადაჭრით ვამბობ, რომ გაბატონებით ვერც ერთი ბელეტრისტული და ლიტერატურული მიმართულება ვერ გაბატონდება-მეთქი ჯერ-ჯეროობით. სხვა მიზეზებიც არის ამისა, მაგრამ ამაზე ლაპარაკი აქ ახლა შორსაც წაგვიყვანს და მოუხერხებელიც არის...

ამ ჟამად ქართულს ლიტერატურაში არსებობენ იდეალისტებიც, რეალისტებიც, ეგრედ წოდებული, ფსიხოლოგიური მიმართულების წარმომადგენელნიც, (ან. დეკანოზიშვილი [1]) და შ. არაგვისპირელი წინანდელს მოთხრობებში), სიმბოლისტებიც (ვაჟა-ფშაველა და იმისი ძმა, „ფითრის“ ავტორი, თ. რაზიკაშვილი), და, ასევ გასინჯეთ, დეკადენტებიც (შ. არაგვისპირელი უკანასკ-

---

[1]) ან. დეკანოზიშვილის ნაწერებს ეტყობა ძლიერი ნიჭის ნიშნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელს მოთხრობებში და ეკლეკტიკი—კრიტიკოსის გუნ-
მართელის ბაირონი, „საყვარელი და სიმპატიური პოე-
ტი“ ი. ევდოშვილი). თითოეულ ამ მიმართულებას ჰყავს
წარმომადგენლებად არა თუ ხანში შესული მწერალნი,
არამედ ჯერ სრულიად ნორჩნი ახალგაზდანი, რომელ-
თაც ტუჩებზე დედის რძეც არ შეშრობიათ კარგად.
რა თქმა უნდა, ეს ახალგაზდანი ერთხელვე არჩეულს
გზაზე სიარულს განაგრძელებენ და ჩვენს ლიტერატუ-
რაში თვისი შრომით და მოღვაწეობით ახალს კვალს
გაავლებენ; მაგრამ ამ ბოლო დროს ჩვენს მწერლობა-
ში შემოპარებულს დეკადენტობას უნდა შეუპოვრად
ვებრძოლოთ... ამ დეკადენტებს თვისი მოსარჩლეც გა-
უჩნდათ. ეს გახლავთ ბ-ნი გომართელი, მათი კრიტი-
კოსი, რომელიც ცრუ გზაზე უპირებს ჩვენი რეალუ-
რი მიმართულების დაყენებას. საჭიროა ბრძოლა, რომ
რამენაირად დეკადენტობა აღიგავოს ჩვენ ნორჩ მშობ-
ლიური ლიტერატურის ნიადაგიდან...

სულ უწინ ასეთი ამბავი ჩვენში არ შეინიშნებო-
და. უწინ თვით ქართველთა ცხოვრებაც იყო მეტად
კარ-ჩაკეტილი, სადა, უფერული, მარტივი და ბელე-
ტრისტიკაც მარტივს, ერთხელვე გაკვალულს გზას ად-
გა. მხოლოდ სხვა-და-სხვა ბილიკები ქართულს ლიტე-
რატურაში ამ თუთხმეტი, ან უკეთ რომ ვსთქვათ, ამ
ათი წლის შემდეგ შევამჩნიეთ. წინად შენიშნავდით,
და ისიც ხილად მხოლოდ და მარტო იდეალისტებს და
რეალისტებს, ან და ერთსა და იმავე ბელეტრისტში
იდეალისტიც იყო მოთავსებული და რეალისტიც (ილ.
ჭავჭავაძე, ალ. ყაზიბეგი და სხ.) და განსაკუთრებულს
შემთხვევებში თუ მოხდებოდა ისე, რომ მწერალი ნამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დვილსა და ჰეშმარიტს რეალისტს წარმოადგენდა (ბ. წერეთელი, მელანია).

ჩვენში სხვა-და-სხვა მიმართულებათა წარმოშობა, უკეთ ვსთქვათ, ესეთი გამრავალ-გვარება ლიტერატურისა შედეგია თვით ცხოვრების გართულებისა და გამრავალგვარებისა. დღეინდელი ჩვენი ცხოვრება ძლიერად დაიძრა, ადუღდა, სრულიად ახალი ელემენტები გაჩნდენ მასში და ეს ელემენტები ებრძვიან ჩუმად, მაგრამ ძლიერად, ფარულად, მაგრამ მედგრად ყოველს ძველს, წრეს გადასულს და ამყაყებულს. ყოველგან, ყოველს წრეში, ყველა კლასებში გაჩნდენ ფაცა-ფუცა, მოუსვენარი ელემენტები, რომელთაც ციებ-ცხელება გასჩენიათ და ეძებენ ცხოვრების ახალს ნავთ-საყუდელს და ასპარეზს... ეს ამბავი, რასაკვირველია, ჩვენი ახლად გამოფხიზლებულის ერის სიცოცხლის და მოძრაობის ნიშანია; საბუთია იმისი, რომ ჩვენი ერი, დღეინდელ სოციალურ პირობების თანახმად, სამოქალაქო მოქმედების ასპარეზზე გამოვიდა, ამოძრავდა და ამ მოძრაობის შეჩერება ამიერიდან ყოვლად შეუძლებელია, როგორც შეუძლებელია მთიდან მოხეთქილ ნიაღვარის შეჩერება... მიუცილებლად, ჩვენი ერის ცოცხალ და მოძრავ ელემენტებს ამოძრავებს, ამოქმედებს მხოლოდ და მარტო თავიანთი და კერძო ვიწრო ინტერესები და ინსტინქტები, რომელნიც გულჩვილ მორალისტებს გულსაც აურევენ, მაგრამ ის ხომ ნამდვილია, რომ რაც უნდა ჩაიდინონ მათ და სადაც უნდა გადიხვეწონ ეს კერძო ინტერესების ყურ-მოჭრილნი მოსამსახურენი, იმათ მაინც და მაინც თან მიაქვთ ჩვენი ერის ზნე-ჩვეულების, კულტურის, ენის, სულის და ხასიათის საუნჯე და ამნაირად ჩვენს ნაციონალურს ცხოვრებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფართოვებენ, უგანიერებენ და უძლიერებენ ალალ-პოტს და ამით მტკიცე საფუძველს უშენებენ ჩვენი ნაციონალური აღორძინების დიადს საქმეს. ეს დროის ნიშანია. და ამ ფაცა-ფუცობასა და მოძრაობაში არაფერი მოულოდნელი და შემთხვევითი არ არის.

ბურჟუაზული საზოგადობრივი ცხოვრება ბუნებრივად მეტად ინტენსიურია, მეტად ბევრს ენერგიას და ძალ-ღონეს ხარჯავს არსებობისთვის ბრძოლაში და, ამიტომაც, ძალიან მალე ცვდება, უძლურდება ხოლმე, იმაზედ უფრო გაცილებით ადრე და მალე, ვიდრე ძველი, დროს გადასული ცხოვრების საზოგადობრივი ფორმები. მრეწველობის, წარმოების ძალთა საშინელმა, კოლოსალურმა ზრდამ და საარაკო პროგრესმა, რომელიც მოხდა ტეხნიკასა და, საზოგადოდ, მეცნიერებაში ამ ერთი საუკუნის განმავლობაში, თანამედროვე კლასთა შორის გახეთქა უფსკრული, რომლის მსგავსი ისტორიაში არ მოუხდენია, არც თავ-ზარ-დამცემ ომებს, არც სისხლით ატბორებულ რევოლიუციებს. გარდა მაგისა, თვით კაპიტალისტურმა ხანამ გვიჩვენა, რომ რთული მრეწველობის განვითარებას მიჰყავს კაცობრიობა განახლებული ცხოვრებისკენ, რომ საზოგადობრივი შრომა სამერმისოდ სამართლიანად განაწილებისკენ მიდის და ისტორიაც უმზადებს ნიადაგს უფრო უმაღლესი ცხოვრების საზოგადობრივს ფორმებს... ჯერ კაცობრიობას თავისუფლად ისიც-კი ვერ ჩაუბარებია მტკიცედ და სამუდამოდ ხელში, რაც შეუძენია, რაც ძალ-ღონე და შეძლება მოუპოვებია და ადამიანის ფხიზელი აზრი ახლავე ახალ-ახალ და ბრწყინვალე იდეალებს ეტანება, რაღაც ახალი, სრულიად ახალ-ახალი იზიდავს, აღელვებს მას და ამ დაუშრეტელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყურვილს თან და თან უფართოვდება კალაპოტი, უგანიერდება მსვლელობა და, ბოლოს, მოქალაქობრივს სახეს და მნიშვნელობასაც ღებულობს. სოციალური ცხოვრების უფსკრულებიდან ამოხეთქა ისეთმა აზრის მუშაობამ, რომელსაც თქვენ გვერდს უგრძნობლად ვერ აუვლით, თუ გულ-მკერდი სამოქმედოდ გიცემსთ.

მაგრამ რიგზედ ჩარაზმული თან-და-თანი და ძალიან მარტივი თვის საფუძვლებით სოციალურ მოვლენათა ლოლიკა იმ წამსვე ერთბაშად როდი ჰპოულობს ხოლმე ადგილს ადამიანთა გონებაში. სოციალური მოვლინებანი შორიდან მოსჩანან და შორიდანვე განირჩევიან. მაგრამ ყოველ აღნიშნულს მომენტში ადამიანს წარმოუდგება ერთს უდიდეს, რთულ პრობლემად, რომლის ახსნას და ნათლად გარკვევას თხოულობს გამწარებული ბრძოლა არსებობისათვის. ისეთს გარდამავალს ხანებში, როგორც მაგალითად, ეს ჩვენი დროა, როდესაც ყოველი ძველი აზრი, შეხედულობა და ჩვეულებრივი ცხოვრების პირობანი ჰქრებიან, ცხოვრების ხელსამძღვანელო აზრთა და საგანთა გარკვევა დღეს კაცს უჯდება ძალიან ძვირად, მეტის მეტად გამწარებულს სულიერს ბრძოლას და დიდს შრომას თხოულობს. მეტად გართულებული დღეინდელი ცხოვრება და ახალ-ახალი იდეალები მომავალისა დიდ ტვირთად აწვებიან კაცის გრძნობა-გონებას და აგდებენ საშინელს განსაცდელში და გამოურკვეველს ყოფაში. ცხოვრების სილრმეში დაფარული ჭეშმარიტება კაცის სურვილისამებრ როდი იჩენს ხოლმე თავს. სანამ იგი თან და თან გაირკვევოდეს და ჩამოყალიბდებოდეს გარკვეულს, ყველასათვის გასაგებს ფორმებში, კაცი, დაღლილი და წელში გაწყვეტილი ამდენი ტანჯვითა და შრომით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრებას გაურბის და ეტანება ისეთს არე-მარეს, რომელიც, მისი აზრით, ამ წუთი სოფლის ბნელეთის და ბოროტების სრული წინააღმდეგია. მისტიციზმი, მეტაფიზიკური მიმართულება გონებისა, ათასნაირი უტოპიური აზრები, სრული დეკადენტობა—ჩვეულებრივი თანამგზავრები არიან ხოლმე ასეთი ხანებისა. ისტორიამ იცოდა ასეთი დრო წინად და იცის ახლაც, რასაკვირველია...

ერთი ნიშნობლივი, დამახასიათებელი თვისება ჩვენი დროისა, როგორც გარდამავალი ხანისა, არის მეტად ავადმყოფი ელფერი და ხასიათი კრიზისისა, რომელიც დასდებია ჩვენს ფაცა-ფუცა და ამღელვარებულ ცხოვრების შვილებს. ღღეინდელ კლასთა შორის ატეხილმა ბრძოლამ და ამ ბრძოლისგან გამოწვეულმა გამოცოცხლებამ და მასთანავე გაურკვევლობამაც წარმოშობა ნერვებ-აშლილი თაობა, თაობა სუსტი ნებითა და ხასიათით, მაგრამ მეტად მდიდარი ფანტაზიოროობითა (არ ვამბობ ფანტაზიითა) და უნიადაგო ოცნებებით, რომელსაც ცხოვრებაში გამოსვლისათანავე დაეტყო გრძნობა-გონების სისუსტე, სიჩლუნგე და სრული გამოთაყვანება. ამ თაობას არ გააჩნია ნამდვილი, ცხოველი საქმიანობის სიყვარული, რადგან არ უვარჯიშებია გრძნობა-გონება მეცნიერებაში, ბუნების-მეტყველების, სპეციალურ სატეხნიკო სამრეწველო მომზადებით, არ უწვრთნია გონება ლაბორატორიებში და კაცობრიობის ძლიერების განმახორციელებელ მანქანების მოძრაობაში, რომელნიც იძლევიან ჭეშმარიტს განვითარებას, ხასიათის და ენერგიის წვრთნას და ზრდას, აჩვევენ ადამიანს სულ-დათქმულს, დაბრძენებულს სჯას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადობრივს და სახელმწიფო დისციპლინას და ზრდიან ნამდვილ მოქალაქედ...

ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ვისაც უნდა ემსახუროს საქართველოს ერს, მას უნდა ბუნებრივ ნიჭთან ერთად ჰქონდეს დიდი, ძალიან დიდი მომზადება, მან უნდა შეიგნოს ერის და ჩვენი ქვეყნის ნამდვილი, დღეინდელი, ცოცხალი საჭიროებანი და ცოდნით აღჭურვილს, ნამდვილის ფაქტებით და სასტატისტიკო ცნობებით შეიარაღებულს, შეუძლია ნამდვილი საზოგადო მოღვაწეობის დროშა დაიჭიროს ხელში და ერს ემსახუროს. თორემ შესანიშნავი სტატიის: „რა ეკონომიურს მდგომარეობაში ვართ?“ (იხ. შარშანდელი «ივერია») ავტორის, ცნობილის ეკონომისტის ბ-ნ ვ. წ—ის თანახმად, ჩვენ ახლა ისეთს მდგომარეობაში ვართ, რომ ცალიერი სიტყვების რახა-რუხით ვერავინ ველარ მოგვატყუილებს, რაც უნდა თვალთ-მაქცურად იფართი-ფურთონ...

ერთი დიდი მიზეზი ასეთი მოვლინებისა, როგორც ვსთქვით, თვით ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაშიაც მარხია, რომელსაც მორალური ტან-მრთელობა ძალიან აკლია, ხასიათით დაძაბუნებულია და დაავადმყოფებული... ჩვენი ინტელიგენციის თითო-ოროლა ცოცხალ, მომქმედ და ჭეშმარიტის ცოდნით შეიარაღებულთ ჩვენ არ ვეხებით აქ. ისინი ეს არის, ახლა იწყებენ მოღვაწეობას და იმათი, როგორც მათივე მიმდევრების საქმე, სამგრძისოა, ჯერ წინ არის და, მაშასადამე, მომავალს ეკუთვნის. ჩვენი დახასიათება პირ-წმინდად შეეხება სულ სხვა ჯგუფს „ვითომ და მოღვაწეებისას“, რომელნიც აღნიშვნენ ამ ჩვენი დროის, დღეინდელ დღის გარდამავალ ხანას. ესენი ძალიან მოგვაგონე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენ უტოპისტებს და ევროპიელ დეკადენტებს... ის თაობა, რომლის თვალშიაც „ბუნებამ უკვე მოსჭამა თვისი დრო“ (გიუსმანი), პოეზია და სიყვარული უბრალო ქარაფშუტობაა, რომელიც წარმოუშობავს უვიცობასო (ვერლენი),—ასეთი თაობა, უნდა გამოვტყდეთ, ჩვენ მიგვაჩნია დაღუპულ თაობად. ჩვენ, რასაკვირველია, ამ სიტყვებით იმას კი არ ვამტკიცებთ, რომ მთელი, ეგრედ წოდებული, დეკადენტური ლიტერატურა, რომლის წარმომადგენელნი გაკვრით ვახსენეთ ამ წამს, დაავადმყოფებული წარმოდგენის და ფანტაზიის ბოდვად მიგვაჩნდეს. არა. თუ ჩვენ გულწრფელად ჩავუკვირდებით ამ ლიტერატურის შინაარსს, აქაც უეჭველია პროტესტის, შეხლა-შებრძოლების ხმა ისმის გამწარებით, რომელიც ძველ ცხოვრებას და აზრს გამოუცხადა განახლებულმა ამ დროის სულმა და მოთხოვნილებამ და რომელიც ნერვებ-აშლილ, ხასიათით მოსუსტებულ არსებათა გარდა, იწვევს და იზიდავს სამოქმედოდ ტანმრთელ, სულით და ხასიათით მტკიცე ადამიანებსაც... მაგრამ გზები და ბილიკები, ფორმები და იარაღები, რომელთაც ხმაროობს აზრი, აქაც და იქაც, მეტად გარკვეულია, რადგან თვით საგნის სირთულემ დაჰბადა სწორედ ასეთი მოვლინება...

ამიტომაც, სულ წინა-პირველად ლიტერატურაშიაც, ნამეტურ ქართულს ლიტერატურაში, სადაც ყოველისფერი ლამის არის ზღაპრად იქცეს, ჩვენ ვეძიებთ მხოლოდ და მარტო რეალობას, ცხოვრების სინამდვილით, შეგნებით და დიდი ხელოვნებით გამოხატვას, და ასეთი სალიტერატურო ნაწარმოები ამ უკანასკნელს დროს ჩვენში ხომ სანთლით საძებარია და ძნელი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსანახავიც არის ბელეტრისტიკის ამდენ მიმართულებათა დომხალ-დუმხალში.

ამ უკანასკნელ ორი-სამი წლის განმავლობაში ჟურნალ „მოამბემ“ გაგვაცნო სრულიად ახალი მწერალი, რომელიც მარტო და მხოლოდ მის მიერ არის შობილი, სალიტერატურო ასპარეზზე გამოყვანილი და, ჭეშმარიტად, კარგი, საიმედო მწერალიც არის. მე მოგახსენებთ დ. კლდიაშვილზედ. იგი წარმოადგენს დღეს ჩვენს ლიტერატურაში ახალს შესანიშნავს მოვლენას, როგორც თვისი ნიჭის ცხოველ-მყოფელობით, ისე თვისი ორიგინალობით, მოთხრობათა შინაარსის სიახლითა და საინტერესო, მეტად სასიამო საკითხავი ამბების დახატვითა. ის სურათები, რომელსაც ჰხატავს ავტორი, ცხოვრებიდან დიდის ცოდნითა და შეხამებით აქვს მას დახატული. ამასთანავე ამ სურათებში იგი ჰხატავს ყოველთვის ახალს, ჩვენთვის საამოდ გასაგონ ამბებს და გვიშლის თვალის წინ მთელს ქვეყანას თვისი თავ-გადასავალით, ავით და კარგით...

ორი მოთხრობა დასახელებული ბელეტრისტისა: „სოლომონ მორბელაძე“ და „სამანიშვილის დედინაცვალი“ წარმოადგენენ ჩინებულს და ნიჭიერად დაწერილს სალიტერატურო ნაწარმოებს. დ. კლდიაშვილს ჩვენ ვალდებული ვართ თავაზიანად მივეგებოთ, რადგან მას პირველადვე, მწერლობაში გამოსვლისათანავე ეტყობა უტყუარი ნიშანი ნიჭიერებისა, დიდი დაკვირვებისა და მხურვალე სიყვარული იმ საქმისაც, რომლისათვისაც მას ხელი მოუკიდია. თუ ჩემი წარმოდგენა და აზრი ნამდვილად მიხატავს ავტორს ისეთს, რომ იგი მთელი თვისი სულითა და გულით მოწადინებულია ემსახუროს ლიტერატურას, თავის აღრჩეულს დიდს საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეს, ეს, უეჭველად, დაეტყობა მის ნაშრომს, მის ფონებრივს ნამოქმედარსაც. ამ შემთხვევაშიაც ჩვენ გვმართებს დიდი სიბრთხილე, თავაზიანობა, თანაგრძნობა და გულწრფელი სიყვარული, რომ ახლად მოვლენილს მწერალს თავის შესაფერი ადგილი მივუჩინოთ ქართულს ლიტერატურაში.

ჩვენ ვჰკითხულობთ და ვუკვირდებით დ. კლდიაშვილის ნაწერებს ჟურნალ „მოამბეში“ და მკითხველების სასიხარულოდ უნდა ვსთქვათ, რომ ავტორს ეტყობა ცოცხალი ნიჭი და სიყვარული თვისი საქმისა. ამ ტალანტის განსაკუთრებული ნიშნებია—შორს გამსჭვრეტი ღრმა დაკვირვება, რეალიზმი, ჩაფიქრებულობა და რალაცნაირი ნაზი იუმორი და პოეტური ნაღველი, რომლითაც გამსჭვალულია ყოველი სურათი, ავტორის მიერ ხელოვნურად ჩამოსხმული. რომელიც გინდათ აიღოთ მოთხრობის სურათი, სადაც მომქმედ პირთა ცხოვრება, ხასიათი და საქციელი იხატება, თქვენ ხედავთ საგანს პირ და პირ, დიდის მოხდენით და მხატვრობით თვალ წინ გარდაშლილს. ეს გარემოება აშვენებს და აძლევს ერთიანობას დ. კლდიაშვილის მთელს ნაწარმოებს და ამ ნაწარმოების გმირებს ჰფენს რალაცნაირ მიმზიდველ ელფერს, თითქოს ამ მოქმედ პირთ, ამ გმირებს თქვენ ახლო ხედავთ, გაგონდებათ იმათი სახე და საქციელი და ძალიან გსურთ კარგად ჩაუფიქრდეთ, მოიგონოთ ეს გმირები, რომ მთელის ხატებით წარმოიდგინოთ გონებაში წინად ნახული და გაგონილი. დიალ, ესეთი ძვირფასი შთაბეჭდილება აქვს ამ ნიჭის განსაკუთრებულს ერთს თვისებას-მეთქი, სახელდობრ, ჩუმს, წყნარს, ჩაწყვდიადებულს ნაღველს—იუმორს ავტორისას, რომელიც სიახალგაზდავის ნიშანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ანიჭებს ახალგაზდა ავტორის ნაწერებს მეტად ლბილ-
სა და წმინდა, კეკლუცს ლირიზმს. ამიტომაც არის,
რომ იმისი ნაწერების წაკითხვის შემდეგ თქვენ კმაყო-
ფილი რჩებით, კარგ გუნებაზე დგებით და გემატებათ
ცხოველი ინტერესი, წყურვილი კვლავ წაიკითხოთ ავ-
ტორის ნიჭის ნამოქმედარი. ეს ხომ უტყუარი ნიშანია
მხოლოდ და მარტო ჭეშმარიტი ტალანტისა. აი, ეს
გულწრფელ და სერიოზულ გუნებაზე მყოფობა ახალ-
გაზდა ბელეტრისტისა, არა ჰლლის მკითხველს, თავს არ
აბეზრებს. პირ-იქით, აყვარებს ავტორს და ავიწყებინებს
კაცს იმის შემოქმედებითი ნიჭის იმ მცირე ნაკლს, რო-
მელიც აქა-იქ შეხვდება გზა და გზა.

იმერეთის წვრილ-ფეხა, თავით ფეხამდე გატყავე-
ბული ერთი ნაწილი აზნაური-შვილებისა, იმათი ყო-
ველ დღიური ცხოვრება, წვრილმანი ინტერესები, რო-
მელნიც ბოლოს უდებენ იმათაც და მთელი ქვეყნის
კეთილ-დღეობას,—აი, ნამდვილი ნაწრეტი და ნაშობი
ჩვენი პატარა, მაგრამ ერთს დროს ფეოდალიზმით ძლი-
ერ ჩვენი ქვეყნის არე-მარისა. ეს წვრილ-ფეხა აზნაური-
შვილობა ბატონ-ყმობის გადავარდნამდისაც თავ-და-ყი-
რა ეკიდა და, ყმების გათავისუფლების შემდეგ, სულ
ერთიანად ყირამალა დააყენა თან და თან ჩვენში განვი-
თარებულმა ახალმა ცხოვრებამ, რომელსაც ნელ-ნელა
მოჰყვა აღზრდა და განვითარება აღებ-მიცემობისა და
მრეწველობისა. ფრიად საინტერესო, დიდი კომიზმით
აღსავსე და თან სატირალი ამბები ხდება ყოველ დღეს
ამ ჩვენი ცხოვრების გამოცალიერებულს ერთს კუნჭულ-
ში. ცხოვრებამ კუჭისა და ჯიბის გამოცალიერებასთან
ერთად გამოუცალიერა უმრავლესობას ამათთაგანს გო-
ნება, ნიჭი, სინდისი და წაართვა ხალისი თვისი გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯა-მოღვაწეობით ცხოვრებისა. ამათ მამა-პაპათ, თავიანთი დროის შესაფერი ჭკუა მაინც ჰქონდათ, სინდისი და ზრდილობა, ამათ-კი ყოველისფერზე ხელი აუღიათ და მაინც გაიძახიან, იოლად უნდა ვიცხოვროთო! ნეტა, რითი, რა საშუალებით?.. იმათი სიტყვა—სიტყვა არ არის, მათი საქმე საქმეს არა ჰგავს, შინ და გარედ იმათგან ყველანი თავ-მობეზრებულნი არიან დღეს და მიდიან... მიდიან იქით, სადაც უშველებელი უფსკრული მოელით და მეტი არაფერი.

ამ ვაი-უშველებელსა და ალიაქოთში სასიამოვნო და სასარგებლო ამბის მეტი არა ხდება-რა ქვეყნისთვის, საზოგადოდ და ფილოსოფიურად რომ შევხედოთ. მაგრამ თვით ბუნება და ხასიათი ამ ალიაქოთის და ხრწნილების პროცესისა მეტად საინტერესოა და იმის დასახასიათებლად ხშირად ნამდვილი ნიჭი სატირიკოსისა და მხატვარისა ფრთას გაშლის ხოლმე და დაგვანახვებს თვისი ძლიერების უნარს.

ქალაქმა შეარყია დღეინდელი სოფელი, სააღებ-მიმცემო, სავაჭრო ასპარეზზე გაიტაცა ჩვენი გლეხი და ერთი ნაწილი აზნაურებისაც; ახლა მათ შორის ბევრია ფულიანი კაცი, რომელიც გაცილებით უფრო კარგად და სუფთად ცხოვრობს, ვიდრე იმისი ნაბატონარი. აუტანელი შეიქნა ამ შერცხვენილი ნაბატონარის ცხოვრება, ქალიშვილს იგი ველარ ათხოვებს, ვაჟიშვილს ველარ აქორწილებს, თუმცა დიდ-გულობა და ამაყობა არა თუ არ მოჰკლებია, იმაზე უფრო მეტიც აქვს, ვისაც კეთილშობილებასთან ერთად ქონებაც დიდი შეუძენია. რა ჰქნას, რა დარჩენია ამ უბედურს, ამ „ნაცარ-ქექიას“, თუ არ გაძვრა-გამოძვრა სადმე და რამენაირად, თუ ვისმეს არ წაჰგლიჯა და ვინმე არ მოა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყუილა, თუ ვისმე არ უმაჭანკლია და ლუკმა პუტალ-
შოვნაში ისე ძალლ-უმადურად არ დალია თვისი საჯა-
ყი სიცოცხლე. ბრძოლა არსებობისთვის, რომელიც
უფრო ძლიერ გამწვავდა და გართულდა თანამედრო-
ვე ცხოვრების ამ შეცვლილ ეკონომიურს პირობებში,
ამუშავებს მათ შორის დღეს ჩვენში სრულიად ახალ-
ახალ ტიპებს, რომელთა ცხოვრება და სულიერი ბრძო-
ლა თხოულობს დიდს დაკვირვებას, ნიჭს და შესწავ-
ლას. ბელეტრისტიკის დანიშნულებაა ფეხ და ფეხ მი-
ჰყვეს ამ ევოლიუციას და წინ დაგვიხატოს აზვირთე-
ბული ცხოვრების მოვლენანი და ამბები, რომელნიც
დაუწყნარებლივ მუდამ ცვალებადობაში არიან. აქ ტრია-
ლებს მთელი ცხოვრების ჩარხი, აქ არის აგრეთვე მთე-
ლი ძარღვი აბობოქრებულ ცხოვრებისა და აქ უნდა
განარჩიოს ნიჭიერმა და მადლიანმა მწერალმა ისინიც,
ვინც ცხოვრებას თავში მოექცა, და ვინც შეიქნა ნა-
ძირალი და დამარცხებული...

დ. კლდიაშვილი, რასაკვირველია, პირველი არ
არის ჩვენს ლიტერატურაში, რომელიც შეეხო ამ თა-
ვისებური წოდების ცხოვრების დახატვას. ილია ჭავჭა-
ვაძიდან დაწყებული დღევანდლამდე, დ. კლდიაშვი-
ლამდე, არც ერთს ქართველს ბელეტრისტს, გ. წერეთ-
ლის გარდა, არა აქვს ფართედ და შეგნებით წინ წა-
მოყენებული და გათვალისწინებული ის ძლიერი და
რთული ბრძოლა, რომელიც გამოიწვია ცხოვრების
თანამედროვე ევოლიუციამ. იმ მწერლების მიერ და-
ხატულ გმირებს აკლია სიცოცხლე, სისრულე, სული
და ხორცი, უფრო აჩრდილებსა და კარიკატურებსა
ჰგვანან, ვიდრე ნამდვილ დასრულებულ, ხელოვნურად
დახატულ, მხატვრულ ტიპებს. იმ ჩვენს ძველს ავტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს რომ ჰკითხულობთ, თქვენში იბადება და ჩნდება რაღაც სიბრალულის, შეცოდების გრძნობა, ან უსაგნო, ბრიყვული დაცინება და ზიზღი ამ თავად-აზნაურებისა, რომელთა ცხოვრებიდან ავტორებმა ასე ბევრი რამ იცოდენ, ასე ბევრი გაეგონათ და ენახათ, კარგად განვითარებულნიც იყვენ, მაგრამ მაინც ვერ მოგვცეს ნამდვილი სურათები ჩვენი ყოველ-დღიური ცხოვრებისა, ვერ მოგვცეს ნამდვილი ტიპები, ვერ შეჰქმნეს ცოცხალი ხასიათები, იმდენად საინტერესო და განსხვავებულნი, რომ არ დასჭირვებოდათ ფერ-უმარილი, ჭრელა-ჭრულები და ფერად საღებავთა მეტი შესქელება. სანტიმენტალიზმი, გაზვიადება საქმისა იმ მწერლების ნაწარმოებში ყოველთვის აფუჭებს საქმეს და, ბოლოს, მხატვრობის ასე აბუჩად აგდება სახელს უფუჭებს იმათ საუკეთესო ნაწარმოებსაც-კი...

დ. კლდიაშვილი ჰხატავს ცხოვრების სინამდვილეს, იგი განშორებულია სანტიმენტალიზმსა და გაზვიადებას და ავტორი ჭეშმარიტი მწერალის ტაქტით და საქციელით ფერ-უმარილებს, ზღაპრულ ამბებს და წამატებულ ფარჩის ბაღდადებს შორს, ძალიან შორს გაურბის. ამასთანავე სრული ობიექტივობა, ნაზი იუმორი ავტორისა მისს მოთხრობების შინაარსს ღრმა და ძლიერს ინტერესს აძლევს, და ის პოეტური, ცოცხალი სული, რომელიც მოჰბერს ხოლმე ყოველგან კლდიაშვილის მიერ დახატულ სურათებს, ჰხდიან ამ სურათებს მხატვრულად დასრულებულ ნაწარმოებად.

ჩვენ გარემოება ნებას არ გვაძლევს დაწვრილებით შევეხოთ „სოლომონ მორბელაძეს“ და „სამანიშვილის დედინაცვალს“, როგორც ტიპებს, რომელთაც აქვთ დიდი საზოგადობრივი და სალიტერატურო მნიშვნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობა. სხვა დროს, როდესაც ავტორის ტალანტი საკვ-
სებით გაიშლება, როდესაც იგი გაბედულად და ღრმად
განკვეთს თანამედროვე ჩვენი ცხოვრების ახალს პი-
როობაში გაჩენილს ფაცა-ფუცა პირების საქციელს და
მოქმედებას, ჩვენ ვუძღვნით დ. კლდიაშვილის ნაწე-
რებს ვრცელს განხილვას. მანამდის მივაქცევთ ახალ-
გაზდა ბელეტრისტის ყურადღებას ერთს უბრალო სა-
ლიტერატურო გარემოებაზე. ავტორი უფრო უმთავ-
რეს გმირებს ჰხატავს შესანიშნავი რეალიზმით და კო-
მიზმით, მეორე ხარისხის მომქმედი პირები დაჩრდილუ-
ლია, სუსტად არიან დახასიათებული, სიცოცხლეს მო-
კლებული, და ერთიანობას, რომელიც ხელოვნურ და-
მუშავებას მოსდევს, თითქოს რაღაც აკლიაო. ავტორ-
მა ძალა არ უნდა დაატანოს თავის ნიჭს და თავისუფლად
მიჰყვეს ხოლმე მის მდინარეობას, მაშინ იგი თავის-
თავად დახატავს შესანიშნავს სურათს და ხასიათს, რო-
მელიც ძლიერიც იქნება და მართალიც...

შესანიშნავია „მოამბეში“ დაბეჭდილი დრამატიუ-
ლი პიესა: „ირინეს ბედნიერება“, სურათი სოფლის
ცხოვრებიდან, 2 მოქმედებად. პირველ მოქმედებაში
დიდი ხელოვნებით არის დახატული აბეს ლო ალამ-
თაძე, რომელსაც სულით და გულით მოუწადინებია ცო-
ლად შეირთოს ფილიპე ბარბაქაძის ლამაზი ასული ირი-
ნე. ირინეს-კი ახალგაზდა პავლე როდამიშვილთან აქვს
სიტყვა მიცემული. ერთს დღეობაზე ბარბაქაძისას საიდ-
განლაც გაჩნდება აბესალო თავისი აფსონებით და შე-
ზარხოშებულ რაინდისაგან ირინე თავს ვერ დაახწევს
ვერას გზით. აბესალო თითქმის გაგიჟდა იმ დღეს ირი-
ნეს „ეშხით“. და ფილიპე ბარბაქაძეს ხელად განუცხა-
დებს, რომ „იმედი მაქვს სიძედ არ დამიწუნებ და შე-

ნი ქალიშვილის მთხოველი ვარო... მწარე გულით ვარ მოწადინებული შვილად მიმიღო, ანა და ჩემი თავი უნდა მოვიკლაო!..“ ფილიპე ძალიან გახარებულია, რომ ირინეს თავი სთხოვა ცოლად ამისთანა შესანიშნავმა ვაჭაცმა, დიდი ოჯახისა და გვარიშვილმა აბესალომ სალამთაძემ, და თავის ქალიშვილს ირინეს უცხადებს ამ სასიხარულო ამბავს. ირინე უარს უპასუხებს: „არ მიყვარსო“. მაგრამ მამას სასაცილოდაც არ ყოფნის ეს გარემოება და ამ სიტყვებით შეუბღვერს ირინეს: „ჩუ, აბა, ჩუ!.. ხმა არ ამოიღო!.. დიახ, მანამდი ნუ გათხოვდები, სანამ ვინმე არ შეიყვარო ქალიშვილობაში და კისერზე არ მოეხვიო ისე მაგრად, რომ ვერსად გაგექცეს!.. დიახ! შენმა სიცოცხლემ! არ მიყვარსო?!.. არ გიყვარს, მერე შეგიყვარდება—მანამდი რომელი თავმოყვარე ქალიშვილი დეიწყებს შენსავით ასე მოურიდებლად სიყვარულზე ტარტალს... ამას მოველოდი მე შენგან?!.. ამის იმედი მქონდა მე შენი?! მარა სულელი და უჭკუო მე ვარ, ამდენი ლაპარაკის ნებას რომ გაძლევ!.. შენი უჭკუობისთვის ამნაირ ბედნიერებას რავა დაგაკარგვინებ?! მერე მადლობასაც-კი მეტყვი!“ ფილიპემ ირინე მიათხოვა აბესალომს, პავლე როდამიშვილს-კი გადაუწყდა სიხარული და დარჩა ხელ-ცალიერი.

მეორე მოქმედებაში დახატულია ცოლ-ქმრის, აბესალოსა და ირინეს ერთი მეორესთან დამოკიდებულება. აბესალომმა გაუძაღლა სიცოცხლე არა თუ ირინეს, თავის მოხუცებულ მშობლებსაც—ეკასა და სამსონ სალამთაძეებს. თავის ატეხილს და დაყინებულს სურვილების შესრულების შემდეგ, ირინე აბესალომისათვის შეიქნა მეტი ბარგი და შეიძულა ცოლი. ამასთანავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხში ხმებია გავრცელებული, რომ ვითომც ირინე ღალატობდეს ქმარს და აბესალომსაც ეჭვი აქვს როდამიშვილზე. აღარავისთვის დამალული არ არის ამათი ამბავი. ერთს შვენიერს, ირინესათვის-კი უბედურს დღეს სიმამრი და როდამიშვილი მოულოდნელად „Deus ex machina"-სავით ესტუმრებიან სამსონ სალამთაძის ოჯახს და, აი, სწორედ აბესალომიც მაშინ გამართავს ერთს უშველებელს ალიაქოთს. ამ ალიაქოთში ცოლ-ქმარნი ერთმანეთს შეხვდებიან და გაიმართება უმართებულო სიტყვებით ერთი მეორის შემკობა. გულმოსული აბესალო იშიშვლებს ხმალს და მოჰკლავს თავის ცოლს ირინეს.

აბესალომ სალამთაძის მსგავსს ხალხს იცნობს ჩვენი ლიტერატურა. ეს ივრემია წარბას („პირველი ნაბიჯი"—გ. წერეთლისა) და იმისი აჩრდილის ტარიელ მკლავაძის („ჩვენი ქვეყნის რაინდი"—ნინოშვილისა) ახლო მონათესავეა. მაგრამ აბესალომს ნიჭიერმა ავტორმა მაინც შთაბერა ახალი სული და ცხოვრების განსხვავებულ გარემოებაში დაგვიხატა იმისი ხასიათი და საქციელი.

აბესალომი ერთი განებივრებული, გრძნობა-აშლილი, შექეიფიანებული ვაჟკაცია, რომელსაც მასპინძლის, ფილიპე ბარბაქაძის კარ-მიდამო, ეზო-გარემო და სტუმრები არაფრად მიაჩნია და პიესის პირველი მოქმედების დასასრულამდე მისდევ-მოსდევს ბარბაქაძის ასულს—ირინეს და მოსვენებას არ აძლევს. აბესალომ სალამთაძეს გზა-გზა შეხვდება გონიერი და ზრდილობიანი ყმაწვილი კაცი—ბიქტორ, რომელიც ემუდარება დაწყნარებას, მაგრამ თავ-ხედი მაინც არ იშლის თვის საზიზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლარს საქციელს და მეორე ოთახში გაუვარდება საწყალობელს ირინეს. იქ ირინეს საქმრო, როდამიშვილი შეხვდება მას გულ-მწყრალი და შეწუხებული, რომლის მიმართ აბესალომი ურცხვად და დაურიდებლად ასტეხს ერთს უშველებელს ხარხარს.

„ხა, ხა, ხა!.. ხა, ხა, ხა! ძალიანია, შენ ნუ მომიკვდები, ძალიანია! ვილაცა ჩანჩურა როდამიშვილის გულისთვის ყოველივე სიამოვნება უნდა მოვიკლოთ! აბა კაცი მხოლოდ ის ყოფილა—ჩვენ არაფერი!“ აბესალომი დაიჭერს ირინეს, რომელიც, რაც ძალი და ღონე აქვს, იწევს, უარსაც ეუბნება, მეტი ლეკური ალარ შემიძლია, რადგან დავიღალეო.

„აბა, თუ დაიღალეთ, აგერ დაბრძანდით და დაისვენეთ. აბა, ყმაწვილებო, სულიკო, ისე ტკბილად, ნაზად, რომ ყველას გვიამოს! დასხედით! დასხედით! ჩვენსკენაა ლხინი წამოსული“...

ამას როდამიშვილის გულ-გასახეთქადაც სჩადის, აბესალომს სამასხროდ ჰყავს იგი აგდებული. ყოველს ფეხის გადადგმაზე სცდილობს იგი, რომ როდამიშვილი დაამცիროს და მოჰკლას ქვეყნის თვალში.

აბესალომი ტიპია შეზარხოშებული აზნაურიშვილისა, რომელსაც შეძლებაც, გვარიშვილობაც ხელს უწყობს და ქვეყანაც, რასაკვირველია, „ფეხებზე ჰკიდია“. საკვირველია ამ ჯურის ახალგაზდათა აღზრდის, სიტყვა-პასუხის, მიხვრა-მოხვრის, საქციელისა და მთლად მათი ყოფაქცევის ისტორია, თავ-გადასავალი. ამათ ჩვენი ქვეყანა ერთს უშველებელ ბალნარად მიაჩნიათ და ადამიანები, რა თქმა უნდა, თვისი ჯურის ადამიანები, საქეიფოდ გაჩენილნი და მოვლინებულნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმათ გონებას ვერ წარმოუდგენია ჩვენი ქვეყნის უბედურ-
რი, მწარე მდგომარეობა, ვერ ხედვენ ყოველს საქმეში
ჩვენს დაქვეითებას. პირ-იქით, ქართველობა მიაჩნიათ
ერთს უუშესანიშნავეს, უუძლიერეს და უმდიდრეს ხალ-
ხად მთელ დედა-მიწის ზურგზე და მთელ ქართველებს
შორის თავიანთ თავს სთვლიან, რასაკვირველია, პირ-
ველ კაცებად. ყოფილა იმის მაგალითებიც, რომ ჩვენი,
მართლაც, პირველი, მოწინავე კაცები ამ ვაჟბატონებს
გაულანძღავთ და გაულახავთ ბანკების კრებაზე და
სხვა საჯარო ადგილებზე. აგერ მეოცე საუკუნეში გა-
დავდივართ, თითქოს განახლებული ცხოვრების ჟამმაც
ჩვენშიაც დარეკა, და ამ თავზე ხელ აღებულთა რიცხვი
ქალაქებსა, დაბებსა, სოფლებში და რკინის გზების
სადგურებზე არა თუ კლებულობს, მგონია, მატულობს
კიდეც და მათი საქციელით ქვეყანას თავიც ეჭრება და
დიდი, საგრძნობელი ზარალიც ეძლევა.

ფილიპე ბარბაქაძე, განუცხადა თუ არა მას აბესა-
ლომმა თვისი სურვილი, მაშინვე ირინეს წაართმევს
მისს საყვარელს—როდამიშვილს და აბესალომს მიათხო-
ვებს. ფილიპე ბარბაქაძე ძველი დროის ნაშთია, მაგრამ
ესეც ნამდვილი ტიპია... ბარბაქაძე დახავსებული გრძნო-
ბა-გონების პატრონია. იმ თავითვე ისეა აღზრდილა იგი,
რომ ერთი ნათელი აზრი არ მიჰკარებია მის გონებას,
მუდამ ისეთ ხალხში და წრეში უტრიალებია, რომ ძა-
ლა-უნებურად ცხოვრების ცუდს, გამათახსირებელს მხა-
რეებს აწყდებოდა. იგი ხედავდა მუდამ, რომ მა-
მა ყოველთვის შვილის ბატონი იყო, გავლენიანი და
შეძლებული გვარიშვილი უფრო მცირე გვარის და შეძ-
ლების მბრძანებელი, უფროსი უნცროსს სჩაგრავდა ყო-
ველთვის და ყოველგან და, რასაკვირველია, ცხოვრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ასეთს ფილოსოფიას არ დაუკარგავს იმისთვის ფასი
რი და მნიშვნელობა. ამიტომაც სრულიად გასაგებია
იმისი ბრძანებლობის კილოთი ნათქვამი პასუხი, რო-
მელსაც აძლევს იგი ირინეს და რომელიც ზევით ამო-
ვსწერეთ. ფილიპე მუდამ იმას ხედავს, რომ ყოველი
ადამიანი პირად ინტერესებს ემსახურება, ყველა ერ-
თი მეორის დაჩაგვრას, გაბათილებას და განადგურებას
ცდილობს და, ვინც ღონიერი და გავლენიანია, სწო-
რედ იგია ბედნიერიც ამ ქვეყნად. ამიტომაც აბესალომ
სალამთაძე, როგორც გავლენიანი გვარიშვილი, შეძლე-
ბული და ღონიერი, ფილიპეს მიაჩნია ბედნიერი ამ წუ-
თი-სოფლად და ფიქრობს, რომ იმისი ქალიშვილიც,
რაკი აბესალომის ცოლი შეიქნება, სრული ბედნიერი
იქნებაო.

„შენი უჭკუობისათვის ამნაირ ბედნიერებას რავა
დაგაკარგვინებ?!.. მერე მადლობასაც-კი მეტყვი!“—
ეუბნება ეს უბედური თავის ქალიშვილს.

დიდი ქონება და კაი გვარიშვილობა იდეალი იყო
ჩვენში და არის ახლაც. ადამიანის გრძნობანი, გულის
სიყვარული იმთავითვე შეგინებული იყო და ფილიპეს
ჯურის კაცებს სრულებითაც არ ესმით მათი დიადი
მნიშვნელობა და ძალა. მაგრამ თანამედროვე ჩვენი ცხოვ-
რება, ახალ თაობის საჭიროებანი და ინტერესები ებრძ-
ვიან ამათ თვით-ნებობას და დესპოტობას, წრეს გადა-
სულს სიმწარეს და ვაგლახ ცხოვრებას და ასეთს ყო-
ფას ვერ აიტანს, ბოლოს და ბოლოს, მოზარდი, ცოც-
ხალი არსება, და ფილიპე ბარბაქაძეები ცხოვრების მი-
მდინარეობისგან, მიუცილებლად, წალეკილნიც იქნე-
ბიან. ხოლო საჭიროა მეტი ბრძოლა, მეტი ინიცია-
ტივა“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრებაში ხომ ბევრია აბესალომისა და ფილიპესთანა ვაჟბატონები, მაგრამ არიან ისეთნიც, რომელნიც გაცილებით მაღლა დგანან ამ გმირებთან შედარებით. ასეთი გახლავთ კლდიაშვილის პიესაში ბიქტორიც, მეტად პატიოსანი და გონიერი ყმაწვილი კაცი. იგი ძალიან შეწუხებულია, რომ აბესალომი ასე ურცხვად იქცევა სხვის ოჯახში და ირინეს, როგორც პიროვნებას, ძალად ართმევს მისს პიროვნულს უფლებას. აბესალომს წინ წამოყენებული აქვს თვისი საკუთარი სიამოვნება, საკუთარი მე, და ამას გარდა იმას არაფერი არა სწამს-რა ქვეყანაზე. ბიქტორი კარგად იხედება ირინესა და იმისი საქმროს—როდამიშვილის გულში, ატყობს, თუ რა ცეცხლი და საშინელი ქარტეხილი ამტყდარა ამ ორს არსებათა გულში და ცდილობს როგორმე ირინეს მამის გარდაწყვეტილება ჩაშალოს:

„აბესალომს სრულიად არა აქვს თავი, ოჯახს მოეკიდოს,—ეუბნება ბიქტორი ფილიპეს,—არა თუ მოეკიდოს, მეტსაც გეტყვით, იგუოს ოჯახი. დღეს თუ ირინეს გთხოვსთ და იმისთვის ირევა, ეგ იმიტომ-კი არა, მართლა მისი სიყვარული ჰქონდეს გულში, მართლა ცოლად ირჩევდეს მას... არა, მერწმუნეთ ამაში, ბატონო ფილიპე, არასოდეს, მაგ კაცი გატაცებულია ასე უცაბედათ აღძრული სურვილით და არაფერს ერიდება, რამე გზით კოხტა ქალი დაისაკუთროს, და მერმისზე ის სრულიადაც არ ფიქრობს... მაგას გალვიძებული გრძნობის ჩაქრობა სწადია და მერე რა იქნება, ამისი დარდი არაფრად აწუხებს, იმიტომ რომ ცოლსა და ოჯახს თავის თავს არ შეაწუხებინებს. აბესალომისთანა ხასიათის ყმაწვილები საოჯახოდ არ გაუჩენია ღმერთს და როცა შემცდარან და შემთხვევით მოჰკიდებიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახს, იქ სიკეთე ჯერეთ არავის უნახავს! საუბედურ-
როდ, ამის მაგალითები საკმაოა ჩვენში!.. თუ ვინმე
გაძლებს მაგათთან, ისევ მაგ ხასიათის მაგვარი ქალი,
ოორემ მეოჯახე, მშვიდობიანი, ღვთისნიერი ქმნილე-
ბა მაგათ სიახლოვეს უკიდურესად გაწვალებულია და
წამებული. დამიჯერე, ფილიპე, რომ შენს ირინესაც
ამ გვარ მომავალს გაუმზადებ, თუ უარი არ მიუგე აბე-
სალოს!“

ასე გრძლად იმტომ ამოვწერე ბიქტორის სიტყვე-
ბი, რომ მასში ნათლად იხატება ამ ყმაწვილი კაცის
გონებრივი და ზნეობრივი არსება. ეს არის კაცი, რო-
მელიც სხვის, მოყვასის უფლებას, თავისუფლებას და
სიყვარულს ესარჩლება და სდევნის მხეცურს საქციელს
და უზრდელს, საკუთარი სიამოვნებისათვის თავხედურად
მებრძოლს ადამიანს...

ბიქტორი სრულიად ახალი ტიპია ჩვენს მხატვრულს
ლიტერატურაში. აქამდის ვინც-კი შეხვებია ჩვენ თა-
ვად-აზნაურთა ცხოვრებას, ყველანი უარ-ყოფით და
რაღაც ერთხელვე აჩემებულის ტენდენციით ეკიდებო-
დენ ხოლმე თავის საგანს. [1]) დ. კლდიაშვილმა ღრმად

---

[1]) ბატონმა ივ. გომართელმა ნამდვილი ახალი დროის
ბელეტრისტი მხოლოდ და მარტო განსვენებულს ნინოშვილ-
ში დაინახა და თვის სოცრად გაჭიანურებულსა და ფრიად სა-
საცილო „კრიტიკაში“ („კვალი“. ხეტა, როდის უნდა დასრულ-
დეს! მეოცე საუკუნეში თუ?) უწოდა მას განსაშტერებელი და
მეგვირალა სახელი: ხალხის (?!) გულის მესაიდუმლე.“ (!!!)
ნეტავი იმას, ვისაც ბ-ნი გომართელი შეაქებს: მაშინ იგი
შექსპირიც არის და ბაირონიც. აკი ზოგიერთები შექსპირსაც
ასე უწოდებენ: ხალხის გულის მესაიდუმლეო... ნინოშვილის
ამბავმა მოგონა განსვენებული იოსებ დავითაშვილის ამბავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შეგნებით ჩაიხედა ცხოვრებაში და თავად-აზნაურთ შორის დღეს დაინახა მეტად სიმპატიური და ნათელი არსება, რომელსაც ყოველს სიტყვა-პასუხში და საქმეში ეტყობა გონიერი მოქმედება.

აზრი ოჯახზე, როგორც საკუთრებაზე, ძალიან

ჩვენს ლიტერატურაში. საწყალობელი დავითაშვილიც ხომ გასჯიმეს საფლავში და უწოდეს: „მოტიქული ძმობისა და თანასწორობისა“. სწორედ ისე საწყალობელი ნინოშვილიც ჩიხათის სასაფლაოზე არ მოასვენეს და, ვინ იცის, რამდენმა უსუსურმა აიდგა მაშინ ენა და აჩქარებინდა. და, აი, ახლაც, როდესაც მას აქედ რამდენიმე წელიწადი გავიდა, მოსვენებას არ აძლევენ საფლავში და უნდათ გასჯიმონ, გასჯიმონ ისე, რომ ამას იქით წასვლა არას გზით არ შეიძლებოდეს, უფლიდეს ბელეტრისტად გამოიყვანონ და... „ხალხის გულის მესაიდუმლად“ მოინათლონ!.. აბა, დახედეთ ერთი, სადამდის მიდიან! ქათამი რომ წყალს დალევს, დმერთს შეხედავსო, ნათქვამია და ჩვენც, სიმართლეს რომ არ ვუმტყუნოთ, უნდა აქვე ვსთქვათ: ნინოშვილს არა თუ რაღაც მეგობარმა და მისტიკური სახელწოდება: „ხალხის (?!) გულის მესაიდუმლე“ (!!!) დაერქმის, არამედ ნამდვილს და ჭეშმარიტს ბელეტრისტსაც ვერ ვუწოდებთ. ნამდვილი ბელეტრისტობა რომ «ყარამანიანზე» აღზრდილებს შესძლებოდა, თქვენს პირს შაქარი, მაშინ ჩვენს ბედს ძალიც არ დაჭეშეფდა. ჩვენ აქ მხოლოდ ერთს შევნიშნავთ. ნინოშვილის ნაწერებში, მართალია, იხატება ალაგ-ალაგ ცხოვრების ამბავთა პირდაპირ, მშრალად გადმოღება, მაგრამ იქ, სადაც საჭიროა საკუთარი შემოქმედებითი, მხატვრული ძალა და ცხოვრების მოვლინებათა გათვალისწინება და შეგნება, იგი სრულიად ულონოა და ძალიან უსუსურიც... გარდა ამისა, იგი ყოველს თვის თვალსაჩინო ნაწერში ტენდენციის ბრმა მოსამსახურე და ეურ-მოჯრილი მოხაა ყოველგან...

ავტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერი და დიდ მნიშვნელოვანი აზრია ადამიანში. ბიჭ-ტორს, ამიტომაც, წარმოდგენილი აქვს, რომ აბესალომისთანა კაცებს ხშირად, ძალიან ხშირად ესეთი დიდ-მნიშვნელოვანი მოვლენანი სიცოცხლეს უწამლავენ და სხვებსაც ასალმებენ წუთი-სოფლის სიამოვნებას. იგი ამიტომ ცდილობს, მოსალოდნელი ტრაგედია თავიდან ააცილოს ირინეს... ბიჭტორმა კარგად იცის, რომ ირინე აბესალომის ხელში სულით და ხორცით დატანჯული იქნება და გულით უნდა, იხსნას როგორმე ეს სუსტი არსება უბედურებისგან. მაგრამ ფილიპე ბარბაქაძის ყრუ უვიცობის და თვით-ნებობის კედელი ვერ შეანგრია მაინც ამ საბუთიანი სიტყვა-პასუხის ადამიანმა, და გამოჩერჩეტებულმა მამამ თვისი ასული ხელში ჩაუგდო აბესალომ სალამთაძეს „გასაბედნიერებლად“...

უმთავრესი გმირი პატარა პიესისა ვერ არის სავსებით დახატული. აგრეთვე როდამიშვილიც ძალიან მკრთალად არის დახატული. ირინეს ტიპის დაუსრულებლობა ხელს უშლის დრამატიზმის თან-და-თანობას და პიესას აკლდება სიცოცხლე. ირინე თუმცა, რა თქმა უნდა, განირჩევა თანამედროვე ქართულ პიესების გმირი ქალებიდან მით, რომ იგი პირ და პირ ცხოვრებიდან არის აღებული, ცოცხალი პირია, მამის თვით-ნებობის ქვეშ აღზრდილი, მაგრამ პატიოსანი, მშრომელი და წყნარი არსებაა და მისი ფსიხოლოგია ავტორს ნამდვილად აქვს დახატული. მაგრამ, როგორც ვსთქვით, ეს მხატვრობა მეტად სუსტია და მკრთალიც...

უნდა შევნიშნოთ, რომ დ. კლდიაშვილი ჯერ-ჯერობით, საზოგადოდ, გვაცნობს თავს, ვითარცა ბელეტრისტი, რომელიც გვიხატავს ცხოვრების რეალობას, მის სინამდვილეს, მოვლინებათა ურთიერთობას და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორს გაურბის გამოგონებულ ზღაპრებს, ფანტაზიებსა-ბას და ტენდენციებს, რომელიც მხოლოდ შესანიშნავი მხატვრის ხელში სინამდვილეს არ ამასინჯებს... აქ კლდიაშვილი თითქმის აჭარბებს კიდეც ცოტად. აჭარბებს-მეთქი, იმიტომ მოგახსენებთ, რომ ნამდვილ ხელოვნურ მხატვრობისათვის არა კმარა ცხოვრების მარტო სინამდვილის მშრალად, პირ-წმინდად აღნიშვნა და გადაღება. საჭიროა ვრცელი მხატვრობა, შეგნებით დასურათება მოვლინებათა ურთიერთობისა, პოეტური მოგონებაც, ასე ვსთქვათ, წამატება, სწორედ იმიტომ, რომ ეს სინამდვილე დიდი სიცხოველით, გარკვევით და შუქის მიფენით დაგვიხატონ თვალ წინ... მაგრამ აქ დიდ ნიჭთან ერთად დიდი სიფრთხილე, დიდი პოეტური წინასწარ-გრძნობაა საჭირო ავტორის მიერ, რომელიც მხოლოდ ხანგრძლივისა და ნიჭიერი მუშაობით ლიტერატურაში თან და თან შეიძენს ამ სიფრთხილის და პოეტური მგრძნობელობის მნიშვნელობასაც და საჭიროებასაც. გავჰყვეთ, ბარემ, პიესის ნაკლულოვანებათა ჩვენებას...

მეორე მოქმედება პიესისა მეტად სუსტი და უფერულია. ირინესა და აბესალომს შორის ურთიერთი დამოკიდებულება ვერ არის გარკვეული და დახატული, მაგიერად ავტორი ირინეს მხოლოდ მეოჯახედ ჰხატავს და ეს თითქოს რაიმეს მატებდეს დრამატიზმის ვითარების საქმეს. წარმოიდგინეთ, . რომ ზოგიერთი ისეთიც გამოჩნდეს, რომ მიზეზი ოჯახის გაუბედურებისა აბესალომს-კი არა, ირინეს მოახვიოს. მართალია, თანაგრძნობა ავტორისა ირინესაკენ არის მიქცეული, როგორც ვითომ-და სუსტი არსებისაკენ, მაგრამ ეს გარემოება მარტო არა კმარა დრამატიზმის ვითარებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიესაში. მეტად მძიმე და დიდი დრამატიული ფიქრი პიესის ბოლოს დ. კლდიაშვილს დაუსრულებელი და სუსტი გამოუვიდა. აბესალომი თითქოს განგებ უხდიდეს სამაგიეროს ირინეს, შურს იძიებდეს და იმიტომ ჰკლავდეს...

პიესის დიდ ნაკლულოვანებად მიმაჩნია სწორედ ისიც, რაც სხვას, მრავალგვარ ახალ მოდის პიესებზე აღზრდილ კრიტიკოსებს დიდად მოეწონებათ: ქმრის მიერ ხანჯლით მოკვლა ირინესი. საზოგადოდ მიღებულია დღეს, სწეროან პიესები და დადგან სცენებზე იმნაირები, სადაც ან გმირი მამა-კაცი, ან გმირი დედა-კაცი იწამლავს თავს, ან ხანჯალს ჩასცემენ, ან ტყვიით ჰკლავენ. ეს მოვლენა დღეს აუცილებელ პირობად მიაჩნიათ, რომ პიესის „დიდი დრამატიზმი“ წარმოგვიდგინონ. მაგრამ ეს ხომ უმთავრესად მოგონილი ზღაპარია და არა ნამდვილი დრამატიზმი ნამდვილი ცხოვრებისა. ნამდვილ ცხოვრებაში რაც უნდა უდიდესი და ურთულესი ზნეობრივი, სულიერი ტანჯვა-ვაება და მწუხარება ნახოთ, მათ შორის ათასში ერთხელ მოხდება ხოლმე თავის მოკვლა, ან სხვის მოკვლა და საუკუნოდ დაღუპვა. ყოველთვის და ყოველგან თავის მოკვლა ხანჯლით, თუ ტყვიით ძლიერ იშვიათი შემთხვევაა და არა ჩვეულებრივი, მუდმივი მოვლინებაა. და თუ ისეთი პიესები, სადაც დახატულია ჩვეულებრივი ადამიანები, ჩვეულებრივი, მუდმივი ცხოვრება, უტყუარად ხატავენ ცხოვრების მოვლინებათა სინამდვილეს და აზრადაც სწორედ ეს გარემოება აქვთ, მაშ, ვიკითხოთ ერთი, რისთვის აზვიადებენ ახალ მოდის დრამატურლები საქმეს, რისთვის ხდება ამდენი თავის მოკვლა და სხვების მუცლის გამოფაშვა? პასუხი აქ მხოლოდ ერთად ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა იყოს: ეს საჭიროა ავტორებისათვის მხოლოდ იმიტომ, რომ სცენაზე ერთი უშველებელი კატასტროფა მოახდინონ და საწყალობელ მაყურებლებს შიშის ზარი დასცენ თავზე. ამას ჰქვია ეფექტი და „უშველებელი შთაბეჭდილების“ მოხდენა. აი, ამ ფუქსავატი ეფექტებისათვის წვალობენ და იტანჯებიან ერთ გვარი დრამატურღები და საწყალობელნი მსახიობნიც. ადვილად შესაძლებელია, სცენისათვის ასეთი ეფექტები საჭიროც იყოს, რადგან გარდა ამგვარი კატასტროფების და ეფექტებისა ახალ მოდის დრამატურღების ფანტაზიას მეტი რა უნდა შეეძლოს?! მაგრამ ისეთი მწერალნი, რომელთაც ატყვიათ ჭკუისა და ტალანტის მადლი, არ უნდა ჰბაძავდენ უნიჭო დრამატურღებს, არ უნდა მისდევდენ უნიადაგო კატასტროფებსა და ეფექტებს; არამედ უნდა ხატავდენ ხელოვნურად იმას, რაც უნახავთ და შეუნიშნავთ ნამდვილ ცხოვრებაში და, რაც ხდება ჩვენ თვალის წინ მუდამ და ყოველგან. მე შემიძლია მსოფლიო ლიტერატურაში დავასახელო ბევრი შესანიშნავი პიესა, სადაც გამოყვანილია ცოლ-ქმარის დიდად აუტანელი გაჭირვებული ცხოვრება, უდიდესი ტანჯვა, ერთი მეორესთან შეკავშირებისა გამო, მაგრამ იგინი სცნობენ თავის უძლურებას ამ უღელის წინაშე, ამ უბედური გარემოების თავიდან მოცილებას ვერ ახერხებენ, ან ახერხებენ საქმის გამოგვარებას როგორმე, თავს არ იკლავენ და არიან თავის მდგომარეობასა და ცხოვრებაში. და ესეთი ორიგინალური გამოხსნა პიესის კვანძისა უფრო უდიდეს ტრაგიკულ ზედმოქმედებას მოახდენს ხოლმე, ვიდრე რევოლვერების სროლა და ხანჯლებით ადამიანების გამოფაშვა. მე მგონია, ბ. დ. კლდიაშვილს, რომელმაც დაგვიხატა ასე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხლად და უბრალოდ ირინეს ცხოვრების ერთი ეპიზოდი, შეეძლო გაეთავებინა პიესა უკატასტროფოდ. ცოლისათვისაც და ქმრისათვისაც კმაროდა მხოლოდ ერთად ერთი ზნეობრივი ტანჯვა, უბედურობა და ის საწამლავი, რომელმაც ირინე „გააბედნიერა“ ცხოვრებაში. აბესალომის ჯურის ხალხთაც არა სჩვევიათ ქალების გამოფაშვა და „მამაცური“ საქციელი. ისინი, ჩვენის აზრით, ველური ხალხია და ველური ხალხი, გერბერტ სპენსერისა არ იყვეს, მეტად მხდალი და მშიშარა ხალხია...

ამ პიესაზე უფრო შესანიშნავი ნაწარმოები ახალგაზდა ბელეტრისტისა დაიბეჭდა შარშანდელს «მოამბეში», სახელდობრ, „მრეველში“, რომელიც წმინდა განხორციელებული მხატვრობაა თავიდან ბოლომდე. ჩვეულებრივი ამბავია აღებული, მაგრამ რა სიამოვნებითა და გატაცებით იკითხება იგი, რა დიდ შთაბეჭდილებას იწვევს, რადგან დაწერილია დიდი დაკვირვებითა და მხატვრობით!

მოკლედ შინაარსი მოთხრობისა ესეთია: ახალგაზდა ნასწავლი მღვდელი ზოსიმე, რომელსაც, ვინ იცის, სემენარიის გალურჯებულ ოთხ კედელ შუა, რა სანუგეშო იმედები არ უღვივოდა გულში, თუ მოესწრებოდა იმ ნეტარ დროს, როდესაც მღვდლად სოფელში დატრიალდებოდა და ბეჩავი გლეხ-კაცების ცხოვრებაში შეიტანდა გაბედნიერების ბრწყინვალე სხივებს, ძალიან აღელვებული და შეწუხებულია თავის უნუგეშო მდგომარეობით. იმის მრეველში გაღარიბებულ გლეხკაცობას იმის შეძლებაც არა აქვს, ახალგაზდა მღვდელს ბინა მოუძებნოს მრეველში და, თუმცა გლეხნი განათლებული მოძღვრის წინააღმდეგნი არ არიან, მაგრამ მაინც დრტვინავენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეგ განათლებულიც ჩვენ გვიხდება შესანახავად. და მაგასაც ჩვენზე აქვს «თვალები გამოპრაწულიო». ამ სიტყვების მუდამ გამგონე ახალგაზდა მღვდლის გულში დატრიალდა ჯოჯოხეთი და ეკკლესიის გალავანში სდგას გარეტიანებულივით, და არც-კი ესმოდა მას, თუ რას ემუდარებოდა ერთი გლეხის ბიჭი. ამ გლეხს ორი მძიმე ავადმყოფი უწვა სახლში, და მოძღვარს სთხოვდა, იმათ საზიარებლად წაჰყოლოდა. პეტრია სტოროჟმა მოართვა ჯორი მღვდელს და ორივენი გაჰყვნენ გლეხს. გზაში შავს ფიქრებს მიცემული ზოსიმე მათკენ მომავალ მღვდელს შეხვდება, რომელშიაც ხედავს თავის მომავალ ხატებას. მღვდელი ზოსიმე ანუგეშებს მძიმე ავადმყოფებს, აზიარებს და გამობრუნდება შინ, სადაც პატარა ბავშების ცოცხალი სურათია დახატული. ამ დროებაში იმ გლეხის ოჯახში მოხუცებულ დედაკაცს ანუსიას ის ორი შვილი, ქალ-ვაჟი დაეხოცება და ზოსიმე მღვდელიც ამ გაუბედურებულის ოჯახის უშველებელს ჭირსა და ტირილში იღებს მხურვალე მონაწილეობას, რომლისათვისაც დღეს მრევლი დიდად მადლიერია მისი.

უკეთესი ადგილი, ნამდვილი ტიპიური მხარე მისი, მხატვრული და დიდი კომიზმით ჩამოსხმული არის ის ადგილი, სადაც ორი მოძღვარი შეხვდებიან ერთმანეთს.

— მამა ზოსიმე, მამა ზოსიმე!—შემოსძახა შემხდურმა— მამაო, გეტყობა გულნაწყენი უნდა იყვე!.. სძღიე, სძღიე, მამაო, ჯერ ახალგაზდა კაცი ხარ... მომავალისათვის შეინახე თავი! სძღიე სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა, ამინ!—და ბირჯვარი გადიწერე! ფუი ეშმაკსა-თქვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გათავდა! მხიარულად და სულ-დაუოქმელად მოაყოლა ამ ხანში შესულმა ჭაღარა-მორეულმა მდგომელმა, რომელმაც ჯორი შეაჩერა, ქუდი უკან გადიწია და ცოტათი გამოაჩინა თავისი მელოტი შუბლ-ზევითი.

— სად მიბრძანდები, მამაო მიხეილ?—შეეკითხა ჩვეულებრივის მისალმების შემდეგ მამა ზოსიმე.

— ქუთაისში, აგერ ეს ვაჟბატონი მიმეავს, ებებ გვარი დაამშვენოს თავის ჭკუითა და სწავლა-განათლებულობით!—და ამ სიტყვებთან მან თავი მიიბრუნა უკან ბატარა, ათი-თერთმეტის წლის ბავშვისკენ, რომელიც უკან შემოჯენილი ჩუმად ჯორზე, ძალზედ მიჭერილა მამა მიხეილს წელზე შემოხვეული ხელებით, რადგან საჯდომი ადგილი უნაგირს იქით ჯორის გაგაზე მეტად ბატარა დარჩენოდა, ისე მიჭეერილა, რომ მამის ანათორაში კაჭვეეოდა თავი და სახე სრულიად არ უჩნდა.

— სასულიერო სასწავლებელში, მამაო?

— დიახ, დიახ!.. ჩვენ ქე გვწუნობთ, თქვე დალოცვილებო,—სიცილითა სთქვა მამა მიხეილმა—დასაწუნიცა ვართ!.. ამ თრეკვაში, ამ ხალხთან ეაკანში სულ გამომელაეა თავი!.. რაც რამ იეო შიგ, სულ ერთიანად გამოიეიტა, გათრინდა სადაც!.. რავარც ჭაერი გათრინდება, სწორედ რომ ისე! თუ არა ჩვენს დროზე ვითომც არც ჩვენ გვიჭირდა!.. მეც ვიცოდი რადაც რადაცები... მახსოვს გიშვანის ზღვას გვასწავლიდენ, თეთრ ზღვას, ბეჩორის ლავრას... მარა დღეს სადაა ეს გიშვანიის ზღვა, ან ეს თეთრი ზღვაო, ან ბეჩორის ლავრა—ვეღარათვერი გავიგე!.. თავი მომწონდა წინად და ახლა ამ თითის სიგძე ბავშმა მაჯობა... სადაა, ბიჭო, თეთრი ზღვა? არც შენ იცი, შემარცხვინე კაცი!? გიშვანია?!. ხა, ხა, ხა!—გადიხარხარა ხუმარა და ენა-წელიანმა ხუცესმა.—შემდეგ მიხეილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდვდელი პეტრიას გამოელაპარაკება. — კაი სუქანი კანჭიანთი („კანჭიანთი“ კრებული უნდა იყოს) გულს გაამხიარულებს, ხომ იცით! მაგა ზოსიმესაც სხვანაირ გუნებაზე მოიყვანდა! ეგებ ახლა კიდეც მიგელოდეს კაი ბურუხუნა კანჭიანთი, ა?.. ხა, ხა, ხა! კანჭიანთზედ მიხვალთ?! — სიცილით შეეკითხა ხალისიანი ხუტესი.

— საზიარებელი მეკვს აგერ! მიუგო ზოსიმემ.

— საზიარებელი?! ოჰ, აბა უკაცრავად, უკაცრავად! არ მეგონა, თორემ ამდენხანს არ გაგაჩერებდით ამ შარაში! უკაცრავად... მშვიდობით ბრძანდებოდეთ, მშვიდობით ბრძანდებოდეთ! თავი დაუკრა ზოსიმეს, შემოჭკრა დეზი თავის თაგვის მსგავსს ჯორს და მოსაუბრენი გაბშორდენ ერთმანეთს“...

ავტორმა ამ პატარა მოთხრობაში ორი საუცხოვო სურათი დაგვიხატა თვალ-წინ. ერთი სურათი თავდება იქ, სადაც სახლში დაბრუნებულ ზოსიმეს ჩაეძინება. მოთხრობაც აქ უნდა თავდებოდეს, როგორც სამართლიანად შენიშნა შარშან ბ. აკაკიმ „კრებულში“. მაგრამ ჩვენს მწერლებს მხატვრული ზომიერება ყოველთვის ჰღალატობს და დ. კლდიაშვილმაც ერთის მაგიერ, ორი სურათი დაგვიხატა და პირველზე უფრო დიდსა და შესანიშნავს შთაბეჭდილებას და ზედ-მოქმედებას სწორედ ეს უკანასკნელი სურათი მოახდენს ყოველთვის მკითხველზე. ამოვსწერდით ამ ადგილსაც, მაგრამ დროც აღარა გვაქვს და მოგვიტევეთ... აფსუსი-კი არის, რომ ასეთი ცხოვრების ნამდვილი, ცოცხლად აღებული სამხატვრო სურათი ასე ერთი გაკვრით იყოს ასხმული ისეთსავე ფონზე, ვით მიწყნარებულ ბუნების არე-მარეზე სუბუქი ნიავი. მაგრამ, არ ვიცი, მგონია, მეტის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი გადაჭარბებით და ვრცლად დახატვა ასეთი სურათისა დაამლაშებდა კიდეც სურათის მოქარგულობას და ისევ სჯობია, რომ მოთხრობის საზოგადო ტანისა და ხასიათის თანაბრად ეგ სურათიც ისე იყოს ჩამოსხმული, როგორც ავტორმა დაგვიხატა იგი. ეს უკანასკნელი ნაწერიც ისე, როგორც წინანდელი ნაწერები საყვარელი მწერლისა პირ და პირ ააშკარავებს იმ გარემოებას, რომ ავტორს საუცხოვო ნიჭი აქვს მხატვრულად წერისა და მას აყენებს იმ წერტილზე, სადაც ვერ მისწვდებიან ბევრი ამ უკანასკნელს ჟამს სოკოსავით ჩვენში გამრავლებულნი „ბელეტრისტები“...

ამ უკანასკნელს თვის მოთხრობაში დ. კლდიაშვილმა დაგვიხატა მრევლში ახლად გამწესებული სემენარიელი „ნასწავლი“ მღვდლის გაჭირვებული მდგომარეობა, რომელიც გამოუწვევია გლეხ-კაცობასთან მისს ურთიერთობას და დამოკიდებულებას. ტემა ფრიად საინტერესო და დიდ-მნიშვნელოვანია და ერთი მხარე ამ მდგომარეობისა შესანიშნავის ნიჭიერებით აქვს დახატული ავტორს თავის სურათში. უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენს ლიტერატურაში ეს საგანი არც კია აღძრული. დ. კლდიაშვილის პატარა ნაწარმოებში მოკლედ არის დახატული ხასიათი მღვდლისა, ამიტომაც, ვერ არის მთელის სამხატვრო სავსებით დამუშავებული. დ. კლდიაშვილი შეეხო ისეთს რთულსა და საინტერესო საგანს, რომელიც მხატვარმა რომ სავსებით შეამუშავოს, მთელი ეპოპეია გამოვიდოდა. რასაკვირველია, დ. კლდიაშვილის პატარა ამბავს ჩვენ ვერ მოვთხოვთ ვერაფერს ამისთანას, ასეთს ეპოპეიას ჩვენი ლიტერატურა მოელის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავალში, ამ ჟამად-კი სრულიად უადგილოა მასზე ფიქრი... მაგრამ არ შეგვიძლია-კი, რომ არ შევნიშნოთ ერთი გარემოება. ავტორს თვისი მოთხრობის გმირი რაღაც განცალკევებით, შემთხვევით აქვს გამოყვანილი; რაღაც განკერძოებულად ხატავს მღვდლის ყოფას მრევლში და ოდნავაც არ გვიხსნის იმ შინა და გარე რთულ მიზეზებს, რომელნიც ირგვლივ შემოხლართვია მთელს ჩვენს აწინდელს ცხოვრებას...

მართალია, ჩვენი ლიტერატურა აქა-იქ შეხებია მღვდლის ცხოვრებას და მოქმედებას მრევლში, მაგრამ ყოველთვის სუსტად და მკრთალადაც. „გლახის ნაამბობში“ თ. ილია ჭავჭავაძე სწორედ ისე, როგორც განსვენებული მოჩხუბარიძე თვის „მოძღვარში“, რაღაც განყენებულად და იდეალურად ხატვენ მოძღვარს. მხოლოდ ერთად ერთი ბ. მელანია შეეხო თვის შესანიშნავს „ბნელოში“ და კრებული დახატა გასაშტერებელის სინამდვილითა და კომიზმით... მაგრამ „ბნელოს“ ავტორის საგანი არც ყოფილა „კრებულის“ სავსებით დახატვა. იგი მხოლოდ გზაში წაატყდა იმათ, სწორედ იმ ადგილას, როცა ილიას (ბნელოს) მამას ასაფლავებენ, და უკეთესი გამოხატვა ამ სურათისა არ შეგვხვედრია არსად ჯერ ლიტერატურაში. მაგრამ მელანია შეეხო აღმოსავლეთის საქართველოს კრებულს, რომელიც ცოტათი განსხვავებულს მდგომარეობაში არის, ვიდრე დასავლეთის საქართველოს სამღვდელოება...

მთელი ტრაგიზმი დ. კლდიაშვილის მღვდლის მდგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ხანი არ დასჭირვებია, რომ მოღალულ-მოქანცულ ტვინს ძილი მიჰპაროდა და სასურველ, სასიამო დავიწყებაში შეეყვანა ახალგაზდა მღვდელი“...

ამ პაწია თვის მოთხრობაში დ. კლდიაშვილმა აღძრა ორი დიდ-მნიშვნელოვანი საგანი, ორივე სასარგებლო და აუცილებლად უსაჭიროესი, როგორც ჩვენი სამღვდელოებისთვის, ისე მთლად ჩვენი ერისთვის. პირველი შეეხება ჩვენი ქვეყნის სამღვდელოების ნივთიერად მეტად უნუგეშო მდგომარეობას, მეორე სამღვდელო პირთა მოზარდი თაობის სწავლა-განათლების და განვითარების დიდს საჭიროებას და სარგებლობას.

როგორც მოგეხსენებათ, ბატონ-ყმობის დროს მღვდელი შინა-ყმად იყო და ყმებთან ერთად ეწეოდა ყოველს საბატონო სამსახურს, ბეგარას და გადასახადს. მხოლოდ შაბათ-კვირეზე იმას ჰქონდა ბატონისგან მინიჭებული უფლება წირვა-ლოცვისათვის, და ზოგიერთ კეთილ და გონიერ ბატონის სასახლეში კვირაობით ბატონის სუფრის თავშიაც მოექცევოდა ხოლმე მღვდელი. მაგრამ ეს მხოლოდ ზოგიერთი კეთილი ბატონის სასახლეში იყო ასე, საზოგადოდ-კი, იმისი მდგომარეობა, ვამბობ, არაფრით არ განსხვავდებოდა შინა-ყმის მდგომარეობიდან. სწავლა-განათლებითაც სხვა ბევრი არაფერი მოეთხოვებოდა-რა მაშინ მღვდელს, გარდა საღმრთო წერილის „წყალივით“ წაკითხვისა.

ბატონ-ყმობა რომ გადავარდა, რუსეთის განმათავისუფლებელმა იმპერატორმა ალექსანდრე II სამღვდელოებაზედაც მოიღო დიდი წყალობა და იგი განათავისუფლა ამ დამამცირებელი მონობისა ან და საკუთრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისედაც, თავისთავადაც მიანიჭა საკმაო ძალა, მნიშვნელობა და პრივილეგიაც, როგორც თვით სამღვდელოებას, ისე მისს შთამამავლობას... ამიერიდან მღვდელიც, როგორც სხვა მოხელეც სახელმწიფოისა, შეიქმნა სახელმწიფოს მოსამსახურე და, როგორც მხოლოდ ამისთანას, წილი დაუდვეს ჯამაგირებისა და პენსიების მიღებაში. მაგრამ აქ მოხდა ერთი საკვირველი ამბავი. სამღვდელოებას, ამ სახელმწიფოს ერთგულს მოსამსახურეს, როგორც ჯამაგირების, ისე პენსიების მიღებაში, თუმცა წილი დაუდვეს, მაგრამ ეს წილი სწორედ რომ წვლილი იყო და სახსენებელიც არ იყო, და მთლად გალატაკებული სამღვდელოება კისერზე დააწვინეს გლეხკაცობას, წელში გაწყვეტილს ხალხს. რასაკვირველია, ვინც მღვდლად ქალაქებსა და მდიდარ დაბებში იყო, იმ მღვდლების მდგომარეობა უნუგეშოს არას წარმოადგენდა, და სწორედ ისეთივე განსხვავება უნდა ყოფილიყო ქალაქისა და სოფლის მღვდლის შორის, როგორი განსხვავებაც სუფევს მდიდარ მოქალაქესა, ბურჟუასა და გლეხს შორის. მაგრამ უფროს ერთი დიდესი ნაწილიც სამღვდელოებისა, რომელსაც წილად ხვდა სოფელში სამსახური, მუდამ წელში გაწყვეტილი და უნუგეშო მდგომარეობაში იყო. ძველი მღვდლები კიდევ, რომელთაც მცირე მოთხოვნილებაც ჰქონდათ და მუშაობასაც შეჩვეულნი იყვნენ, გამუდმებით მუშაობდენ, როგორც უკანასკნელი გლეხ-კაცნი და ამით უფრო შოულობდენ ლუკმა-პურს, ცოლ-შვილს არჩენდენ და, რაც უფრო გასაკვირველია, შვილებსაც უფრო კარგად ზრდიდენ, ვიდრე სხვა დანარჩენი წოდებანი...

მაგრამ დღეს-კი, როდესაც სემენარიებსა და აკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემიებში ნასწავლი მღვდლები მომრავლდენ გაღატაკებულ ბღლს სოფლებში, სადაც იმათ თავიანთ მამებივით მუშაობა არ იცაიან და ვერც ახერხებენ გლეხ-კაცივით მწარე ოფლის ღვრას, პირობები-კი მღვდლების მდგომარეობის ისევ ხელ-უხლებელად ძველებური დარჩა, მაშინ აშკარა შეიქნა, მართლაც, ისეთი უნუგეშო და მწარე მდგომარეობა მათი, როგორიც ნამდვილად თვალის-წინ დაგვიხატა ჩვენმა ნიჭიერმა მწერალმა დ. კლდიაშვილმა. ზოგი გაურბის ამ მწარე მდგომარეობას და ადგილებს შოულობს ქალაქებსა, რკინის გზების სადგურებთან ახლო მდებარე დაბებში, მაგრამ ამათი რიცხვი, როგორც იყო ნათქვამი, მეტად მცირეა და აქაც უუნიჭიერესნი თუ მოხვდებიან ხან და ხან, თორემ უმრავლესობა ისევ იმ ყოფაშია, რომელიც ამ წამს იყო დასახელებული. მაშასადამე, პირველი დიდი და სასახელო საქმეა სამღვდელოების მათხოვრობიდან გამოყვანა, მისი ნიგოიერად დაკმაყოფილება და გლეხ-კაცობის კისრიდან მისი ჴირდაჴირ მოცილება და განთავისუფლება. ეს ამბავი სხვა-მხრივაც სასარგებლო იქნება, მაგრამ ამას თავი გავანებოთ აქ, რადგან ვჩქარობთ...

სამღვდელოების ამნარი დაკმაყოფილება, ქონებრივად მისი აშაღლება მჭიდროდ დაკავშირებული უნდა იყვეს მისს სულიერად აღმატებაზედ. ამ ჟამად სოფლის ცხოვრება ვითარდება, ვითარდებიან და მატულობენ ყოველ წლივ სოფლისავე მოთხოვნილებანი. გარდა ეკონომიური ცვლილებისა, რომელიც დაეტყო თანამედროვე სოფელს, საჭირო შეიქნა ჩვენში ახალი თანამედროვე სამიწაწყლო კულტურა, მეურნობის აღორძინება, სოფლელთა შორის სამეურნო პრაქტიკული ცოდნის გავრცელება, მათი ჯან-მრთელობის უშიშრად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფა, ათასნაირი ლონისძიებანი მავნე მწერების წინააღმდეგ, ჭირნახულისა და ვენახების მტრების განადგურება, მათი წამლობა, მთლად, საზოგადოდ, ქონებრივი კეთილ-დღეობა, ზნეობრივი და გონებრივი წარმატება სოფლის მცხოვრებთა უნდა არსებითად აინტერესებდეს მოძღვარს და, მაშასადამე, მოძღვარს უნდა ჰქონდეს ცოდნა, ისეთი ცოდნა მაინც, როგორც მისგან თხოულობს სოფლის საჭიროებანი და მოთხოვნილებანი. თორემ ცალიერი თანაგრძნობა გაჭირვებულის, ისეთი თანაგრძნობა, როგორსაც იჩენს მამა ზოსიმე ანუსიასადმი, გაჭირვებას ვერაფერს უშველის და ვერც მღვდლის სინიდისს დაამშვიდებს... მართალია, ახლაც არიან მღვდლები, რომელთაც სკოლაში არ შეუსწავლიათ, არც მედიცინა, არც მებაღეობა, არც მეფუტკრეობა, არც პედაგოგიკა, არც სხვა რამ სამეურნო სწავლა-განათლება მიუღიათ სასწავლებლებში, მაგრამ ყოველ ამ საქმეში არა ერთსა და ორს დაგისახელებთ ისეთს მოძღვრებს, რომელნიც კარგ მეფუტკრედაც გამოდგებიან, კარგ მებაღეებადაც, კარგი მასწავლებელნიც არიან და ავადმყოფებსაც დახმარებას უწევენ სოფლად. მაშასადამე, თვით ცხოვრების საჭიროებანი თხოულობენ დღეს და ხმა მაღლადაც თხოულობენ, რომ სამღვდელო ბერი იყვეს განათლებული უნივერსიტეტში, მაღალი და ნამდვილი სწავლით აღჭურვილი, რომ შეეძლოს ნამდვილი მოდვაწეობა თვისი სინიდისისა და ქვეყნის წინაშე. რატომაც არ შეიძლება, ნეტა, უნივერსიტეტში აღზრდილთა მღვდლად წასვლა, მედიკურ, ფილოლოგიურ ფაკულტეტებზე სამღვდელოთა შვილების აღზრდა და განათლება და რას წააგებს, ან სახელმწიფო, ან საზოგადოება, როდესაც ასეთი ნასწავლნი მღვდლებად სოფელში დატრიალდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიან და წარუძღვებიან ჯან-მრთელობის და სკოლის საქმეს? მე მგონია, გარდა საქვეყნო სარგებლობისა არა იქნება-რა და ფრიად საჭიროა, ჩვენშიაც ისე შეხედავდენ ამ საქმეს, როგორც გერმანიაში და სხვაგან უყურებენ...

ჩვენი ქვეყნის სამღვდელოებამ რომ თავი დაიხსნას აწინდელი გაჭირებული მატერიალური მდგომარეობიდან, აუცილებლად საჭიროა, რომ ცხოვრების თანახმად შეიცვალოს მისი დღეინდელი ყოფაც, და მისს მოზარდ თაობას მიენიჭოს უმაღლესი განათლების მიღების უფლებანი...

ხომლელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი ჩერნიგოვიდან.

ამ წლის 19 სექტემბერს ჩერნიგოვში მრავალის სალხის თან-დასწრებით აკურთხეს ადგილობრივი საქალო გიმნაზია. მშვენიერად მორთულსა და მოვარაყებულ დიდ-დარბაზში, სადაც ღვთის-მსახურების შემდეგ გადაიხადეს აქთი, სხვა-და-სხვა მშვენიერ-ყვავილებით იყო შემკული სურათი თავად ნიკოლოზ დიმიტრის ძის დოლგორუკოვისა, რომლის დვაწლითაც ის გიმნაზია აგებულა. მეტად დიდ ადგილს დაიჭერდა, დაწვრილებით რომ აგვეწერა ამ თავადის სხვა-და-სხვა გვარი მოღვაწეობა და მხოლოდ შემოკლებით დავახასიათებთ: განსვენებული თავადი ძველ-ბოიართა ჩამომავლობას ეკუთვნოდა და ჯერ კიდევ ოცის წლისა არ იყო, რომ ყირიმის ომის დროს სანიტარად შევიდა, ხელს უწყობდა დაჭრილ ავადმყოფებს, გამოჭქონდა ისინი ბრძოლის ველიდან სამშვიდობოზე და თავს არ იზოგავდა. ამის შემდეგაც იმსახურა კიდევ რამოდენიმე წელიწადი კავკასიაში და მერე-კი გადავიდა რუსეთში, სადაც შეირთო ცოლი და დასახლდა ცოლის მამულზე სოფელ ტოპალში. რამოდენიმე ხნის შემდეგ არჩეულ იქმნა საპატიო მომრიგებელ-მოსამართლედ, მაზრის წინამძღოლად ნოვოზიბკოვაში და შემდეგ გუბერნიის წინამძღოლადაც ჩერნიგოვში, და აქ გამოიჩინა მოკლე ხანში თავი, სადაც საზოგადო მოღვაწემ და მზრუნველმა ააგო საქალებო გიმნაზია ნოვოზიბკოვაში, შეესწირა 35 ათასი მანეთი ჩერნიგოვის საქალებო გიმნაზიას, გამართა შკოლა სოფელ ტოპალში და ამაებს გარდაც თავ-დაუზოგავი იყო ყოველ გვარ საქველმოქმედო საქმეშიაც: დავრდომილებს, დარიბებს, გაჭირვებულებს ნუგეშს სცემდა თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვით, თუ საქმით და ქონებრივად და ამას ყველას ისეთის ქრისტიანულის სათნოებით ჩადიოდა, რომ მისგან უნუგეშოდ და ტრემლ-შეუშრობლად არავინ გაბრუნდებოდა ხოლმე.

სასახლე თავადისა ახალგაზდებისათვის იყო შკოლად, საიდანაც გამოჭქონდათ მასალა ჭკუისა, ზრდილობისა და ზნეობისათვის და იმავე დროს საგანე იყო მაშვრალთა და ტვირთმძიმეთათვის, გაურჩევლად გვარ-ტომობისა და ხარისხისა. თავადი არა ჭკვადა იმ გაბერილ არისტოკრატებს, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ. ის იყო, ადამიანის, საზოგადო მოდვაწის, წინამძღოლის, ოჯახის მამასახლისის იდეალი. მეცნიერების მიმდევარი თვალ-ყურს ადევნებდა საზოგადო ცხოვრების მიმდინარეობას, როგორც რუსეთში, ისე გარეშეც. იყო ლინგვისტი და ბოლოს დროს ქართულიც შეისწავლა. სოჯახო შინაური საქმეები-კი მინდობილი ჭქონდა მის მეუღლეს კნეინა მარიამ ბავლეს ასულს გალიცინის ქალს, გრაფ სიმონიჩის შვილიშვილს. —ეს სიმონიჩი საქართველოში მსახურებდა. ცოლად ჭყავდა ოთარ ამილახვრის ქალი ანნა და ქვისლი იყო თეიმურაზ ბატონიშვილის ირაკლი მეფის ძის, და კნეინა დოდეკორუკოვსაც თავი მოაქვს ქართველ ჩამომავლობით და სიამოვნებით იგონებს თავის საწინაპროს. ჯერ კიდევ ახალგაზდა, წარმოსადეგი, თვალტანადი, ქართული სახის მექონე და გამომეტყველ თვალებიანი, განათლებული, ზრდილი, თავ-დაბალი, ყველასთან ალერსიანი, ასეთივე საზოგადო მოდვაწეც, როგორიც მისი ქმარი იყო. და ამავე დროსვე ოჯახის მოამღელი და შვილების ალმზრდელიც. როგორც რიურიკის ჩამომავალს, დიდ-შემოსავლიან მამულების პატრონს, და პირადთაც შესანიშნავს, თავადს შეეძლო სასახლის კარზე ყოფილიყო, წინ დიდი ბიჯი წაედგა, რასაც ნათესავები და მეგობრები კიდეც ურჩევდენ; მაგრამ თავადმა არ ისურვა და კერძო, ჩუმე მოდვაწეობა ირჩია, თუმცა ეს მოდვაწეობა მეტად ძნელი და უჩინარი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორს სასახლიდან, მიერუებულ ადგილას მოდვაწეობდა კერძოდ და ნახევარს თავის დიდ-ძალ შემოსავლისას საქველმოქმედოთ ხარჯავდა, მაშინ, როდესაც სხვებს იმისთანა დიდ-კაცებს და გვარიშვილებს თავის თავის მეტი არა ახსოვთ-რა!.. განა ცოტანი არიან ჩვენში მდიდრები და მადალ ხარისხზედაც აყვანილები, რომელთათვისაც „სხვისი ჭირი დობეს ჩხირი“ არის? და არა თუ სხვას შემწეობას და დახმარემას არ უწევენ, მშობლიური ენაც-კი დაუვიწყებიათ და ვედარ ახერხებენ, რომ ტვირთ-მძიმენი და დამაშვრალნი ტკბილის სიტყვით მაინც ანუგეშონ! ოავადი დოლგორუკოვი-კი სულ სხვა კაცი იყო, და ი ამისთანა კაცი ულმობელმა ბედმა გასწირა და იმსხვერპლა ამ წლის 8 მაისს, რუსეთს. თითქმის ყოველ კუთხიდან მოდიოდა სასამძიმრო დეპეში და ყველგან, სადაც-კი მოდვაწეობდა და ან გაგონებით მაინც იცნობდენ, დიდ მწუხარებით იყვენ მოცული. სოფელ ტოპალის გლეხები დეპეშით შეეკედრენ კნეინას: „ჩვენი წმინდა კნიაზი ჩვენ სოფელში დაასაფლავეთო!“ დღეს კიდევ მისი გლოვის ხმა არ დამცხრალა იმ კუთხისკენ და კიდეც უმართებსთ: რუსეთმა, თავად დოლგორუკოვის სიკვდილით, დაჰკარგა ერთობ უკეთესი შვილთაგანი და დიდი თავდადებული მოდვაწე.

თ. ბაგ.—დავ.

შეცდომის გასწორება. ბ. ხომლელის „კრიტიკულ შენიშვნებში“, მე-69 გვერდის მეორე სტრიქონში დაბეჭდილია: („კანჭიანთი“ კრებული უნდა იყვეს), კრებული-ს მაგივრად ოკრიბული უნდა იგულისხმოს მკითხველმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ. კიტა აბაშიძე და მისი ფარ-ხმალი.

„ქართველი ბავშვები გინებით ამოიგდებენ ხოლმე ენას: ჯერ სანამ „დედას“ ან „მამას“ გამოთქვამდენ, „დედა-ძალოს“ „მამა-ძალოს“ იძახიან. და სწორედ ასე მოსდით ჩვენ ახალგაზდა მწერლებსაც: აიღებენ თუ არა კალამს ხელში, პირველად უთუოდ ჩემ კილვა-კიცხვას მოჰყვებიან ხოლმეო“. ასე სთქვა ერთხელ აკაკიმ და არც უხუმრია. რომ გადავათვალიეროთ ამ ნახევარ საუკუნის ჩვენი ჟურნალ-გაზეთები, ბევრს მაგალითს ვნახავთ. რალაც „სიმბოლოდ“ გადაქცეულა ეს უხიაგობა! თითქოს უამისოდ ნება არ ჰქონიათ ახალგაზდებს, რომ სამწერლო ასპარეზზე გამოსულიყვენ!.. და რა მიზეზია? რით უნდა ავხსნათ ეს? ზოგიერთები ბავშურის თავმოყვარეობით და საადვილო კუდაბზიკაობით ხსნიან ამას, მაგრამ მე კიდევ სხვა აზრისა ვარ!.. ამ ჩვეულებას სხვა სარჩულიც უძევს: თვითონ, თქვენი უმორჩილესი ერთი მათგანი ვარ! მაგრამ არც „ბავშურ თავმოყვარეობით“ და არც „კუდაბზიკობით“ არ მომსვლია, წერის დაწყებისათანავე აკაკის ნიშანში ამოღება. მიზეზი სულ სხვა იყო: დავბრუნდი თუ არა უცხო ქვეყნიდან, რასაკვირველია, მეც ჩვენ მწერლების წრეს მივატანე და იმათ ვუგდებდი ყურს! უმეტესობა სულ აკაკიზე ლაპარაკობდა: დასცინოდენ მის უნიჭობას, უმეცრებას, ზარმაცობას, უსაქმურობას და ფუქსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვატობას!.. და ისე გამომიჭექეს ყურები, რომ სწორედ გამღალეს და სურვილი დამეკარგა პირადად აკაკის გაცნობისა, და აღარც მისი ნაწერებისათვის მითხოვებია გრძნობა-გონება. ავჰყევ ფეხის ხმას და მართლაც, თვით აკაკის თქმის არ იყოს, კაჭკაჭივით ვიმეორებდი ბევრ რამეს მის შესახებ. და ერთი დიდი სტატიაც გამოვაცხვე საწინააღმდეგოდ: მის „პატარა კახს“ უაზრო და უნიჭო კომპილაცია დავუძახე და ის მარტოც რომ აღარ ვაკმარე, საზოგადოთაც გავჰკარ-გამოვჰკარ. წრემ ძალიან მომიწონა!.. დიდ ნიჭს მიქადდენ კრიტიკოსობისას და მეც დავრწმუნდი, რომ აკაკის წესი აგებულია და დღეიდან კრინტსაც ვერ დასძრავს-მეთქი!.. მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, ის მაინც თავისას არ იშლიდა და ჩემ გან ინებას-კი ყურადღებასაც არ აქცევდა! იცოდა, რომ მე ვიყავი მისი დამწერი, მაგრამ ჩვეულებრივის ზრდილობიანობით, ღიმილითა და ალერსით შემეყრებოდა ხოლმე, თითქოს ბალღთან ჰქონოდეს საქმე. ამან ისე შემაძულა მისი თავი, რომ მის ნაწერებს აღარც-კი ვკითხულობდი. და თუ როგორმე წავიკითხავდი, მარტო იმ განზრახვით, რომ მისი ნაწერებიდან ჰწკარსა და ჰწკარს შუა ის ამომეკითხა, რაც ავტორს ფიქრადაც არ ჰქონია და მე-კი მსურდა, რომ ყოფილიყო. დიდ ხანს, ასე, ამ გვარად, შეცდომით, მაგრამ სრულიად გულწრფელად-კი, მეც ვიყავი ჩაბმული აკაკის მოწინააღმდეგე წრის ფერხულში და ყველაზე უფრო გულსმოდგინედაც „ვჯუნყალობდი“.

„კრებული“ რომ გამოიცა, იმას, რასაკვირველია, ჩვენი კიჟინაც თანვე დაჰყვა. ერთხელ, თავმოყრილი რომ ვიყავით, შემოვიდა ჩვენთან ბატონი ანტონ ფურცელაძე და მოგვაძახა: „კაცო! რა დამართნია ამ აკაკის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათქვამია: „თვით არ იყო ძმარიო და მიემატა წყალიო!“ აქამდინ ლექსის გაწყობა მაინც იცოდა და არცა-რა ენას უშავდა-რა! და ახლა-კი ამათშიაც კოჭლობსო: რაღაც ერთი სისულელე დაუწერია „მედია“, რაღა ტრედიაკოვსკი და რაღა ისო, მიმართულების უქონლობა და უაზრობა უნიჭობა, ეს ხომ ყველა ჩვეულებრივია, მაგრამ სასაცინო ის არის, რომ ჩვეულებრივად მესტვირული ლექსებიც ველარ მოუხერხებია და ენაც იმერულად წაუბილწავსო“. ხომლელს ეწყინა და უპასუხა: „მათ თხზულების ღირსებაზე მე თქვენ ბაასს არ გაგიწევთ, თუმცა-კი არ გეთანხმებით!.. ნება გაქვსთ თქვენებურად გაიგოთ და აძაგოთ... მაგრამ, თუ შეიძლებოდეს, ერთი გვიჩვენეთ ამ თხზულებიდან მისთანა ადგილი, რომელიც ავტორის ლექსის უვარგისობას და ენის უცოდინარობას ამტკიცებდესო“. გადმოუღო „კრებული“, სადაც „მედია“ იყო დაბეჭდილი და მისცა ხელში. ანტონმა ბევრი ატრიალა, ხან აქ ამოიკითხა, და ხან იქ, მაგრამ ვერსად მიაგნო და ბოლოს სთქვა: „დალახვროს ღმერთმა!.. მე სწორე გითხრათ, არ წამიკითხავს, მაგრამ ილიამ წაგვიკითხა გუშინ და ბევრიც გვაცინაო. ასე ხელად ვერ წავატყდი და მერე მოვნახავო“. ხომლელმა გაიცინა, გადააქნია თავი და მოგვშორდა.—

ხომლელის გაცხარებამ და აკაკისთვის თავ-გამოდებამ გამაკვირვა, მით უმეტეს, რომ ერთხელ ისიც ჰბეჭდავდა აკაკის შესახებ სტატიებს და კარგად ვერ იხსენიებდა ზოგიერთ მის ნაწერებს. ესეები ყველა ვჰკითხე მეორე დღესვე ხომლელს, რომ შევხვდი, და იმანაც ასე მიპასუხა:

— ჩვენი შეცდომა ის არის, რომ მესამოცე წლე-

ბის მოღვაწეებს ჩვენ მარტო განაგონობით ვიცნობთ და ვსჯით. მართალია, მეც ბევრი რამ დ ვსწერე აკაკიზე, მაგრამ მაშინ კარგად არ ვიცნობდი მის მოღვაწეობას, და საზოგადოდ აღსარებულ აზრს მეც ასე თუ ისე ჩათრეული ვყავდი. ბოლოს, როცა ჩემს საკუთარ გრძნობა-გონებას მივენდვე და მისი ნაწერები იმ თავიდ.ნ ამ ბოლომდე გავსინჯე, აზრი შევიცვალე, და აქ საძრახისიც არა არის რაო!.. და შენც გირჩევ, სხვების ხმას ნუ აჰყოლიხარ და შენ ჭკუას დაუჯერეო.

ამ მეგობრულ რჩევის შემდეგ, მე მართლაც მოვჰკიდე ხელი ქართულ ჟურნალ-გაზეთებს და, რაც-კი რამ უწერიათ ჩვენ მეთაურებს, გადავიკითხე. როგორც სხვები ყველა, ისე აკაკიც შესწავლილი და გათვალისწინებული მყავს. მაშინ, როდესაც მეც აკაკის მოწინააღმდეგე რაზმში ვერიე, ბევრჯელ მიფიქრია: რა ამბავია, რომ ჩვენ ასე გულმოდგინედ ხალხის თვალში აკაკის ყოველ გვარად დამდაბლებას ვსცდილობთ და ხალხი-კი მაინც თავისას არ იშლის: სულ სხვა თვალით უყურებს და უფრო და უფრო მაღლა აყენებს-მეთქი? ვერ ამეხსნა და არც დღემდი მექნებოდა ახსნილი, თუ „ხომლელის“ რჩევა არ დამეჯერებია, ჩემ საკუთარ გრძნობა-გონებას არ მივნდობოდი და არ გადამეთვალიერებია ჩვენი ამ ნახევარ საუკუნის ჟურნალ-გაზეთები. აი რა დავინახე:

1) არავის ისე არ შეუსისხლ-ხორცებია ხალხის ჭირი და ლხინი, როგორც ბ. აკაკის!—ხალხის გვერდში მდგარა და არც ერთი მისი საჭიროება უპასუხოდ არ დაუგდია. ამ ნახევარ საუკუნის განმავალობაში, არ ყოფილა ჩვენში მისთანა რამ გამოცემა, არც ქართული და არც უცხო, რომ აკაკის მონაწილეობა არ მიეღოს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ყოფილა მისთანა არა თუ წელიწადი, თითქმის დღეც კი, კალამი ხელიდან გაეგდოს!.. რომ შევაგროვოთ აკაკის ნაშრომი, მისი რაოდენობა და სიუხვე, გაგვაკვირვებს!.. იმას ერთს მარტო მეტი უწერია, ვიდრე სხვებს ყველას ერთად შეერთებულად. და მაშ ამისთანა კაცის ფუქსავატობას და ზარმაცობას დაიჯერებდა ხალხი?

2) მაშინ, როდესაც სხვების ნაწერები რეკლამებით გამოდიოდა და აკაკისი-კი იფოლებოდა, აკაკის ნაწერები, კიდევ მაინც, თავის თავად ჰპოულობდენ მკითხველებს, ხალხს გულის სიღრმემდე სწვდებოდენ, აღელვებდენ და ამოძრავებდენ... ზოგი მისი ნაწერები საარაკოდ რჩებოდა ხალხში და ზოგიც სასიმღეროდ. და ამის შემდეგ განა დაგვიჯერებდენ აკაკის უნიჭობას და უმეცრებას?

3) მოუსვენარია, უხასიათოა, იკბინება, მოსვენებას არავის აძლევსო, რომ გავიძახოდით და დღესაც კიდევ ზოგიერთები იმეორებენ... აბა, ერთი, გვიბრძანეთ, ვისთან რა პირადობა ჰქონია? და ან საზოგადო საქმეების გამო ვისთან მოქცეულა უზრდელად და უკადრისი ვისზე რა უთქვამს? პირ აქით სულ სხვას გვიმტკიცებენ ფაქტები: პირველად სულ სხვებს გამოულაშქრებიათ აკაკის საპირდაპიროდ მოსისხრად. და აკაკის-კი ათზე ერთი პასუხი თუ გაუცია, ისიც გაკვრა-გაკენწვლით. და თუ ის, თითქმის, ხუმრობით და აგდებით განატყორცი რამ, ისე მწარედ მოხვედრია მის მოპირდაპირეს, რომ წყლული საშვილიშვილო ნაღველ-მწარედ ჩადგომია გულში, რა მისი ბრალია?.. ეს შეხლა-შეტაკება უფრო გაუგებრობას გამოუწვევია ხოლმე, როგორცა სჩანს. ბევრჯელ ისეთი აზრი წამოუთქვამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. აკაკის ვისამე ან რისამე შესახებ, რომ უმეტესობას ეკლად ჩხვლეტია თვალსა და ყურში, დაუციათ კიჟინა და ბოლოს-კი, რომ გაუვლია რამოდენიმე წელიწადს, მერე იგივე, აკაკისაგან წინეთ გამოთქმული და უმეტესობისაგან დაწუნებული აზრი, თავის თავად დიდის თავ-მომწონეობით გაუმეორებიათ, ვითომც ახალი რამ, და თვისი წინანდელი აზრები-კი, აკაკის ნათქვამად უკორავთ ხალხში. ამ გვარი მაგალითები ბევრია ჩვენ მწერლობაში და ყველას შეუძლია შეამოწმოს,—ხალხსაც, ალბად, შეუმოწმებია, რომ მის მოწინააღმდეგეებს არ ეთანხმება! საკვირველია საზოგადოდ ხალხი!!.. ერთხანად რომ ყურში რამე ჩაეწვეთება, შეიძლება კიდეც დაიჯეროს, მაგრამ საბოლოოდ-კი არას გადასწყვეტს, სანამ თავის თავად უტყუარს საბუთს არ დაიჭერს ხელში. და რაღაი-კი დარწმუნდება რამეზე, მერე მისი შერყევა შეუძლებელია!.. და მაშ რა გასაკვირველია, რომ ჩვენმა ხალხმა თავის თვალით უყუროს აკაკის და უყვარდეს?.. მე მოგახსენებთ არა იმ ერთ და ორ ზოგიერთებზე, მოედანზე რომ გამომხტარან და „ასკინკილას“ თამაშობენ, არამედ მთელ ხალხზე!..— აბა მიბრძანდით გინდ შორეულ, მიყრუებულ ჩვენ საქართველოს კუთხვებშიაც-კი, თუ იქაც არ დაგიხვდეთ აკაკის სახელი, ხალხის გულში სანუგეშოდ ჩასვენებული?! ეს კარგად იციან აკაკის მოწინააღმდეგეებმაც და იძულებული არიან, რომ წინააღმდეგ სურვილისა, ძველი ნათქვამები გადათქვან და დიდი პოეტი უძახონ, მაგრამ მაგიერად სხვა მხრით მიიტანეს იერიში: ეგებო ამან, ამ ახალმა ხერხმა მაინც გვიშველოსო: საგნად აიღეს აკაკის კერძო ცხოვრება და იმას ავრცელებდენ საქვეყნოდ, რაც არც მთქმელებისა და არც გამგონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკადრისი არ იყო. მათ ფანტაზიას საზღვარი არ ჰქონდა, მათი აღვირ-წასხმულობა და ნავარდობა მით უფრო სამარცხვინო იყო, რომ წინააღმდეგს არავინ ეუბნებოდა მათ. ვინ იცის, რამდენი რამ ცუდი შეამთხვია აკაკის ცხოვრებაში იმ უსირცხვილო მითქმა-მოთქმამ, მაგრამ იმას არა თუ კრინტიც არ დაუძრავს საპასუხოდ, პირაქით გაბიგონია, რომ მეგობრებს ბევრჯელ აშლია: ნუ მესარჩლებით, როდესაც ჩემზე ცუდს ამბობენ და ცილს მწამებენ ხოლმეო!.. თავის მართლება ჩემთვის მაგ-გვარ წვრილმან საქმეში და მათი აყოლა, ჩემთვის უფრო საძრახისი და შეურაცხ-მყოფელიაო... მხოლოდ ათასში ერთხელ, როდესაც მტრების ენა იმდენად გადააჭარბებდა, რომ საზღვარს გადავიდოდა და მისთანა რამესაც შესწამებდა აკაკის, რომ სამართლის წინაშეც საპასუხო იქნებოდა, მაშინ-კი იძულებული ხდებოდა თავი ემართლებია, მოპირდაპირენი გაეპირშავებია და ამით გადარჩებოდა, გათავდებოდა ხოლმე. მაგრამ აქაც კიდევ, დახედეთ კერპობას, მის ნაცვლად, რომ შეენანებიათ გამტყუნებულებს, კიდევ მაინც ენას ატარტალებდენ და ღრეჭით ამბობდენ: აკაკი იმდენად თავ-მოყვარეა, რომ სულ თავის თავზე ლაპარაკობსო და სხვ... ფიე! კარგია, თქვენმა მზემ!.. კაცი დამნაშავეთა სკამზე დასვა, მოინდომო მისი დაღუპვა! თუ ხმა არ გამოიღო, მტყუანია და თუ თავი იმართლა, თავ-მოყვარე, თავის თავზე მოლაპარაკე?!.. ვიჰ! ვიჰ! რა ხერხია!.. ამ გვარი რამ ბევჯელ ჩაუდენიათ იმ უსაყვედურო და უშიშარ რაინდებს, მაგრამ მაინც ვერ გასულან ფონს ვერც ამით. ხალხი მაინც თავის ჭკუაზე დადგა და თავის თავს დაუჯერა!.. სხვა ყოლიფერი ქარის მონაბერად ჩასთვალა და ქარსავე გაატანა. ეს მეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე ხერხიც რომ გაუცუდდათ, ახლა მესამეს მოჰკიდეს ხელი: ცდილობენ დაუმტკიცონ ქვეყანას, რომ აკაკი მართალია, ნიჭიერი პოეტია, სიტყვითაც ყოველთვის კარგებს ამბობენ, მაგრამ საქმით-კი ქვეყნის ორგულია და როგორც მოქალაქე და პუბლიცისტი მავნებელი და „ჰკა მაგასო!“ სხვა რომ ველარა გამოძებნეს-რა ხელმოსაკიდებელი „ბანკობიას“ სტაცეს ხელი: ქალაქში მაჩაბლისა და ოპოზიციის მომხრე იყო და ბანკის მმართველობის მოწინააღმდეგეო, და აქ-კი, ქუთაისში, ოპოზიციის მოწინააღმდეგე და ჩიკვაიძის და ბანკის მომხრეო. და ორივე შემთხვევაში ბევრი ენება მოუტანა საზოგადო საქმეებსო: ვნახოთ, რამდენად მართალია ან ერთი და ან მეორე!.. ტფილისის ბანკში აკაკის ხმა არ ჰქონია და, რომ კიდეც მოენდომებია, ფაქტიურად მაინც ვერ მიიღებდა მონაწილეობას. და მართლაც, როგორც ვიცით, არც-კი შესულა დარბაზში, მხოლოდ ხანდახან ლოჟიდან უგდებდა ხოლმე ყურს, როგორც გარეშე მაყურებელი. მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც მისწვდენ უბრალო კაცს და გაავრცელეს ხმები: მაჩაბელი და ოპოზიცია სულ აკაკის ჩაგონებით მოქმედებს, რაც უსიამოვნება მოხდა, სულ მისი ბრალია, ქართლი და კახეთი ერთმანეთს გადაჰკიდაო... რომ ივანე მაჩაბლისა და ოპოზიციისათვის აკაკის ჩაგონება არაფერი საჭირო იყო და არც აკაკი გარეულა,—ეს ეჭვს გარეშეა, და წინააღმდეგი რომ დაამტკიცოს ვინმემ, შეუძლებელია! აკაკის დიდი დამნაშაობა ნუ თუ ის იყო, რომ პირადად ივანე მაჩაბლის დიდი პატივისცემა ჰქონდა, საზოგადოდ, როგორც ერთგულ წრფელ და უანგარო მოღვაწის და ბანკის შესახებაც სიმართლეს ხედავდა მისი მხრით.—აგრეევე მაშინდელ ოპოზიციასაც თანაუგრძნობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, და არ იმეორებდა იმათ შესახებ სხვების სიტყვებს. ეს ხომ საქმეში გარევა არ არის... კერძო აზრია, გარეშე, და ამის ნება, ვგონებ, ყველას აქვს? აგრე ჰკითხეთ ზოგიერთ ფარისეველ-ლიბერალებს!?.. გადასული ბატონ-ყმობა ჯერაც კიდევ აღელვებთ, ნიანგის ცრემლებს ჰღვრიან, რომ აგონდებათ და იმავე დროს-კი სხვანაირი, უარესი საზიზღარი ბატონ-ყმობა შემოაქვსთ ჩვენს ცხოვრებაში: გრძნობა-გონების მონაობა! თუ გაბედე, და შენი საკუთარი აზრი იქონიე, რომელიც მათ გრძნობა-გონების და სურვილის საწინააღმდეგოა, მათ მტარვალობას და ბატონურ მოთხოვნილებას საზღვარი აღარ აქვს! ყოველიფერს იკადრებენ, რომ არ დაზოგონ მოწინააღმდეგე.—აკაკიზედაც ამ გვარი ბატონობა მოინდომეს, და რომ ველარას გახდენ, დაუწყეს სხვა-და-სხვა ბრალდება და იმ ხელობას დაადგენ, რასაც სოფლის ადვოკანტები ადგებიან: მოწამეს, როდესაც ველარ მოიყიდიან, გადაყენებას მოუნდომებენ მოწმობიდან და იმაზედაც საჩივარი შეაქვთ ხოლმე სასამართლოში... დასამტკიცებელი რომ აღარა ჰქონდათ-რა აკაკის შესახებ, უტიფრად გაიძახოდენ: „ხალხს ურჩევს ქრთამის აღებასო“. და თამამად უთითებდენ „კვალში“ დასტამბულ სტატიისკენ და თავისებურად-კი ხსნიდენ იმ სტატიის შინაარსსაც. აი საქმე როგორ იყო: როდესაც ჯერ კიდევ კრება არ შემდგარიყო ტფილისის ბანკის, აკაკიმ იფიქრა: ვაი თუ დამფუძნებლებმა სოფლებიდგან დაიზარონ ჩამოსვლა, აქაური მსესხებლები-კი ყველანი მოვიდენ, შეადგინონ ხმის უმეტესობა და უცხოელებს ჩაუვარდეს ხელში ჩვენი ბანკი და მასთან ერთად ჩვენი სკოლებიცო!.. დაღონდა და მიჰმართა სოფლელ თავად-აზნაურობას სხვათა შო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის შემდეგის რჩევით: „ძველად, როდესაც მტრები შემოესეოდენ და გასაჭირი ადგა ჩვენ ქვეყანას, ჩვენი მამები ყოველი კუთხიდან მიაშურებდენ ხოლმე ბრძოლის ველს. ცხენიც მზა ჰყავდათ და იარაღიც ჰქონდათ. და თუ აკლდათ, ისევ მეზობლისაგან ინათხოვრებდენ, მოინაცვლებდენ ხელს და მაინც არ რჩებოდენ ისე, რომ მონაწილეობა არ მიეღოთ. დღეს ცხენის ადგილი რკინის გზამ და პატარა ბილეთმა დაიჭირა. ვისაც არა გაქვსთ შეძლება, რომ წამოსვლა მოახერხოთ, მაშინ მიჰმართეთ თქვენსავე მოძმეებს, თქვენისთანავე გაჭირვებულებს, მოინაცვლეთ მათგან ხელი და ჩამოდით, რომ დაესწროთ კრებას, ყოველივე თქვენი საკუთარის ყურით მოისმინოთ, თქვენის თვალით ნახოთ და საკუთარი ჭკუა-გონებით გასაჯოთ!“ აი ეს დასწერა და აქ დაფარული და გაუგებარიც არა არის-რა. მაგრამ, რიღასი მოწინააღმდეგენი იქნებოდენ, თუ ამასაც არ გადაასხვაფერებდენ: „აი რასა სწერსო! ქვეყანას ურჩევს, ჩამოდით და ოპოზიციისაგან ქრთამი მიიღეთ და მაჩაბელს მოეხმარეთო!“ ნათქვამია: „ხანდახან სინიდისიც კარგი საქონელიაო“, და ეს ვაჭრული ჭეშმარიტებაც ზოგჯერ არ ესმისთ ზოგიერთებს, თორემ რა იყო აქ გაუგებარი? და ან საძრახისი? დიახაც ყველამ კარგად გაიგო და ვისაც არ უნდოდა გაგება და თავისებურად ასხვაფერებდა, იმათ ხელმეორედ აუხსნა ავტორმა თავის ნათქვამი და გათავდა მით... მაგრამ წარმოიდგინეთ, ახლაც კიდევ კიტასთანა კუდ-მომწვარი რაინდი, მაინც იმ გაცვეთილ იარაღს ეპოტინება და უტიფრად ეუბნება აკაკის: „აი შენ რა მოიმოქმედე და რა თავდაუზოგავად ეხმარებოდი მაჩაბელს და ოპოზიციასო!.. და თანაც დაჰმატებს: ესეები ყველა აკაკიმ მიტომ ჩაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინა, რომ შური ახელმძღვანელებს და ერთ-ერთმე მოღვაწის დაფნის გვირგვინები მოსვენებას არ აძლევენო“. ესეც მართალია? ვინ არის მისთანა, რომ აკაკი შურით შეჰყურებდეს? ვისთან რა საქმე აქვს, ან გასაყოფი რა აქვს და ან საძებარი, რომ წინ არვინ წამისწროსო, იფიქროს? ბანკის დირექტორობას ეძებს, თუ მომრიგებელ შუამავლობას, და ეშინია არავინ შემიშალოს ხელიო? და თუ მწერლობა-პოეტობაზე ამბობს კიტა აბაშიძე და საეროდ სახელის მოპოებაზე, კიდეც რომ მოისურვოს, ნეტა ვის უნდა შეეხარბოს აკაკი? რას ეძახის ბ. კიტა დაფნის გვირგვინებს? ნუ თუ იმ მოგვერგულ-ღვლერჭებს, ყურ-მოჭრილ მონებს რომ თაიგულად უჭირავთ ხელში? მაშინ, მართალია ბატონი კიტა აბაშიძე: აკაკის არ ჰყავს და არც ეყოლება კუჭა-რაზმი, მაგრამ ეს შურის-ძიებას ვერ აღძრავს მის გულში! პირ-აქედ რამდენჯელ უთქვამს აკაკის: ჩვენში სიკვდილი მიტომ მეზარება, რომ ეს ზოგიერთა ვაჟბატონები ჩემ კუბოს გაჰყვებიან, და ენასაც აატარტალებენო... ეს მის მტრებსაც ექნებათ უეჭველად გაგონილი და მაშ რომელ შურზე ღაღადებს ბატონი აბაშიძე? „კოკასა შინა რაცა სდგას იგივე წარმოსდინდებისო“. ძველ დროში ზოგიერთი მონები მივიდოდენ ბატონთან და მოახსენებდენ, ვითომ-და ერთგულობით: „ჩემო ხელმწიფევ, ესა და ეს კაცი, თქვენი მოუსვენარი მტერია, შურით ვერ ისვენებს, მაგრამ თქვენ ნუ შესწუხდებით! ჩვენ, თქვენი ერთგულები ფრთხილად ვართ, სიკვდილამდე ვსდევთ თქვენს მტერსა და ორგულს... მხოლოდ ეს-კი არის, რომ ფეხშიშველი ვართ და უქალამნოდ შორს ვერ წავალთო?“ აბა ჩაიხედონ თავის გუნებაში ბ. კიტამ და კომპანიამ, თუ არ ეჭაშნიკოსთ ეს?!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა გადმოვიდეთ ქუთაისის ბანკშიაც და ვნახოთ, რა დაუშავებია აკაკის? ის, რომ ტფილისში არ მოსწონდა ბანკის გამგეობის მოქმედება და ოპოზიცია კი, და აქ არც გამგეობა მოსწონებია და მით უფრო არც ოპოზიცია, ანუ უკეთ ვსთქვათ ის ვაჟბატონები, რომელთაც ოპოზიციაში ამოეყოთ თავი ისე, როგორც ცხვრის ტყავში გახვეულ მგლებს ფარეხში.—მე მგონია, როდესაც აკაკიმ დაინახა ქუთაისის ოპოზიციაში ჩამდგარი, ის ვაჟბატონები, რომელნიც წინეთ, მაჩაბლის დროს ტფილისელ ოპოზიციას უკიჟინებდენ, იფიქრა გუნებაში: მადლობა ღმერთს! აკი მოსულან გონზე ეს ადამიანები, უწამებით ოპოზიცია, და ძველი ცოდვები უნდათ მოინანონო!.. კეთილი... შენანება რა დასაშლელია?.. თვით მარიამ მაგდალინელის სინანული შეიწყნარა ღა აკურთხა უფალმაო!. პირველ დანახვაზე სწორედ ასე ეგონებოდა!.. მაგრამ ბოლოს, რომ დააკვირდებოდა მათ მოქმედებას და დაინახავდა, რომ ისინი ისევ ძველი სისხლ-ხორცით გახვეულან ახალ ტყავშიო, მაშინდელი ძველი კუდი აქაც მოუქნევიათო; მხოლოდ ბანაკი უცვლიათ, ისევ ძველებური სურვილით ადრინდელი ფარ-ხმალი უჭირავსთ ხელში და ბანკიც და ჩიკვაიძეც მხოლოდ საფრად გაუკეთებიათ, რომ უფრო მომარჯვებულად ამოიღონ ნიშანში თავისი საპირადო საგანი და გულ-წრფელ ამხანაგებსაც თვალს უხვევენ, ატყუებენო?.. როგორა გგონიათ, აკაკი დათანხმდებოდა იმაზე, რომ აქა-და ჩიკვაიძე უნდა გამოიცვალოს და ამიტომაც სხვა ყოველიფერი უნდა დავივიწყო, თვალები დავხუჭო და ჩემი გრძნობა-გონება ბურთვად ჩავუგდო ხელში ამ „ასკინკილას“ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშეებსო? რაღა თქმა უნდა, რომ არა! მაგრამ ჩვენ რაღად ვლაპარაკობთ ამაზე, რომ თვითონ აკაკიმ თავის მაშინდელი მოსაზრება, ყოველივე პირდაპირ გამოსთქვა „კრებულში?“ და კიდეც იმას გაუმწარებია და გაუბოროტებია ბ. კიტა აბაშიძე ისე, რომ გონება-დაბნეულობით, სწორი აზრი ველარ გაუგია. „გოგოლის პეტრუშკასავით“ აქა იქ სიტყვები ამოუგლეჯია და თავისებურად ხსნის!.. მაგრამ, მადლობა ღმერთს, „კრებული“ ცხრა მთას იქით არ გამოსულა. აგერ არის და ყველას შეგვიძლია წავიკითხოთ და გავიგოთ.—შემოდგომის ბუზი რომ იგრძნობს, წავიდა ჩემი ზაფხული, ზამთარი მომავალია, და ბევრი დღე აღარ დამრჩენია ჩვეულებრივად საფარფაშოდო, ისე გამწარდება ხოლმე, რომ თავს აღარ იზოგავს... და ყოველ კაცს ცხვირ-პირში ეტანება!.. სწორედ ამნაირად შეჰბზუის კიტა აბაშიძეც აკაკის და იწვევს თავის საკუთარის ნაოცნებევის პასუხის მგებლად.—მიაქცევს თუ არა აკაკი ყურადღებას იმ ბუზა-რაინდის საყვირს, არ ვიცით, მაგრამ მე-კი მზად ვარ, მის მაგიერად ვუპასუხო ბ. კიტა აბაშიძეს და ჩავახედო მის სათვალ-მაქცო სარკეში. დიდის გამბედაობით და შეუპოვრობით ბრძანებს აბაშიძე, რომ ჩვენ არავითარი შეცდომა არ მოგვსვლია, საექვო საბუთებიც არა მიგვიმატებია რაო ჩიკვაიძის გასამტყუნებლად. რაცა ვსთქვით, სულ ხელის-ხელ საგოგმანები მარგალიტი იყო და დაურღვეველი ჭეშმარიტებაო, მაგრამ აკაკი დაუდგა ვექილად ჩიკვაიძეს, კალთა გადააფარა, აქებდა, ეხმარებოდა და ჩვენ გვეწინააღმდეგებოდა, და მიტომ ველარ გავიმარჯვეთო. თუ უკაცრავად არ გახლდეთ, სტყუით ერთშიაც და მეორეშიაც. აი ფაქტები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) თქვენ აიღეთ ხელში ანგარიშის დავთარი, ფანქრის მღელვარებით მიჰმართეთ კრებას და ბრძანეთ: „ბატონებო! ხედავთ, ბანკის გამგეობა როგორ გვიგდებს საცინად? ამაზე მეტი გაიცხვა საზოგადოების განაკიდევ-ღა შეიძლება? წლიური ანგარიში ბანკში ნაწარმოებისა აქ სულ ამ ორ ფურცელში მოუთავსებიათ, მაშინ, როდესაც ტფილისში-კი თვრამეტი ფურცელი მოუნდომებიათ!.. ამის პასუხად აი, რას გეუბნებიან ყველანი: „მანდ ის არის მოთავსებული, რაც საჭიროა; სწორედ ისე, როგორც წესი და რიგი მოითხოვს. ანგარიში ეგ არის. დაწვრილებით საქმეების გაჩხრეკა თუ გნებავსთ, აი, აქ გახლავთ საქმეები. მობრძანდით და გაჩხრიკეთ! მანდ ხომ ვერ მოვათავსებდით? ზღაპრები რომ ჩაგვეწერა, რად გინდოდათ? ამ კითხვა-მიგებამ სიცილი გამოიწვია.

2)—რა მიზეზია, რომ ტფილისის ბანკმა, რომელსაც ერთი ხუთად ნაკლები ძირის თანხა ჰქონდა ვიდრე ქუთაისისას და დიდი მოგება ნახა და ქუთაისისამ-კი ვერა? ეკითხებოდით ბანკის მმართველობას და ისიც ჩიკვაიძის პირით გიპასუხებდათ: ეგ მართალია, ჩვენ მეტი გვქონდა ძირის თანხა, იმათ ნაკლე; მათი საქმე კარგად წავიდა და ჩვენი ვერა, მაგრამ აქ სხვა მიზეზია; მოგება და წარმატება ბანკის მის უფლებებზეა დამყარებული და საოპერაციო რაიონზე. ძირის თანხა არას ნიშნავს თავის თავად!.. ტფილისის ბანკს დიდი უფლებები ეჭირა ხელში, იმას შეეძლო უსაზღვროდ გაეცა გირაოს ფურცლები და ჩვენ-კი სამას ათასზე მეტი არ შეგვეძლო, უფლება არა გვქონდა! და ვინ არ იცის, რომ მოგებითაც ის მოიგებს, ვინც მეტს გასცემს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტს სარგებელს აიღებს, და რასაკვირველია ტფილისის ბანკის საქმე უკედ წავიდოდა ჩვენსაზე?

3)—ჰო და კიდეც ეგ არის თქვენი უზრუნველობა! თუ-კი ტფილისის ბანკმა შეიძინა უფლება, რატომ თქვენც არ ეცადეთ და არ შეიძინეთ?

— მაგისი რა მოგახსენოთ!.. ეგ უნდა გეკითხათ იმათთვის, ვინც მაშინ მართავდა ბანკს!

ბანკის დაარსებიდან ჩემ ამორჩევამდე დიდმა ხანმა გაიარა და მაშინდელი ცოდვები რა ჩემი გადასახადია? და თქვენ-კი სცდილობთ, რომ ძველიცა და ახალიც, ყველა ერთად, მე მომახვიოთ თავზე.

4)—როცა აგირჩიეს, რატომ მაშინვე არ შეუდექით საქმეს და არ ეცადეთ გაგესწორებიათ? რას უცდიდით? თქვენმა უსაქმურობამ სულ ბოლო მოუღო ბანკს!

— მე არჩევისათანავე შევუდექი საქმეს, რომ უფლებები გამომეტანა; ორჯელ გიახელი პეტერბურგში.

— არა, არა, შენ უფრო შენი საკუთარი საქმეებისათვის დარბოდი, ბანკს-კი ამადლიდი და ხარჯს იღებდი.

— თუმცა მე იქ არა მქონია-რა, მაგრამ ვსთქვათ, რომ სწორედ ეგრეც იყო: ჩემს საკუთარ საქმეზე დავდიოდი!.. მაგრამ რომ ბანკის საქმისთვისაც ბევრი მიდევია, ამის საბუთები ხელში მიჭირავს. მინისტრი შევაწუხე თხოვნით, სხვებსაც ვათხოვიე. მინისტრმაც შეიწყნარა ჩვენი თხოვნა! მოსთხოვა აზრი აქაურ ადგილობრივ მთავრობას ისე, როგორც ფორმა მოითხოვდა: ადგილობრივი მიზეზი ხომ არაფერი უშლის ხელს ამ საქმესო? პასუხად მიიღო: თუ ბანკის წესდება არ შეიცვალა, წევრების რიცხვი არ შემცირდა და მანამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე-კი ბანკის საზოგადო კრებაც არ აიკრძალა... (კეთ ხულობს ქაღალდს). ეს ქაღალდი არის შედგენილი თანახმად თქვენი სურვილისა და ბევრის თქვენგანის თანამოზიარობითაც.

— ეგეები არაფერი საბუთია! მაგის წაკითხვა რა საჭირო იყო?

— თქვე დალოცვილებო! ამისთანა აზრს ავრცელებთ თქვენ თავზე, ჩვენ ხალხზე და მეორე დღეს-კი თხოვილობთ, რომ ეროობა ჩვენშიაც იქნეს შემოღებულიო? უკანასკნელად რომ ვიახელი მინისტრს, ეს ქაღალდი მიჩვენა და მიბრძანა: აი რა ამბები ყოფილა თქვენში და უფლების გადიდებას კი არა, სულაც დაგიხურავთ ბანკსო! და მართლაც შეაჩერეს ბანკის საქმე. ეს ამდენი ხანია, საზოგადო კრება აღარ ყოფილა და ვისი ბრალია ეს? ჩვენი დაუდევრობის, თუ იმ თქვენგანების, რომელთაც ამ ქაღალდის დაწერაში მიგიღიათ მონაწილეობა?

5)—ბ. აკაკიმ მართალია, კრებაში სთქვა, რომ დღევანდელი ბანკი არ მომწონს და წინააღმდეგი ვარო, მაგრამ ზედვე დაატანა, რომ არც ადრე მომწონდაო, და ის იმ განზრახვით იყო ნათქვამი, რომ კრება დაეჯერებია: ყოველიფერში ჩიკვაიძე არ არის დამნაშავე, ზოგში სხვებიც არიანო. რატომ იმანაც ჩვენი სიტყვები არ გაიმეორა, არა სთქვა, რომ ჩიკვაიძემდე ბანკი ყოველთვის კეთილ მდგომარეობაში იყო და ჩიკვაიძემ-კი, მხოლოდ ჩიკვაიძემ, დასცაო?!

ჩიკვაიძემდინაც, იმ თავითვე აკაკი ბანკის მოწინააღმდეგე ოპოზიციაში იყო ხოლმე, და ახლა როგორ უნდა ეთქვა ტყუილი? რად უნდა შეეწამებია ცილი თავის თავისთვის და იგივე ეთქვა, რასაც თქვენ ჩმახავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით? თუ უნაკლულო და კარგი იყო ბანკი, მაშინ
რად ეწინააღმდეგებოდი და სხვებთან ერთად წუნს სდებ-
დიო? თვით თქვენვე არ დასცემდით კიჟინას? და ან
რა საჭიროა მართლის გაზვიადება და საფუძვლიანზე
უსაფუძვლო რაიმეს დამატება? თუ ამდენი აღარ გეს-
მოდათ, რა გრჯიდათ მეთაურობას, ორატორობას და
დონკიშოტსავით ხმლის ქნევას, რომ სხვებს აღარას
აცლიდით?.. მაგრამ რაღა საკითხავია? განა არ ვიცით
და ცხადიც არ იყო, რაც გინდოდათ? ინტელიგენციის
და ოპოზიციის სახელით გინდოდათ საკუთარი შორეუ-
ლი განზრახვა სისრულეში მოგეყვანათ! ნაძალადევი
მიწებება ორის, სულ სხვა-და-სხვა ელემენტისა, უხერხუ-
ლია... და თქვენი ხრიკებიც მიტომ იყო უხერხული
და უნაყოფო.

6)—აკაკიმ „კრებულში“ დასტამბა ბანკის და ჩიკ-
ვაიძის საწინააღმდეგო სტატია: წუნსა სდებდა. ჩვენ
კრებაში წავიკითხეთ, და აკაკის-კი ხმა არ ამოუღია,
იღიმებოდაო!.. აჰა, ღმერთო! აქ სწორედ რაღაც ზღაპ-
რული ბოროტი დედინაცვლის და გერის ამბავია: აქ
თქვენვე სტყდებით, რომ აკაკიმ ჩიკვაიძის და ბანკის
წინააღმდეგ „კრებულში“ სტატია დასტამბა, ჩვენ ის
კრებაზე წავიკითხეთ, აკაკიც იქ იყო, ხმა არ ამოიღო,
იღიმებოდაო. მერე-და ეს ნიშნავს მიდგომას? ხმა რომ
ამოეღო და ეთქვა: არა, ეგ ჩემი ნაწერი არ არის! ან
და მართალია, დავსწერე, მაგრამ შემცდარი ვიყავი, და
ახლა სულ სხვა აზრისა ვარო, მაშინ კიდევ იტყოდა
კაცი. მაგრამ „ჩუმად იყოო, იცინოდაო“—ეს განა სა-
ბუთია მიდგომის? დალოცვილებო, ამდენს ხანსაც კი-
დევ ვერ მოსულხართ გონს, რომ რამდენიმე ხნის შემ-
დეგაც ამ გვარის ლოლიკითაც გამოდიხართ საქვეყნოდ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაშ რაღა უნდა ყოფილიყო იმ კრებაზე თქვენ-აფუცფუცებული მსჯელობა და მოქმედება—ადვილი წარმოსადგენია! აი მინუშები, თუ რა იარაღით და მომზადებით ებრძოდით მოპირდაპირეს. სხვა წვრილმანებზე აღარას ვიტყვით, ისინი კიდევ უსუსტესი იყვნენ, რადგანაც იმათ თქვენ ხელში საპირადო მნიშვნელობა ეძლეოდა და თქვენის ნამეტანის ნდომით და უხერხულობით საზოგადო ხასიათს აკარგვინებდით; და აი სწორედ ამაზედ მოგახსენათ აკაკიმ, რომ თქვენის უხერხულობითა და ნამეტანის გაზვიადებით თვითონვე წაახდინეთ საქმე და გაამარჯვებიეთ ჩიკვაიძესო! და ეს ხომ ყოველიფერი დღესავით ნათელია, მაგრამ თქვენ არ გინდათ, რომ შეიგონოთ, ან და გამოტყდეთ, და იმას აბრალებთ, ვინც თქვენ ნება-სურვილზე არ დადიოდა და სხვა მხრით მოქმედებდა უფრო გულ-წრფელად, უფრო წინ-დახედულად და უფრო აზრიანადაც!.. თქვენ რომ თქვენი საკუთარი აზრის განხორციელება გინდოდესთ და თავის გამოჩენის საღერღელი გქონდესთ აშლილი, მეთაურად გამოხტეთ და თავი-კი ნებას არ გაძლევდესთ, საქმე გაფუჭდეს და მოწინააღმდეგემ გაიმარჯოს,—ვისი ბრალია? მაგრამ დავანებოთ თავი ამდენ პირ-მოთნეობას. თქვენ, ოპოზიციის და ინტელიგენციის სახელით მალულობის მოთამაშეებო! თქვენ განა ჩიკვაიძის გამარჯვება გწყინსთ ან ოპოზიციის დამარცხება? სრულიადაც არა! თქვენ ის გაწუხებსთ, რომ თქვენი აზრი, რომელიც გინდოდათ განგეხორციელებიათ, გაგიცუდდათ, და თქვენმა მოქნეულმა კუდმა ველარ მოიმკო ჩვეულებრივად ის, რისიც მომკა ნამდვილ ინტელლიგენტისა და ოპოზიციონერისათვის სასურველი არ არის! დღეს აკაკიზედაც თქვენი იერიში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ძველი კუდის მოქნევაა, რომელსაც მაჩაბლის დროს აქნევდით და მოწინააღმდეგე და უსიამო პირები მოფარცხეთ...

— ბ. აკაკი წერეთელი ესარჩლებოდა ჩიკვაიძეს, მისი ვექილი იყო და ჩვენ გვამტყუნებდაო. ბრძანეთ და ვითომ საბუთებიც მოგაქვსთ? მართალია, აკაკის ბევრი არა უთქვამს-რა ბანკის შესახებ, თქვენსავით საპირადო საბუთებისათვის არ წაუვლია ხელი, მაგრამ რაც საჭირო იყო, ის-კი არ დაუკლია. და თუ აკაკის ბანკის მმართველობა პასუხს არ აძლევდა მის კითხვებზე და თქვენ-კი სიტყვას გიჭრიდათ და გამტყუნებდათ, ეს მიტომ, რომ თქვენ ნამეტანი მოინდომეთ: აკაკის საბუთებს რომ აღარ სჯერდებოდით, მიანცა და მაინც გინდოდათ, რომ ბანკის შეცდომები ბოროტ-მოქმედებით და ბოროტ-განზრახულებით აგეხსნათ, და ხომ გაგიგონიათ: „ქორო, ბევრისა მდევარო, ბევრჯ ლ დარჩები მშიერი“... ახლად შევამოწმოთ აკაკის საბუთებიც:

1) დასამტკიცებლად ბანკის თვით-მნებელობისა და ზოგიერთ უწესობისა ისეთი საბუთი მოიტანა აკაკიმ, რომელიც უტყუვრად ეჭირა ხელში, ე. ი. რაც თვითონ მას გადახდომოდა და მისდამი მინიჭებულ პენსიას. აქ ჩიკვაიძისა და ბანკის გასამართლებელი რა იყო? მაგრამ თქვენ-კი მაინც კიჟინასა სცემთ: თავის თავზე ილაპარაკა და პენსიას თხოვილობდა!.. საქმე ის-კი არ არის თავის პენსიაზე ილაპარაკა, თუ თქვენ მზითევზე, საქმე საბუთია და, ვგონებ, იმის ერთი საბუთიც უფრო საფუძვლიანი იყო ყველა თქვენ ჩამოლაკლაკებულ საბუთებზე!..

2) „რა მიზეზია, რომ ბანკს, რაც მამულები დარჩენია, იმათ დღეს ერთი გროშიც აღარ შემოაქვთ? ეს უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გამოვიძიოთ, ვინც დამნაშავეა მოვჰკითხოთო“. მართლაც რომ ეს მწვავე საკითხავი იყო... ამასაც თქვენ თქვენებურად ხსნით და ამბობთ: „ეს აკაკიმ ბანკის მმართველობის და ჩიკვაიძის მომხრეობით სთქვაო!“

„რათა სთქვა: ვინც დამნაშავე გამოდგესო? და რატომ პირ და პირ ჩიკვაიძე არ ახსენაო?“—მოდი და ახლა შეაგონე ამ გვარად გადარჯულებული და გაკერპებული კაცი.

3) აკაკიმ ჩიკვაიძე უქო საზოგადოებას: „„სიცოცხლით სავსე და მარჯვე დაუძახაო“. სტყუის კიტა აბაშიძე და განზრახაც სტყუის!.. აი რა სთქვა აკაკიმ, სიტყვამ რომ მოიტანა: „ჩიკვაიძის სიცოცხლით სავსე მოძრაობას რომ ვუყურებ, გული მწყდება და ბატ. თავდგირიძის გულწრფელი მღელვარება მეხარბებაო“. ნუ დაივიწყებთ, რომ თავდგირიძე ჩიკვაიძის ცხარე მოპირდაპირე იყო და ცდილობდა ჩიკვაიძის გამტყუნებას, და იმ კაცზე სთქვა აკაკიმ საჯაროდ კრებაში: „მისი გულწრფელი პირ-და-პიროობა მეხარბებაო“. მისთანა გონება-ჩლუნგი ვინ იქნებოდა იმ კრებაში, რომ ამის პირ-და-პირი აზრი ვერ გაეგო? რა თქმა უნდა, ბ. კიტა აბაშიძეც გაიგებდა, მაგრამ ბოროტ-განზრახულება ალაპარაკებს. თუ ეს ასე არ იყოს, რად მოკვეცა ბოლო აკაკის სიტყვებს და თავდგირიძეზე ალარა სთქვარა! რად ჩაფუჩეჩა? ასე ხომ წმინდა მამების ლოცვა-ვედრებაც შეიძლება გადაამახინჯოს ვინმე ურწმუნომა და ურჯულომ?! სწორედ ამ გვარის უწმინდურის ხერხითვე ეპოტინება იგივე კიტა წმინდა მღვდელ-მთავარს; ერთგან თავისს მოგონებაში აკაკი მოგვითხრობს, თუ რა საუბარი ჰქონია ერთხელ გაბრიელ ეპისკოპოსთან. ისეთი მოწიწებითა და შეფრქვევით იხსენიებს მღვდელ-მთა-

ვარს, ისეთ დიდ-ბუნებოვან კაცად გვისახავს, რომ მეტი ალარ შეიძლება და სწუხს, რომ დღეს მისი მსგავსი ბევრი ალარავინა გვყავს. მე ეს ადგილი ორჯელ-სამჯელ გადავიკითხე სიამოვნებით. კიტა აბაშიძე-კი სცდილობს დაგვარწმუნოს, რომ აკაკიმ მღვდელ-მთავარი, ის კაცი, რომელიც ჩვენ წმინდანად მიგვაჩნიაო, გაჰკიცხა და შეურაცხ-ჰყოო. ნუ თუ აქაც გაუგებრობა და გონება-ჩლუნგობაა დამნაშავე? არა! აქაც კიდევ ის იარაღი, რომელსაც კიტა და მისი წრის გმირები ხმაროობენ, რომ ქვეყანა მოატყუონ და თავისი გაიტანონ!.. ამ გვარი იარაღი ერთხელაც იხმარეს ბ. ილია ხონელის საწინააღმდეგოდ და ჯვაროსანთა ომი გამოიწვიეს, მაგრამ მაშინ კიდევ ეშმაკური მოსაზრება მაინც ეტყობოდა იმ ხერხს: ხონელი სწერდა გაბრიელის შესახებ უცხო ენაზე, იმას ბევრი ქართველი ვერ შეამოწმებდა და უნდა სხვისი ნათქვამი დაეჯერებია და ახლა-კი, აქ, აკაკი სწერს ქართულად და მისი წაკითხვა, გაგება და შემოწმება კიტას სიტყვებთან ყველას შეუძლია. ვინ ვერ მიხვდება, რომ უკუღმართის სურვილებით გატაცებული კიტა აბაშიძე თვითონ შეხებია უწმინდურად სიწმინდეს?..

4) აკაკი ამბობს: ჩიკვაიძემ თავმდაბლობით, პურლვინით, პატივის-ცემით, ჭირში და ლხინში თანა-მოზიარობით დაბალი ხალხის გული მოიგო და ეს კარგი ხერხიაო! თქვენც მიჰბაძეთ, მოიგეთ მათი გული, და თუ ის ბოროტად ხმაროობს, თქვენ კეთილად მოიხმარეთო. ესეც თავისებურად ესმის ბ. კიტასა და კომპანიას: „აკაკი გარყვნილებას გვიქადაგებს და თათქარიძეების დროს შენატრისო“... აბა ამაზეა ნათქვამი: „ენა ყოლიფერს იტყვის, ძვალი არა აქვსო!..“

სიბრძნის უფლობას რომ ალარ ჯერდება კ. აბაში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძე, ოხუნჯობაც უნდა გამოიჩინოს და დასცინოს აკაკი:
„არა თუ როგორც მოქალაქე და პუბლიცისტი უგნური და მავნებელია აკაკი წერეთელიო, პოეტადაც აღარ ვარგა და ესთეტიური გრძნობაც-კი დაჰკარგვიაო“:
„ჩიკვაიძეს რომ კლიენტად გაჭირვებული გლეხი კარზე მისდგომია, ჯერ სანამდი უსასყიდლოდ საქმეს გაუკეთებდა, ჩიკვაიძეს სამზარეულოში შეუგზავნია მშიერი და იქ უჭმევინებია სადილიო!..“ და აი რა მოსწონს ჩვენ დიდ-პოეტსო. „რა შუაშია აქ ესთეტიკა? ეტყობა, რომ თქვენ, ბატონო ოხუნჯო, კიტა აბაშიძევ, არც მოქალაქეობა გესმისთ, არც პუბლიცისტობა და არც ესთეტიკა! და თუ გესმისთ, გინდათ რომ თქვენვე პაწაწინა გულსა და კუჭს შინა-ყმად გაუხადოთ!... ეჰ, რომელი ერთი გითხრათ? განა თქვენისთანა თავ-აშვებულებს თავი დაევლებათ მაშინ, როდესაც მარცხნივ გადაირბენთ, თუ მარჯვნივ, თქვენთვის სულ ერთია?!.. მაშინ, როდესაც დაბეჭდილ საბუთებსაც-კი თვალსა და თვალს შუა ამახინჯებთ და თქვენებურად ჰხსნით, რომ მოგვატყუოთ, რაღა უნდა ვსთქვათ იმ ჭორებზე, რომელსაც თქვენივე დასი აგრცელებს ხალხში, ძველის პროგრამით, და თქვენც ვითომ საბუთებად მოგაქვსთ? ამის პასუხი მკითხველების გრძნობა-გონებისათვის მიგვინდვია, ჩვენ არას გეტყვით. მაგრამ ყველაზე უფრო სასაცინო ის არის, რომ თქვენ, როგორც მეთაური ინტელლიგენციისა და ჭირისუფალი ოპოზიციისა წუწუნით ათავებთ თქვენს გოდებას:
„რაიცა შეეხება იმერეთის ინტელიგენციას მისი წლევანდელი დამარცხება, ფაქტიური და ზნეობრივი, ყოველს ეჭვს გარეშეა. ინტელიგენციის ცნობილმა წარმომადგენლებმა თ. აკაკი წერეთელმა, გ. წერეთელმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ბაქრაძემ, ს. თოფურიამ თვისის მოქმედებით სწორედ სახელი გაუტეხეს ამ ინტელლიგენციას მთელს საქართველოშიო“.

მგელი რომ ზუილს მოჰყვება: „ვაი, დაიღუპენ საბრალო ცხვრებიო ძაღლებისა და მწყემსების ხელში, მით რომ მე და ჩემისთანაებს კუდი ამოგვაძუებიეს და გაგვიფრინეს ფარეხიდანო!“ — სასაცინო ჭეშმარიტებაა!.. ბ-ნო კიტა აბაშიძევ! მართალია, მეთაურობას ჩემობთ, და თავი ინტელლიგენციის და ოპოზიციის ჭირისუფლად მოგაქვსთ, მაგრამ ჯერ კუდი დაიმალეთ და მერე იზუვლეთ!.. თუ მართალია, რასაც ბრძანებთ, პატივი და დიდება თქვენგან დასახელებულ პირებს! ამათი წყალობით კი არ დამარცხებულა ოპოზიცია, გარნა განწმედილა და განბანილა უნებლიედ მოდებული ჩირქისაგან!.. თქვენისთანა კიტაების და კიტარუსების გამტყუნება, გულ-წრფელი ოპოზიციის და ნამდვილ ინტელლიგენციის გაწმენდა და გასპეტაკებაა... ღირსეულ ოპოზიციას თავის დღეში სახელი არ გაუტყდება. და ქუთაისის ოპოზიციაც ამიერიდგან იქნება და მათ გვერდშიაც თქვენგან გაკიცხული კაცები და მათთანაები იდგომებიან, მაშინ სადაც თქვენ და თქვენისთანა შეთქმულები შორს იქნებით, არა მარტო სულით და გულით, ხორცითაც-კი...

მაგრამ კმარა თქვენგამო ამდენი საუბარი! უკანასკნელად აგხდით პირ-ბადეს და გაგითავებთ! თქვენ არც ინტელლიგენცია გწამთ ისე, როგორც საწამებელია, და არც ოპოზიცია. ხელსახოცად, პირ-ბადეთ და იარაღად ხმარობდით ყოველივეს, და დღესაც ისე გინდათ, რომ იხმაროთ... ბანკის მმართველობას მიტომ ებრძოდით, რომ გადაგეგდოთ ისინი და მათ ნაცვლად თქვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრის კაცები დაგესვათ და მით ძალი და გავლენა მოგეპოებიათ თქვენ საპირადო საქმეების წარსამატებლად. ჩიკვაიძის მოპირდაპირე დ. ლორთქიფანიძე გულ-წრფელი მსხვერპლი იყო თქვენი გულდაფარული ფარისევლობის: ამას ვერც მატერიალურად და ვერც ზნეობრივად ბანკის თავმჯდომარეობა თუ რამეს დააკლებდა, თვარა ვერას შესძენდა! მაგრამ დაგეთანხმათ და რას წარმოიდგენდა, თუ თქვენ სულ სხვა გქონდათ სახეში? ის მხოლოდ გზად და ხიდად გინდოდათ, რომ მის შემწეობით საკერაო ცეცხლი დაგენთოთ და მერე უშიშრად, იმ თქვენი მოწონებული კაცის გვერდით ხელები გეთბოთ!..

დასასრულ კიდევ სხვა რამეზე უნდა ვსთქვა ორიოდე სიტყვა: ყველგან ყოფილან და იქნებიან ფარისევლები და არა-წმიდები, რომელნიც ცხოვრებას ჭრყვნიან და აურჯულოებენ!.. ჩვენშიაც რომ იყონ, რა გასაკვირველია? მაგრამ ის-კი მაკვირვებს, რომ ზოგიერთი ბატონები ქართულ ჟურნალ-გაზეთებში საფარს იკეთებენ, რომ იქიდან ნიშანში ამოაღებინონ ხალხის ერთგული და ხალხის საყვარელი მოღვაწეები!.. მისთანა პირებს, რომელთაც თავის ხანგრძლივ ცხოვრებაში, ჩვენი ქვეყნისათვის, არა თუ არა გაუკეთებიათ-რა, პირ-იქით ბევრი ვნებაც მოუტანიათ, პატივისცემით ვიხსენიებთ და იმათ-კი, რომელთაც ქვეყნისათვის სულიც და გულიც შეუწირავსთ და მტლად ედებიან, ერთი რომელიმე უსაფუძვლო მტრისაგან გამოგონებულს მიზეზის გამო, დედა-მიწასთან ვასწორებთ! ქვასა და ტალახს ვუსვრით და ესეც რომ ცოტა გვგონია, დასაღუპავადაც ეღარ ვზოგავთ: „აკაკისაც უნდა მაჩაბლის დღე დავაყენოთ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიშოროთ, ან დავჭარგოთ და ან სიკვდილითო!" *) ნუ თუ ეს გასაგონადაც საზიზღარი არ არის?.. ალარც მაღლა ღვთის გვეშინია და ალარც დაბლა კაცის გვრცხვენიან?!.. გუშინ მაჩაბელი დავლუპეთ, დღეს აკაკის ვემუქრებით, ხვალ თოფურიას და გიორგი წერეთელს გავსწირავთ, ზეგ ბაქრაძეს!!..

მერე და რა ანგარიშია? სხვა რომ არა იყოს-რა, ვინ უნდა გაგვიწიოს მათი მაგიერობა? გონიერი კაცი ვირსაც არ იყიდის, რომ არ გაატარ-გამოატაროს, არ გააჩინჩრიკოს და არ გასინჯოს! ჩვენ-კი ჩვენი ცნობილი მოღვაწეები გვინდა ჩავქოლოთ და მათ ნაცვლად ის ბიჭ-ბუჭაები გამოვიყვანოთ მოედანზე, რომელთაც იმ ძველი მოღვაწეების ნასუფრალის და ნათალის მეტი არა უჭირავსთ-რა ხელში და მით მოაქვთ თავი? სწორე მოგახსენოთ, დიდ მოგებას ვნახავთ, თუ ისინი, ვის თავზედაც მაცხოვრის მადლით კალთა დაბერტყილა, დავლუპეთ უმიზეზოდ, და მათ ნაცვლად სათაყვანოდ გავიხადეთ ვინ!.. ვინ!..—სირცხვილია!.. სირცხვილი!! ჩვენივე თავის დამდაბლება და განწირვა!.. მე-კი ასე მითქვამს ჩემ-და თავად, და სხვამ სხვისი იცის.

ასზდგარ-კარეთელი.

---

*) ბერძო წერილიდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქუთაისის სამეურნეო სკოლის გამოფენა.

I

გათენდა ცხრამეტი ენკენისთვე. თუმც საშინელს ზენა ქარს მტვრის ბურანში გაეხვია მთელი ქუთაისი, მაგრამ მაინც აურაცხელი ხალხი მიისწრაფოდა სადღაც. ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, ყველანი ეტლით თუ ფეხით მირბოდენ ფერმისკენ; ყველას მიაქროლებდა იქით ცნობის-მოყვარეობის ფრიალა ფრთები.

თვით ქუთაისის ფერმას და სამეურნეო სკოლას აჩნდა არა ჩვეულებრივი ფერი. ისინი მორთულ-მოკაზმულიყვენ თეთრ-ლურჯ-წითელა პაწაწა დროშებით და გაგონებდენ ორს ზარმაცს პატარძალს, რომელთაც ესესაა დაუბანია პირი, შეუღებია წარბები და ტლანქად შეუცხია ფერ-უმარული. გიღიმოდა იქ ყველაფერი, ყველაფერს დატსყობოდა სადღესასწაულო ელფერი. იქ კოპწიაობდა ყოველივე რუსული წარწერებით, ვით ქუთაისის ბულვარის ახალ მოდის „ბარიშნები" რუსული ტიტინით. გაეხუფთავებიათ გზა-ბილიკები, გაეწმინდათ გულ-ცივად მიგდებული ბოსტნის კვალები, მოესპოთ ხის ძირებშიაც-კი მარჩობელა ბალახები, დაეწყოთ გძელი სკამები, რგვალი მაგიდები და დაეკიდათ ჭრელა-ჭრელა ფონესები. ერთი სიტყვით დაცქრიალებდა ყველგან ფერისცვალების ანგელოზი. ხოლო დარჩენილიყვნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერ-უცვლელად ორი რამ: მკვირცხლი, დიდებული, ფაზისი და ბ. ნ. მკურნალის ხრინწიანი ქათმები. იქ დაბლა მიჰქროდა შფოთით და წყრომით კისკასი რიონი, ეს მარდი მთიული; მხოლოდ იგი გაურბოდა „ვისტავკას"; თითქო მას ერთს შეეგნო გამგე კომიტეტის ნაკლი და უთაურობა. იგი კაი ხანია განშორებია, ვით გულ-გაცუდებული მიჯნური, თავის კოპწია მოღალატე სატრფოს, ე. ი. ფერმას; მას აღარ მოსწონს ეს ბებრუცუნა მაცდური, იგი აღარ ეხვევა კვლავინდურად, არ ელოლიავება მის სხეულს, არ უგალობს მას სატრფიალო ძილის პირს...

ზევით-კი, ბრეკზედ, სკოლას უკან საოცრად მოეწყინათ ქათმებს, ჩამოეშოთ საცოდავად ფრთები, გაშავებოდათ ბიმბილი და გაჰქონდათ შესაბრალისი თხიპინი. ეს საბრალო არსებანი თითქო შეესჩიოდენ ცასა და დედამიწას თავიანთ შავს-ბედს, თითქო აცხადებდენ პროტესტს, თითქოს ითხოვდენ აქიმობას და გაჰყიოდენ: „უმეცარ მკურნალი ნუ გგონიათ კარგი მკურნალიო!" მაგრამ აბა ვინ უგდებდა ყურს ამ დროს მათ სამართლიან ჩივილს! აბა ვინ მიაქცევდა ყურადღებას სადღაც მიმალულთ ბეჩავ არსებათ! მათ მიკნავებულ ხმას ახშობდა იქვე ფარეხში ხვადაგის მამაცური ბღავილი და რუსული მუსიკის გასართობი ჰანგები.

II

კედლის საათმა დარეკა პირველი და ბათუმიდან მოტანილ დიდებულ ბანანით შემკულ სკოლის დარბაზში გაისმა გალობა. შეუდგენ სამშვიდობო ლოცვას... ყველა ეშურებოდა ენახა, თუ რას წარმოადგენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეს ახალი ხილი, ეს ქუთაისის სამეურნეო გამოფენა.

უმთავრეს დარბაზში უზარმაზარ ბანანის შვენიერ ფოთლებ ქვეშ კიაფობდენ მხიბლავიდ ლამაზად დაწყობილი ღვინით სავსე სუფთა ბოთლები. მარჯვნით ღვინით სავსე ბოთლების მაღალ კონუსს ზეიდან დასტრფოდა... ანგელოზი. ნუ თუ ლოთი, მოარშიყე ბახუსი მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს გარდიქმნა უმანკოციურ ანგელოზად?! ეს გამოფენის საიდუმლოებაა და ვკითხოთ ისევ მის გამგე კომიტეტს. მის გვერდით გაეპოთ კასრი და დაეწყოთ შიგ შვენიერი სასმელები და ღვინოები, ყანწები, აზარფეშები, კულები, ერთი სიტყვით ყოველივე სალხინო კუთვნილება, მხოლოდ აკლდა ჩვენი დარდი-მანდი, ლოთი-ბაში ჩოხიან-ხანჯლიანები და არღანი, რომ გამართულიყო ჩინებული ლხინი. მარჯვნივ წითელ მაუდის პირამიდას ამკობდენ ისევ ღვინის ბოთლები და ქვეშ ეწყო თეფშებზედ უშნო, ულაზათო ყურძენი და მაზედ მიკრულ ქაღალდებს ამკობდა... ტიკუნია გე—ნის ქალი და საქარის სანერგე. იმავე დარბაზში ნახავდით რამდენიმე დამპალს ხილს, გარჩეულ-გაურჩეველ სიმინდს, დაჭკნარს თალგამს და სტაფილოს, ხახვსა და პილპილს, ლამაზად ჩაწყობილ თაფლს, ფრიფად გამხმარ უგელს და მსხვილ კვახებს. იქვე გვერდით ერთი პაწია ოთახი ეჭირა ქუთ. საცდელ მინდვრის ნაწარმოებს. აქ მნახველის ყურადღებას იქცევდა გარჩეულ-გაურჩეველი ბამბა და უზარმაზარი თეთრი კვახი (გოგრა).

მთავარ დარბაზის მარცხნივ, სკოლის საიჯრე ოთახში მოუთავსებიათ სამეურნეო სახელსაქმო დარგი. აქ ერთ კუთხეში ძველებურ ნოეს დროის საფეიქრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედ და პრიმიტიულ ჯარაზედ სცქრიალობენ ორი ლამაზი ქალიშვილი და ხიბლავენ მნახველთ უფრო შავი თვალებით, ვინემ მუშაობით. იქვე ერთი პაწია ქალი ქსოვს მანქანაზედ წინდას. იქვე აწყვია თაფლის ფიჭები, სარაჯი და კიდევ თაფლი და თაფლი. იქვე ბზინავენ სამხედრო დეზიანი „ლაკიროვანი“ ჩექმები და პაწაწკინტელა „ტუფლები“, იქვე ქუდები და სამოსელი; იქვე საათები და ალმასები, იქვე ქრისტეს ხატი და საბუხრე ანგურები... ღმერთო ჩემო! ნეტა რა საერთო აქვს ამაებს ერთმანეთში, ან სამეურნეო ნაწარმოებთან? მხოლოდ ალაჰმა უწყის! მაშ მივანდოთ ამ ამიცანის გადაწყვეტა გამოფენის გამგე კომიტეტს, და ჩვენ მოვისმინოთ იქვე ბ. მამაჯანოვის მუსიკა. აი მიუჯდა პატივცემული გამომგონე თავის მუსიკალურ საკრავებს, შეეხო თითებით მათ შავს ენებს და აღმოახდინა ერთიდან დუდუკის, დოლის, ზურნის და სალამურის საამური ხმები. შეულოცა მეორეს და გააწკრიალა საზანდრის ნაზი ჰანგები. მე გაოცებით შევცქეროდი ამ ჩვენ დროის პითაგორს, მოქეიფე ჩოხიან-ხანჯლიანები ხომ სიხარულით ფრინავდენ; მესტიანი ფეხები-კი ესხლიტებოდათ საცეკვაოდ, ვით კურდღლის დანახვაზე კარგად დაგერშილი მწევარი.

სწორედ ქება-დიდების ღირსია ბატონი მამაჯანოვი. ამ საკრავებით მან შეჰქმნა ახალი ხანა და გაუთენა რენესანსი ჩვენს ლოთი-ბაშებს. მაშ ძირს ძველებურო ზურნა-დუდუკო! გაუმარჯოს ახალ-მოდის ზურნა-საზანდარს! გაუმარჯოს ახალ ქეიფს და დროების ტარებას!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

III

მოგაწყინე თავი მკითხველო, სულ ეროგვარი სურათებით. აბა, მიბოძეთ ხელი, მსურს გაგაცნოთ ის, რომელიც იყო მთელი გამოფენის შვენება და გვირგვინი. აბა მობრძანდით. აი აბრეშუმეულობით სავსე ვრცელი ოთახი. აქ ამკობენ კუხის ამხანაგობის დარაიები, ტაფტები და „ლენტები“, აქ იზიდვენ თვალებს გურიის შუამავლის ნაქსოვები, აქ გხიბლავენ ფოტინე ჩხეიძის და სხვა ქართველ მანდილოსნების შვენივრად ნაქარგი ბალიშები და მუთაქის პირები, აქ გიტაცებენ საყნოსავად და მოსაწყვეტად კემულარიას ქალების ხელოვნური ვარდები, ყვავილები და თაიგულები; აქ საამურად ულიტინებენ თვალებს აბრეშუმის პარკები, ძაფები, თავ-მანდილები, ნაქსოვები და კიდევ ნაქსოვები. მხოლოდ...

მაგრამ ყველაზე უფრო ჩემი და სხვა მრავალთა ყურადღება მიიზიდა ბ. ტრიფონ ღამბაშიძის ნაწარმოებმა და იმისავე ფრანგულ ენაზედ მეაბრეშუმობის მთელმა კურსმა. აქ იყო პაწაწა მინუშებად გამოფენილი მის მიერ ლიონში (საფრანგეთში) ნაქსოვი აბრეშუმეულობა: ტაფტა, სერჟე, სატენი (ატლასი), ხავერდი და ბევრი სხვა რამ. ეს სუფთა და ნაზი ნაწარმოებნი ძლიერ განირჩეოდენ სხვების ტლანქ ხელობასთან. მაგრამ ყველაზე უფრო სანუკარი იყო ღამბაშიძის მიერვე მოქსოვილი ორი ფარჩა, რომლებშიაც ერთში ჩაქსოვილი იყო ქართული ასოებით „აკაკი“ და მეორეში-კი „ვახტანგ“. ეჭვი არაა ეს პირველი ფარჩა იყო გაკეთებული ჩვენ საყვარელ მგოსნის პატივ-საცემელად. მრავალმა ქალმა, მოხუცმა თუ ახალგაზდამ ისე მოიწონეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ორი ნაქსოვები, რომ მოისურვეს ეყიდათ იქვე „თეთ-
თა სრუბაშკე“ ე. ი. საპერანგე... ახლა-კი მთლად ერ-
თიანად „აკაკით“ აპირობენ შემოსვას?! მისი კაბები...
ოჰ, ღმერთო! ეს რა სასჯელი მოუვლინე კიდევ ქართ-
ველ პოეტებს!..

IV

მკითხველო ამთქნარებ?! აი მოგიკვდა ჩემი თავი!
მოგწყინდა განა?! მაშ წამობრძანდით ბალში; აქ ცხელა,
სავსეა ხალხით, ვიწროობაა; იქ გავისეირნოთ წმინ-
და ჰაერზედ, ვიხილოთ სამუშაო იარაღები და მანქა-
ნები, ვნახოთ პატივცემული ქათმები, იხვები, ბატები,
უკუდო ფარშავანგი და ყვითელი ინდოურები; ვიგე-
მოთ ხილი და ცივი წყალი, და თუ გნებავთ, სადმე ხის
ჩრდილშიაც წამოვგორდეთ, სადაც არშიყობაც-კი არაა
დაშლილი. მაშ წამობრძანდით! მივიდეთ სამუშაო მანქა-
ნებთან. ხედავთ, როგორ მისევია სოფლის ხალხი! ათვა-
ლიერებენ გუთნებს, სახნისებს, ფარცხებს, საჭრელს,
სათესავს და სალეწ-სანიავებელ მანქანებს; აქვეა მამა-
ჯანოვის სალეწი მანქანაც; მზერენ ხილის და ბოსტნე-
ულის სახმობ გძელ მანქანას, რომელიც ამ დროს მო-
ქმედებაშია. ყველა ესენი ფრიად აინტერესებს ხალხს,
სურთ ვინმეს მიმართონ, სურთ, რომ გაიგონ მათი ღირ-
სება, ნაკლი, მნიშვნელობა, ფასი, ხმარება და სხ. მაგ-
რამ ვინაა პატრონი! ვინ აუხსნის მას!...

აი მოჯგუფდა ხალხი ფრინველთა განყოფილებას-
თან, მივიდეთ ჩვენც. შუაში ტალახიან აუზში ჭყუმპა-
ლობენ ორი თეთრი იხვი და გააქვთ მხიარული ჩხივ-
ჩხივი. ამათ თითქო ფეხზედ ჰკიდიათ ეს ახალ-მოდის
„ვისტავკა“ და გრძნობენ სრულ თავისუფლებას. ირგვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივ გალიებიდან მოწყენით იცქირებიან სხვა-და-სხვა ევროპიული და აზიური ჯიშის ქათმები, სადა და აბურძგნულ ბუმბლით; აქვე ამწყვრევია ბატები, ორიოდე ინდოური და კუდ-მოფრცქვნილი ორი ფარშავანგი. ესეც ფრინველთა გამოფენა!

ვიცი არც ეს გაკმაყოფილებს, მკითხველო. ახირებული ბრძანდებით ღმერთმანი! აბა რა ჰქნას მეტი გამგე კომიტეტმა! ახლა, თუ გნებავთ, წავიდეთ ფარეხში და შინაური ოთხ-ფეხი ცხოველებიც ვნახოთ. აბა მივიდეთ, მაგრამ ბრთხილად, ბატონო, კარებში მგელმა არ გიკბინოთ, ან არ შეგაშინოთ. მაგ საძაგელმა ბევრი მნახველი და მეტადრე მოსწავლე ბავშები დააფრთხო.

— „აქ მგელს რა უნდა, ხომ არ ხუმრობთ?“ არა, ბატონო, არ ვხუმრობ, მობრძანდით და ნახეთ. ხომ ხედავთ კარებთან მიბმულ მგელს, როგორ მიჰკვრია ფერდი ფერდს შიმშილით! როგორ უკრიჭინებს კბილებს იქვე მიბმულს ორს ხარს, სამ ცხენს და ერთს დიდ ძროხას ხბოიანად! როგორ ასკდება უბედური გამწარებით ერთი მხრიდან მეორესკენ, მაგრამ მაგარი თოკი განა გაუშვებს?!

— „ნეტა, რად უნდათ აქ ეს მშიერი მგელი?! განა ესეც სასარგებლო შინაური პირუტყვია?! განა მგლებიც მოაშენეთო გვეუბნებიან?!“

აბა მე რად მკითხავთ, ბატონო! აბა ჩემისთანა უბრალო მომაკვდავი როგორ მისწვდება მაგ სიბრძნეს! იქნება მიტომ მოიყვანეს ეს მგელი, რომ გვამცნონ თითქო ყველა ჩვენი ცხვრები მგლებმა შეჭამესო და მიტომ გამოფენაზედ ერთიც არ არისო? იქნებ მიტომ მიაკრეს ეს მგელი, რომ მიაჩვიონ ტყის ნადირებს ძრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხები, ცხენები და დაუკარგონ მათ შიში? იქნებ ძალიან მიაკრეს აქ ის საბრალო და აწვალებენ ასე ტანტალისებურად, რომ გვამცნონ, თქვენც რომ მგელი დაიჭიროთ ასე უყავით მაგ მყრალებს, იქნებ დაშინდენ და მიატოვონ ცხვრების ტაცებაო იქნებ... არა, ბატონო, ვერ ვწვდები მაგ სიბრძნეს!...

V

— „ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ თვით ქუთ. სამეურნეო სკოლის ნაწარმოებნი სადღა არიან მოთავსებულნი?! ნეტა, შეიძლება მათი ნახვა?!“

— დიახ, ბატონო, მობრძანდით ისევ სკოლაში! ამ ცალკე ოთახში გახლავთ!

— აქა?!—დიახ, აქ.—მერე აქ რა არის? აქ ხომ მხოლოდ წიგნებია განჯინებში, რვეულებია, მისნობის ფონესის სურათები მინაზედ, ისე უბრალო ცხოველმცენარეთა ნახატები, ერთი ცალიერი ბუკი, ერთიც თაფლის საწური, სამუშაო იარაღების ხის პაწია მოდელები და სხვა რაღაა, მითხარით ერთი?! ნუ თუ თვით სკოლას ეს ექვსი წელიწადია არაფერი უკეთებია?! ნუ თუ მას არ ჰქონდა თავის საკუთარი ყურძენი, ხილი, ღვინოები, აბრეშუმი, ჭირნახული, ბოსტნეულობა, ხვადაგი, ფრინველები, თაფლი, ბამბა და სხვა რამ?! რატომ არ არის ყოველივე ეს გამოფენაზედ?!..“

სხვა რამეებიც ხალხის გასართობი და სასარგებლო. თვით ფერმაში საღამოობით უკრავდა მუსიკა; ორსამჯერ გამართეს აბაზიანი სასეირნოები ილიუმინაციით. მაგრამ ყველაზედ უფრო საგულისხმო იყო სახალხო კითხვები. პატივცემული ლექტორები შეჰკრებდენ აურაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელ სოფლის ხალხს და უკითხავდენ გატაცებით ლექ-ციებს იაპონურ ხურმაზედ, ჩინეთის ჭინჭარზედ და სოიაზედ; ხოლო უკვირდათ, რომ სავსე აუდიტორია უეცრივ ცალიერდებოდა და კარგი ბიჭობა იყო, თუ ათიოდე კაცი შერჩებოდათ; ბევრიც მხოლოდ ცალიერ კედლებს უკითხავდა ლექციებს. რა იყო ნეტა ამის მიზეზი?...

VI

ახლა ორიოდე სიტყვა თვით გამოფენაზედ საზოგადოდ. ჩვენის აზრით სამეურნეო გამოფენას აქვს ორი უმთავრესი მიზანი: 1) შეაქუჩოს ერთად და გააცნოს ხალხი სხვა-და-სხვა კუთხის ნაწარმოებს, აჩვენოს თვალ-და-თვალ თავიანთ ნაწარმოებთა ნაკლი და ღირსება, აღუძრას ცოდნის და გაუმჯობესობის სურვილი, გაამხნევოს იგი და გაათამამოს სამოქმედოდ. ამ შემთხვევაში ხალხი სწავლობს, ითვისებს ახალს განვითარებულს წესებს და მიდის წინ. და 2) გაუხსნას ხალხის ნაწარმოებს ბაზრები, უშოვოს მუშტრები და მით ასწიოს ხალხის ეკონომიური მხარე. ამ მეორე მხარეს აქვს კომერციული ხასიათი.

ახლა ვიკითხოთ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ქუთ. სკოლის სამეურნეო გამოფენა? მას ერქვა სახალხო გამოფენა. იყო-კი სახალხო?! არა ვგონებ. იქ მეოთხედი და მეხუთედი ექსპონატებიც-კი არ იყო სოფლის ხალხიდან, დანარჩენი-კი სულ დიდ მემამულეთაგან, ვაჭართაგან, ინტელიგენტ პირთაგან და სკოლებიდან იყო წარმოდგენილი. რად იღებდა სოფლის ხალხი თავის ექსპონატებით ასე მცირედ მონაწილეობას? ნუ თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი მოუმზადებელია ჯერ?! სრულიადაც არა, ვმის უმთავრესი მიზეზი იყო გამოფენის გამგე კომიტეტი და მისი უხეირო აგენტები. ეს კომიტეტი გვიან შეუდგა მოქმედებას, თან დროით არ ამცნო ხალხს და არ შეაგნებინა გამოფენის მნიშვნელობა...

უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ შემდეგ გამოფენისათვის გაასწორებენ ამ უდიდესს ნაკლს და ხალხსაც მიაკუთნებენ ვრცელს, აქტიურ როლს. დასასრულ, მაინც ვიტყვით: მადლობის ღირსნი არიან პატივცემულნი კომიტეტის წევრნი, რომ უანგაროდ ემსახურენ ამ წმინდა საქმეს და არ დაიშურეს თავის შრომა და უნარი. ხოლო შემდეგში ვეცადოთ, უკეთ მოეწყოს ამგვარი საქმე და გამოფენას მიეცეს თავის უზენაესი დანიშნულება...

მიცანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ უ ჯ ა რ ი.

შაჰ სულთან ხოსენისა...

„ქ. რომელი უფლებს ცათა შინა და ქვეყანასა ზედა და რომლისა მიერ იქმნეს ყოველნი ხილულნი და უხილავნი და რომელსა უძრწიან ძალნი ზეცათანი და წამის ყოფით ყოველსავე განაგებს არსისა არსთა თვითოეულა განმგებელისა უცვალებელისა უსაზღროსა ძალ განუზომელისა მიუწდომელისა გარეშემოუწერელისა დაუსაბამოსა უხილავისა რომელსა ანგელოზნიცა თვალთ შედგმად ვერ იკადრებენ და ყოველნი უსხეულონი და სხეულოვანი დიდების მეტყუელებენ და ძენი კაცთანი ვერ მისწთვებიან განგებულებათა მისთა და რაოდენ შემძლებელ არიან ადიდებენ და თაყუანისცემენ ყოველთა ხილულისა და უხილავისა შემოქმედისა ღვთისა შეწევნითა და ძლიერებითა ძირტომობით წყალობითა ღვთისითა ამაღლებულმან იასიან დავითიან სოლომონიან პანკრატონიანმან ყოველთა დიდთა კელმწიფეთა უამაღლებულესის და უწარჩინებულესის ღვთისა განგებით ქუეყანათა ზედა მოსამართლედ დადგინებულის სვე სვიანობით სახელ გაფენილის ერთგულთა ზედა წყალობა უხვად მიმნიჭებელის და ორგულთა მათთა ძირითურთ აღმომფხვრელის მზისა შარავანდედებრ ქუეყნისა განმანათლებელის დიდის ეჰრანის ტახტ სახელმწიფოს მპყრობელ განთავისუფლებით მქონებელის ბედნიერის ყეენის მიერ შვილურებრ აღზრდილმან და მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერვე წყალობა მონიჭებით გამეფებულმან ღთივ, გვირ-
გვინოსანთ ცხებულთა ღვთისათა პატიოსანთ მეფეთ ძე-
მან რანთა და კახთა მპყრობელ მმართებელ გამგებელ
მჭონებელმან მეფეთ მეფემან დავით იმამყულიხან და
დედამან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან
ანნამ სასურველ საყუარელმან ძმამან ჩვენმან ერევნის
ბეგლარ-ბეგმან კოსტანტინე მაჰმად ყულიხან და პატ-
რონმან თეიმურაზ და ძემან ჩვენმა მაჰმად მირზამ ვითა
სამართლად გვმართებდა ეგრეთ ჯერ ვიჩინეთ ვიძიეთ
და ვიგულს მოდგინეთ სამართლიანად შესაწირავად
კაწარეთს წმინდის სამების ტაძრის მისართმევლად და მას
შინა მოსაყდრის სამებელ მთავარ ეფისკოპოზის მდივან
მწიგნობართ უხუცესის ძის სანატრელის ნიკოლოზის მისაბა-
რებლად რისაც მამულის მჭონებელი წმინდის სამების
ტაძარი ყოფილიყო მას ჟამსა ოდეს გუჯრითა ამით
დამტკიცებას გვეაჯა სამებელი ჟამთა შლილობისა და
კახეთის წარტყვევნისა და აოკრებისაგან რაოდენიცა შე-
წირულობა ქონებოდა ჩვენის სახლის კელმწიფეთაგან
მიცემული შეწირულობით გარიგებული მამულის გუ-
ჯარი დაჰკარგოდა და რომელიც მამული ქონებოდა
ზოგი რომელიმე წართმოდა და ზოგი არა ჩნდა ზოგი
რომელიმე თავადთა და აზნაურთ ოკრობისა და გუჯ-
რის უქონლობის და უპატრონობის მიზეზით მძლავრო-
ბით მიეტაცათ ზოგჯერ საეროთ გამკადარიყო საეფის-
კოპოზობისაგან მოშლილიყო რომელიც მას უკან ეულის
ბატონისაგან ეფისკოპოსთ დამჯდარიყო დრო არ ქო-
ნოდა თავის საყდრის მამული რომელიც ჩნდა ისეუ
ეშოვა ეს ყოველთაგან საცნაურარს მამულნი და აგა-
რაკნი მთა თუ ბარი ყველა საყოფი ქონებოდა ჩუენ
რომ ბედნიერმა ჟენმა ჩვენი სამკვიდრო კახეთი მოგვიბოძა

ეფისკოპოზათ ეს სამებელი დაგვხვდა შევიტყვეთ და
გავსინჯეთ საყდარზე დიდი გულსმოდგინება შრომა და
ღვაწლი თავსედვა საყდარი გაეკეთა და გაეახლებინა ხატითა
ჯვარითა და წიგნით შემკო მწიგნობრით მგალობლით და ყოვ-
ლის ნამდვილო საეკლესიოს წესით შემკო და გაეპატიოს-
ნებინა გალავნით სასახლით მოერთო რომლისაც შე-
მძლებელ იყო ჯეროვნად გაეკეთა და თანდათან მატებ-
და ვითარ ვიხილეთ შრომა და გულსმოდგინება ამისი
ჩვენც შემწე ვეყენით მოკითხული ვქენით და გამოვი-
ძივეთ რომელიც ჩნდა და იცოდენ დაჰკარგოდა ისევ
შევმატეთ სამებას სოფელს ზიარი არვინ ყუანდა და სხვას
კელი არავის ედვა მთა და ბარი დაკარგოდა საცილებ-
ლად შეჭნოდა ვინც მთას ეცილების მისი სამართალი
გვიბძანებია როგორც გარიგდეს ისიც სამართლის წიგნით
გარდასწყდების რომელიც სოფელს ახლო მთა ქონია
პატარძეულთ გაუფიცავს და დაუჭერია საკნავი მამუ-
ლები და მიწები უპატრონობით გარეჯელ წაერთვათ
სამებელთათვინ ფიცი დაედვათ აღარც დაეფიცებინათ
და აღარც დაენებებინათ პატონიშვილი კ-ზი რომ ჩვენ
სანახავათ მობძანდა მამულებზე ლაპარაკი შეიქნა სვე-
ტისცხოვლის გუჯრები ვნახეთ ძველსა და ახალში ორ-
შივ ასე ეწერა საგარეჯოსაკენ რომ სამების მამულიაო
კოტმანის დაბლა ღელე გაჰყოფს თავით ბოლომდი დაბ-
ლა ღელიდამ რომ გზა ამოვა ყელმაღლისშვილი რომ
დასახლებულა შარა შარა რომ გზა გარდმოივლის მწა-
რეს წყალს გარდმოადგება მაღლა ბექი აქუს დაბლა
ცოტა გორა შარის გზა შუაში ჩაივლის მწარე წყლის
ღელეს ჩაჰყვების ივრამდი ჩავა ის ღელე ივრამდი გა-
მოლმა სამების საყდრისა და გალმა პატარძეულთა კათა-
ლიკოზის გუჯარშიაც ასე ეწერა და მახოვართაგანც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე თქმულიყო გამოლმა დღესაც კელთ ეჭირა სამებელ-
სა და ჩვენც ვნახეთ და გავსინჯეთ თავსა და ბოლოს
ულამართლოდ ეცილებოდენ სალაპარაკო და საცილე-
ბელი არ იყო არც არა სა...რი როგორათაც პირველ
შეწირული ყოფილიყო ჩვენც ისე შევსწირეთ არას
კაცს დღეის წალმართ ამასთან საცილებლათ და მოსა-
დევრათ კელი არა აქუს თავით ბოლომდი ისე გაგვი-
რიგებია ხაშმ. კელ შეუვლათ წმინდის სამებისა ყოფი-
ლიყო ზოგი რომელიმე წართმეული ქონდა ზოგი და-
ედვათ ბეგიაშვილი ჩოლაყაშვილს მამუკას ქონდა მის
ძმისწულს სახლთ უხუცეს ედიშერს თავისავ ნებადართ-
ვით დაედვათ საყდრისათვის მიერთვათ გორგის შვილი
ბიძინას საყდრისათვის შეწირა და მამული საყდრისა იყო
კელი ავალებინეთ ჟამიერაშვილი ერთი კუმლი ქართ-
ლიდამ საგარეჯოს ჩამოსულიყო ჩვენს სახასოში ბიძინა
სუფრაჩს მოეყვანა და ხაშმზე საყდრის მამულზედ და-
ესახლებინა და თავისთვის დაეჭირა აღარც ეს სუფრაჩი
გიორგი ანებებდა კელი არა ქონდა ისევ საყდარს მი-
ვართვით ეს ჟამიერაშვილები ახლა ორათ არიან ნათ-
ლის მცემელს რომელიც კელმწიფეთაგან შესწირვია
ისე იყოს და სხვასთან კელი არავისრა აქუს ხაშმის ბო-
ლოს ჩოლაყაშვილსა სახლთხუცეს რევაზს კაცები და-
ესახლებინა საყდრის მამულში და სოფლის აშენება მო-
ენდომებინა ჩოლაყაშვილს ამბა ალავერდელს ბატონს ნიკო-
ლოზს რომ სამებლობა ქონოდა კაცები გაეყარა და
სახლები დაექცივა თავისი მამული ისევ საყდრისათვის
დაედვა და ჩვენც დაგვიმტკიცებია ხაშმი თავის მიწა-
წყლით გასადევრით მთითა და ბარით საწყლისპიროთ
დღეს რისაც მქონებელი იყოს და კელთ ეჭიროს ან
ქონებოდეს კიდავ მეორეთ კელახლა შევსწირეთ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიგლითა ამით განუახლეთ ყოვლის კაცის მოუდეგრათ
და უცილებლათ უჯარმას რომელიც მამული ქონებო-
დეს არ მოეშალოს ორ ხევს ბათაანი და ჯორაანი მის
გარეშამო ალაგები რომელიც ქონდეს ეორს გაღმა-
გამოღმა მისის მთითა და ბარითა რისაც მქონებელი
ყოფილიყოს ახმეტას მეფის ლევანისაგან შეწირული ზვა-
რი ერისთვის დროს მძლავრობით მიეტაცათ სისვაურებს
ეჭირა ისიც და რაც ახმეტას და უტოს ორვილს გაღმა-
გამოღმა სამებისა ყოფილიყოს რაც გამოჩნდა და ან
გამოჩნდეს ესეც შეგვიწირავს ამისი მშლელი არვინ
გვიბძანებია ენისელში მჭედლიური მის სამძღვრამდი ადია-
ბათს რისაც მქონებელი ყოფილიყოს თასმაღურში საკანს
ენისელში ან სხვაგან სადმე მამული ქონებოდეს არ მო-
გეშალოსთ როგორათაც პირველ ყოფილიყო კელ-ახ-
ლა ისევ გავათავისუფლეთ საური საყდრისა იყო ჩვენც
შეგვიწირავს საჴვენო არა ეთხოვებოდეს-რა არა ბაჟი
არა სამღებროს და ბელბაშისა არას ნივთისაგან გამო-
საღები არა გამოუვიდოდეს-რა ნაჭურდღისა თავნი და სარ-
გებელი პატრონისაა და სხვა საზღაური საყდრისა ქურ-
დის მძებნელმა კელი ვერ დაიდვას რომელიც დაკარ-
გული მამული იყოს და გამოჩნდეს ისევ საყდარს მი-
ერთვას რომელიც ჩვენის სახლის კელმწიფეთაგან მა-
მული და მიწა-წყალი გლეხს კაცს მოეშალოს და გა-
ეყიდოს ისევ საყდრისათვის მიგვირთმევია კელმწიფე-
თაგან შეწირული საყდრის მამული არც ეფისკოპოზისა
და არც სხვის კაცისაგან არ მოიშლების და არ გაის-
ყიდვის საყდრის გამოწირვით სხვას არ მიეცემის ნათ-
ლის მცემლის უდაბნოს მაკურთხეველი ეოფილა სამებელი და
სამწყსო არის და ზე მდგომი ჩვენც ეგრეთვე დაუმტკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეთ არავისგან საცილებელია ეს ასე დაგვიმტკიცებია
და გაგვირიგებია არას მეფეთა და დედოფალთაგან არას
ეფისკოპოზთა და თავადთა და აზნაურთაგან არც გაი-
ცეს არც გაისყიდოს არც მოიშალოს არც მძლავრმა
მძლავრობით მისტაცოს არც ღარიბმა სიღარიბით რამ
გამოაკოს და რომელიც სამებელს ამ საყდრის განმახლე-
ბელს საყდრისათვის შეწიროს ხატი თუ ჯვარი წიგნი
და წირვის იარაღი ოქრო გინა ვერცხლი სპილენძი თუ
საკმარი რამ ან ეს ჩვენგან შეწირული მამული და ამ
სამებელისაგან საყდრის მირთმული რამ გამოამკვას და
გამოსწიროს და მოშალოს ღმერთმან ყოველი მისი გა-
გებული მოშალოს პირველ ყოვლის შემოქმედმან ღმერ-
თმან მისი რისხვა ნუ მოაკლოს მერმე მაღლის კელმწი-
ფის წყრომა მის სახლში ნუ გამოლიოს ყოვლის კე-
თილის საქმისაგან უმკვიდროდ და უნაწილოდ ამყო-
ფოს რომელსაც კეთილს რა მეს მოგლოდეს ბოროტად
შეუცვალოს ყოველნი ღვთის ნების მყოფელნი წმინ-
დანი მასზედ რისხვით და გულის წყრომით ამყოფოს
დამამტკიცებელი ამისი ღმერთმან დაიცვას და დაიფა-
როს დაიწერა კელითა კარისა ჩვენისა მდივან მწიგნობ-
რის გორჯასპისათა აგვისტოსსა ოთხსა ქკს. ტჟ=
1710 წ. სამების მამულის სამძღვარი ზემო დაწერილია
ბოლო ივრამდი და თავისაყენ კოტმანის დაბლა რომ
ღელე შეივლის ავა წარაფი შესდევს სამების გასწვრივ
იქიდამ ამოვლით მარჯვნის სამებისა, მარცხნივ სახასო
არის ხაშმის სამძღვარიც სწერია ხაშმი და უჯარმა სა-
ხასო ყოფილა სახნავი ერთმანეთში ქონია გალმა-გა-
მოლმა უჯარმა გაცემულა ჩოლიაყაშვილებისათვის უბო-
ძებია ხაშმი საყდრისათვის შეუწირავს თავისის მიწა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყლით არც გალმა არც გამოლმა სახნავი არ დაეჭირვის ასე გაგვირიგებია.

თათრული ბეჭ.	დედოფალი ანა.

ხელ-ჩართული: ნებითა ღვთისათა კელმწიფე მეფე დავით იმამყულიხან ვამტკიცებ კელითა ჩვენითა

იმამყული ხან.	მოხა ღვთისა ბატონიშვილი თეიმურაზ.

თავიდამ არშიაზე აწერია: ქ. ჩვენ მეფე სრულიად საქართველოსი ირაკლი მეორე ვამტკიცებთ მაისის კვ ქკს. უდთ

ԿԱՊԿԾԻ

ქ. ჩვენ დიდთა მეფეთა ძემან და ქართლისა კელმწიფის შვილმან და ყოვლისა საქართველოსა უფლისწულმან კახეთის მპყრობელმან სრულიად ერანისა მპყრობელ განმგებლისა ბანდამან და მათსა საფარველსა და კალთასა ქვეშე ჩვენად ულირსად შვილურად აღზრდილმან იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატიონმან პატრონმან მეფე დავით იმამყულიხან ვითარცა ამა ჩვენსა ნაბძანებსა ფარმანსა და გუჯარსა შიგან სწერია კუალად მეორედ კელითა ჩვენითა დავამტკიცეთ არვინ გვიბძანებია მშლელად ამისად დავით იმამყული ხან.

თათრული	მეფე იმამ-ყული ხან.

ბ. კ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროგრამა

ეთნოგრაფიულ და იურიდიული ცნობების შესაკრებად.

(გაგრძელება *)

210. დრამატიული წარმოდგენები ანუ სათამაშოები დრამატიულ ხასიათით არსებობენ თუ არა?

211. რამდენად ეტანებიან სეირს და განსაკუთრებით რა გვარს?

212. სახალხო გასართობნი და სეირი წლის სხვა და-სხვა დროსა და დღესასწაულებში.

213. რა გვარი ბიწიერებაა უფრო გავრცელებული საზოგადოდ ხალხში და კერძოდ რომელიმე ადგილს?

214. მათი გავრცელბის მიზეზი?

215. ბიწიერ და უზნეო ადამიანებს ხალხი როგორ ეპყრობა?

216. რა გვარი მინუშებია თვით-მსაჯულობისა ხალხში მიღებული?

217. სახენი გონებრივისა და სულიერის უძლურებისანი? (რა გვარი ჭკუის სინაკლულე და გონებითი უძლურება განირჩევა ხალხში).

218. ჭკუა-მოკლეს და ჩერჩეტს ხალხი როგორ ეპყრობა?

219. შეშლილებს ხშირად შეხვდებით თუ არა?

---

*) იხ. „კრებული“ № VIII. 1899 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

220. რა გვარი ჭკუის შეშლილობაა უფრო გავრცელებული?

221. ჩერჩეტებს ხშირად შეხვდებით თუ არა?

222. ჭკუიდან შეშლას, ბნედას, სიჩერჩეტეს, ძილობიას (სომნამბულიზმი) და სხვა გვარ სულიერ ავადმყოფობას რითი ჰხსნიან?

223. ესა თუ ის სულიერი ავადმყოფობა რომელ სქესს და ხნისას უფრო ეტყობათ?

224. უფრო ხშირად სულიერ ავადმყოფობასა და ხალხის ადგილობრივ ზნე ჩვეულებათა შორის რაიმე დამოკიდებულება არსებობს თუ არა?

225. რა გვარი ავადმყოფობაა ამა თუ იმ ადგილს უფრო გავრცელებული?

226. განსაკუთრებული ადგილობრივი ავადმყოფობა არის თუ არა?

227. მოდგმას თანდათან განადგურება არ ეტყობა?

228. სხვა-და-სხვა ავადმყოფობის სახელების სია, რაც შეიძლება დაწვრილებით შეადგინეთ და ახსენით.

229. ავადმყოფებს ვინა სწამლობს? მამაკაცებში და დედაკაცებში მკურნალები არიან თუ არა?

230. ავადმყოფობის მოსარჩენად ხალხში რა გვარი საექიმო საშუალებანი მოიპოვება? უფრო საყურადღებოა:

ა) სამკურნალო ბალახები და მადნები, დრო მათი მოგროვების, მათი მომზადება და მოხმარება;

ბ) მექანიკური და ქირურგიული წესები: (ხახუნი) ხეხვა, გაზმორება, შეკვრა, ჩხვლეტა და სხვა;

გ) აბანო, წაბანვა, სამკურნალო წყლების მოხმარება, სხურება და სხვა. არსებობს რწმუნება წყლის (სიცოცხლეზე) სულდგმულობაზე თუ არა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ხომ არ ყოფილა გამოკვლეული ქიმიურად წყალი რომელიმე წყაროსი თუ ტბისა, რომელიც ხალხს წმინდად და განმკურნებელად მიაჩნდა, და იმ გამოკვლევამ რა აღმოაჩინა?

დ) ლოცვანი, შელოცვა, ჩურჩული და სხვა;

ე) სიმპატიური საშუალებანი, სხვა-და-სხვა თილისმა და სხვა;

ვ) ხელით შეხება საღვთო, მეტადრე საეკლესიო ნივთებისა და სხვა;

ზ) სმა-ჭამა (დიეტა): რომელ საჭმელებს სთვლიან მარგებელად ამა თუ იმ ავადმყოფობის დროს და რომელს მავნედ, და სხვა?

შენიშვნა: სასურველია, ვიქონიოთ დაწვრილებითი აღწერა მკურნალობის წესებისა და აღნიშვნა, რა საშუალებით რომელ ავადმყოფობას სწამლობენ.

231. რა გვარი ცრუ-მორწმუნე ჩვეულება არსებობს ავადმყოფობის გადასაკემად თუ გადასადებლად?

232. აქვთ ჩვეულებად ავადმყოფობას დაემალონ (მაგალითად, ციების დროს პაროქსიზმის წინეთ), თავი მოიმკვდარუნონ, ავად მყოფი შეაშინონ, ვითომ-და სნეულების გასაქარვებლად და სხვა?

233. რომელნი წმინდანნი თუ ღვთაებანი ითვლებიან მკურნალებად განსაკუთრებით ამა თუ იმ ავადმყოფობისა?

234. თვითოეულ ავადმყოფობის დროს განსაკუთრებით რა სალოცავ ადგილებს მიჰმართავენ ხოლმე.

235. ჩვეულებად აქვთ თუ არა ავადმყოფობის დროს შესწირონ ამოჭრილი, გამოქანდაკებული და სხვა სურათი სხეულის დაავადმყოფებულ ნაწილის?

236. ზეთის-კურთხევას ხალხი რა მნიშვნელობას აძლევს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთს რა ალიქმას აძლევენ ზეთის-კურთხევის შემდეგ მორჩენილები (ხორცის უჭმელობა, აბანოში წაუსვლელობა და სხვა).

237. ავადმყოფები პირობას ხომ არა სდებენ, მორჩენის უმალ, ყოველთვის მოიხსენიონ მშობლებისაგან დაწყევლილი ადამიანები, უზიარებლად გარდაცვალებულნი, ქაჯისაგან გატაცებულნი, გადაკარგულები, დამხრჩვალნი, გზა-დაბნეულნი, ომის დროს დახოცილნი და სხვა?

238. ხმაროობს თუ არა ხალხი რაიმე ღონისძიებას იმ გვარ სატკივრების წინააღმდეგ, რომლის მორჩენაც ან ძნელია, ან სრულიად შეუძლებელი, მაგალითად: ბრაზი, წყლის მოშიშრობა სიცოფეში, ჭლექი და სხვა?

239. არის თუ არა მისთანა სატკივარი, რომელსაც ავადმყოფისათვის მარგებელი შედეგი აქვს, (მაგალითად: თუ ყმაწვილი ზოგიერთ ავადმყოფობას გადურჩა, ჯანსაღი დადგება, დიდხანს იცოცხლებს და სხვ.)?

240. რა ნიშნებით ან მისნობით იგებენ, ავადმყოფი მორჩება თუ არა, (ავადმყოფობის მიმდინარეობით, სიზმრებით, წინასწარი გრძნობებით, გარეგანი მოვლენებით და სხვ.)?

241. რა სენს სთვლის ხალხი გადამდებ სენად?

242. რა ღონისძიებას ხმაროობენ გადამდები სენის წინააღმდეგ, ავადმყოფთან შეხების დროს?

243. რა დამცველ საშუალებებს და თილისმებს ხმაროობენ სხვა-და-სხვა სატკივრის ასაცილებლად?

244. როგორ ხსნის ხალხი სხვა-და-სხვა სატკივრების უმთავრესს მიზეზებს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

245. რა გარდმოცემანი და თქმულებანია სხვა-და-სხვა სატკივრების, უმეტეს მმუსვრელი სენების შესახებ?

246. ავადმყოფობა ავქარად ხომ არა აქვსთ წარმოდგენილი? ლამაზ ან მახინჯ ქალებად? ან კიდევ სხვა რაიმე გვარად?

247. სად სცხოვრებენ ესენი? ვინ გზავნის ამათ?

248. რა საშუალებებით შეიძლება მათი სახლიდან ან სოფლიდან განდევნა? აქვე უნდა ჩაიწეროს ამის შესახებ სხვა-და-სხვა ამბები.

249. რა დროს, ან რა პირობებში უფრო მძვინვარებენ სხვა-და-სხვა სატკივრები?

250. რა ადამიანებს არ ეკარება ზოგიერთი ავადმყოფობა (მაგალითად, ვისაც რაიმენაირი ნიშნეულობა აქვს ტანზე).

251. მკითხავებისა და ექიმების გარდა, ვის შეუძლია ზოგიერთ შემთხვევაში სენის განდევნა. (მაგალითად: სიყმის შვილს, ან მთვარის რომელიმე ასაკის დროს დაბადებულს და სხვ.)?

252. ხშირად არის ხოლმე საღათას ძილი (ლეტარგია)?

253. რა საშუალებებს ხმაროობენ, რომ შეცდომით ცოცხალი არ დამარხონ?

254. მისთანა თქმულება ხომ არ არის, რომ კუბოში გაკოცხლებული მიცვალებული, მოკლული უნდა იქმნესო; თუ გაკოცხლებული გადაიმალა სადმე, მარტო კუბო უნდა დაიმარხოსო?

255. რით არჩევენ ერთმანეთში მომაკვდავის სულთბრძოლას და ავადმყოფის უბრალო კრიზისს და რითი იგებენ სიკვდილის მოახლოებას?

256. რა საშუალებით ცდილობენ სულთმობრძავის ტანჯვის და სხვა გვარი ხანგრძლივი წვალების შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსუბუქებას (მაგალითად ლოგინობის დროს)?

257. თავით წყალს ხომ არ უდგმენ, რომ სული უფრო ადვილად ამოვიდეს, ან სხვა მიზნით?

258. ხომ არ არის თქმულება, რომ მომაკვდავი ბუმბლის რბილ ბალიშზედ უფრო დიდხანს წვალობს ბ სიკვდილის ტანჯვის შესამოკლებლად ჩალაზედ უნდა დააწვინონო?

259. რა არის სიკვდილი? სად ბინადრობს? საიდან მოდის? ვინ ჰგზავნის? როგორ ამოართმეკს ხოლმე ადამიანს სულს?

260. სწამთ თუ არა სიკვდილის წინასწარი გრძნობა?

261. რა მოასწავებს სიკვდილს, მეტადრე წარჩინებული პირებისას?

262. სიკვდილს ავი სულების გავლენით ხომ არა ხსნიან?

263. რით განირჩევა ადამიანისა და პირუტყვის სიკვდილი?

264. სიკვდილთან ბრძოლის შესახებ ხომ არავითარი ამბებია?

265. არის რამე ნიშნები, რომლითაც ატყობენ, რომ ერთი ადამიანის სიკვდილის შემდეგ მალე იმავე ოჯახში კიდევ მოკვდება ვინმეო (მაგალითად, თუ მიცვალებულს თვალები მაგრად არა აქვს დახუჭული)?

266. არის რამე თქმულება, რომ, თუ მიცვალებული ვისიმე სახლის წინ გააჩერეს, იმ სახლში მოკვდება ვინმეო?

267. არის კიდევ სხვა ამ გვარი ცრუ-მორწმუნეობა?

268. რა არის სული, სანამ სხეულშია?

269. განსხვავდება ერთმანერთისაგან კაცის და ქალის, პატარასი და დიდი ადამიანის სული?

270. სად იმყოფება სული კაცის სხეულში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

301. რა ჩვეულებანია დამარხვის დროს?

302. მიცვალებულებს დაუმარხავად ხომ არ სტოვებენ?

304. სწვენ თუ მარხვენ მიცვალებულებს?

305. რა ნივთებსა სწვენ ან მარხვენ მიცვალებულთან ერთად?

306. ვინა ჰბანს მიცვალებულს? ხომ არაფერი ნიშნებია ისეთი, რომ სთქვან, მისი სული ცხონებულიაო და სხვა რამე ამ გვარი?

307. როგორ დევს მიცვალებული მიწაში ჩაშვების დროს?

308. რითი განსხვავდება ქალებისა და კაცების დასაფლავება?

309. ყმაწვილების დამარხვის დროს ხომ არავითარი განსაკუთრებითი წესებია?

310. კუბოს გაკეთების უფლება ყველასა აქვს; მიცვალებულის წაღება და დასაფლავებაზედ დასწრება?

311. რა თქმულებანია კუბოს ფიცრებისაგან დარჩენილი ნაფოტებისა და ნაჭრების შესახებ?

312. რა პირუტყვებით მიაქვსთ მიცვალებული სასაფლაოზედ და რა პირუტყვების შებმა არ არის ჩვეულებად, ან რატომ არ არის?

313. უფრო რა დროს იციან მიცვალებულის გამოსვენება და დასაფლავება?

314. რა განსაკუთრებითი ჩვეულებებია იმ მიცვალებულების დამარხვის დროს, რომელნიც გადამდების სენით დაიხოცნენ?

315. რა ჩვეულებებია მიცვალებულის გამოსვენების დროს? როგორ ემშვიდობებიან?

316. რა ტანისამოსს აცმევენ მიცვალებულებს?

317. რა ნივთებსა და საჭმელს სდებენ კუბოში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

318. მიაქვთ თუ არა საჭმელი სასაფლაოზედ დასაფლავების დროს და მას შემდეგ მოხსენების დროს?
319. რა ჩვეულებანია მიცვალებულთან შეხვედრის დროს?
320. როგორ არის სასაფლაო ამოჭრილი?
321. სასაფლაოზედ რამე ძეგლებს სდგმენ თუ არა, ან რანაირს სდგმენ?
322. რითი ამკობენ საფლავს და სასაფლაოებს?
323. განსვენების დროს სადილი იციან თუ არა?
324. ალაპი რა დღეს იციან ხოლმე?
325. რად იციან ალაპი?
326. რა მიცვალებულებს არ უხდიან ალაპს?
327. რა პირებს იხსენიებს მთელი საზოგადოება ერთად?
328. არის რამე ორიგინალური ჩვეულებები ალაპის დროს?
329. ალაპის ღროს სხვანაირი საჭმელი ხომ არ იციან? თაფლი ან ღვინო უეჭველად უნდა იყოს თუ არა?
330. ალაპის დროს მიცვალებულის სახეს ხომ არ აკეთებენ?
331. ხომ არა სწამთ, ალაპზედ უხილავად თვით მიცვალებულიც არისო?
332. მიცვალებულის პატივის საცემელად ჯირითს ან სხვა რამე სეირს ხომ არ მართვენ ხოლმე?
333. როგორ იციან ტირილი და როდის?
334. მიცვალებულის გამოტირების დროს მხოლოდ ნათესავები ესწრებიან, თუ მთელი ხოფელი?
335. საკუთრად მოტირალი ქალები არიან თუ არა?
336. გასათხოვარი ქალის, ან საცოლე ვაჟის დასაფლავებას ქორწილის ხასიათი ხომ არა აქვს?
337. ხომ არავითარი ჩვეულებებია თავის მკვლელის,

ეროვნული

დამხრჩვალის, მეხისაგან მოკლულის და კუდიანობა-ბაში შენიშნულ კაცის დამარხვის დროს?

338. ამ გვარ მიცვალებულებს სად მარხავენ?

339. მიცვალებულის დასაფლავების დროს, თუ მოკლულ-ლი იყო, უკანასკნელ გამოთხოვების დროს ხომ არ მიჰყავთ კუბოსთან ის პირები, ვისაც მოკვლას აბრალებენ, რომ მათ დანაშაულში დარწმუნდნენ, ან რა ნიშნებით ატყობენ, დანაშაულნი არიან, თუ არა?

340. რა მოვალეობა აწევს ქვრივს მიცვალებულ მეუღ-ლისადმი, დედას ძუძუთი გაგუდულ ყმაწვილისადმი და სხვა?

341. ცოლის თმას ქმარს კუბოში ხომ არ ატანენ?

342. ცხენს პატრონის გვამთან ერთად ხომ არ მარხვენ?

343. ხომ არავითარი ჩვეულებებია მათ განსაწმენდათ, რომლებიც მიცვალებულს ასაფლავებენ და უკან ბრუნდებიან?

344. სამგლოვიაროდ რას იცმენ და რაოდენ ხანს?

345. სამგლოვიარო ფერად რა ფერი ითვლება?

346. ხომ არავითარი ჩვეულებაა საფლავთან ყოფნის ან გავლის დროს?

347. როგორ ეპყრობიან თავის მკვლელების, დამხრჩვა-ლების, მეხით მოკლულების, კუდიანების და სხვ. საფლავებს?

348. არის თუ არა თქმულება, რომ ზოგნი სიკვდილის შემდეგ ქვეყნად დაეხეტებიან? რა არის ამ გვარი ხეტიალის მიზეზი და მიზანი?

349. რა საშუალებას ხმაროობენ დასაფლავების დროს, ან შემდეგ, რომ მიცვალებული ველარ ადგეს და ქვეყ-ნად სიარული ველარ დაიწყოს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

350. როგორ და როდის იქნება საზოგადო აღდგომა, საშინელი სამსჯავრო?

351. ამის შემდეგ ვინ იქნება?

352. როგორ წარმოუდგენიათ სამყაროს დასასრული?

VIII. რწმუნებანი.

1. რა წარმოდგენა აქვს ხალხს შედგენილი ღვთაებაზე?
2. რამდენი სწამს ღმერთი (თუ აღიარებს მრავალ-ღმერთობას) და რა დამოკიდებულებაა მათ შორის?
3. არსებობს წარმოდგენა ერთ-ღმერთობაზედ, ან არა-და უმაღლეს ღვთაებაზე სხვა ღმერთთა შორის?
4. რა დამოკიდებულებაა უმაღლეს ღვთისა და სხვა სულიერ არსებათა შორის, და როგორ აიხსნება ამ უკანასკნელთ არსებობა?
5. წარმოადგენენ ღმერთები თუ არა რომელსამე ბუნებრივ მოვლენის გაპიროვნებას?
6. არსებობს კულტი მზისა, მთვარისა? (თაყვანისცემა მზისა და სხვ.)
7. რა ზღაპარ-სიტყვაობა (მითი) დარჩენილა მათ შესახებ?
8. გავრცელებულია ბუნების თაყვანისცემა: ცხოველებისა, ხეებისა, წყლისა და სხვა? რაში მდგომარეობს იგი?
9. ღმერთებზე დარჩენილა რამ ძველებური მითოლოგიური ამბავი?
10. როგორა ჰყავს წარმოდგენილი ხალხს ღმერთები?
11. შეიძლება ვინმემ ნახოს რომელიმე მათგანი? რა თქმულობა დარჩენილა მათ გამოცხადებაზე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. არსებობს თქმულობა, ვითომც ღმერთები მოევლინებოდნენ ქვეყნად ხორც-შესხმულნი კაცის ან პიროუტყვის სახით?

13. ძველი თქმულობა (ლეგენდა) ხომ არა დარჩენილა რამ ცის შვილზე, რომელიც ვითომ მოჰკლეს ქვეყნად?

14. რა ლეგენდები დარჩენილა შესანიშნავ ადამიანებზე, რომელნიც ცოცხლად ამაღლდნენ ზეცას?

15. როგორა აქვს წარმოდგენილი ხალხს წმიდა სამება?

16. რა ლეგენდებია დარჩენილი კერძოდ მამაზე, ძეზე, სული-წმიდაზე?

17. ხომ არ დარჩენილა ლეგენდა, ვითომც იესო ქრისტე უგზავნიდა პატრიარქს (იერუსალიმისას, კონსტანტინეპოლისას), ან პაპის წერილებს, რომლითაც არიგებს ცოდვიანებს ან გამოსთქვამს თავის ნებასურვილს? წარმოადგინეთ ნიმუშები ამ გვარის წერილებისა.

18. მაცხოვარს ქვეყნად ხომ არ უვლია ღარიბთა და უმწეოთა საშველად? რა სახით?

ს. ხახანაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. ქვიტირი.

(წარმოდგენილი დავ. ავალიანის მიერ.)

ს. ქვიტირი მდებარეობს ქ. ქუთაისიდან დასავლეთისკენ ხუთი ვერსის სიშორეზე. ეს სოფელი იყოფება სამ ნაწილად: ზემო, შუა და ქვემო ქვიტირი. ქვიტირს მდებარეობა ვაკე აქვს; ნიადაგი ქვიანია (რიყის ქვა) და საზოგადოდ საკმაო ნაყოფიერი. საიდან წარმოსდგა სიტყვა «ქუტირი», თუმცა ბევრისთვის გვიკითხავს, მაგრამ ვერ აუხსნიათ. შეიძლება, უწინ აქ ქვიტკირის შენობები იყო და აქედან წარმოსდგა სოფლის სახელწოდება. მაგრამ ეხლა აქ ქვიტკირის სახლს ძვირად ნახავთ; თუ სადმე ორიოდ-სამიოდე მოიძებნება, ისიც ამ 20—30 წელში აშენებულია. არც შენობების ნანგრევები გვიმტკიცებენ ამ მოსაზრებას. ან კიდევ, შეიძლება, ხალხი შეწუხებული იყო ქვიანი ნიადაგისაგან და დასტიროდა თავის ბედს, რომ ბევრი წვალება სჭირდებოდა ლუკმა-პურის საშოვნელად. ეხლაც ბევრისგან გაიგონებთ ჩივილს: «სწორედ ციმბირია ეს ჩვენი ქვეყანა: კაცს თითებზე ბრჩხილები არ შეგრჩება და ხელის გულზე კანიო». ეხლა ქვიტირში ხვნა-თესვა და მიწის მუშაობა საზოგადოდ, უწინდელთან შედარებით, გაადვილებულია; წინად კი, როგორც მომსწრე კაცები იტყვიან, კარგი მემამულე აზნაურიც, რომელიც ოც ბიჭს ამუშავებდა, საჩრო მჭადსაც ვერ იწევდაო. და არც გასაკვირველია ეს: უწინ ყანებს გათოხნის მაგიერ ჩხირებით მარგლიდენ, რადგან ქვაში თოხს ვერ

ხმაროობდენ და თითო ძირი ბალახი ცალ-ცალკე ფხა გაეთხარათ. ეხლა შემოიღეს სიმინდის «დაკაპოტება», რაც ძლიერ ალბილებს მიწას, სიმინდს «არჩევს სისქისაგან» და ბალახსაც ბევრს თხრის. მერმე „დაკაპოტებულ“ ყანას დახნავენ კავით; ასე რომ ეხლა ერთი კაცი დღეში იმდენს აკეთებს, რამდენსაც ათი კაცი ძლივს აკეთებდა. ეს მოსაზრება უფრო მართალი უნდა იყოს, მაგრამ ამის წინააღმდეგსაც ვხედავთ: ს. ჯიხაიშის მახლობლად არის კიდევ მეორე სოფელი ქვემო ქუტირი, სადაც ქვას ძვირად ნახავთ. ხალხი უმეტეს ნაწილად მისდევს მიწის მოშაობას; მოჰყავს: სიმინდი, ლომი, პუერი, ფეტვის მჭადი, ქერი (ძვირად), ლობიო, მუხუდო, ცერცვი და სხ. მეგოსტნეობით და მებაღეობით ს. ქვიტირი ხომ განთქმულია მთელს იმერეთში. ღვინო წინეთ, თურმე, ძლიერ კარგი და ბევრიც მოდიოდა, ასე რომ საპალნე თავი ღვინო შვიდ აბაზად იყიდებოდა, გამიგონია. ეს ერთი ხანია კი ღვინის მოსავალმა შესამჩნევად იკლო. მეტადრე იქ, სადაც ვენახს არ სწამლობენ. ჰავა ქვიტირში ზომიერია და ჯანმრთელობისათვის მარგებელი. ჭაობებს ვერსად ნახავთ; მდინარეები და წყაროები არაა; არის მხოლოდ ერთი ღელე, ოლასკურა, რომელსაც სარგებლობაზე ბევრად მეტი ზარალი მოაქვს: ზაფხულში მუდამ ამომშრალია, გაზაფხულზე კი ისე ადიდდება ხანდისხან, რომ მთლად წალეკავს დათესილ ყანებს და ხელმეორედ დასათესად ხდის. ქვიტირში თითქმის ყოველ მოსახლეს აქვს ჭა, რომლის წყალი ძლიერ ვარგისია სასმელად ზამთარ-ზაფხულ. თუმცა ჰავა (კიებ-ცხელებას ძლიერ აფერხებს, მაგრამ სამაგიეროდ ნესვი, კიტრი და სხვა ხილეულობა, რომლითაც მდიდარია სოფ. ქვიტირი, ხელს უწყობს მათ გავრცელებას. ხალხი საზოგადოდ მუყაითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაა: დილიდან საღამომდის მუშაობს, საღამოს მოამზადებს ბოსტნეულობას, ხილეულობას, ან სხვა რამ ოჯახის ნაწარმოებს ქუთაისს წასაღებად გასასყიდად და იძინებს. დილას ისე ადრე ადგება, რომ გათენებამდის ქუთაისს ჩავიდეს, გაჰყიდის მაშინათვე «ხაბაკს» და შინისკენ მიეშურება, რომ მუშაობას არ მოსცდეს. მხოლოდ ეს არის მათში ცუდი, რომ ერთმანეთის გატანა ნაკლებად იციან: ერთმანეთის მოტყუილება, შური, სიტყვის მიტან-მოტანა, «წამახდინე—წაგახდინე» — ხშირია მათში. აზნაური ბევრი არ არის (თავადები სულ არა), ისიც წვრილი მემამულენი. მათი მამული თან-და-თან გლეხების ხელში გადადის. სწავლა განათლების მხრით სოფელი ძლიერ დაქვეითებულია. თითქმის მთელი ქვიტირის საზოგადოებაში, რომელიც რვა სოფლიდან შესდგება, ამდენ ხანს ერთი პირველ-დაწყებითი სასწავლებელიც არ მოიძებნებოდა. ახლა, როგორც იყო, სოფლის საზართლოსთან გახსნეს ერთკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი. ქვიტირში ბევრი ღრმად მოხუცებულია; 80—100 წლამდე ბევრს გაუძლიათ და კიდევ მხნედ არიან. ნაშთთაგან შესანიშნავი რამ არაფერია. ზეპირგადმოცემა, ზღაპრები ხალხური სიმღერები, ლექსები, ანდაზები, გამოცანები და სხ. ბევრი დარჩენილა.

ზეპირ-გადმოცემანი.

(შეკრებილი ს. ქვიტირში მისგანვე.)

იმერეთის მეფე, გოჩია ყოფილა ერთი ერთვალი კაცი. მას ჰყოლია სასახლეში ერთი შესანიშნავი გმირი—ფალავანი, იესიკა ავალიანი. ის რომ გაჩერებული იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარში, ცხენოსანი გეგონებოდათო; ერთი მისი ბრძოლა-ლება მტერს თავ-ზარს დასცემდაო. ერთხელ გოჩია მეფე გაუჯავრდა, გაურისხდა რისთვისღაც იესიკა ავალიანს, წაართვა მთელი სოფელი ქვიტირი, ყმები და სახლ-კარი სულ გადაუწვა. იესიკა გაიქცა და მიეკედლა ოდიშის მთავარს. ამით მეფე კიდევ უფრო გაჯავრდა და ომი გამოუცხადა დადიანს.

დადიანი შედრკა, მაგრამ იესიკამ დააიმედა: «მთავარო, შენ ფიქრი ნუ გაქვს! ოღონდ საერთო ბრძოლაში კი არ ჩაჰყვე მეფეს; შენ მოსთხოვე, რომ თითო კაცი გამოვიდეს ორივე მხრიდან და მათ გადაწყვიტონ ომის ბედ-იღბალიო; შენი მხრიდან მე გამიშვი და იმედი გქონდეს, იესიკა არ შეგარცხვენსო.“ დადიანს მოეწონა იესიკას აზრი, მაგრამ ომის დაწყებამდე მეფეს არ გააგებინა იესიკასავე რჩევით.

დანიშნულ დღეს ორივე მხრიდან ჯარმა თავი მოიყარა.—მაშინ კი გამოუცხადა დადიანმა მეფეს: «მე არ მინდა ტყუილ-უბრალოდ ძმა-ძმას შევაკლა და უმართლოდ ქრისტიანების სისხლი ვღვაროთ; თუ მაინცა-და-მაინც დაგიჟინია, ასე მაინც მოვიქცეთ: მე ჩემი მხრიდან გამოვიყვან ერთს კაცს, შენც მის წინააღმდეგ ერთი კაცი გამოუშვი და ისინი შეიბრძოლონ. თუ შენმა კაცმა სძლიოს—გამარჯვებაც შენია, თუ ჩემმა და—გამარჯვებულიც მე ვიქნები.» მეფე მაშინათვე მიხვდა, რაშიაც იყო საქმე. დაღონებულმა და ბრაზ-მორეულმა გადახედა დადიანის ჯარს და დაინახა იესიკა ავალიანი, რომელიც იჯდა შავ ბედაურზე, ტანზე რკინის პერანგი ეცვა და ხელში გრძელ-ტარიანი შუბი ეჭირა. მეფემ გადასწყვიტა ომის თავის დანებება, მაგრამ მისცვივდენ მას თავადები და გაამხნევეს: «მეფეო! სადაც ოსმალოს არ შეშინები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარ და მტრისთვის ზურგი არ გიჩვენებია, ვილაც ეს ტუკმა აზნაურიშვილმა როგორ შეგაფიქრიანა?» ამ დროს თავადებში გამოჰყო თავი ვილაც გამხდარმა, ტან-მორჩილმა კაცმა, მოწიწებით მიესალმა მეფეს და მის მხლებლებს და შემდეგ მოახსენა:

«დიდებულო მეფე! ნუ გაიხდი თავს საარაკოდ! იმ კაცს, რომელიც მირონ ცხებულ მეფეს გადაუდგა, ღმერთი თვითონ დასჯის. ამის დასამტკიცებლად ნება მიბოძეთ, რომ მე, ეს ჯუჯა, მახინჯი ალავიძე, შევებრძოლო მას. სხვა თავს ნუ იწუხებს, მისთვის, რადგან ღვთის სრული იმედი მაქვს. მეც ვეყოფი იესიკას და მალე შევმუსრავ უფლის სახელის სადიდებლად შენს მტერს. ხომ მოგეხსენებათ: ცულდი პატარაა, მაგრამ დიდ ხეს წააქცევს.» ყველას გაუკვირდა ამ კაცის ასეთი ლაპარაკი მეფესთან. პირველად სასაცილოდაც აიგდეს: «ბეჩა ალავიძე, რას ამბობ,“ უთხრა გოჩია მეფემ: «იესიკამ გამაფუჭა და შენ მთლად წამახდენ და თავს მომჭრიო». ალავიძე მაინც თავისას არ იშლიდა და უმტკიცებდა მეფეს, რომ გაამარჯვებინებდა. მეფე მაინც ყოყმობდა, მაგრამ თავადებმა ურჩიეს და, როგორც იყო, ნებას დაიყოლიეს. ის მიუბრუნდა ჯარს და უთხრა! «ძმებო, ვინც უნდა გავიდეს იესიკასთან საბრძოლველად, ის ვეშაპი ყველას გააფუჭებს, თუ ღმერთი არ მოგვეხმარა. თუ კი ის ჩვენკენაა და— ეს პატარა კაციც მოუღებს მას ბოლოს. ხომ გაგიგონიათ სალვთო წერილიდამ, ღვთის შემწეობით როგორ გაიმარჯვა დავითმა გოლიათზეო?» ამ სიტყვების შემდეგ მიუბრუნდა ალავიძეს და უთხრა: «აბა, ჩემო ალავიძე, ახსენე ღმერთი და შემუსრე მტერიო.“

ალავიძემ ამოირჩია ერთი ჯახრიკა ცხენი, ჩაიცვა სულ უბრალო გახუნებული ტანისამოსი, თავზე დაიდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალაც ფაფანაკის მსგავსი, რომელიც ჭინჭის ნაგლეჯს უფრო წააგავდა, ვიდრე ფაფანაკს, შუბი კი გრძელ-ტარიანი და მაგარი დაიჭირა ხელში და გამოვიდა საასპარეზო მოედანზე. დადიანის ჯარმა სიცილი შეჰქმნა, მეფის ჯარს კი დანა კბილს არ უხსნიდა და ბრაზი მოსდიოდა მეფეზე, ამაზედ უკეთესი კაცი ვერ ი'შოვაო? იესიკამ რომ ეს დაინახა, სიცილი დაიწყო: «უყურებთ, რა ხერხი უხმარია მეფეს, რომ მე მასხარად ამიგდოს! მაგრამ, იქნება, ფიქრობს, მე ამ ლაწირაკს ვაპატიო ასეთი თავხედობა! მართალია, ხელს კი არ ვიხმარ მე ამაზე, მაგრამ კაი დღეს მაინც არ დავაყენებ. აბა, დამიდექი წინ. შე მათხოვარო, და ცხენის შუქს მაინც გაუძელიო!" დაიღრიალა იესიკამ და მიაშურა ბედაურით ალავიძეს. ალავიძემაც ააჩინჩილა თავისი ჯახრიკა სრულიად შეუშფოთებლად. როდესაც იესიკა მიუახლოვდა ალავიძეს, ამან დაუხვედრა გამოქანებულ ბედაურს შუბი და შიგ ცხვირში მისცა; ბედაურმა ალავიძე მისი ცხენიანად უკან დახია, მაგრამ ალავიძემ ხელი უშვა შუბს და შუბი მიწაში ჩაერჭო ღრმად და მისი წვერი შიგ მარჯვენა ყურში გამოუვიდა ცხენს. ცხენი წაიქცა, იესიკაც ქვეშ მოჰყვა და ცალი ფეხი იღრძო. ალავიძემ-კი გააჩინჩილა თავისი ცხენი და მეფეს მიაშურა მისალოცავად. ამასობაში იესიკამაც გაითავისუფლა თავი ცხენის ქვეშიდან და ფეხ-დაფეხ გამოუდგა ალავიძეს, დაეწია, იძრო ხმალი და, ის იყო, უნდა გაეპო თავიდამ კოჭებამდის, ნაღრძობმა ფეხმა უმტყუნა და ისევ მიწაზე გაიშხლართა.

გოჩია მეფის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა: ის გადაეხვია ალავიძეს, გადაკოცნა და უხვად დაასაჩუქრა. იესიკას კი თვალებში ჩააფურთხა, როგორც მოღალატეს.

ამის შემდეგ დადიანიც გაურისხდა იესიკას ასეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შერცხვენისათვის და გააგდო სახლიდან. ორივე მხრიდან მოძულებულმა იესიკამ მიმართა ისევ მაშინდელ გამოჩენილ თავადებს: წულუკიძეებს, წერეთლებს და სხ. და სთხოვა ეშუამდგომლათ მეფესთან, რომ შეენდო მისთვის შეცდომილება და თავშესაფარი ადგილი მიეცა მის სოფელს ქვიტირში. მეფემ შეუნდო იესიკას და დაუნიშნა ქვიტირის ერთი უბანი და ოთხი კომლი გლეხი, დანარჩენი ქვიტირი და ყმები კი წულუკიძეებს და სხვა თავადებს, და იესიკაც წულუკიძის აზნაურად გახადა. (უწინ კი ავალიანები მეფის აზნაურები ყოფილან.)

იესიკამ თურმე არც ამის შემდეგ მოიშალა თავის გულდიდობა.

ქვიტირში არის ერთი ნასაყდრი, რომელსაც «ავალიანების ნასახტრს» ეძახიან. აქ ყოფილა წინეთ ქვის ეკკლესია; ეხლა მხოლოდ ნანგრევებიღაა დარჩენილი. მღვდელს არ შეეძლო თურმე იესიკას მოსვლამდის ეწირა, ან ელოცა. თუ თვითონ იესიკა არ მივიდოდა, შეუთვლიდა მღვდელს, მე ვერ მოვდივარ და ნუ მიყურებთო. მაგრამ მას შემდეგ, რაც მეფემ სოფელი და ყმები წაართვა, იესიკა მთელს სოფელზე იყრიდა ჯავრს და მიზეზს ეძებდა, ვისთვის ეკბინა.

ერთს აღდგომა-ღამეს, როდესაც ეკკლესია ხალხით სავსე იყო, იესიკა არც თვითონ მივიდა და არც კაცი გამოუგზავნა მღვდელს. მღვდელმა უყურა გათენებამდის, მაგრამ იესიკა არსად სჩანდა. ხალხმა მიუგზავნა მღვდელს აზნაურები, გვარად აბულაძეები და სთხოვა: «აგერ მზე ამოდის და შემდეგ წირვა არ შეიძლება; შეუდექით წირვას, იესიკა აწი აღარ მოვაო.» მღვდელი თუმცა კი ატყობდა, რომ კარგი დღე არ დაადგებოდა, მაგრამ აღდგომას უწირველობა შეუძლებელი იყო და ისევ შეუდგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წირვას. წირვის გათავების დროს იესიკაც მოვიდა. ხალხმა ჩურჩული «შეჰქმნა: არიქა, იესიკა მოდის, თავს ვუშველოთო!» და ყველა გარედ გამოცვინდა ეკლესიიდან. მღვდელმა ბარძიმ-ფეშხუმი გამოიტანა, მაგრამ რა დაინახა გაფითრებული იესიკა, ხმალზე ხელ-დადებული, უკანვე საკურთხეველში შებრუნდა. საკურთხეველში შესვლამ მღვდელი გაამხნევა და ისევ გამოვიდა ბარძიმ-ფეშხუმით და იესიკას ზურგი შეაქცია, რომ შიშს არ შეეპყრო. იესიკამ იძრო მაშინვე ხმალი, შემოჰკრა მღვდელს და მთელი უკანალი ჩამოაგდებინა.

—

კაკიტა ნიჟარაძე ერთს დროში, თურმე, კარგი შეძლებული თავადიშვილი ყოფილა, მაგრამ მოხუცებულობის დროს გალარიბებულა. ერთხელ კაკიტა ლორებს მიდენიდა, თურმე, საბალახოდ. შემოხვდა წინ გოჩია მეფე თავის მხლებლებით და გამარჯობა უთხრა კაკიტას, მერე ჰკითხა: «ბეჩა კაკიტა, რა დაგმართია, ლორებს მწყესავო?»

—«არა, შენი მადლი არ გამიწყრეს,—მიუგო კაკიტამ:—ისე, ტყუილა მივაჭმევ-მოვაჭმევ და ქე გავდენი შიხაო».

—«ჰო, ჩემო კაკიტა, მწყესვაც ამას ჰქვიაო!» უთხრა მეფემ.

ხალხის ჩვეულებანი ს. ქვიტირში.

(შეკრებილი მისივე).

ახალი წლის წინა ღამე. ახალი წლის წინა ღამეს იციან ლოცვა. სახლში დარჩება ოჯახის უფროსი ქალი, ხანდისხან ორი-სამიც (რძლები და დედამთილი), დანარჩენი ყველა გარედ გავლენ. ესენი მოტეხენ ნიგვზის (კაკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ხის) ტოტებს, დაამტვრევენ პატარ-პატარა ჯოხებად და მოიმზადებენ ცალ-ცალკე. ოჯახის უფროსი დედაკაცი ილოცავს სახლში, ხატის წინ თაფლის სანთელს აანთებს და შემდეგ სჭამს მისთვის განკგებ მომზადებულს პურის კვერს, ქათმის თავ-ფეხს და კუჭს; ერთიოდე ჭიქა ღვინოსაც მიაყოლებს. ამასობაში კაცები და ბავშვები გარედ სიცივეში ყურყუტებენ. როდესაც გარედ მყოფი მამაკაცი შეატყობს ლოცვის გათავებას, დაურაკუნებს კარს და დაიძახებს: «კარი გამიღეო!» —«რა მოგაქვსო?» ჰკითხავს დიასახლისი. — „ივანე მახარობლის წყალობაო.“ დიასახლისი კარს არ უღებს. „კარი გამიღეო!“ ისმის მეორეჯერ.—«რა მოგაქვსო?» ჰკითხავენ შიგნიდან.— «ოქრო, ვერცხლი, თვალ-მარგალიტიო». კარი მაინც არ იღება. მამაკაცი მესამეჯერაც დაიძახებს: „კარი გამიღეო“ და დიასახლისის კითხვაზე: «რა მოგაქვსო», მიუგებს: «კაცთა მშვიდობა, კაცთა ბედნიერება». ამ სიტყვების გაგონებისათანავე კარიც იღება. პირველად ოჯახის უფროსი კაცი შემოდგამს სახლში მარჯვენა ფეხს და „ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰაო“, გადიხარხარებს ძალა-უნებურად და იწყებს ლოცვას. მას რიგ-რიგად, წლოვანების მიხედვით მიჰყვებიან ჯერ მამაკაცები და შემდეგ იმავე წესით დედაკაცები და ნიგვზის ჯოხებს მიმოაბნევენ სახლში; ხანდისხან ერთმანეთსაც მიარტყმენ ხუმრობით.

ერთი სასაცილო ამბავი გამიგონია ასეთი ლოცვის შესახებ. დიასახლისმა ძლიერ გააჭიანურა, თურმე, ლოცვა, შემდეგ ჭამაზედაც შეაგვიანდა; გარედ კი საშინელი ყინვა იყო და ყველა კბილებს აკაწკაწებდა სიცივისაგან. ოჯახის უფროსმა ველარ მოითბინა და მიარაკუნა კარს: «კარი გამიღეო»; დიასახლისს პირში ლუკმა ჰქონდა, თურმე, «რა მოგაქვს», ველარ გამოთქვა ხეირიანად და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხველება აუარდა. კაცს გული მოუვიდა და მიაძახა: «აი, დახრჩობა მომაქ მაგ შენი თავისთვის. კარი გამიღეო!» დაუძახა მეორეჯერ; ეგონა მესამე დაძახების შემდეგ კარი გაიღებოდა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ: დიასახლისმა პირველი დაძახება უკანონოდ სცნო, თურმე, და კიდევ ელოდა დაძახებას. „აღარ აღებ, შე ოჯახდაქცეულიშვილო კარსო!?“ მიაძახა კაცმა.— «რა მოგაქვს?» კიდევ ეკითხება ქალი.

—«რა მომაქვს და—მამალი ვირის თავი! შე სახლკარ დასაწვავო, გავიყინეთ, სახლში შეგვიშვიო!» ამ სიტყვებით ჰკრა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, კარს წიხლი: კარი ჩამოვარდა, დაეცა დიასახლისს თავში და კინაღამ სული გააცხებინა. «ჰი, ეს მომაქვს!» უთხრა შანის მიგებით ქმარმა: «აპა, რა გააგძელე ჭიაყელასავით და ამოგვწყვიტე ამ ყინვაში გარედ, რას გვერჩოდიო?» მაგრამ, როდესაც შეხედა გულშეწუხებულ ქალს, რომელსაც თავიდამ სისხლი მიჰთქიფინობდა, მაშინ კი მოიკვნიტა „ჩარბები“, მაგრამ გვიანღა იყო... მაგრამ ისევ დავუბრუნდეთ ღამის აღწერას.

შემდეგ მოხვეტენ სახლში მობნეულ ნიგვზის ჯოხებს და ცეცხლში დასწვავენ. მერმე ვახშმად დაჯდებიან. ვახშმად აკეთებენ ღომის კაკლიან ქათმის ხარშოს, «წმინდა ღომს» (არა ფქვილისას); ვისაც აქვს, მოუხელ ჭურს მოხდის და შეუდგებიან შინაურულ სადღეგრძელოებს. დაწოლის წინ გატენენ თოფს და მოამზადებენ. «სასტუმალში» (ბალიშის ქვეშ) მარილის კენჭს ამოიდებენ. დილას ძლიერ ადრე იღვიძებენ და მაშინვე მარილის კენჭს დაადებენ ენას, რომ «არაფერმა აჯობოთ.» თუ თოფის, ან სხვა რაიმე ხმა გაიგონეს, მაშინვე «მიჯობნიაო,» მიაძახებენ; თუ ამის დაძახება დაუგვიანდათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერ შესწუხდებიან; ამიტომ ხშირ-ხშირად იძახიან, განსაკუთრებით ბავშვები, «მიჯობნია-მიჯობნიაო.» ახალგაზდები ერთმანერთს ატყუილებენ: ერთი ბავშვი დაუძახებს მეორეს სახელს; თუ მან გაიგონა, პირველი მაშინვე «მიჯობნია», მიაძახებს, რაც მეორეს ძლიერ ეწყინება და სულ იმის ფიქრშია, როგორმე სამაგიერო გადაუხადოს. შემდეგ ერთი ოჯახის წევრთაგანი საწნახელს შემოჰკრავს რამდენჯერმე ხელს და სამჯერ დაიძახებს: ბარდი-ბურდი სხვის ვენახსა, ისხა-ისხა ჩვენს ვენახსა; ჩვენს ქალებსა კვირისთავი, სხვის ქალებსა ვირის თავი!» საწნახლის ხმაზე ყველა «მიჯობნიაო» დაიძახებს და მარილს მოსტლეკს.

ამასობაში მოაწევს «შინაური მაკვლიერი» (მეკვლევი), ოჯახის ერთი წევრთაგანი, რომელსაც «ღლიაში» (იღლიაში) ამოუდევს დიდი გობი. გობზედ აწყვია: „დედო" პური, ფეტვის მჭადი, მოხარშული ღორის თავი, ყბა-ართმეული, გაპუტული ინდაური, გაცეხვილი ღომის კაკალი, ვაშლი, მსხალი, ბროწეული, ნიგვზები (კაკლები), კვერცხი, წითელი კურკანდელა, სურო და სხ. მეკვლევს უკან მოჰყვება ღვინიანი დოქით ახალგაზდა ქალი, ან ვაჟი. მეკვლევი შემოივლის ყოველ ნადგამობას: მარანს, სასიმინდეს, „ხულას" (ბეღელს), «საბძელს», ბოსელს, საღორეს და სადგომ სახლს; ყოველგან მუჭით მიაბნ-მოაბნევს ღომის კაკალს და ადგილის შესაფერს ლოცვას იტყვის.

«შინაურს მაკვლიერს» შემდეგ მიდის «გარეშე მაკვლიერი», რომელიც «კარგი ფეხითაა» ცნობილი ამ ოჯახში. ესეც შემოივლის ნადგამობას და ილოცავს.

ამ ლოცვას მიჰყვება საუზმე, რომელსაც შეადგენს: ღორის თავი, «დედო» პური, ფეტვის მჭადი, კვერცხი, კაკლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ღვინო. კაკლებიდან ოჯახის უფროსი ამოარჩევს ერთს, საუკეთესოს და ილოცავს: «ღმერთო, ასე აავსე ჩვენი ოჯახი ყოველი განძით!» შემდეგ გატეხავს და ცოტ-ცოტას ჩამოურიგებს ყველა იქ მჯდომს. თუ კაკალი გულსავსე გამოვიდა, ძლიერ ესიამოვნება, თუ არა და — უზომოდ შესწუხდება. ამნაირი ლოცვის შესახებ ერთი სასაცილო ამბავიც გამიგონია. ერთხელ თურმე, როდესაც ოჯახის უფროსმა ამოირჩია კაკალი და ხელ-აპყრობით სთქვა «ღმერთო, გეველრები, ასეაავსე ჩემი ოჯახი ყოველი სიმდიდრით,» და გატეხა, ნახა — კაკალი «ფშუტარა» იყო (ჩუტე, უგულო). კაცი ტყვია-ნაკრავივით გაშეშდა, მაგრამ მალე მოვიდა გონს, მოიხადა ქუდი, დაიჩოქა და შეევედრა ღმერთს: «ღმერთო, შენი მუხლ-კალთის ჭირიმე! ხომ იცი, ჩემი ლოცვა ძალლის ყეფასავით ყურადღება-მისაქცევი არაა; კაციც არ ისმენს ჩემსას და ნუ შეისმენ ჩემ, უგუნურის ვედრებას!» შემდეგ გატეხენ «ლადარში» (ნალვერდალში) მრგვლად შემწვარ კვერცხს და დახედავენ: რომელი მხრითაც შეჭყლეტილი იქნება ჰაერისაგან კვერცხის ცილი, იტყვიან: «აი, აქეთ გვყოლია მტერიო.» თუ შეჭყლეტილი თავში, თავში ან ბოლოში აქვს კვერცხს, მტერი ადვილი გამოსაცნობია; თუ გვერდზე და — მაშინ კი ჩაფიქრდებიან და ხან ერთს მიათითებენ და ხან მეორეს. ამნაირად თავდება საუზმე და ეგებებიან ახალ წელს.

«მეფერხობა.» ახალი წლის მეორე დღეს იციან ლოცვა, რომელსაც «მეფერხობას» ეძახიან. აი, რაში მდგოქარეობს ეს ლოცვა: მწარე «კვახს» (ოგურეს) მოხაპავენ თავს და ჩაჰყრიან შიგ „ლომის ჩხოს“ (გაუცეხველ ლომს) და დაამხობენ გოდორს, ან «საბუდარს» (ქათმის ბუდეს); გოდორზე დადგება ერთი ბავშვი, დაიწყებს წალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა ტრიალს და კრუსუნს; ბავშვს ხელში უჭირავს ქათმის კვერცხი; გოდრის წინ გდია მიწაზე «ღომის ჩხოიანი კვახი,“ გოდორს გარშემო უვლიან ბავშვები, რომლებიც „ჭუჭულებივით წიაქობენ“ (წიწილებივით წივიან). ბავშვი სამჯერ მოტრიალდება გოდორზე, მერე გაიმართება «წელში» და იტყვის: «ღმერთო, ასე გაამრავლე ჩვენსას ჭუჭულები და ქათმები!» ამის თქმა და გოდრიდან გადმოხტომა ერთია; დაჰკრავს ფეხს კვახს, და «ღომის ჩხო» აქეთ-იქით გაიფანტება. მაგრამ, თუ ბავშვმა «კვახს» ფეხი დააცილა, ძლიერ გაუჯავრდებიან; ხანდისხან მარტო გაჯავრებასაც არ აკმარებენ. შემდეგ ბავშვები შეწვავენ კვერცხს მრგვლად ნაღვერდალში და სჭამენ (სხვას არ შეუძლია შეეზიაროს).

«ბზნილობა». ყველიერის ოთხშაბათს გაუთხოვარმა ქალებმა იციან ბზნილობა: არას სვამენ და სჭამენ; სალამოს გააკეთებენ ძლიერ მწუთხე ხაჭაპურს და გზა-ჯვარედინზე შეჭამენ, მოვლენ სახლში და დაწვებიან; ჭამის დროს კი არავინ უნდა შემოესწროთ. ჰფიქრობენ, როდესაც მოგვწყურდება, ჩვენი საქმრო მოვა და წყალს დაგვალევინებსო.

«მწერის არჩიეი.» ყველიერის აღება-ღამეს იციან «მწერის არჩივის» შენახვა. ნავახშმევს ოჯახის უფროსი მოსტეხს ერთს კვერცხს წვრილად თავს, ყველაფრიდან, რაც ვახშმად აქვს, აიღებს პატარ-პატარა ნაწილებს, ჩაჰყრის კვერცხის ნაჭუჭში და იტყვის მაგალითად: «მწერო! შემინახავს შენთვის ჩემი არჩივი: პური, ღომი, მჭადი, ყველი, თევზი, კვერცხი, ღვინო და სხ.; იცოდე, ალარ მიკბინოო?» ოჯახის უფროსს რიგ-რიგობით მიჰბაძავენ დანარჩენი წევრებიც. შავ ორშაბათს ერთი რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიმე წევრი ადგება ადრე და გადააგდებს კვერცხის ნაჭუჭს სხვის ადგილში.

«შემორება». დიდ ოთხშაბათს, საღამოს, ერთი ბიჭი ვენახის ოთხივ კუთხეში დაანთებს ცეცხლს, მეორე დაიჭერს ხელში სახნისს, ურტყამს ზედ ქვას, უვლის ვენახს გარშემო და იძახის: «ჯვარი აქა, ჯვარი იქა! შენი სვი და შენი სჭამე, ჩემსას ჯვარი დამიწერე! ჰარული ტურა-ქალებსა!» ამნაირად სამჯერ შემოუვლიან ვენახს,

«უბრობა». დიდ ხუთშაბათ-დილას ოჯახის უფროსი ქალი ადგება ძლიერ ადრე, ამოიღებს ჭიდან წყალს. პირშიაც წყალს «დაიბუგებს» და სანამ შვილებს პირს არ დააბანინებს ამ წყლით, ხმას არ გაგცემთ, რამდენიც უნდა ელაპარაკოთ. შემდეგ დახვეტს სახლს «ოქროს ცოცხით» (რომელსაც სთესენ და ბუჩქებად ამოდის) და ნახვეტს და ცოცხსაც სხვის ადგილში გადააგდებს,

«გადაცემა». ს. ქვიტირში არის ერთი მინდორი, სახელად «სამკალია». აი, საიდგან წარმომდგარა ეს სახელი. 15—20 წლის წინად, აღდგომის მეორე დღეს, შემოსილი მღვდელი გაიყოლიებდა ნაწირვებს ხალხს და წავიდოდა ამ მინდორში. ხალხს წინ მიუძღოდა ეროი მებაირაღე, რომელსაც ეკკლესიის ბაირაღის უქონლობის გამო გრძელ ჭოგრზე წამოეკიდა წითელი ხელსახოცი. (ეხლაც ბაირაღს იმ ერთი გვარის კაცი ატარებს, ბუმბუკიშვილები). მინდორში ეხლაც გდია ვებერთელა კლდის ქვა: ქვის გვერდით დასობილი ყოფილა ბლის გულის მსხვილი პალო; პალოსთან გადებულია ბლისავე დიდი ურო. მღვდელი ილოცავდა, ხალხი დაიჩოქებდა და გარდასცემდა ყოველ ცუდს კაცს, შემდეგ მივიდოდა, აიღებდა უროს, იტყოდა: «ღმერთო! ასე დაუქციე თავი ჩვენი ეკკლესიის კაცის დამკლეს,» და ღონივრად დაარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყავდა პალოს. ვინც არ დაჰკრავდა, ხალხი მისცვინდებოდა და ერთს ყოფას დაუწყევდა: «შენ ქურდი ხარ, შენ ცუდი კაცი ხარო“.

ამას შემდეგ ყველა თითო კალიას დაიჭერდა და მახლობელს ღელე «ოღასკურაში» ჩაჰყრიდა და იტყოდა: «ღმერთო, ააშორე ჩვენს ყანებს კალიასაგან განადგურება». აქედან წარმოსდგა სიტყვა «სამკალია».

აღდგომა ღამეს, როდესაც მესამეჯერ შემოუვლიან ეკკლესიას, ყველა თითო ქვას აიღებს, ისვრის დასავლეთისკენ და იძახის: «ქვა ურიას, ქვა ურიასო!»

აღდგომის მეორე დღეს, «სამკალიაში» წასვლის მაგიერ, შემოსილი მღვდელი გამოასვენებს ხატს (მაცხოვრისას, რომლის სახელზედ აშენებულია ეკკლესია) ერთი ცაცხვის ძირში, სადაც მოგროვდება ხალხი. მღვდელი ლოცვა-კურთხევით მოიხსენიებს ეკკლესიის ყველა შემომწირველებს; ხალხიც «ღმერთმა გაუმარჯოს», ან «ღმერთმა აცხონოსო!» იძახის. შემდეგ ერთი აზნაურთაგანი მაღლიდან წყევლა-კრულვით მოიხსენიებს ყოველ ბოროტს და ცუდ კაცს, განსაკუთრებით ქვიტირის ეკკლესიის დამკლებს და ხალხიც „ღმერთმა ამოაგდოს, ღმერთმა ამოაგდოს!» იძახის.

იმ ცაცხვზე, რომლის ძირშიაც ეს გარდაცემა ხდება, თუ დააკვირდებით, შეამჩნევთ მრავალ შერჭობილ ლურსმანს. ეს არის დედაკაცების ნამოქმედარი, რომლებიც, როდესაც ვისმე გარდასცემენ, ცაცხვზე ლურსმანს მიაჭედენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოხუცის ნავეზირალის რჩევა.

(ხალხური არაკი, გაგონილი შაქრო შავშიშვილისაგან და ჩაწერილი ქართველი ოსებ'შის-მიერ).

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხემწიფე. ხემწიფემ თავის საბრძანებელში ბრძანება გამოსცა, რომ რვა საათის შემდეგ სანთელი აღარავის სახლში აღარ ვნახო ანთებულიო, და თუ ვნახე—სიკვდილით დავსჯიო. მართლაც, შელამდებოდა თუ არა, ხემწიფე ჩაიცვამდა გლეხურ ტანისამოსს და დადიოდა თავის სატახტო ქალაქში, და ვისაც ნახავდა რვა საათის შემდეგ სანთელ-ანთებულს, სიკვდილით სჯიდა. ერთ საღამოს ჩვეულებისამებრ ჩაიცვა ხემწიფემ გლეხურად და დადის თავის ქალაქში. გაიარა ერთგან, შეხედა, რომ ერთ სახლიდან სანთელი ცოტათი ბჟუტავდა. მივიდა და ეზოდან დაუძახა: მასპინძელო, ამაღამ მისტუმრეო. სახლის პატრონი მოეგება და უთხრა: მობძანდით, სტუმარი ღვთისაო! შევიდა შინა; ხემწიფემ ჰკითხა მასპინძელს: სანთელი ესე რად გიბჟუტავსო? რა ვქნათ, შენი ჭირიმე, დიდებული ხემწიფე ასე გვიბძანებსო, მიუგო მასპინძელმა. ვახშამი სჭამეს, სტუმარს კაი პატივი სცეს, ცალკე გაუშალეს და დააძინეს, რა იციან, თუ ხემწიფეა? შუაღამე რომ შეიქნა, მასპინძლის ცოლი წამოდგა, ჩაიცვა, ჩამოიღო ხმალი, ამოაძრო ქარქაშიდან, დაადგა ქმარს და უთხრა: «თუ გძინავს, არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაილვიძო, და თუ გლვიძავს და მოგკლავო". ქმარს, საბრალოს, თუნდაც რომ ღვიძებოდა, აბა ხმას როგორ ამოიღებდა? დედა-კაცმა ხმალი ისევ ქარქაშში ჩააგო, დაჰკიდა თავის ალაგას, გამოვიდა გარედ და გასწია სადღაც. ხემწიფემ ესეები ყველა გაიგო, ადგა და შორე-ახლო გამოუდგა დედაკაცს. დედაკაცი მიდის, ესეც მისდევს. იარა-იარა დედაკაცმა, მიადგა ერთს უზარ-მაზარს კლდეს და შესძახა გამოქვაბულში: „გამოდი ჩემო საყვარელოო". ვნახოთ, გამოვიდა ერთი უზარ-მაზარი არაბი, ისეთი უშნო, რომ ძირის ტუჩი მიწაზედ დასთრევდა და ზეკითა თავზედ ჰქონდა გადაფარებული; შეხედა—დედაკაცს და შეუტია: წადი, შენი დანაპირები არ მოგიტანია, მე შენ ვერ შეგიყვარებო! დედაკაცი ტირილით დაბრუნდა ისევ უკან და წამოვიდა. ხენწიფეც ისევ საჩქაროდ წამოვიდა და ჩაწვა ლოგინში. დედაკაციც მოვიდა და ჩაუწვა ქმარს ლოგინში. გათენდა, ხენწიფემ მადლობა გადაუხადა მასპინძელს და გასწია შინ.

მეორე დღეს რომ დალამდა, ხენწიფემ სხვანაირი ტანისამოსი ჩაიცვა და მიადგა ისევ იმ კაცს კარებზედ და დაუძახა: ოჯახის შვილო, თუ შეიძლება მისტუმრეთ ამალამაო! მასპინძელი გამოვიდა, სტუმარი ღვთისაო და შეიყვანა შინ. ვახშამი გაშალეს, სტუმარს კაი პატივი სცეს, ცალკე მოასვენეს და ცოლ-ქმარმა ცალკე დაიძინეს. კიდევ შუა-ღამე რომ შეიქნა, დედაკაცი წამოდგა, ჩაიცვა, ჩამოიღო ხმალი და სთქვა: ეჰ, როდემდის უნდა ვიტანჯო ასეო? ამოაძრო ხმალი ქარქაშიდან, გაუშალა, სწყვიტა ქმარს და გააგდებინა თავი. ხენწიფე-კი გამოჰყურებს საბნიდან განაბული და კანკალმა აიტანა, უთუოდ მეც მომკლავსო! დედაკაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა გაახვია ბალდადში თავისი ქმრის თავი, გამოვიდა გარედ და გასწია სირბილით. ხენწიმფეც წამოდგა დაშორე-ახლო მიჰყვა. დედაკაცმა იარა და მივიდა ისევ წინანდელ უდაბურ კლდის გამოქვაბულთან და შესძახა: „გამოდი ჩემო საყვარელო, მოგიტანე დანაპირები“. გამოვიდა—ისევ ის საძაგელი ლაშიანი არაბი, დედაკაცს გამოართვა ბალდადი, გახსნა და ნახა, რომ შვენიერ ვაშკაცის თავი იყო.—მე წუწკო, ამისთანა მთვარესავით კაცს ულალატე, მე, ამ ბედასლს როგორ შემიყვარებო?! გაუშალა, ერთი სილა გაარტყა დედაკაცს და ცხრაჯელ ყირამალა გადაატრიალა. დედაკაცი კარგა ხანს ეგდო დარეტიანებული, მერე წამოდგა და ტირილით დაბრუნდა შინ. ხენწიფემაც ისევ ჩქარა გამოსწია შინ; შევიდა, დაისველა ხელი თავ მოჭრილ კაცის სისხლში, გამოვიდა, დაჰკრა ალაყაფის კარებს, რომ დასტყობოდა ნიშანი და გამოსწია თავის სასახლისაკენ. დედაკაციც მოვიდა შინ, ნახა, რომ სტუმარი წასულიყო, საჩქაროდ თავისი ქმარი დამარხა იქვე ეზოში, მერე იფიქრა: „იმ სტუმარმა კი არაფერი მიხიმანოსო“? ადგა, მიათვალიერ-მოათვალიერა იქაობა; ნახა, რომ ალაყაფის კარებს სისხლიანი ხელი აქვს დარტყმეული. ადგა მაშინვე თვითონაც დაისველა სისხლში ხელი, დაჰყვა და თავისი სახლის დაყოლებაზე ყველას ალაყაფის კარებზედ ისეთივე ნიშანი დაადო. ხენწიფემ მეორე დღეს, გათენდა თუ არა, დაიბარა თავისი ვეზირები და უთხრა: წადით ამ ქუჩაზედ და რომელ სახლის ეზოს კარებსაც სისხლიანი ხელი ეტყობოდეს, იმ სახლში-მყოფი დედაკაცი აქ მომგვარეთო. ვეზირები წავიდნენ ხენწიფის ბძანების აღსასრულებლად; აიარეს-ჩაიარეს ქუჩა და ნახეს, რომ იმ ქუჩაზედ ყველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლის ეზოს კარებზედ სისხლიანი ხელი ეტყობოდა. დაბრუნდენ ისევ და მოახსენეს ხენწიფეს: დიდებულო ხენწიფევ! იმ ქუჩაზედ ყველა კარებს სისხლიანი ხელი ატყვია და რომელი მოვიყვანოთ, არ ვიცითო. ხენწიფე ძლიერ ჩაფიქრდა. მეორე დღეს დაიბარა ერთი თავისი საყვარელი ვეზირი და უთხრა: „სანადიროდ უნდა წავიდე, ორი კვირა მომიგვიანდება. და სანამ მოვიდოდე, პირველად ჩემი ცოლი და ქალები დახოცე, მერე შენი და შემდეგ, რაც ჩემ ქალაქში დედათაგანი იყოს დიდიან პატარიანად, სულ უნდა გაწყვიტო, რომ ერთი არივინ დარჩეს, თორემ დაბრუნებისას, თუ ჩემი ბრძანება აღსრულებული არ დამხვდა, ჩაგაყრი ბურნუთს და ჰაერში გაგაქანებო. მწარედ დაღონებული წამოვიდა ვეზირი შინ. ამ ვეზირს ჰყვანდა ერთი მოხუცი მამის პაპა. ყოველთვის ვეზირი როცა გარედგან შინ შევიდოდა ხოლმე, მივიდოდა მამის პაპასთან, მიესალმებოდა და ხელზედ აკოცებდა. ეხლა-კი არც მიესალმა და არც ზედ შეხედა; დაღონებული გადის და გამოდის, რომ აღარ იქნა, მამის პაპამ დაუძახა და ჰკითხა: შვილო, რად ხარ დაღონებული, რა მოგსვლიაო? როგორ რა მომსვლიაო, ასე და ასე მიბრძანა ხენწიფემ, და, თუ არ ავასრულე, ბურნუთი უნდა ჩამაყაროს და ჰაერში უნდა გამაქანოსო. მაგისათვის რად დაღონებულხარ, შვილო? უთხრა მოხუცმა. ხენწიფე რომ მობრძანდეს, მოახსენე, ჩემმა მამის პაპამ არ დამანებათქო. მე დამიბაროს და პასუხს მე მივცემო. მართლაც, ვეზირი ასე მოიქცა. გავიდა ორი კვირა და დაბრუნდა ხენწიფე ნადირობიდგან; მოვიდა შინ, ნახა, რომ მისი ცოლ-შვილიც ცოცხალი იყო და სხვებისაც. რასაკვირველია, ძლიერ განრისხდა, დაიბარა მაშინვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეზირი და დაიძახა: მომიტანეთ ჩქარა ბურნუთიო! ვეზირმა დაიწოქა მუხლებზედ და მოახსენა: დიდებულო ხენწიფე, გთხოვთ ერთი სიტყვა მათქმევინოთო. სთქვიო, უბძანა ხენწიფემ.—მე წინად ჩემი ცოლ-შვილი უნდა დამეხოცნა და მერე თქვენი, მაგრამ ერთი მოხუცი მამის პაპა მყავს და იმან არ დამანება და მითხრა: ხენწიფე რომ მობძანდეს, მე დამიბაროს და მე მოვახსენებ პახუხსაო, მაშ წადით, მომიყვანეთო, ბძანა ხენწიფემ. წამოვიდა ვეზირი, აბა სიარულის თავი სადა ჰქონდა? მაგრამ თეთრ ყუთში ჩაუგეს ბამბა, ჩააწვინეს შიგ მოხუცი და წაიყვანეს ხენწიფესთან, მიიყვინეს თუ არა, ასწიეს მოხუცი და ყუთით შეიტანეს ხენწიფის სახლში. მობძანდა ხენწიფე, შეხედა რომ თეთრი წვერი, თეთრი ყუთი დი ბამბა არ ერჩეოდა ერთმანეთში. მივიდა და უბძანა ხენწიფემ მოხუცს; რატომ არ დაანებე ჩემი ბძანების აღსრულებაო? დიდებულო ხენწიფეო, დაიწყო მოხუცმა, მამი-თქვენის პაპის ვეზირი გახლდით. ჩვენ ვიყავით ორმოცნი ვეზირნი. ამ ორმოც ვეზირში ერთ ღამეს ერთი დაგვაკლდა ისე, რომ ვერავინ ვერ გაიგო მისი ასავალ-დასავალი, მეორე ღამეს მეორე, ასე რომ ოც-და-ცხრამეტი კაცი ოც-და-ცხრამეტ ღამეს თითო-თითოდ დაგვეკარგა და დავრჩი მარტოდ მე. მეორმოცე ღამეს, მე ვიწექი, რომ ვიღამაც დამიკაკუნა კარებზე. წამოვფრინდი, პერანგა გარედ უნდა გამეხედნა, წამოხტა ჩემი ცოლი, წამომეწია, ისეთი წამომკრა, რომ კინაღამ თავ-ბრუ დამესხა და მითხრა: სად მიდიხარ ტიტველა, ან კიდევ იქნება ის იარაღიანია და შენ უიარაღოდ გადიხარო? ჩაიცვი, აისხი იარაღი და ისე გახედეო. მე ჩავიცვი, ავისხი იარაღი და უნდა გავსულიყავი გარედ, რომ წამომეწია ჩემი ცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი და კიდევ უარესად წამჰკრა კისერში: სად მიდიხარ
რომ მიდიხარ, იქნება ის ცხენი არის და შენ-კი უცხენოდ მიდიხარო. გავექანე მაშინვე შევეკაზმე ცხენი, შევჯექ და გავედი გარედ. დამინახა თუ არა მან, ვინც კარებზე დამირაკუნა, მომაძახა: „უჰ, შენი გამჩენის ჭირიმე შენი, ძლივს არა ვნახე ვაშკაციო!“ შემოჰკრა თავის ცხენს ქუსლი და მითხრა: „იარე ჩქარა, მომყევიო“. მეც დავსძარ ცხენი და გავსწიეთ. ცხენი ჰყვანდა ისეთი, რომ ფრინველივით მიჰქროდა, მაგრამ მეცკი კარგი ცხენი მყვანდა, როგორც იყო, მივსდევდი. მე სწორედ გითხრათ ძლიერ შევფიქრიანდი და გზაზედ რამდენჯერმე გადავსწყვიტე მოკვლა ჩემი თანამგზავრისა! კიდეც ამოვსწიე ხანჯალს, მაგრამ, არ ვიცი როგორ შემასწრო თვალი უკან მიმდინარს და მომაძახა: „ჰეი ყმაწვილო, ეგ ვაშკაცის საკადრისი არ არის, იარე მომყეო“. მეკ, მეტი გზა არა მქონდა, თავის იმედი აღარა მქონდა, მივსდევდი. ვიარეთ-ვიარეთ და მივედით ერთ უზარ-მაზარ კლდის ძირში, სადაც გამოქვაბული იყო. გადმოხტა ჩემი თანამგზავრი და მეც გადმოვხტი; მომცა ცხენი ხელში და მითხრა: მე აქ გამოქვაბულში მტერი მყავს, აქ უნდა შევიდე და დავეჭიდო. თუ ვიპოვნე, ერთს, როცა ვიპოვნი მტერს, მაშინ დავიწივლებ, ერთს, როცა დავეჭიდები მაშინ დავიწივლებ და ერთსაც, თუ მოვერევ, მაშინ დავიწივლებ; თუ მესამედ აღარ დავიწივლე, იცოდე, რომ ის მომერევა და მაშინ გასწი და წადი, ეგ ცხენიც შენთვის წაიყვანე, დმერთმა მოგახმაროსო. შევიდა გამოქვაბულში, მე დავიწყე ლოდინი; რომ მომწყინდა ლოდინი, მივედი გამოქვაბულის კარებში. როგორც შევდგი ერთი ფეხი შეხასვლელად, ერთი წივილი გამომესმა, რომ კინალამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიშით დავიბნიდე. გამოვბრუნდი, ისევ დავიწყე ლოდინი, კიდევ რომ მომწყინდა და ის იყო ვაპირებდი გამობრუნებას, წინანდელზედ უარესი წივილი მომესმა. დავიწყე კიდევ ლოდინი, რომ მომწყინდა, ის იყო უნდა შემჯდარვიყავი ცხენზედ, ცალი ფეხიც გავჭყავი უზანგში, ერთი საშინელი წივილიც კადევ შემომესმა. მაშინ-კი გავიგე, რომ გადარჩა ჩემი თანამგზავრი. ცოტა ხნის შემდეგ გამოვიდა და აბრეშუმის ხელსახოცით შეხვეული რალაც გამოიტანა, შეჯდა ცხენზედ და მითხრა: „შეჯექ შენც და მომყეო“. მეც, მეტი რა გზა მქონდა, გავჭყევი. ვიარეთ-ვიარეთ და მივადექით კიდევ ერთს უზარ-მაზარს კლდეს, სადაც უზარ-მაზარი გამოქვაბული იყო. შევხედე რომ ამ გამოქვაბულში ჩემი ოც-და-ცხრამეტი ამხანაგი ყველანი ჰკიდიან: ზოგი ხელით, ზოგი ფეხით, ზოგი ცხვირით და ზოგი რით. ესენი რომ ვნახე, მაშინ უფრო თავის იმედი გადავსწყვიტე და ვსთქვი: მშვიდობით ცოლო და შვილო-მეთქი! იქიდანაც ვიარეთ და როგორც იყო გავედით ედემისებურ მწვანე მინდორზედ. მინდორზედ მშვენიერი ბალია გაშენებული და შიგ მშვენიერი სასახლე სდგას. გადმოვხტით ცხენებიდან; ჩემი თანამგზავრი შევიდა სასახლეში, გამოიტანა ბარი და ნიჩაბი, ბალში შემომიხაზა მწვანე და მითხრა: აბა მოთხარე აქაო. მეტი რა გზა მქონდა, დავიწყე თხრა და თან ვფიქრობდი: ჩემი ხელით ჩემს საფლავს ვსთხრი-მეთქი. ვთხარე, ვთხარე და ერთი მშვენიერი კუბო გამოჩნდა. ამოიღეო, მითხრა. ამოვიღე კუბო. ახადეო—მითხრა. ავხადე, დავხედე, ისეთი მშვენიერი ვაშკაცი იწვა კუბოში, რომ მის დანახვაზედ მტერსაც-კი ტირილი მოუვიდოდა; მერე მითხრა: „იცი ძმაო, მე ქალი ვარო. ეს მკვდარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის ჩემი ბიძაშვილი. მე და ამას ერთმანეთი გვიყვარდა, მაგრამ ჩვენმა დედ-მამამ ნება არ მოგვცა. შემდეგ, ამას თავის ცოლმა უღალატა და მე ჩემმა ქმარმა, და მეც ქმარს თავი დავანებეო. მე რომ კლდეში შევედი და გითხარი მტერი მყავს-მეთქი, ის მისი მტერი იყო, რომელმაც ამისი ცოლი გადიბირა. გახსნა ის აბრეშუმის ხელსახოცი, რომელიც გამოქვაბულიდან გამოიტანა და მაჩვენა ერთი საძაგელი არაბის თავი. ეს ჩემი ბიძაშვილი რომ კვდებოდა, ანდერძი დამიგდო, რომ ჩემი მტერი მოკალი და შენც ჩემთან მოიკალ თავიო. მე დროზედ მინდოდა ამესრულებინა ამისი ანდერძი, მაგრამ დღემდინ შენს მეტი ვაშკაცი ვერ ვნახე, რომ ეს ჩემი ამბავი მეამბნა და მასთან ჩემი ბიძაშვილის ანდერძი აღმესრულებინა; ახლა მე ამას თავი უნდა დავაკლა ზედ და გთხოვ, ამ საფლავში ერთად დაგვასაფლავო, და შენ ღმერთმა მოგახმაროს ეს ჩემი ცხენი და იარაღიო. რაც რამე მოგეწონოს ამ სახლში, ყველა წაიღე, და როცა დაგვმარხო, წადიო. მერე დაიწყო ტირილი, იტირა და მეც მატირა; იმდენი იტირა, რომ კუბოში ცხედარი სულ დაასვეღია ცრემლით; მერე ამოიძრო ხანჯალი, ტარი მიცვალებულს დააბჯინა, წვერი თვითონ მიიბჯინა გულში, დააწვა და ხანჯლის წვერმა ბეჭებში ამოჰყო თავი, და დააკვდა ზედ. მერე როგორც იყო გადმოვაბრუნე, ამოვაძრე ხანჯალი და ორივე ერთად დავასაფლავე. რაც რამ მომეწონა წამოვიღე და წამოვედი. გამოვიარე ჩემს ამხანაგებთან; ვინც ცოცხალი იყო, ჩამოვხსენი, გავათავისუფლე; ვინც მკვდარი, დავმარხე, და ცოცხლებს გავუყავი, რაც წამოვიღე და მოვედი შინ. აბა, დიდებულო ხენწიფე! ჩემთვის რომ ჩემს ცოლს რჩევა არ მოეცა, მეც ხომ იმ ალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაა ჩავარდებოდი, სიდიაც ჩემი ამხანაგები იყვნენ? და იმ ქალს რომ თავის ბიძაშვილისათვის ანდერძი არ აესრულებინა, ხომ, ვინ იცის საიქიოსაც იმ მშვენიერ ვაშკაცს დარდით ენებოდა ჩაყოლილი თავისი მტრის დარდი? ახლა ხომ თქვენ თვითონ დარწმუნდით, რომ ქალებსაც შეხძლებიათ რამე? აბა, თქვე დალოცვილო, თქვენ ერთი წუწკი დედაკაცის გულისთვის, თქვენს ქალაქში მთელი დედათაგანის გაწყვეტა გინებებიათ, თქვენ რა იცით, რომ ერთ წუწკ დედაკაცთან, ასი კარგი არ ურევიათ? მოახსენა მოხუცმა ნავეზირალმა ხანწიფეს. რასაკვირველია, მოხუცი ნავეზირალის რჩევა ხანწიფეს ძლიერ მოეწონა; იმას დიდი, დიდი წყალობა უბოძა და მის შემდეგ თავის სამეფოს უფრო გონივრულად განაგებდა.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა!

899/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალალაკის

თვიური

კრებული

წელიწადი მეორე

№ X

ოქტომბერი, 1899

ქუთაისი
ღამბაშიძის სტამბა ✲ Типографія Гамбашидзе
1899

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი:

პირველი განყოფილება.

			გვ.
I	**აკაკის** კოლხიდელი (ლექსი) . .		1— 2
II	**კოლხიდელს** აკაკი (ლექსი) . .		3 – 4
III	**თავ-გადასავალი** აკაკისა . .		5 – 21
IV	**გაიოზ გართლოზმიჩი** (მოთხრობა) მაჩხანელისა		22— 43
V	*** (ლექსი) სისხნა მეჩანგურესი. .		44
VI	**მოხუცის აღსარება** და *** (ლექსი) დ. თომაშვილისა.		45 – 48
VII	**აკაკის წერილი** თ. ილია ჭავჭავაძესთან		49— 72
VIII	**შავი ძვის სამეფო** მიცანი-სა. .		73— 90
IX	**საქართველოს დედა ქალაქი ტფილისი** (ბოგრძ.) მ. ჯანაშვილისა . .		91—104

მეორე განყოფილება.

I	**სოფ. ჭალატყე,** ხალხური ლექსები და გამოცანები, წარმოდგენილი ალ. მერკვილაძის-მიერ.	1—38
II	**გურული ასახსნელები,** ჩაწერილი ალ. მერკვილაძის-მიერ. . . .	39—40

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა კ ა კ ი ს

თ ვ ი უ რ ი

კრებული

წელიწადი მეორე

№ X

ოქტომბერი, 1899

9055

ქ უ თ ა ი ს ი
ღამბაშიძის სტამბა ✡ Типографія Гамбашидзе
1899

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 19 Октября 1899 г.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი:

პირველი განყოფილება.

			გვ.
I	**აკაკის** კოლხიდელი (ლექსი) . .		1— 2
II	**კოლხიდელს** აკაკი (ლექსი) . .		3— 4
III	**თავ-გადასავალი** აკაკისა . .		5— 21
IV	**გაიოზ გართლოზმიჩი** (მოთხრობა) მაჩხანელისა		22— 43
V	*** (ლექსი) სისონა მეჩანგურესი. .		44
VI	**მოხუცის აღსარება** და *** (ლექსი) დ. თომაშვილისა.		45— 48
VII	**აკაკის წერილი** თ. ილია ჭავჭავაძესთან		49— 72
VIII	**შავი ქვის სამეფო** მიცანი-სა. .		73— 90
IX	**საქართველოს დედა-ქალაქი ტფილისი** (გაგრძ.) მ. ჯანაშვილისა . .		91—104

მეორე განყოფილება.

I	**სოფ. ჭალატყე**, ხალხური ლექსები და გამოცანები, წარმოდგენილი ალ. მერკვილაძის-მიერ. . . .	1—38
II	**გურული ასახსნელები**, ჩაწერილი ალ. მერკვილაძის-მიერ. . . .	39—40

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკის

კოლხიდელი.

დეკემბრის 9-ს 1875 წ. ქუთაისი.

ძველს რომ ახალი არ ეკარება,
ნეტამც ვიცოდე, რას ემართლება?
ახლისგან ძველის შეურაცხება,
მე ვგონებ, ახალთ არ ეკადრება!

—

ვაჟო, ახალიც ხომ მოხუცდება!
მაშინ ხომ იგი არ განახლდება?
ახალი ნეტა რისგან არსდება,
თუ ძველისაგან არ წარმოსდგება?

—

ძველია არსი, ახლის მაარსი,
მზრდელი ახლისა წარმომჩენელი.
თუ არა ძველი, რა არს ახალი,
ვინ მისცა ახალს ენა მეტყველი?

—

ვინ მისცა ჰაზრი, ბუნების ვაზი,
ნაყოფთა ამოდ გამომღებელი?
ან ვინ გააცნო კალამი, წერა,
თავისუფალად მთაზედა მვლელი?

—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატივის ცემა ახლისგან ძუძლის
ახალსა მისცემს აღნადგინებით.
არა სწამს ძუძლსა, რომ ჰაზრი ესე
ახალთა ჰქირდონ კრტინვით, კიცხევით.

—

გამოცდილებას სწავლის გვირგვინად
მოხუცებულნი ჩუძნ ვეწამებით,
და ამით ძუძლნი ჯერ-არს პატივით
ისხდენ ახალთან სპეტაკის თმებით.

—

სწავლა და ცნობა ვიდრე იპოვნის
სამკაულს თვისსა, გამოცდილებას,
სოფელსა შინა მარტივად სცხოვრებს,
არა აქვს საზრდო მეხსიერებას.

—

გარეგან ცოდნაც ყოვლის ხილულის
ვერ მოგვირეწს ჩუძნ სიბრძნის დიდებას,
ვერც შესცვლის წესსა გარემოების,
ვერც ზე აღიყვანს სიტყვიერებას.

—

ძუძლი, ახალი ჯერ-არს რომ იყოს,
განუკვეთელად, ერთად, ერთ-გვარად,
მაშინ იქმნება ცნობა და ცოდნა,
ასპარესზედა მდგომი თამამად.

—

მაშინ არს ძალი, ძალ-უძლეველი,
შეერთებული შემტკიცებულად,
მაშინ არ დრტვინავს სამშობლო ძუძლი,
ეხილავს თავსა განახლებულად.

—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძუსლისგან ახლის მართ სიყუარული,
ახლისგან ძუსლის პატივის ცემა,
ამ ორთა ტკბილად სიტყვიერება —
არს მამულისა სიცოცხლის კმევა.

—

ერთის ულლის ქუშ ესენი ორნი
საზოგადოსა ყანას ეყოფა,
და ყანის იფქლსა, დამუშავებულს
ღვარძლი თავისით გამოეყოფა!

კ.

კოლხიდელს

ა კ ა კ ი.

მებოძა თქვენი ბრძნული წერილი,
მაგრამ პირადად მე არ მეხება:
გაურჩეველად ხნოვანებისა,
კარგის ყოველთვის მჩვევია ქება!

—

თუ საფუძველი კარგია ძველი,
წუნს როკორ დასდებს ხუროთ-მოძღვარი?
ეცდება კიდეც, რომ ზედ ააგოს
საშვილიშვილო წმინდა ტაძარი!..

—

თუ ეს არ მესმის, რაღა მსმენია?
რა საჭიროა ამის მოძღვრება?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთვარე მაშინაც კიდევ ანათებს,
როცა ილევა, ნელ-ნელა ცხრება.

—

მათუსალადაც რომ გადაიქცეს
მეტის სიბერით აწ «კოლხიდელი»,
მაინც დარჩება კიდევ იმასში
ოჯახისშვილი... ძველი ქართველი,

—

ვისთანაც მისვლა და ვისიც ნახვა
სულით და გულით მე მენატრება!..
მაგრამ ერთი რამ გარემოება
წინ მელობება და მეფარება:

—

არ ვიცი, როგორ უნდა ვიახლო:
როგორც მორჩილი? თუ ამხანაგი?
როგორც დადიანს წერეთელი? თუ
როგორც «კოლხიდელს» მხოლოდ

აკაკი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავ-გადასავალი.

ქვეყანაში თვალ-გაუხელელი, ცხოვრებაში გამოუცდელი და ოცნებით გაბერილი, აპრილის დამლევს დავადექი რუსეთის გზას. ორპირამდე (მარნამდე) ცხენით ვიარე, იქ ნავში ჩავჯექ და მივანდვე თავი გადარეულ რიონს. ფოთამდე ორ დღეს მოვუნდი სიარულს; აქაც სამ დღეს დავრჩი, დავესწარ ფოთის კურთხევას და მერე კი სამხედრო ცეცხლის გემით გავეშურე ოდესისკენ. პეტერბურგში პირდაპირ მიმავალისათვის, რასაკვირველია, ხმელეთით წასვლა უფრო მოხერხებული იყო და არც ისე საშიში, როგორც ზღვით, მაგრამ ამ გზით მიტომ გამისტუმრეს, რომ იქ ვარანცოვის ქვრივი ეგულებოდათ და მისი ნახვა დამავალეს. იმ დროს საზოგადოდ ქართველებს ისეთი სიყვარული და ხსოვნა ჰქონდათ ვარანცოვის, რომ თუ რუსეთში მყოფი, ან მიმავალი ქართველი ვარანცოვის ქვრივს არ გაუვლიდა და არ ნახავდა, ვერც კი წარმოიდგენდენ. ჩემმა მშობლებმაც მიტომ დამავალეს, რომ უთუოდ მივსულიყავ კნეინასთან და მათ მაგიერ მოკითხვა გადამეცა; ძღვნად—მისართმევადაც ერთი დიდი გიშრის ჯვარი, ზედ ჯვარცმა-გამოსახული, გამატანეს. ჩემს ოცნებაში ზღვაცა და ხმელეთიც ნამდვილზე მეტად მქონდა წარმოდგენილი და მიტომაც აღარა გამკვირებია რა!.. გართობით კი ისე გამართო ახალ-ახალ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხო სანახაობამ, რომ დროს ველარ ვგებულობდი. ჩემი პოეტური ოცნება ისე გაიზარდა მგზავრობის დროს, ისე აჭრელდა და აფერადდა, რომ გაბრუებულმა ცა და ქვეყანა, ზღვა და ხმელეთი საჭადრაკო ფიცრად გავიხადე და ჩემ ნება-სურვილზე ვახტუნებდი მეფესა და ლაზიერს. რას მივხვდებოდი მაშინ, რომ გამოუცდელობა მატყუარა ნატვრის თვალია?!..

ვარანცოვის კნეინამ შვილივით მიმიღო და დედა-შვილურადაც მომექცა. გამომკითხა ყველას ამბავი და ბოლოს, გიშრის ჯვარი რომ გადავეცი, დიდი სიამოვნება დაიმჩნია. „ვახსოვართ ქართველებს და სჩანს, რომ ჩემ ქმარს მალე არ დაივიწყებენო?!“

— «სანამ საქართველოს სახსენებელი არ მოისპობა, ვარანცოვის სახელიც არ დავიწყდება-მეთქი.» წამოვიკნავე მე ეს უფროსებისაგან ჩვენში ბევრჯელ ნათქვამი და ჩემგან გაგონილი და გულში ჩარჩენილი სიტყვები.

მოხუც-კნეინას ცრემლები მოერია, ღიმილით შემომხედა და მაკოცა. ჩემი მიტანილი ჯვარი სტუმრების ხელიდან ხელში გადადიოდა. ყურადღებით სინჯავდენ. გიშერი შავი ქარვა ეგონათ და მოსწონდათ, მაგრამ ჯვარზე გამოქანდაკებული ქრისტეს სახე, როგორც ეტყობოდა, ვერ აკმაყოფილებდა მათ ესთეტიკურ მოთხოვნილებას. ერთ სტუმარ-ქალთაგანს მიუბრუნდა კნეინა და უთხრა: იტალიაში ხომ არა გგონიათ თქვენი თავი? ნუ დაივიწყებთ, რომ ამისთანა რამეებს უბრალო მეგიშრეები აკეთებენ იმერეთში! ისინი გლეხები არიან და არსად რამე უნახავთ გარდა გარდამოხსნისა და ხატებისა ეკკლესიებში. მათი სამხატვრო გალლერია, მათი შკოლა — მარტო ბუნებაა საქართველოსი, მაგრამ ბუნება საოცნებო და აღტაცებაში მომყვანი! ეს უბრალო ხელოვნება განა არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამტკიცებს, რომ იმათ, თუ გარემოებას ხელი არ შეეშალა მათთვის, თვისი საკუთარი რაფაელები და მიქელანჯელოები ეყოლებოდათ? განსვენებულ კნიაზს აღტაცებით უყვარდა ქართველები, დიდ პატივსა სცემდა მათ წარსულს და მომავალზე იმედობდა. სულ იმას ამბობდა: ეს პატარა საქართველო დიდ რუსეთის ქარგაში უმშვენიერესი ფერადი და უმტკიცესი ოქროქსოვილი იქნებაო! 'მხოლოდ ჩვენ კი უნდა მივუშვათ ნებაზე, ვუწინამძღვროთ და გარედან ხელი შევუწყოთო... ერთი საათი მეტი ილაპარაკა სულ ქართველებზე და საქართველოზე. წასვლა რომ დავაპირე, გამოთხოვების დროს, ღიმილით მითხრა: აი, ახლა თქვენ, ახალგაზდა ქართველებმა, უნდა გაამართლოთ ჩემი ქმრის იმედებიო! მერე მკითხა: რამდენ ხანს დარჩებით ოდესაშიო? და რომ მოვახსენე: რამდენიმე დღეს-მეთქი, მეორე დღისთვის სადილად დამპატიჟა. ორმოცი წელიწადი მეტია მას აქეთ, მაგრამ ასე მგონია, თუ ეს ყოლიფერი ახლაღ იყო მეთქი, ისე ნათლად ჩამრჩა მისი ალერსიანი სახე გულში და სიტყვებიც ტკბილად ყურში მიწივიან.

სასახლიდან დაბრუნებულმა მთელი დღე ოდესის დათვალიერებას მოვანდომე. ბევრი საუცხოვო რამ ვნახე, მაგრამ დიდათ არ შემიმჩნევია: არც მრავალ-სართულიანი სახლები, არც განიერი ქუჩები და არც ზედ-მავალ ხალხის გაცეტებული მისვლა-მოსვლა. მე მხოლოდ ბოლოზში თავ-მოყრილმა გემებმა გამაოცეს'.. ან რა მიაქვთ, ნეტავი, ამდენი და ან რა აქვთ წასაღები, რომ ზღვაზე ძლივს ეტევიან-მეთქი? ვამბობდი გუნებაში და თანაც გულს ვაყოლებდი ზღვის ფრთვინვას. მეორე დღეს, ვარანცოვის კნეინასთან რომ ვეპირებოდი წასვლას, სწორედ იმ დროს, სასტუმროს მსახურმა შემომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანა წერილი, დოქტორი ანდრიევსკი მწერდა: კნეინა ავად გახდა, დღეს აღარავის მიღება არ შეუძლია და მის მაგიერ მე გთხოვთ, ჩემთან მოხვიდეთ სადილად. მით უმეტესად, რომ კნეინა ვარანცოვის დავალებით ერთი რამ უნდა გადმოგცეთო! მე მისი აღრესი არ ვიცოდი და შევწუხდი, მაგრამ გამოდგა, რომ თავისი საკუთარი კარეტა გამოეგზავნა ჩემთვის. მეც ჩავჯექი და ვეახელი.

ანდრიევსკი ვარანცოვის სასახლის საკუთარი მკურნალი იყო, შინაური კაცი, და სადაც უნდა ყოფილიყო ვარანცოვი, ყველგან თან ახლდა. ცოლად ჰყავდა ქართველი ქალი, თავად თუმანიშვილის. ქართველები დიდ პატივსა სცემდენ და ისიც მათ სიყვარულს იჩენდა. უეჭველია, რომ ვარანცოვის დროსაც იქნებოდენ ქართველების მოძულარი რუსები, მაგრამ ვერ გაბედავდენ გამოცხადებას!. საზოგადოდ ხელქვეითები უფროსის ნება-სურვილს უთანხმებენ თავის გრძნობა-გონებას.. ფარისევლურად ხელში იჭერენ ორივეს რიკ-ტაფელასავით და დროს აყოლით, ხან მარჯვნით გაჰკვრენ, გააზუზუნებენ ხოლმე და ხან მარცხნით. ანდრიევსკიკი არ ეკუთვნოდა ამ გვარ ხელქვეითთაგანს...

ცოლშვილის მოყვარული და მოალერსე, ანდრიევსკი როგორც ყველგან, ისე ოდესაშიაც ხელგაშლილად სცხოვრებდა. იმ დღესაც, მე რომ ვეწვიე, სახლი სტუმრებით აევსო. ჩვეულებრივის მოსალმების შემდეგ ანდრიევსკის მეუღლემ ბოდიში მოიხადა ვარანცოვის კნეინას მაგიერ და გადმომცა რაღაც ქაღალდში გრძლად გამოხვეული ლელვის ჩირივით. «ეს იმან გამოგიგზავნათო!» ხელში რომ ავიღე მემძიმა. ვნახე, რომ სულ ბაჯაღლუ-ოქროები იყო. გავწითლდი. ჭირის ოფლმა დამასხა და სხვებს კი, უთუოდ, ეგონათ სიხარულმა აიტაცაო. ცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტა ხნის სიჩუმის შემდეგ მაღლი გადვუხადე და საჩუქარი უკანვე დავუბრუნე. «სწუნობო?—შეკრთომით მკითხა ანდრიევსკის მეუღლემ.—საჩუქრის მიუღებლობა ვ-ს გაუგონიაო? ეს სახსოვრად გამოგიგზავნა კნეინამო.» დაწუნება რა ბრძანება არის მეთქი?—მოვახსენე—სახსოვრად რომ სხვა რამე ებოძებია, დიდის სიმდაბლით და მადლობით მივიღებდი, მაგრამ ფული-კი სწორედ არ მეხერხება-მეთქი.—სტუმრებმაცა და მასპინძლებმაც გაოცებით დამიწყეს ყურება. ცხადია, უგნურ-ბრიყვად ჩამაგდეს, მაგრამ თვითონ ანდრიევსკიმ-კი სიცილით უთხრა ცოლს:—«ბაბალე, აკი გითხარ რომ არ მიიღებდა?!»

—მაგას ჯერ ისევ საქართველოში ჰყონია თავი, ასე მალე მამა-პაპის წესსა და რიგს ვერ მოიშლისო... მერე მოვიდა ჩემთან, ბეჭზე დამადვა ხელი და ღიმილით მითხრა: ჩემო ახალ-გაზდა მეგობარო! ტყუილა ნუ დაგირცხვენია, აქ საწყენი არა არის რა!.. ჩვენში ეს მიღებულია, და ხომ გაგიგონია—თქვენებური ანდაზაა—«რა ქვეყანაშიაც მიხვიდე, იმ ქვეყნის ქუდი დაიხურეო.» ისიც მართალია, ვინც გაჩუქა და შენც მართალი ხარ, რომ არ მიიღე ეს საჩუქარი ამას მე უკანვე გადავსცემ კნეინას, ვუამბობ ყოლიფერს და ბევრსაც ვაცინებ, მაგრამ მხოლოდ პირობით კი: ერთი წელიწადიც არ გაივლის, რომ შენ სულ სხვა თვალით შეხედავ ცხოვრებას, ღღევანდელ შენს შეცდომას იგრძნობ და მაშინ სიტყვა მომეცი, რომ მომწერო და შემატყობინო!.. მართლაც, წელიწადს კი არა, ოთხ თვესაც კი არ გაუვლია, რომ ვიგონებდი ამ შემთხვევას და გუნებაში ვამბობდი: «რა გამოუცდელი ვიყავ მეთქი?!» გულიც კი მწყდებოდა მაგრამ, აღარა მიმიწერია-რა ანდრიევსკისათვის.

სტუმრებში, იმ დღეს, იქ ერთი ვიღაც პუწკია ახალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზდა ერია, სულ საულვაშეზე ისვამდა ხელს, ისიმღერეთ და, მომიჯდა გვერდით და ჩამეკითხა:

— გეტყობათ, კნიაზ, რომ ბევრი ფული მიგაქვსთ თან?

— რატომ არა?!

—მაინც?

—ხუთასი.

—ხუთასი ათასი?—ეს რომ მითხრა, მე გიჟი მეგონა და სკამი უკან დავაჩოჩე და საჩქაროდ მივაძახე: ხუთასი მანეთი მეთქი.

—ხუთასი მანეთი?—გამიტრიზავა—მერე და ეგ რას გეყოფათ?

—გზაში მეტი არ მომინდება და მერე თვიურად გამომიგზავნიან სახლიდან.

— რამდენს?

—ხუთ-ხუთ თუმანს თვეში.

—მერე ეგ განა კმარა?

—საქეიფოდ კი არ მივდივარ!...

—მაშ კიდეც მოგრჩებათ!.. მითხრა კიდევ დაცინვით და გადახედა სხვებს.. ზოგიერთებმა ღრეჭა დაიწყეს. მივხვდი, რომ მე დამცინოდენ და ცეცხლი მომეკიდა. მეტი ველარა გავბედე-რა და მეც სიცილით ვუთხარი:

—მე საქმეზე მივდივარ, საქეიფოდ დროც არ მექნება, და რასაკვირველია, მეყოფა თვეში ხუთი თუმანი. ნათქვამია: «კაცია და გუნებაო!" თქვენ თავს კი ნუ მადარებთ!. თქვენ, როგორც გეტყობათ, სულ სხვა ბრძანდებით! როგორც ვხედავ ხუთი თუმანი თვეში მარტო ულვაშებზე მოგინდებათ!—ამის თქმა და ზოგიერთი ქალების გადახარხარება ერთი იყო!.. ჩემი მოსაუბრე გაწითლდა, ხელები მოაშორა საულვაშეს, ზეზე წამოდგა, რაღაცას თქმას აპირებდა, მაგრამ სახლის პატრონმა აღარ აცა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა, ჩაგვერია სიტყვაში: გრაფო! გრაფო! საზოგადოდ ქართველ კაცთან ფულზე ლაპარაკი უადგილოა ეგენი ფულს სულ სხვა თვალით უყურებენ ვიდრე ჩვენ. მაგათ თვალში ფულს ფასი არა აქვს. ცხოვრება უზრუნველი აქვსთ და მოთხოვნილება უფულოდაც დაკმაყოფილებული. ყოველივე საჭირო რამ თავის სახლშივე აქვსთ, გარედ ფეხის გადგმა არ ეჭირვებათ: საჭმელი, სასმელი, ტანი, ფეხი, იარაღი, საქონელი, ნივთები და სხვანი.. ასე გასინჯეთ, რომ კოლონიალური წვრილმანებიც უსასყიდლოდ მოუდისთ! გვარი-შვილებს თავის საკუთარი ვაჭრები ჰყავთ ყმებად, სომხები და ურიები, და ისინი იხდიან, რაც კი ბატონებს დასჭირდებათ: ჩაი, შაქარი, ყავა, ბრინჯი, სანთელი, ზეთი, და სხვა და სხვა გვარი სასმელები და სხვანი... თუმცა მაგათ საჩხერეში არა ვყოფილვარ, მაგრამ ვიცი, რომ წერეთლებს თავის საკუთარი ბაზარიცა აქვსთ. ფული ქართველს საზანდრისთვის საჩუქრად, ან ეკლესიების შესაწირავად თუ დასჭირდება, თვარა სხვად რად უნდა? ფულის საჭიროებას საიდან შეისწავლიდენ? ერთს საანეგდოტო, მაგრამ ნამდვილ ამბავს კი გეტყვით და ყური დამიგდეთ:

ერთი ქართველი დიდი-კაცი, გამოჩენილი გვარი-შვილი, რომელიც თეირანშიაც ბევრჯელ ყოფილიყო და სტამბოლიც რამდენჯერმე ჰქონდა მოვლილი, რომ გარდაიცვალა, რასაკვირველია, ყოლიფერი შვილებს დაუტოვა. ორი შვილი დარჩა. უფროსი უცოლ-შვილო იყო, უმემკვიდროდ უნდა გადასულიყო და გაყოფის დროს უნცროსს ძმას უთხრა: მე მაინც მარტო-ხელი კაცი ვარ, ყმა და მამული ღმერთმა შენ მოგახმაროსო. მე, ქალაქში რომ ქარვასლაა, ისიც მეყოფაო, თუ ფულებსაც, რაც დარჩა, დამასაკუთრებო. უმცროსიც რასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირველია, დიდის სიამოვნებით დაეთანხმა. გაიცინა სიყვარულით, მშვიდობიანად უფროსი გადავიდა ტფილისში, დადგა თავის ქარვასლაში, გახსნა ოქრო-ვერცხლით სავსე სკივრი და მიჰყო ხელი ცხოვრებას. ყოველ დილა-საღამოს გაიღებდა ზანდუკს, დასჩერებოდა ფულებს და ამბობდა სიცილით: ვინ გამოლევს ამ ეშმაკის გაჭედილებსო!.. დახარჯვა არ უნდაო?.. გიგეს ქალ-ქელმა ვაჭრებმა და მივიდენ, სთხოვეს, ხელი გაგვიმართეო. რასაკვირველია, უარს არავის ეტყოდა!.. ვისაც რამდენი უნდოდა, მიჰქონდა. ვაჭრები რომ ბაზრობიდან დაბრუნდებოდენ ხოლმე, საჩუქრები მოჰქონდათ თავადთან და ისიც ამბობდა თავისს გუნებაში: ასე არა სჯობიაო? მე მადლი და საჩუქარი და ისინი კი ხელს იმართავენო. როცა თვისი საკუთარი ექნებათ და ჩემი აღარ დასჭირდებათ-რა, ჩემსას მადლობით დამიბრუნებენო. ნუ დაივიწყებთ, რომ ფულებს რომ აძლევდა, ცარიელ სიტყვას ენდობოდა, თვარა, არა თუ საბუთებს არ იჭერდა ხელში, მოწმეებსაც არ ისწრებდა!.. ვინ გამიბედავს, რომ უარი შემკადროსო? და მართლადაც ვინ გაუბედავდა? იმ დროს რომ ქართველს ვაჭარი ოთხში ამოელო, ვინ რას ეტყოდა და ან ვის გაუკვირდებოდა?.. ბოლოს, როცა ჩვენ ხელში გადმოვიდა საქართველოს სვე-ბედი და წეს წყობილებაც შეიცვალა, ვაჭრებმა ყველაზე უმალ გამოახილეს თვალი და ქართველ თავადის მოვალეებმაც უარი სტაცეს ფულის პატრონს: ჩვენ არა ვიცით რა, და თუ ვინმემ ისესხა თქვენგან, საბუთიც ხელში გეჭირებათ და წარმოგვიდგინეთო. გარისხდა თავადი, ეუცხოვა. მაგრამ ფულის დაკარგვას კი არ სწუხდა, უარის თქმა როგორ გამიბედესო! მიჰმართა მთავრობას, მაგრამ მათგანაც იგივე პასუხი მოისმინა! «დალაჩვროს ღმერთმაო — სთქვა — ვინ იფიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებდა თუ ამისთანა უპირობა შემოვიდოდა ჩვენ შორის. კიდევ მადლობა ღმერთს, დინიბეგიშვილების საბუთი მაინც მიჭირავს ხელში.. ის ცოტა პირ-გატეხილი კაცი იყო და უგირაოდ ვერ ვანდვე ათასი ოქროო!» უჩივლა სასამართლოში დინიბეგიშვილებს. თვითონ მსესხებელი აღარ იყო ცოცხალი და შვილებმა რომ დაინახეს თავადი ჯიბეში იყოფს ხელს, საბუთის ამოსაღებადო, მკვდრის ფერი დაედვათ!... ქართველმა ამოიღო პატარა ქაღალდი ათასგვარად დაკუჭნული და დადვა მაგიდაზე. გახსნეს, ნახეს და რა გამოდგა? ერთი ღერი ულვაშის!.. აი ეს მამითქვენის ულვაშის ღერია და გირაოდ მაქვსო. მსაჯულებმაც და მოპასუხეებმაც, რასაკვირველია, სიცილი აიტეხეს და ქართველი კი ბედსა სწყევლიდა: ჰაი ამისთანა დროს!.. ახლანდელ კანონს, სამართალს, ნამუსსა და პირის წყალსაო!!. ქალაქელი ვაჭრები დღესაც კიდევ სიცილით ამბობენ: დინიბეგიშვილისთანა ძვირფასი კაცი ქვეყანაზე არ ყოფილაო: ერთი ღერი იმის ულვაში ათას ოქროდ გაიყიდაო!"

—ეგ კარგია,—გააწყვეტია სიტყვა გრაფმა—მაგრამ არ ამტკიცებს, რომ იმ დროს, ქართველები ველურ მდგომარეობაში ყოფილან და ცხოვრების არა გაგებიათ რა?

—მართალია, გრაფო—უპასუხა ნაღვლიანად ანდრიევსკიმ—მაგრამ შემოტანილმა ცივილიზაციამ, მალე გამოიყვანა იგინი მაგ მდგომარეობიდან და ბიჯი წინ წაადგმევია შორს წასასვლელად... სწორედ იმ ახირებულ ქართველის შვილის-შვილმა გამოიჩინა ცივილიზაციის შვილობა და ფოსტა რომ გატეხეს ავაზაკებმა, ისიც შიგ ერია!!.. განსვენებულმა ეარანცოვმა ცრემლები გადმოჰყარა: ვინ ქართველი და ვინ ამისთანა უცნაური უმაგალითო მათში საქმეო?.. სამაგალითოდაც დასაჯა დამნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავენი.—საუკუნოდ მადნებში მუშაობა მიუსაჯეს ...
სა და პატარას, ყველას.

საზოგადოდ ქართველები დიდად დარცხვენილები იყვნენ და ქალებმა ხომ თითქმის შავები ჩაიცვეს. დიდი-კაცის ცოლები ერთხანად მგლოვიარედ იჯდენ. კარში აღარ გამოდიოდენ. ისე ეუცხოებოდათ ქართველისაგან ამგვარი საქციელი. ვინ ქართველი და ვინ ავაზაკობაო? ვის გაუგონია დღემდე ჩვენში ამ გვარი რამეო?—იძახოდენ საზოგადოდ—ვაი შერცხვენილს, ვაი თავ-მოჭრილს!!. მოგვეხადა ქუდი და შეგვირცხვა ულვაშები!.. და სხვანი!.. კნიაზმა ჰკითხა ერთხელ ქალებს: ნუ თუ მაგრე დაგენანათ რამდენიმე კაცის ციმბირში გაგზავნაო? და კნეინა მანანა ორბელიანისამ ეს პასუხი მისცა ქართველ ქალების მაგივრად საზოგადოდ: «ისინი რომ სულაც არ გაეჩინა ღმერთს ჩვენ შესარცხვენად—უკეთესი იქნებოდა, მაგრაკ ჩვენ ის გვაწუხებს, რომ იმ შეჩვენებულებმა ქართველებს სახელი გაგვიტეხესო!. თათრის სჯულზე და კვალზე წავიდენ და მცხეთა ბორჩალოდ გადაგვიქციესო!.. ვარანცოვმა ხელზე აკოცა მანანას და ღიმილით უპასუხა: კნეინავ, ნუ შესწუხდებით. თვითო-ოროლა ცუდი ყველგან ურევიაო. თვით მაცხოვარმაც ვერ აირჩია ისე თორმეტი მოციქული, რომ ერთი იუდა მაინც არ გამორეოდაო!. იმან ქრისტე გაჰყიდა, მაგრამ ქრისტიანობას მითი ჩირქი არა მოსცხებია რა!.. იმედია, რომ საზოგადოდ ქართველები თვისს ქრისტიანულ ზნე-ჩვეულებას უფროც გაამტკიცებენ მომავალშიო. მერე მომიბრუნდა მე და მიბრძანა: ერასტ ივანიჩ! საქართველო სულ სხვა ბაღია და მის ყვავილებსაც სხვა გვარი მებაღეობა ეჭირვებაო!..

მასპინძელი დინჯად ლაპარაკობდა. მის გულიანად ნათქვამ ამბავს ყველა ყურს უგდებდა და მეც იმ პირველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახვისათანავე ისე შეშაყვარა თავი, რომ მოშორებაც
აღარ მინდოდა. მართლადაც, რაც ხანი კი დავრჩი ოდე-
საში, ყოველ დღე იმასთან ვიყავი.--როგორც ცხოვრე-
ბაში გამოუცდელს, დარიგებას მაძლევდა. მირჩევდა პე-
ტერბურგში რომ ჩახვალ, ასე მოიქეცი და ამ გვარადო.
მარტო რომ არ წავსულიყავ, ჩემის, ჩემსავითვე გამოუც-
დელ, მსახურის ანაბარად, თანა-მგზავრიც მიშოვა. ერთი
მისი ნაცნობთაგანი მიდიოდა სწორედ იმ ხანებში მოსკოვს
და იმას შემიამხანაგა. როგორც გამოცდილს ჩაابარა
ჩემი თავი და გამისტუმრა.—ჩემი მსახური, რომელიც
ლალად გამყვა რუსეთში, ერთხანად მეტად გართული
იყო უცხო-უცხო სანახაობით, მაგრამ, ჩემი არ იყოს,
გაკვირვებით არა გაჰკვირვებია რა!.. ერთხელ-ორჯელ კი
ცოტა რამეზე შეკრთა გზაში. ეუცხოვა! მაგრამ ბოლოს
იმასაც მიეჩვია და აღარას ამბობდა.—მაშინ რკინის გზა
მხოლოდ მოსკოვსა და პეტერბურგ-შუა იყო, სხვაგან კი
რუსეთში ფოსტის გზით მიდი-მოდიოდენ. ჩვენც რასაკვი-
რველია ფოსტის ცხენებით მივდიოდით. ერთხელ რაღაც
უცნაური ჭყივილის ხმა შემოგვესმა: თვითქო პირუტყვე-
ბის ხროა სადმეო. რომ მივუახლოვდით, ერთი მინდორი
გამოჩნდა, სადაც დამწკრივებულიყვენ რუსის დედაკაცე-
ბი და ცელით ბალახს სთიბავდენ... თანაც უცნაურად
გაჰკიოდენ... ის თურმე მათი მუშური იყო!.. იქაური ქა-
ლები მეტად ახირებულად იცმენ: გულ-მკერდი მოღე-
ღილი აქვთ, კაბა მოკლეა, მუხლებამდიც ვერ უწევს და
მუხლებს ქვეით შიშველ-ტიტვლებს სულ აღარა აცვიათ
რა.—ეს რომ დაინახა ჩემმა ივანემ იკივლა: არიქა ბატო-
ნო, თვალები დახუჭეო! თვითონ მიიფარა თვალებზე ხე-
ლი და დაიწყო ჭუჭყუნი: დალახვროს ღმერთმა, ამისთანა
ქვეყანა! აქ სად წამოვსულვართ, ამ უნამუსო ქვეყანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიო და სხვანი! — სწორე მოგახსენოთ, მეც მეუბნებიან
იმგვარი ჩაცმულობა, მაგრამ თვალებზე ხელი კი არ მი-
მიფარებია. ჩემმა მგზავრმა რომ გამომკითხა: რა მოსდის შენ
მსახურსო? და ჩემგანაც პასუხი გაიგო, სიცილით კინალამ
მოკვდა. ჩააცივდა ჩემს ივანეს: მაგრე ჩაცმული ცოლი რომ
გყავდეს, არ გინდაო?... მალე ბრძანება გამოვა, რომ
თქვენმა ქალებმაც მაგრე უნდა ჩაიცვან ხოლმეო!.—მანამ-
დი არაფერი სჭამოს თქვენმა გვერდებმა, მიაწყევლა ქარ-
თულად და მერე რუსულად ჰკითხა: ნეტავ ქალბატონე-
ბიც ასე იცმენო?...—ვან და ხანო! უპასუხა სიცილით,
და მერე მე მითხრა: ყოველ ქვეყანას თავისი ზნე და
ჩვეულება აქვს და ვისაც არ უნახავს და არ გამოუცდია,
რასაკვირველია, გაუკვირდებაო?! თკითონ დიდ-გამოცდი-
ლად მოჰქონდა თავი, მაგრამ ერთ რამეში კი ვერც იმან
გამოიჩინა დიდი გამოცდილება: ტუღაში რომ მივედით,
რკინის ქარხანაში წავიდა ლოგინის საყიდლად და მეც
მაყიდვინა, თითქო პეტერბურგში კი აღარ ყოფილიყოს,
და გზაში თრევით თავი შეგვაწუხებია. ქალებს ვარდა
იქაურმა ჩიტებმაც კი ჩააგდეს საგონებელში ჩემი მსახური:
ე ხე რომ არსად არის, რაზე ჯდებიან და სად სძინავთ ამ
ჩიტებსო? ამბობდა გაოცებული. პეტერბურგში რომ მივე-
დით და აღარ დაღამდა, ამანაც მეტად დააღონა. სწორედ
ერთ თვეს მოვუნდით მგზავრობას. ჩემი ძმა პეტერბურგში
არ დამიხვდა. კანვოები «ცარსკოე სელოში» გადაეყვა-
ნათ და მხოლოდ მეორე დღეს წავედი მის სანახავად.

ჩემი ძმა უფრო ადრე, თურმე, მიმელოდა და გზაში
რომ დამაგვიანდა, შეშინებოდა: ვაი თუ რამე დაემარ-
თაო?!. რომ მივედი დიდათ გაიხარა. იქ ჩემი ნაცნობი
იმერლებიც ბევრი დამიხვდა და შემომეხვიენ გარს. ზოგი
რასა მკითხავდა და ზოგი კიდევ რას?...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს ყველამ მირჩიეს, რადგან სამხედრო სამსახურში აპირებ შესვლას, აქ დარჩი ჩვენთან, კანვოობას არა სჯობია რაო! ჩვენი სამსახური, სამსახური კი არ არის, ლხინი და ქეიფიაო! მართლადაც, საზოგადოდ კანვოების და განსაკუთრებით ქართველების მდგომარეობა უსაქმური კაცისათვის სანატრელი იყო. კარგად სვამდენ, კარგად სჭამდენ, კარგად ეცვათ, დღეში რამდენიმე საათს ცხენებს აჭენებდენ, ათამაშებდენ და დანარჩენ დროს აქეთ-იქით საქეიფოდ ინახავდენ.—როგორც კავკასიელებს დიდ პატივსა სცემდენ საზოგადოდ, განსაკუთრებით ქალები. ბევრად უკეთესი მიღებული იყვენ ყველაზე ქართველები, როგორც დიდი ოჯახის შვილები და თვალ-ტანადობითაც არჩეულები.

ჩემს ძმას გამოვუტყდი, რომ მე, მართალია, სამხედრო სამსახური მსურს, მაგრამ მისთანა ადგილს მინდა შევიდე, სადაც სწავლის გაგრძობა შესაძლებელი იქნება, რომ ბოლოს, ღენარლის შტაბში გამოვიდე, და თქვენი კანვოობა კი ხელს არ მომცემს-მეთქი. ჩემმა ძმამ მომიწონა და მითხრა: დღესვე, შადლუღიდან რომ დავბრუნდებით, ჩვენ უფროს-იან, პეტრე ბაგრატიონთან წაგიყვან და ის მოგცემს რჩევასა და დარიგებასაო.

ორი საათი იყო ნაშუადღევის, რომ დაბრუნდა და წამიყვანა ბაგრატიონთან. სახლის პატრონმა ქართულად მომიკითხა. მე გავკვირდი და იმანაც სიცილით მითხრა: განა ქართველი აღარა გგონივარო? დიდი ხანია რუსეთში ვარ და ცოტა დამავიწყდა, თვარა შენზედ უკეთ ვიცოდი ქართული! შენც, როგორც იმერელი, უეჭველია, იმერულ კილოთი უკიდებ და მე კი წმინდა ქართლური ვიცოდი. ტფილისში საახნაურო სასწავლებელში ვსწავლობდი ერთად ტატო ბარათაშვილთან, პოეტი რომ იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მისი ბრალიც იყო ჩემი რუსეთში წამოსვლა და ბურ-
პუსში გადასვლა. გამიგონია შაირებით დიდ-კაცების
ლანძღვა? აგვიყოლია ჩვენც, მისი მეგობრები. ის სწერდა
და ჩვენ ვაგზავნიდით: როცა ფოსტალიონი მოვიდოდა
ხოლმე ჩვენ სასწავლებელში, ჩვენ შემოვეხვეოდით გარს,
უცბად ავუზევდით ჩანთის თავს, სადაც წიგნები ელაგა და
ჩავუდებდით ხოლმე ჩუმად ჩვენ გალექსილ წერილებს.
ის რას მოიფიქრებდა? რომ ნახავდა ჩანთაში წერილებს,
მიჰქონდა ადრესისამებრ. ერთი ალიაქოთი ატყდა ტფი-
ლისში! გამოძიება დაინიშნა. ბოლოს გაგვიგეს, დაგვი-
ჭირეს და ბარათაშვილს ჰონორარად ოცდა ხუთი რუბ-
ი მიანიჭეს; ჩვენც იმდენივე გადაგვიწყვიტეს, მაგრამ მე
გავიქეცი, გამოვედი სასწავლებლიდან. კორპუსში გამომ-
გზავნეს და მას აქედ აქა ვარ სამსახურში. ამას გარდაც
ბევრი რამ გაიხსენა საქართველოში მყოფობის დროი-
დან. მხიარულ გუნებაზე იყო. ცოლმა რომ მხიარულად
ნახა, ჰკითხა: კარგ გუნებაზე ხარ და უთუოდ შადლუს
კარგად ჩაუვლია?

—სამაგალითოდ! —მიუგო სიცილით—ხელმწიფე იმ-
პერატორმა სამჯერ მიბრძანა მადლობა!.. და ეს მით უფრო
სასიამოვნოა ჩემთვის, რომ ქართველების მიზეზით მოხდა.

—როგორ?

—ძალიან ისახელეს თავი საზოგადოდ! და ბურთი
და მოედანიც დღევანდელი დღის აბაშიძეს, ამილახორს და
ანდრონიკაშვილს დარჩათ. გიორგი ნაკაშიძეც, ხომ ვი-
ცით რაც ცხენოსანია? ამხანაგები დასცინიან... მაგრამ
იმანაც კი სასწაული მოახდინა. უკანასკნელ ბურჯამდე
რომ მივიდა და ცხენი უნდა გადაეხტუნებია იმასაც
სხვებსავით, უეცრად ცხენი შეუჩერდა და თვითონ გა-
დავარდა ბურჯს იქით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

—ახ!

—სულაც არა!.. ერთი კი გადატრიალდა ჰაერში და მერე რაღაც უცაბედად ფეხებზე დადგა კატასავით!.. არ დაცემულა. მაყურებლებს ეგონათ, თუ განგებ ქნაო და ქების ტაში დაუკრეს!.. ხელმწიფემ ბრძანა, რომ აბაშიძე, ცხენზე მჯდომი, გადახტეთ და სურათი სასახლის გალერიაში ჩამოჰკიდეთო!..

—საკვირველია, პირველ ხანებში ვინ მოიფიქრებდა, რომ ქართველები მაგისთანა ცხენოსნები გამოდგებოდენ! ხომ გახსოვს, როგორ ვარდებოდენ ხოლმე წამ-და-უწუმ?

—ყველაფერსა აქვს საზღვარი და ქართველის ვაშკაცობასა და მხედრობას არც ჰქონია საზღვარი და არც ექნება.

ძველ დროში ქართველები განთქმული იყვენ ცხენოსნობითაც ყველგან.—დღევანდელ ქართველებსაც სისხლში აქვთ მამა-პაპური ღირსება, მაგრამ დრო რომ აღარა თხოვილობს და უვარჯიშოდ არიან, ველარას ახერხებენ.—აი ახლა: თათრები, ჩერქეზები, ჩაჩნები და ყაზახები რომ მოვიდნენ, მაშინვე კარგი ცხენოსნები იყვენ, მაგრამ მერე ვარჯიშობით მეტი აღარა შეუძენიათ რა!.. რაც იყვენ, ისევ იმად დარჩენ... ქართველებმა კი, რომ ივარჯიშეს, გაუსწრეს მათ. თათრების რაზმში რომ სახელ-განთქმული ცხენოსანი იყო, ჰასრი-ბეგი, დღეს იმას ბევრი სჯობია ქართველებში; ასე გასინჯე, რომ ესეც აღარ ჩამოუარდება!—ჩემ ძმაზე მიათითა.—თქვენ?... თქვენ როგორი-ღა ცხენოსანი ხართ?. მომიბრუნდა მე.

—დიდი არაფერი,—ვუპასუხე სიცილით.

—რატომ?

—მე ცხენებისათვის კი არ მიდევნია! წიგნები მეჭირა ხელში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

—შენმა ძმამ მითხრა, რომ გიმნაზიაში ყოფილხარ და მაშ რატომ უნივერსიტეტში არ შეხვალ?

—სამხედრო სამსახური ამოვიჭერი გულში?

—ძმასთან გინდა ერთად რომ იყო სამსახურში?

—არა!.. კანვოიში სამსახური არ შემიძლია!..—აქ ჩემმა ძმამ გადასცა ყოლიფერი ჩემი გულის პასუხი და ბაგრატიონმა მეორე დღისთვის დამიბარა.

მეორე დღეს მარტო დამიხვდა თავისს კაბინეტში. ჩუბინაშვილის ლექსიკონი გადაეშალა და სინჯავდა. მომისვა გვერდით და მკითხა: გუშინ სხვებთან არ მინდოდა გამომეკითხა. რატომ არ გინდა, რომ ჩემთან შემოხვიდე კანვოიში და შენ ძმასთან ერთად იმსახურო? რას გაჩუმდი! მითხარი დაუფარავად, როგორც მამას.

—მე ისიცა მწყინს, რომ ჩემი ძმა მანდ არის... მაგან თითქმის გაათავა გიმნაზია და მანდ კი მისთანა ქართველი უნდა შევიდეს, რომელმაც არა იცის-რა და სხვა გზა აღარა აქვს. მე რომ შევხედე, მანდ ცუღლუტობის მეტს ვერას ისწავლის კაცი.—ღენერალმა გაიცინა და ბეჭზე დამადვა ხელი.

—დრო ბევრი აქვთ და ვისაც სწავლა უნდა, განა ვერ მოახერხებს?

—კი, მაგრამ სადაც სხვა ყველა ქეიფობს, იქ ერთი რას გააწყობს? ქვეყანა წამხედურობით კეთდება და წამხედურობითვე ირღვევა.

—ოჰო, შენ ფილოსოფოსი ყოფილხარ, როგორც გატყობ და უმჯობესი არ არის, რომ უნივერსიტეტში შეხვიდე და სამეცნიერო გზას დაადგე?—მითხრა ხუმრობით.

—სამხედრო სამსახური ასეთი რამ არის, რომ ბევრი მოცალება არ გექნება, სწავლა-მეცნიერებას გამოუდგე. აი მეც მარიამ ნიკოლაევნას ქმარს, ლეიხტენბერგის პრინცს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახლდი ადიუტანტად, ის დიდი მეცნიერი კაცი იყო, ქიმიკოსიც იყო. მეც ვითომ შემიყვარდა მის ხელში მეცნიერება, მაგრამ მერე, დრო რომ აღარ დამრჩა, ჩამოვრჩი.

—ეგებ ყოლიფერი ცხადია, მაგრამ მე სულ სხვა განზრახვით მივდივარ სამხედროში!...

აქ დაწვრილებით გავუზიარე მას, თუ რა იდუმალი განზრახვა მქონდა სამხედრო სამსახურში შესვლის...

—ეს რომ ვსთქვი, გადამეხვია და მაკოცა.—მესმის! მესმის შენი აზრი!.. ღმერთმა ჰქნას, რომ სურვილი შეგსრულებოდეს. მე დღესვე წაკალ ჩემ მეგობარ კნიაზ შეხავსკოისთან. ის გვარდიის მსროლელ ბათალიონს უფროსობს. იმას ჩავაბარებ შენ თავს. მამასავით გიპატრონებს და სხვა მაშინ შენ იცით!.. სადილად დამტოვა... ნასადილევსაც ბევრი რამ გამომკითხა.. და წასვლის დროს მითხრა: ახლა კრასნოე სელოში მიდის ჯარი, იქ შადლუული იქნება, შემოდგომის დამდეგამდე აღარა იქნებარა!.. მაშინ მოდი ჩემთან, მე დაგაყენებ გზაზეო... მანამდე, ამ ორ თვეს-კი სხვაგან სადმე შეინახე თავიო. ჩემმა ძმამაც, რადგანაც კანვოებიც წასასვლელები იყვენ, პეტერბურგს წამიყვანა და მიმიყვანა ქართველ სტუდენტებთან.

ავაკი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაიოზ ბართლომიჩი

(მოთხრობა).

I.

დღეს, ოც-და-ორს მაისს, ახალის ცხოვრების სანატ-
რელი განთიადი ვარდის ფრად უბრწყინდება ქალაქ
ტფილისში გაიოზ ბართლომიჩ მცონარაშვილს და ისეთი
ძლევა-მოსილი, რაღაც მედიდური დიდებულება ეხატება
სახე-თვალებზედ, თითქოს მთელი ცა-ქვეყნის ძალთა მძ-
ლევი ძლიერება—ოკეანე ცხოვრების სიბრძნე-მეცნიე-
რებისა, საკვირველ-მომქმედი ბრწყინვალე აზრები ენციკ-
ლოპედიურ განათლებისა და უკვდავი გენიოსობა ცამდე
დიდებულ შექსპირისა – ყველა ეს მის თავში ჩაბუდებუ-
ლაო. დიაღ, ასეთი არა-ჩვეულებრივი გამომეტყველება
მიიღო დღეს გაიოზ ბართლომიჩის შუქ-ნათლიანმა სა-
ხემ და აღფრთოვანებული ფიქრი მისი დაჟინებით გაიძა-
ხის თავის გუნებაში: «იხარე ჭერო, გახმი მტერო»! და
ყველა ამაების მიზეზი კი ის არის, რომ ამაღამ ჯვარს
იწერს იგი ტანწერწეტა, ტურფა-მშვენიერ, მიმქრალ-მი-
ნაზებულ, საოცნებო კნიაჟნა ანიკოზედ, რომელიც ოც-
და რვა წლამდე იჯდა სახლში გასათხოვარი და ყოველ
დღე და ღამ და ყოველ წამ-წუთში თავ-ბედს იწყევლიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმრო-ბედის ლოდინში იმედ-დაკარგული, რის გამოც ნარდი ქარვად იცვლებოდა, გვალვისაგან მოტრუსულ ველის ყვავილივით სჭკნებოდა, განთიადის მოციმციმე მთვარესავით ფერი ელეოდა, ცოდამ მოწყვეტილ ვარსკვლავსავით ჰქრებოდა და ცეცხლ-წაკიდებულ კაჭახუნივით *) იწოდა საკირის ალივით აპრიალებულ გრძნობათა სურვილებით. გამუდმებულ ციებ-ცხელებით დაზარფებულ ადამიანსავით ჯან-ღონე გამოლეულს ანიკოს ხშირად სიყვარულ-მოწყურებულ ვნებათა ღელვით აღშფოთებული სული ყელთან ებჯინებოდა, გულზე ჭახრაკივით მოჭერილი სევდა-ნაღველი ახრჩობდა, სიკვდილს ნატრობდა ნაზი-ნარ-ნარის ოხვრა-კვნესით და შურის ცრემლად ითქვრებოდა მალვით-ფარვით, როდესაც კი გაიგებდა თავის რომელიმე ნაცნობ ქალის დანიშვნას ანუ გასაღება-გაბედნიერებას.

ბედ-გაუხსნელობით უსაზღვროდ სასო-წარკვეთილს ანიკოს ველარ წარმოედგინა, თუ იმაზე უიღბლო, ბედშავი და ბედკრული ქალი კიდევ იქნებოდა ცას ქვეშეთ; მაგრამ, ეჰ, მარტის დღესავით ჭრელო, ცვალებადო და დაუდეგარო წუთი-სოფელო! ადამიანთა ყოველგვარი სიხარული, მწუხარება და თუ უხანო სიცოცხლე ჩქარ-წარმავალ სიზმარსა ჰკავს, და ერთის თვის წინ თავის ფიქრით ყოვლად უპედურს ანიკოს დღეს თავიზედ უბედნიერესი ქალი ალარავინ ჰგონია მთელს ქვეყანაზედ. სანეტარო შარბათის გრძნობით ტკბილად დამთვრალი და სულ გულის ენით-გამოუთქმელის სიამოვნება-სიხარულით აღფრთოვანებული ანიკო გაიავარდისფრებულ ოცნების ცაში დაფრინავს და დანავარდობს ფრთა-გაშლილ, მო-

*) კაჭახუნი—შამბნარ-ლიხიანი მინდორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიკჭიკე მერცხალსავით, აღგზნებულ სიყვარულის გამოხატულებათა განუსაზღვრელ სივრცე-სიმაღლეში მიიკარგებიან.

საწყალი ანიკო! იგი დღეს, მხოლოდ დღესა ჰგრძნობს იმ ღვთის ტრაპეზამდე ამაღლებულს ლოცვა-კურთხევით აღფრთოვანებულ ტკბილ-ნეტარებას სიყვარულისას, რომლის სისრულით გამოთქმა-გამოხატვა არ ძალუძს არც ერთს გულთმისნურად მეტყველს და ნიჭ-მადლიანს ენას მაღალ-აზროვან მწერალ-მხატვრისას, და მე ხომ ყოვლად უნიჭო ქაღალდი-ჩხაპიას სულაც არ შემიძლიან, მით უფრო, რომ საამისო სიყვარულის გრძნობათა უმეტნაკლებოდ დამასურათებელი სიტყვა-გამოთქმანი ჯერაც არ შეუმუშავებია არც ერთს ადამიანთა გვარ-ტომობის ენას ქვეყნიერებაზედ. დიაღ, თავის დაგვიანებულს ბედზედ გულ-ნამტირალი ანიკო ეხლა ჰგრძნობს იმ წარმოუთქმელს ნეტარებას ზე-აღმტაც სიყვარულისას, რომელიც თავის სიცოცხლეში არ ეგრძნო, არ გამოეცადა. ყოველ დღე და ღამ-კი, გახდა თუ არა ცამეტის წლისა ოცდა რვა წლამდე, სულ სიყვარულზედ ოცნებობდა მალვით-ფარვით, სულ ის ელანდებოდა, ის ეზმანებოდა, ის ენატრებოდა, ისა სწყუროდა თანდისთან უფრო და უფრო გაგიჟებით, და მის ყოვლად-ძლიერ წყურვილში წყურვილ-მოუკლავი ანიკო ყოველ დღე და ღამ საბრალოდ იტანჯებოდა, დნებოდა, ილეოდა და ჰქრებოდა ევლოგიის სანთელსავით, ჩამავალ მზის უკანასკნელ სხივივით და ბროლ-მარმარილოს კოშკში ნაჯდომ მზეთუნახავ ქალის მოთმინებასავით.

დიდის ხნის ცდა-ლოდინში სასო-წარკვეთილს ანიკოს აღარ ეგონა, თუ მისი დაზამთრებული გული ასე უცბად გამოიზაფხულებდა ასაყვავებლად, თუ დანატრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ სიყვარულისაგან გაჯოჯოხეთებულ სიცოცხლეს წადილ-მოწყეული სიყვარულივე უქცევდა სანეტარო სამოთხედ; მაგრამ დღეს კი ღრმად დარწმუნდა, რომ მწარე მოძულებულ სიცოცხლის გამცოცხლებელი, დამატკბობელი და ამყვავებელი მალამო სიყვარული ყოფილა ქვეყანაზე. ოჰ, რა ძლიერ სწყურიან ანიკოს იქცეს ეხლა რამ საარაკო ფრინველად და მთელის ქვეყნის ქალწულებს ახაროს და ურჩიოს შემდეგი: ბევრს ნუღა ჰფიქრობთ, სიცოცხლე მოკლე, უხანო, ჩქარ-წარმავალი სიზმარია, მალე შეუწყეთ ჩანგის სიმებივით თქვენი გული და სული კაცის გულსა და სულს, მალე გათხოვდით, და მწარე სიცოცხლე თქვენც ჩემსავით ნეტარად დამატკბობელ შარბათის დაუშრეტელ ზღვად გექცევათ, როცა თქვენც შესაერთსულებლად და შესაერთხორცებლად მოემზადებით ქრისტეს სიტყვებით წმინდის გულით აღსასრულებლად, რომელიც ჰგრძნობს: «იყავით ერთ-სულ და ერთ-ხორც».

დიაღ, განა ჩალად კი ღირს სიცოცხლე უსიყვარულოდ?! და ან ვილასთვის და რილასთვის უნდოდა ქვეყნის დამბადებელს ზენას ზღვა და ხმელეთი თავის მანათობელი მზე მთვარე-ვარსკვლავებით და სანეტარო-სავაგლახო სამოთხე ჯოჯოხეთით, როდესაც უსიყვარულოდ აღარც ერთი ხილული და უხილავი სულდგმული არ იშვებოდა და არ იბოგინებდა ცა-ზღვა-ხმელეთის განუსაზღვრელ სივრცეში ღვთის სადიდებლად?..

II.

ძლივს ბედ-გახსნილი, ცამდე ბედნიერ, თვალ-ჟუჟუნა ანიკოს საქმრო, გაიოზ ბართლომიჩი ერთი საწყალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლატაკი ქიზიყელ «ნაპრიჩეტნიკალის» შვილია, რომელმაც სემენარიის მესამე კლასიდან მოსხლეტილმა იმდენი იძვრინა მწარე-მუჩანათ ცხოვრების ღიჭნარიან ბუწკნარებში მარჯვე მონადირის სულ-აღებულ მეძებარივით, იმდენი იარა ცოდვილს დედა-მიწაზედ ნახევარზედ მშიერ-მწყურვალმა, უგროშფულომ, იმდენი იჩანჩალა მწევარივით გაწკლერტილმა კუდის ქნევა-ლაქუცით, რომ აი დღეს, საქორწილოდ ძვირფასის ტანისამოსით მოდაზედ გამოპრანჭული გაიოზ ბართლომიჩი იალბუზის ბულასავით კისერ-ჩათქვირებული «სეკრეტარია», რომლის ქუდის ნატვრის თვალივით ბჭყვრიალა «კაკარდა» ყველა მომჩივან ბეჩავებს ანდამანტივით იზიდავს და არწმუნებს: ჩემი ბრწყინვალე ჭკუა-გონების პატრონ გაიოზ ბართლომიჩის დაწერილი არზა-საჩივარი ქვას გაჰხეთქავს, დალმა მიმავალ მტკვარსაც ალმა მიაბრუნებს, ცოდვილს სამოთხეში შეაბრძანებს, ალალ მართალს ჯოჯოხეთის გენიაში ჩააგდებს, ჯოჯოხეთის სატანასაც გააანგელოზებს და ანგელოზს გააქაჯებსო. და ჩვენს მეარზე «სეკლეტარსაც» შინ და გარედ ცერცვივით აყრიან აქეთ-იქიდან ვერცხლის მანათებს ანუ «მუტრუკის ნალებს», როგორც ქიზიყელები ეძახიან.

საწყალ, საწყალ ნაპრიჩეტნიკალს ბართლომეს კი, მამას სახელ-განთქმულ «მეარზე სეკლეტრისას», მეტისმეტის სილარიბით მჟაუნა-ნიჭამ კუსავით გააწვრილებია კისერი. ძლივს-ღა დაათრევს დაგლეჯილ წაღებიდან თითებ-გამოყოფილ ფეხებს ქიზიყის უსწორ-მასწორო, ოღრო-ჩოღროიან ორღობეებში და, გეფიცებით ქვეყნის მაცხოვრებელ მუშის მარჯვენას, ხარის ქედს და ფურის ძუძუს, ისე ძლიერად სწყურიან დანატრებულ ყალიონის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამობოლებაც კი, როგორც ოცის წლის ქალს — გათხოვება, რიყეზე განაშულ-აფოროთხალებულს თევზს — წყალში შელაღლაღება, გალიაში დამწყვდეულ ჩიტუნიას — ცაში ფრენა-ჭიკჭიკი, უგროშფულო ტიკსუსუნე ლოთიფოთს — ქარვა-ლალის ღვინო, სიცხე-ბაბანაქებაში მუშა-მომკალს — სურნელთა მფენი ველის ნიავი და სამთელქვეყნოდ შობილს მოზარდ გენიოსობას — ცა-ქვეყნის ყოვლად ცოდნის სიბრძნე-მეცნიერება. მაგრამ ოთხი გროშიც არ აბადია, რომ თავის გულის გასართობი «მახორკა» იყიდოს სოფლიჭამია მარტირუზასაგან და ყალიონის წევაბოლებაში მაინც მოიკლას ის თავისი მკვლელი სევდანაღველი, რომელიც გამუდმებით გულს უღრღნის და უჭამს სამარის ჭიასავით იმ დღიდამ მოკიდებული, რა დღესაც უსულგულო, უწყალო, მოღალატე ადამიანებმა ბართლომე პრიჩეტნიკი საუკუნოდ გამოასალმეს ნათლობა-ნიშნობის და ქორწილ-ქელეხების ფლავ-ბოზბაშ-ლავაშ-ნაზუქებს და ქარვა-ლალის ღვინით სავსე სველ-სველ ხელადებს.

ოჰ, ზეციერო მამაო, რაოდენი წინდაუხედავი უმადურობა და უსამართლობა ტრიალებს ამ შხამ-გესლით გაჟენთილ, უცოდო მადლო, ცრუ-ამაო, დაუნდობელ წუთის ქვეყანაზედ!.. სამოცის წლის ჭირ-ვარამისაგან რუსულ კურდღელივით გათეთრებულ ბართლომე პრიჩეტნიკს, რომელიც ყოველგან ჭამა-სმაშიაც დიდად ჩქარობდა, სწრაფობდა, ფიცხობდა და მუსრს ავლებდა ბაყბაყდევივით მთელ სუფრას, ერთს მშვენიერს დღეს ჩამოართვეს თავის ცოლ-შვილის მაცხოვრებელი მრევლი და ორმოცის წლის ნამსახური ბართლომე პრიჩეტნიკი უცბად «ნაპრიჩეტნიკალ ბართლომედ» აქციეს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

III.

—«გორკ»! «გორკაა»!.. გაიოზ ბართლომეჩ, «გორკაააა!“ თეფშებ-ბოთლებზედ დანა-ჩანგლის ჩხაკუნ-რახუნით უყვიროდენ შუალამის ხანს ღვინით გაჟენთილ-დაჭარხლებული მაყრები სახე-მზიან დედოფალ ანიკოს გვერდით მჯდომარე, სანეტარო გრძნობა ფიქრებით ნეტარად დამთვრალს ნეფე-გაიოზ ბართლომეჩს, რომელსაც ანიკოს სრულქმნილი მშვენიერება და მის თვალებიდან გამომკრთოლვარე ელვა ამომავალ მზის სხივებივით ეფინებოდა სახეზე. მაყრების გამჭრიახე ყვირილ-ჩხაკუნ-რახუნით ძალდატანებული გაიოზ ბართლომეჩი ნაზად, მოკრძალებით და მოწიწებით ჰკოცნიდა ზღვასავით მღელვარე გრძნობით მიბნედილს თვალებში გაიამზევარდებულს ანიკოს, რომელსაც ყოველ კოცნის შემდეგ გულმშიშარა ქილწულებრივის მორცხვობით აჭიაფერებული ლოყები ალისფერ ატლასივით ენთებოდა, და შავი, პრიალა, ცეცხლით სავსე დიდრონი თვალნი, ელვისა მკრთომელნი, ისე გასაოცრად აჯადოებდნენ, იტაცებდნენ, ჰხიბლავდნენ, ატყვევებდნენ ღრმად გრძნობიერ კაცის სულ-გულს, ჯონება ნერვებს, როგორც ტურფა-მშვენიერ მაისის დილას დიდებულად აყვავებულ კახეთ-ქიზიყის ათასფროვანი მთაველ-მინდორი და როგორც ქვეყნის გულისა და გონების ანდამანტურად მიმზიდავ ქმნილებათა დედა-მშობლების, სამთელქვეყნო მწერალ-პოეტების ენა—ენა ადამიანთა სულ-გულ-გონების და ცხოვრების ავ-კარგის ფოტოგრაფიულად დამასურათხატებელი, ენა საამო, მდიდარი, ენა უკვდავი მჭევრმეტყველებისა, ენა, რომელიც ქვეყანას ათასგვარ გრძნობა-ფიქრებს ულვიძებს და უბადებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ერთის თვალით აცინებს და მეორეს თვალით ჯიბირებს.

—გაიოზ ბართლომიჩ! «გორკაა»! «გორკაااა»!.. დაჟინებით და რიხიანად უყვიროდნენ თითქმის ყოველ სადღეგრძელო-სიმღერის ბოლოს ღვინით ჩაფლავებული მაყრები, რომელნიც მარტო ოდენ თავის ჯიბე-მუცლისათვის დაბადებულ გაიოზ ბართლომიჩის განაჭერი სწორ-ამხანაგები იყვნენ სულითაც და გულითაც, საქმითაც და სიტყვითაც, ე. ი. წვრილფეხა, ღობემძვრალა „აბლაკატები“ და ცისარტყელასავით აჭრელებული ტანისამოსიანი, უკანასკნელს მოდაზე მოპრანჭული იმათი ქარაფშუტა ცოლები, რომელნიც რალე-სიუ-ბროკარის სურნელებით ისე ამოვლებულიყვნენ თავით-ფეხამდის, რომ სახლის უგრძნობელ კედლებსაც-კი ჰბნედავდნენ და ვნებათა სურვილების საღერღელს უშლიდნენ... ესევე პრანჭია და პეწენიკა, ჭორის-გუდა ქალ-მანდილოსნები, რომელნიც რწყილს აწვენდნენ და აქლემებს აშობინებდნენ, სუფრის ჯამ-ჭურჭელსაც-კი თავს აბეზრებდნენ ქვეყნის გაჭორ-გამოჭორვით, და ამიტომაც აქ წერტილს ვუსვამ იმათს საქარაფშუტო ლაყბობას ჭკვაზე-მწყრალ თავქარიანობისას.

—ბატონო, აქანას კუხნაში ერთი მოხუცი კაცი გეახლათ და მითხრა: გაიოზის მამა ვარ და ნახვა მსურს მისიო,—მოახსენა გაიოზ ბართლომიჩს ახლად დაჭერილმა მსახურმა სიმონიკამ, რომელსაც ეტყობოდა კახური ეჭარბნა, რის გამოც მჭადის ჭუჭუტანასავით პაწაწინა თვალები ყველიპარია კატასავით უზიმზიმებდა და ღამე ნატეხ ახალ-პატარძალივით ეპლურწებოდა.

გაიოზ ბართლომიჩს მამის მოსვლის მოულოდნელმა ამბავმა თავზარი დასცა, ფერი წაუვიდ-წამოუვიდა, პირში

ნერწყვი გაუშრა, ენა დაება, გონება დაებნა, სირცხვილ-ოფლში გაიწურა, ცოცხალ-მკვდარივით გაბრუებულს-ელდა-ნაკრავს ყურებმა ბჟუილი დაუწყო და ისე გაუყალ-რა თვალი-თვალში სიმონიკას, თითქოს მის გულის სიღრ-მეში უნდოდა ჩაეხედნა და გაეგო: მართალს მეუბნება, თუ მოელანდა რამეო? სიმონიკამ გაუმეორა: «ბატონო, რას მიბრძანებო», და ეხლა კი გაიოზ ბართლომიჩი ბუ-რანში წასულივით გამოერკვა, გონებაზე მოვიდა, თო-ფის წამალივით აფეთქდა, ჭინჭველა-ნაჭამ დათვივით გუ-ლი ძალზე აუღრინდა, ყელში მოებჯინა, სახეზე სიბო-როტე-სიბრაზის ალმური აედინა, თვალები ჯოჯოხეთის მაშხალასავით აენთო, ყელში მოწოლილმა სიცოფემ სახრ-ჩობელას თოკივით წაუჭირა, დასიცხულ ნიკორა-კამეჩივით სულთქმა-გაძნელებული ქშინვა დაიწყო, კაცური ადამია-ნობის გრძნობა სიბრალულისა მთლად დაჰკარგა დაფა-რულად გულ-გამეხებულმა. „მამა ჩემი კი არა, ჩვენი მეზვრე მოვიდოდაო», სთქვა ნაძალადევ, თვალთმაქცის ოსტატური სიმშვიდე-გულგრილობით და გავიდა სამზა-რეულოში.

—მშვიდობა შენი ნახვა, შვილო გაიოზ! - მიესალამ-ქალამა მოხუცი მამა თავის შვილს და ის იყო, უნდა გადაჰხვევოდა მამობრივის სიყვარულით, მაგრამ გულ-გა-რისხებულმა გაიოზმა მამას მკლავში ბრაზიანად ხელი წაავლო და გაიყვანა სახლის დერეფანში, რომელიც ბადრი მთვარის სხივებით გაჩირაღდნებული, ისე სდუმდა ღამის სიჩუმე-მყუდროებით, როგორც მკვდართა სამეფო სამარხი, როგორც მტრისგან დაჩაგრულ ერის თავისუფ-ლება და გულის სევდა-მწუხარებისაგან სიმებ-დაწყვეტი-ლი ჩანგი ენა-მდიდარ, ღვთის მოციქულ პოეტ-ფსიხო-ლოგისა, რომელიც ცით-მონაბერი ნიჭიერება-მადლით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამჭერმეტყველებული, მიწიერთა ამბებს ზეციერებს ეუბნებ-ბობს და ზეციერებისას მიწიერთ.

— რისთვის მოჰსულხარ, რა გინდა? - თვალების გამ-ხეკებული ბრიალით და ჯოჯოხეთის სიცოფით შეეკით-ხა გაიოზ ბართლომიჩი თავის მამას, რომელიც თავით-ფეხამდე მტვერ-ბუქში ამოგანგლულიყო მეწისქვილესავით ორი დღე-ღამე ფეხით სიარულში.

—რა მინდა?—შენი სიცოცხლე და კარგად ყოფნა, შვილო,—აკანკალებულის ხმით და ყმა-მონის გაუბედავი მოკრძალება-შიშით უპასუხა მამამ, რომ შეატყო შვილს რაღაც მრისხანებით მეხის ღრუბელივით გასაზარლებუ-ლიყო ბრაზის გასახეთქად.

— მაინც რა გეპრიანება და გეჭაშნიკება?

— ხო იცი, შვილო გაიოზ, ჩვენი სიღარიბე? წარსულ ზამთარში, როცა მეტის-მეტ ყინვებში საწყალი დედა-შენი ფეხშიშველა დადიოდა, გაცივდა, იავადმყოფა ზერა-ქვერად, ჩალოგინდა ბოლოს, ზაფრანის ფერი დაედვა საცოდავს და იგრე ახველებს ეხლა ჭლექიანივით, რომ ლამის მომიკვდება უგროშ-ფულოს უწამლობა-უაქიმობით. ხუთჯერ მოგწერე წიგნი, ცალიერი პასუხიც არ გვაღირ-სე, ავდექ და წამოველ ფეხით.

— «ავდექ და წამოველ ფეხით!» ჯანაბას წადი და ჯოჯოხეთს! რამდენჯერ გითხარ და მოგწერე კიდეც, შე ქოფაკო აქ ნუ ჩამოსდიხარ, ნუ მარცხვნი, თავს ნუ მჭრი-მეთქი!..

— მა რა ვქნა, შვილო, ვის მივატანო, რა წყალსა და ღვარში ჩავვარდე, რო გეშინიან, რო ვიხოცებით უგროშ-ფულობით ა სიბერის დროს და მუშაობის ჯან-ღონეც არა მაქვს მუშაობის უჩვეველს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჭირი მომჭამეთ, რა მენაღვლება თუ გ შიანდგა-სი ბრალია? რად გამოილაყე ეშმაკის სისხლი არყით ტვინი და რად არ აიღე ხელი შენს დამლუპავ ლოთობაზე? მღვდელი თუ წილ-მხვედრ ტაბლებს გიჭერდა, ქვეყანაა და სამართალი, უჩივლებდი, იმის ვირს რას ემართლებოდი, რომ კლდეში გადუჩეხე ღვინო-არყით გახეთქილმა, შე აკარაკო, შე სარსარაკო!.. არ ვიცი, რაც შვილი იყავ: მუდამ დღე ლოთობისაგან ტვინ-გალაყებული ქვეყანას ჰლანძღავდი და ათრევდი, ცა ქუდად აღარ მიგაჩნდა და დედ-მიწა ქალაბნად! ჰი, რის ღირსიც იყავ, ღმერთმაც ის მოგარგუნა და კაცმაც, შე ქოფაკო შენა!..

— რას მემართლები, შვილო, უბიწო და უნაკლულო ღმერთია. ვირმაც-კი წიხლი მოიშალა, და შენ-კი ჩემი ემაგრე ლანძღვა-გაბიაბრუება ვერ მოიშალე, გულის მშხამავი მწარე ბალღამიანი ენა ვერ ამოილაგმე. რატომ ან ღვთისა არ გეშინიან, ან ადამიანისა არა გრცხვენიან, შე უსამართლო, ემაგეთ გულ-მდაგავ სიტყვებს რო მეუბნები? მამა-უფალი არ შეგარჩენს საწყალ-მოხუცი მამის ეგეთ უკადრისობას და ლანძღვა-თრევას? თორემ შენ იცი, შვილო, თუნდა წადი ეხლავ ქიზიყში, ი უპატრონო, მშიერ-მწყურვალ ავადმყოფს—შენს მოამაგე დედამშობელსაც გულში ლახვარი დაეც, მოჰკალ და შარაზე გადააგდე 'შეუბრალებლად და დაუტირებლად. რას გვემართლები, შე უსამართლო!.. სთქვა ენით გამოუთქმელად გულ-მოკლულმა ბართლომემ ათრთოლებულის ხმით, გულიდან ამონადული მდუღარე ცრემლები ბჭყვრიალა ალმასის წინწკლებივით ჩამოედინა მთვარის შუქით გაბრწყინებულს, ბამბასავით თეთრად გაპენტილ წვერ-ულვაშზედ და შხამ ენიანი შვილისაგან მოკლულს გულში ჯოჯოხეთის გენია აუდუღია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ არ გემართლები, შე გამოყრუებულო კერპო, რამდენჯერ გითხარ და მოგწერე: როცა ფულიმექნება, მე თითონ გამოგიგზავნი ფოშტით-მეთქი, და აბა! ველარ შეგასმინე რა!.. აი წამოჰხირებულხარ ეხლაც ფეხით ასი ვერსის სავალიდან, მოთრეულხარ თავით-ფეხამდე დაგლეჯილ-დაკონკილი, მტვერ-ბუქში ამოგანგლული, ქალმების ჯღანებში ატოკის გლახასავით ამოკვანტილი და სისხლს მიშრობ, ქორწილის ღღესაც სიცოცხლეს მიშხამავ, მარცხვნი, ქვეყანაში თავსა მჭრი!

— რა ვჰქნა, შვილო? მამა ვარ და შვილი ხარ, მა რა ვთქვა, რა ეშმაკი და ქაჯი დავირქვა?! ან სად წავიდე, ვის მივატანო? მოამაგე დედა-მშობელი გიკვდება, სხვა უფრო არ შეგვიბრალებს,—გულსაკლავი ცრემლთადენით ეუბნებოდა მოხუცი მამა გამხეცებულ სიბრაზის ცოფით გულ-გააფთრებულს შვილს.

— ბალახათა ეს არალი! ჯანაბას წადი და ჯოჯოხეთს! თავში ქვა იეცით და მუცელში სამართებელი, თუ არ შეგიბრალებენ, მე რაღა გიყოთ, რა? რა? შე ქოფაკო!.. ჩემი თავიც გამჭირებია, აქ სოფელი ხომ არ არის, რომ იოლას წავიდე, მეც რომ ფულად ვიქცე, ყბა-დაღებული ქალაქი ერთ წუთას გადამყლაპავს თავის უძირო მუცელში. ათასი ხარჯი და ბორჯი მაქვს, ვალიც დამატყდა თავზე, ეხლა კიდევ ცოლი შევირთე—შენახვა უნდა: ჭამა, სმა, ჩაცმა, დახურვა, თეატრები, ცირკები, ბალები, ვეჩერები, პიკნიკები, ექინები, წამლები და ასი ათასი სხვა რამ ჯანდაბა და მოუსავლეთი ეხლანდელებს!..

— უკვდავ-უბერებელი არავინ არის. შენც სული გაქვს მისაცემი. შვილო გაიოზ, ღმერთს შეეხედე და ისე ილაპარაკე. მაშ რისათვის გშობა ტანჯვით და გაგზარდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სილარიბე-სიწვრილშვილით კარგ-უნახავმა დედამ? მამ? რისთვის გაწოვა თავისი ძუძუ, რისთვის ამწარა ღამეები, გირწო აკვანი და გეუბნა ტკბილი ნანა? მაშ რად გვიხაროდა, შვილო, შენი ყოლა და რად გიალერსებდით ტკბილის ენით? მაშ რისთვის გასწავლეთ და გავიქარეთ ჩვენი უკანასკნელი სულთაქათიც შენზე: ვიღეთ პირიდან ლუკმა და შენს სწავლას ვახმარეთ, თუ-კი ბოლოს ვაივაგლახიან სილარიბით დამწვარ-დადაგულ, საწყალ-მოხუცებულს დედ-მამას ემაგრე გვიუკადრისებდი, არ შაგვიბრალებდი, სახლის კარზედაც არ გაგვიტარებდი? თუ-კი ემაგრე ჩვენთვის ერთ ტკბილ-სანუგეშო სიტყვასაც არ გაიმეტებდი, თუ-კი მოამაგე დედ-მამის გულში ემაგეთ შხამ-გესლის ჩამსხმელ ენას გამოიბამდი, ჩვენი ნაამაგდარი შვილი, თუ კი ემაგეთი ლანძღვა-თრევით შეუბრალებლად გამაგდებდი სახლის კარიდან მშიერ-მწყურვალს სხვათა ძაღლივით, თუ კი ემაგრე... კიდევ რაღაც უნდა ეთქვა მოხუც ბართლომეს, მაგრამ ძალზე ატირებულ-აქვითინებულ გულის სიღრმიდან ამოჰსქდა მდუღარე ცრემლები, მწუხარე სახე მწარედ დაემანჭა და ხმა ჩაუწყდა, რადგანაც შხამ-წასმული ლახვარივით უვლიდა გულში უსულგულო შვილის მკვახე-მკვახე, გულ-სატკენი სიტყვები.

— წადი, კარგი, მომშორდი თავიდან, ჩემმა სტუმრებმა არა გნახონ და არ შემარცხვინო. ამაღამ კისერას ბაკის ოთახში დაიძინე. ხვალ თვითონ მე მოვალ იქ, დილიჯნის ბილეთსაც მოგიტან და ფულსაც გაგატან,—ამ თქმის უმალვე გაიოზ ბართლომეჩი ოთახისკენ გატრიალდა.

— კურთხეულ არს სახელი შენი, უფალო! — მოდი და ინატრე შვილი! რატო ი საწყალ დედას მუცელშივე არ გაუწყალდა ეგეთი არ-გასაჩენი?.. ენით-გამოუთქმელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოდება-მწუხარებით წარმოსთქვა ეს სიტყვები ზეცისკენ თვალებ-აპყრობილმა მოხუცმა ბართლომემ და კარგა ხანს იდგა ისე მეხ-ნაკრავივით გაქვავებული, გულ-ანატირი, თვალ-ცრემლიანი.

IV

— ააა! გაიოზ ბართლომიჩ! ურაააა!.. ვინც მოვიდა გაუმარჯოოს! მეფეს გაუმარჯოოს! ურاااا! «გორ-კااا!» «გორკااا!..» პაჩი დედოფალს, პაჩიიი!.. ასტეხეს ასეთი ყვირილი გაიოზის შემოსვლის უმალვე ღვინით გაჟენთილმა მაყრებმა.

— გაიოზ ბართლომიჩ! მართლა მამა-თქვენი მობრძანდა ქიზიყიდამ?—იკითხა მაყრების დაწყნარების უმალ იმ «დიდის ხნის ფურ-ბერწმა», ტურფა-კეკლუცმა ქვრივმა, კნეინა დესპინემ, რომელიც ისე შვენოდა ქორწილის გაჩაღებულ სუფრაზედ, როგორც გაბადრული მთვარე კამკამა ცა-ვარსკვლავებ'ში, და მისი ყურებით ვერა ძღებოდა კაცის თვალი. ამ ტურფა სახე-ტანოვანმა ქვრივმა-ვენარემ თავის უქრთამ-უმზითო კნიაჟნა ანიკოს თავის «აპოლონ»-გაიოზ ბართლომიჩის ფულებით გაუკეთა მზითევი და თვით გაიოზ ბართლომიჩსვე მიათხოვა ცოლად.

— სიმონიკო ღვინით გამობრუჟულა და გონების დავთრები დაუკარგავს; მამა ჩემი-კი არა, ჩვენი მეზვრე იყო,—იცრუა გაიოზ ბართლომიჩმა, რადგანაც კნეინა დესპინესთან და სხვებთანაც ხშირად დაუტრაბახნია ცოცხალ-ცოცხალი ტყუილებით: ჩვენის ზვრის სანაქებო ღვინოს საპალნეს თხუთმეტ თუმნად ჰყიდის მამა-ჩემიო, და საწყალს ბართლომეს-კი ერთი ვაზიც არსად ედგა წამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად და ისეთი ღარიბი იყო, რომ შინ კატა ვერას მეუჭამდა და გარედ ძაღლი.

— გაიოზ ბართლომიჩ! ერთი იმ სავირეთიდგან მოსულს შენს მ რეკ აქ დავუძახოთ, ქიზიყელები ძალიან ვაი ედავი «შუტნიკ»-ები არიან თურმე, გაგვაცინებს, სთხოვა «პოპოშნიკმა».

— მართლაც, რომ ძალიან ბიჭები არიან ქიზიყელები. როცა მე, თქვენი უმორჩილესი მონა-მოსამსახურე, «დაროჟნი მასტრად» ვიყავი და ყველის გუდასავით ვიტენებოდი აწაპნული ფულებით, ჩემმა „სტანციის ნაჩალიკმა“ შეჩვენებულიანცმა უთხრა ერთხელ ქიზიყელ მუშებს: აბა, ვირის ქვეყნელებო, ჩემმა „ზემლიაკმა“ ზეითუნელებმა არ გაჯობონ მუშაობაშიო; და ერთმა ქიზიყელმა ახმახმა ტეტიამ შხამიანი ღიმილით უპასუხა: «შენ ფიქრი ნუ გაქვს დარდის მეტი, ჩვენო ტირაცუავ, ზღვა იგრე არ დაშრება, რო მყრალი გუბის ტოლა გახდეს და აქლემი იგრე არ დავარდება, რო სამი ვირის საპალნე მაინც ვერ აიკიდოსო»,—სთქვა მეორე სტუმარმა და დაუმატა: გაიოზ ბართლომიჩ, აქ მოვიწვიოთ თქვენი მეზვრე, ვნახოთ ერთი, რა მხეცია!

— დიდის სიამოვნებით აგისრულებდით თხოვნას, ბატონებო, მაგრამ ჩემი მეზვრე ნათესავთან წავიდა ავლაბარში დიდად საჭირო საქმის გამო,—კიდევ იცრუა გაიოზ ბართლომიჩმა.

— ოჰ, ნეტავი არ წასულიყო! მართლაც-და, ქიზიყელებისთანა ლომ-კაცურად გამრჯელი, მოსწრებული სიტყვა-პასუხის პატრონი და ყველაში ვაშკაცურად გამბედავი ხალხი არ შეიძლება; ერთის სიტყვით ყველანი ფეხზე ჰკიდიათ, ისეთი გაბედულები არიან,—ხელების ფართი-ფურთით წარმოსთქვა მესამემ, რომელსაც ჰაჭო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხვირი რუსის ყალიონს უგვადა და ბურთსავით ამოდამ-
რგვალებული ტანი—უყელო გოგრას.

ახლა მაღალ-დიპლომიანმა კარიერისტმა—თავის ჯიბე-კუჭისათვის ყველას მამიდა-კოსმოპოლიტმა, წეროსავით წაიგძელა კისერი და დაიწყო შუბლ-შეჭმუხვნილის მედიდურობით:

— ეს მითი აიხსნება, რომ ქიზიყში ბატონ-ყმობა არა ყოფილა, და ენაც, გულიც, გონებაც თავისუფლად უმოქმედებიათ. მთავარი მიზეზიც ეს არის, რომ ქიზიყელ გლეხს არავისი ჰშინებია და არავისი ეშინიან დღესაც. ერთხელ ჩვენმა თანამსახურმა ტვინგალაყებულიანცმა ავლაბრისკენ გამასეირნა ეტლით, კაი ჯიშის ღორები უნდა ვუყიდო ჩემს მებაკეს მოსაშენებლადო. ქიზიყელებს ღვინის ურმები ედგათ ავლაბრის მოედანზე და ტვინგალაყებულიანცმა შორიდან შეუძახათ: «ბიჭოოო! ვირთუბნელებო, ქიზიყში ვირები უფრო ბევრი არიან თუ ადამიანებიო?» «შენისთანა კაცებს იქ სუ ვირებათა ვთვლით, და ამიტომაც ვირები უფრო მეტნი არიანო» რიხიანად გამოსძახა ქიზიყელმა მეურმემ და ის იმოდენა მოედნის ხალხი სიცილით გაიჭაჭა.

— ბრავო ქიზიყელებს, ბრავო!.. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიყვარს.—წარმოსთქვა ბოხი-გაზვიადებულის ხმით გაიოზ ბართლომიჩის სულ-გულის ვაშლივით განაჭერმა ცალმა ამოსაგველიძემ, რომლის მსგავსნი ას-ენოვანი ფარისეველნი, ქრისტეს გამყიდველნი იუდა-ისკარიოტელნი თავიანთ კერძო სარფისათვის ღვიძლ ძმასაც-კი გროშზე ჰყიდიან, დედა-მშობელსაც თავისაგან ნაწოვნ ძუძუს ძირში აჭრიან მალვით-ფარვით და თავს-კი უმანკო ანგელოზად აჩვენებენ მოძმე-ქვეყანას, რომელსაც „მე მოვკვდე და შენ იცოცხლეს“ ეუბნებიან სიტყვით, და საქმით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი მასხარად იგდებენ და ძირს უთხრიან დაფარულად ყველა ჩვენს წმინდათა წმინდას, რადგანაც წინდაუხედავი ქვეყანა დღესაც მტრისა და მოყვრის არ-მცნობი ბრმაყრუია და ვერ უხვდება მტერს მტრულად და მოყვარეს მოყვრულად, რომ ყველა საქმით დარწმუნებულიყო: «ვინც რას დასთესავს, იმასვე მოიმკისო.»

ეს იყო კიდეც ქორწილის შანდალ-ჭაღებით გაჩირაღდნებულს სუფრაზედ აბდულ-ბაღიმ გულ-წარმტაცად ააჟღერა მწარე-ტკბილად მომხიბლავი ჩანგის სიმები და შორით-შორამდე გამსმენი, გრძნობით სავსე, ცრემლ-საღენი მწუხარე ხმით დაამღერა უკვდავ პოეტის გულის სილრმიდან ამონაწყვეტი სიტყვები...

— ბრავო! ბიზ! ბრაუსიმო! აფერუუუმ!.. ჰაჯან, ბიჭო! შენი გულისა, შენიიი!.. ბიზ! ბიიიზ!.. ცერცვივით აყრიდნენ ამ სიტყვებს აბდულ-ბაღის და აღტაცებულის ტაშის ცემით გრიალებდნენ გულ გამეხებულ ცის ჭექა-გრგვინვასავით ქორწილის ლხინ-ქეიფით დაჭარხლებული ქუდოსან-მანდილოსნები, რომელთაც ელექტრონის ელვასავით დაურბინათ სხეულში აბდულ-ბაღის ტკბილ-ხმოვანმა სიმღერამ.

ქვითინებდნენ სიმები ჩანგისა და ოქროპირობდა აბდულ-ბაღიც: ხელის-ხელ საგოგმანებელ თვალ-მარგალიტებივით სცვიოდა მის ენა-პირს პოეტთა გულის სილრმიდან ამომარგალიტებული სამახსოვრო სიტყვები, რომელიც მთქმელსაც სწვავდნენ და გამგონსაც...

V

ვანთიადისას, როდესაც სუდებნი ქუჩაზედ ჩაფერფლილი ცეცხლივით მიმტკბარ-მიყუჩებული გაიოზ ბართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლომიჩი თავის მორთულს საწოლში ტკბილ მოსვენებაგანცხრომით ასე ეუბნებოდა თავის ანიკოს: «სულო ჩემო სულისავ, გულო ჩემო გულისავ და მზეო ჩემო სიცოცხლისავ!» და მის თონესავით გავარვალებულს გულში უსურვაზივით ჩაწმახნული ანიკოც გატკბილ-ნაზებულის ხმით კნასი-კნუსობდა, ჟრჟოლავდა, ნებივრობდა და ნიავსავით ჩუმის ხმით ეჩურჩულებოდა რაღაცას ხმა-ნარნარი, სწორედ ამ დროს ავლაბარში, კისერას ამყრალებულ ბაკის კუჯის ძირას ძალლ-უმადლოდ მიგდებულიყო ცალიერ მიწაზედ მშიერ-მწყურვალი, მოხუცი ბართლომე და უკადრის-ამპარტავან შვილის ულვთო, უსამართლო სიტყვებით მოკლული გული მისი სისხლის ცრემლით ტიროდა, თვალზე ძილი არ ეკარებოდა ძალზე დალალულ-დაწყვეტილს, მწარედ გმინავდა, ოხრავდა, კვნესოდა და მდულარე ცრემლები ჩამოსდიოდა თეთრს წვერ-ულვაშზედ. ამ დროს კისერას ბაკის მახლობლად შეშის ურმები მოჭრიალებდნენ და ვიღაც მეურმე გულ-მწუხარედ და ცრემლ-სადენად ღუღუნებდა:

რისთვის გაგზარდა დედამა,
რისთვის გეუბნა ნანაო,
დასწყევლოს ცა და ქვეყანამ
შვილები შენისთანაო!..

ბართლომეს თავის გულის გრძნობასთან ამ ზედ-გამოჭოილ სიტყვების გაგონებაზედ უფრო ძალზე ჩაეთუთქა შვილისაგან ულვთოდ მოკლული გული, ნამტირალი თვალები, რომლებიდანაც გულში ნადული წყენა-ნალველი ცხარე ცრემლებად გადმოსწვიმდა შეუწყვეტლად, ცისკენ ააპყრო და გულ-საკლავად წარმოსთქვა გულგაგმირულმა:

— ღმერთო! რა დაგიშავე, შე დალოცვილო, გუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ჯოჯოხეთის ცეცხლმა ჩამიწვა, ჩამიბუგა და ჩამინაცრა, ეხლა მაინც შამიბრალე და მიიბარე ჩემი ტანჯულ-წამებული სული, ეგება მანდ მაინც მელირსოს მოსვენება ულმერთო ადამიანებისაგან დაჩაგრულს და შვილისაგანაც გულში თოფ-მორტყმულს!..

თითქოს ცა-ქვეყნის დამბადებელს ზენას შეებრალა მოხუცი ბართლომეო: ცა მოწმენდილი უცბად სამგლოვიარო ძაძებით შეიმოსა და დინჯი, მწუხარე გრგვინვა-ქვითინით ალმასის წინწკლებს სცრიდა ჟუჟუნით; დიაღ, ცაც-კი იცრემლებოდა ბართლომეს სიბრალულით.

ამავე დროს, განთიადისას, ქიზიყის ერთ პატარა ფიცრულს ქოხში სნეულ ავადმყოფს, გამოფაფხაჭებულს დედას გაიოზ ბართლომიჩისას თავიანთ ხატის წინ წმინდა სანთელი დაენთო, დაეჩოქნა, სილარიბე-ავადმყოფობით და უსმელ-უჭმელობით ძვალ-ტყავად ქცეულნი, დაჩხრიმლული ხელები ხეცისკენ აეპყრო, თვალცრემლიანი და გულ-აქვითინებული ასე ევედრებოდა ღმერთს დიდის სასოებით:

—ცა-ქვეყნის გამჩენელო, ყოვლად ძლიერო ზეციერო მამაო! ჩვენთვის ჯვარცმულო ბ წამებულო იესომაცხოვარო, ძეო ღვთისაო! და ყოვლად-წმინდაო დედაო, ღვთის მშობელო ქალწულო მარიამ! თქვენ ამიხდინეთ გაიოზზედ ავად ნანახი სიზმარი კეთილად, თქვენი მადლისა ბ სახელის ჭირიმე, თქვენ იყავით იმ რვა წლის უნახავი, საყვარელი-შვილი გაიოზის მოწყალე მცველ-მფარველნი, ნუ გამოჰლევთ ქვეყანაზედ იმის სახელ-ხსენებას, როგორც პურ მარილის სახელი არ გამოილევა დუნიაზე, და თქვენვე აკოცხლეთ, ახარეთ და აბედნიერეთ ამ ჩემი ძუძურძით გაზდილი გაიოზი იქამდის, სანამ ცაზე ბზე ბრწყინვალებს, ხმელეთზე სიმართლე და ზღვაზე მთვარის შუქი!

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიზმარივით გაირბინა წელიწადმა, და ქორწინების წლის თავზედ, ოცდა სამს მაისს განთიადისას, გაიოზ ბართლომიჩის მალვით დარიშხანა-დალეული ცოლი-ანიკო სანთლის ნამწვავივით საუკუნოდ ჰქრებოდა უჩუმრა იმ თავის საწოლზედ, რომელზედაც გაიოზ ბართლომიჩი დ დესპინე ჰლალატობდნენ ანიკოს მალვით-ფარვით, და ასეთი მოღალატობა პირუტყვულ სიყვარულისა ვერ აიტანა წმინდა-უმანკო ღრმა-გრძნობიერმა გულმა ანიკოსამ, რომელსაც ქორწინების წინად სიზმრადაც არ მოჰლანდებია იმათი ასეთივე განწყობილება, დიდის სიფრთხილის საიდუმლოება-დაფარულებით გარემოცული. ჩვეულებისამებრ ღვინისაგან გალექებული გაიოზ ბართლომიჩი ძალზე ხვრინავდა ღრმა-ტკბილს ძილში ბანგ-დალეულივით, და მრავალ-წამებული ანიკო-კი, რომელსაც ცრემლ-მორეული თვალები დაუხუჭავი დაჰრჩენოდა, მთლად გამქრალიყო მბჟუტავ ვარსკვლავივით და უსულოდ, გაყინული იდვა მის გვერდით, ვარდისფერ აბაჟურიან სანათის შუქით გავარდისფერებული.

ტკბილად ეძინა იქვე მეორე ოთახში ცისფერ ატლასის საბან-ქვეშ განთიადის მოციმციმე ცისკარივით გამოკეკლუცებულს დესპინეს — სიდედრს გაიოზ ბართლომიჩისას და მიზეზს ანიკოს უდროო სიკვდილისას. ტკბილადვე განისვენებდნენ ამ დროს გაიოზ ბართლომიჩის მოხუცი, უწყალო სილირიბისაგან მრავალ-ტანჯული დედ-მამა თავიანთ საუკუნო-სამარადჟამო სადგურ-საფლავებში.

ანიკოს სიკვდილის შემდეგ, რაღაც პოდლოგისათვის პასუხის გებაში მიცემული გაიოზ ბართლომიჩი უპატრონოდ იწვა ავადმყოფი ტალახის ქუჩაზედ, ერთს ჭუჭყიანს, ბალლინჯოებით სავსე პაწია ოთახში და მოპარსულს თავზედ ექიმისაგან გამოწერილს „კომპრესებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადებდა მსახური სიმონიკა, რომელიც გაიოზის სიცხლით გატიკულს ბაღლინჯოებს ურისხდებოდა წამ-და-უწუმ:

—იმე! კმარა, ნუ შემიჭამეთ ავადმყოფი კაცი თქვე დაფსილებო, ფუ! რა გასაჩენი იყავით თქვე სახელ-ძალლებო!.

—რად უნდოდა ჩემს სიდედრს ორმოც თუმნიანი როტონდა, განა არ იცოდა, რომ ფული აღარა მქონდა?.. ღმერთო, რა წყეული დედაკაცი ყოფილა, ფული გამომელია და თავი დამანება. თავის ჯიბის საყვარელ გენარალს მიეკედლა; მაგრამ ისევ მალე შემირიგდება, როცა სპასოვიჩივით და პლევაკოსავით სახელ-განთქმული ადვოკატი გავხდები. ოხ, როგორ გავიტენით მაშინ ქისას! სასახლეც მექნება, კარეტაც, რისაკებიც, ლაქია, შვეიცარი, ხელმწიფესავით ცხოვრება და სუყველაფერი, რაც კი გინდა სულო და გულო ქვეყანაზე!..

—მოგეცეს, ბატონო, ღვთის წყალობა, მაშინ სიმონიკამ ცა ქუდად აღარ მიიჩნიოს და დედა-მიწა ქალამნად შენი სიმდიდრე-დიდკაცობის წყალობით! უპასუხებდა სიცხეში მბოდავს ბატონს გულ-გახარებული სიმონიკა.

—აგერა! აგე! უყურეთ, უყურეთ: კიდევ მოხუცი მამა ჩემი გამოჩნდა ჭერში... ოოოჰ, ღმერთო, როგორ მწყევლის, რანაირად მირისხდება: მეც, დედა შენიც და შენი ცოლი ანიკოც შენ მოჰკალიო... ჰო, ისინი მე დავხოცე, მაგრამ სადა? როდის? არ მახსოვს, არ მაგონდება ... ვაიმე! მახრჩობს, მიშველეთ! უუუჰ!.. ჰბოდავდა ძრწოლით და ხელ-ფეხს აწყვეტდა აქეთ-იქით ტვინის ანთებით შერყეული გაიოზ ბართლიმიჩი.

—აჰა, რავას ბძანებ, ბატონო, აქანას საიქიოდგან მამა შენი რავა მოვიდოდა, საიდგან წარმოსადგენია ეს?! მამა ჩემის კიკოლიკას სულიც არ წამიწყდეს, რომ იქანას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭერში არავინაც არ იყოს ბუზების მეტი, და ესეც ტყუ-
ლა გელანდება ისთე, რომ ვითამც შენ ისინი დაგეხო-
ცოს; ასთე რომ ყოფილიყო, ციმბირს იქით გაგახოხო-
ნიკებდნენ, შენც ნუ მოუკვდები ჩემს თავს, ტაწი აქანას
კი ალარ იწოლებოდი! გაგივლის, არაფერია, ნუ ჰშფოთ-
ხარ, დაწყნარდი, ბატონო, და დეიყენე თავზე ეს რა-
ცლა ჯანდაბა კომპრეცია, თვარა ღმერთმა დეიფაროს,
შენ რომ მოგივიდეს რამე, მეც ქე დევიფსები შენსავით
უპატრონო, უამხანაგო, უბედური კაცი ამ ოხერ-ტია-
ლების გოროდში!..—ასე ჩალაპარაკებდა თავით მჯდო-
მარე სიმონიკა გაიოზ ბართლომიჩს, რომელიც ტვინის
ანთების სიცხეში ათას რალაც აჭია-ბაჭიას, აბდა-უბდას
და გადასკუპდას ჰბოდავდა, ჭერისაკენ უგონოდ თვალებ-
აჭყეტილი.

დ. მაჩხანელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

ნეტარებაა, რომ ადტაცებით
შესტრფი ბუნების შვენიერებას,
რომ გიტიტინებს მის გულის ძგერა
და ჰგრძნობ ზეციურ ბედნიერებას.

—

ნეტარებაა, როცა გამხნევებს
გაჭირვებაში შენ მეგობარი,
შენი გულისთვის თავ-დადებული,
შენთვის ცოცხალი და შენთვის მკვდარი.

—

ნეტარებაა, რომ შადრევანად
გულში ჩანჩქარებს მძლე სიყვარული,
როცა გაურეოლებს სატრფოს ალერსი
და მისი ხმები მინაზებული.

—

მაგრამ რა უდრის იმ ნეტარებას,
რომ ხალხს იყვარავ თავ-განწირული,
როცა სამშობლოს მთა-მინდორ-ველად
ისმის ხმა შენი, მძლე და გმირული,

—

რომ მტარვალობა, ბოროტებანი
შენ წინ გარბიან შეშინებული,
და ერის ლოცვა, ერის კურთხევა
შენკენ ისწრაფვის ადტაცებული!...

სისონა მეჩანგური.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოხუცის აღსარება.

აჰა, მოვხუცდი! ასრულდა
ჩემზე კანონი ბუნების
და დრო დამიდგა მუხლებში
ძალ-ღონის დაძაბუნების,
მაგრამ გული-კი კვლავ მედგრობს,
ბობოქრობს ადრინდულათა
და გრძნობებს, ქცეულს სურვილად,
მოისვრის ნაკაღულათა!..
და მას ეს მოუსვენრობა
კიდევაც ეადვილება,
რადგან მასალას აწვდის მას
ჩემივე გამოცდილება.—
ვიგონებ წარსულს, განვლილ დღეთ,
აწმყოსაც ვავლებ ყველგან თვალს,
და მათის შედარებითა
ვითვალისწინებ მომავალს.
და როს ეს უკანასკნელი
სანუგეშ-საამურია,
წუთად ვრაცხ განვლილ დღეთ სიგრძეს.—
და კვლავ სიცოცხლე მწყურია!..
მსურს მისი აღორძინება,
რაიც სარჩულად მე დავდე
და საოცნებო მომავალს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით უკვე დამლგარს ვხედავდე!..
გულში იფეთქოს სიამემ,
ხელი შემიწყოს ბუნებამ,
და ერთხნად ვერ-რა დამაკლოს
ძალ-ღონით დაძაბუნებამ...
სურვილ-გრძნობების მორევი—
უშრეტი წყარო გულია
და ენა მოლაპარაკე
მისივე მოციქულია!
წრფელ იყო ჩემი სურვილი
და რომ ის კვლავცა წრფელია,
მთლად ჩემი ნამოქმედარი
მის ნიშან-სამოსელია!..
მაგრამ, ეჰ!.. კაცის სურვილებს
ბოლო არა აქვს აროდეს!
დე, სანეტარო მომავლით
თვით მომავალი ჰხაროობდეს!..

დ. თომაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

ვნახე ჭაბუკი, იმის თვალებში
მადლი ციური მარად კრთებოდა;
ხელში ეჭირა წიგნი რაღაცა
და გულ-მოდგინედ ჩასჩერებოდა.

იმას სახეზე, გატაცებულსა,
ხან სიხარული ეფინებოდა;
მაგრამ-კი ხშირად, და უფრო ხშირად
თვალები ცრემლით ენამებოდა!..

ხან, ჭაბუკურად გატაცებული,
ის ტანჯვის ოფლში იწურებოდა,
იბრძოდა თითქო და მჯიღის ცემით
მკერდში ვიღაცას ემუქრებოდა...

რაღაც იდუმალ სულის-კვეთებით
ხანაც საშინლად აღელდებოდა...
და წიგნის რამდენ გვერდს გადაშლიდა,
მით გული უფრო უწყლულდებოდა!..

და რა იყო ის?—ზღაპარი იყო,
ჭორი, ჭორადვე გამოტანილი,
თუ წიგნი „შეუვარ-შემოუვარების“
და მათი ტრფობა ცად აღუვანილი?!..

არა! არც ერთი და არც მეორე!..
ის წიგნი იყო: „ამბავი ძველთა,“
მასში ეწერა ცხოვრება კაცთა,
შშობელ ქვეყნისთვის თავ-უზოგველთა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ის წიგნი იყო, სადაც ნათლად სჩნდა
გამწარებული წარსული ჩვენი;
ის სარკე იყო ბევრის მქებელი
და თანაც ბევრის საზიზღრად მჩენი!..

იქ ნათლად სჩანდა, ვინ სად რა იყო:
ვინ ერთგულობდა, ვინ ორგულობდა,
და განდიდების სენით ბურობილი,
ვინ იულასებრ მოტიქულობდა!..

იქ ცხადზე ცხადი იყო მიზეზი
ჩვენის დაცემის, დაუძლურების,
როცა გარეგან საშიშროებას
თან მოჰყვა შეოთი შინაურების...

კაცთ სამეოფ ერეს განშორებული,
იჯდა ჭაბუკი თვალ-ცრემლიანი,
და დღეს ნარ-ეკლად ეჩვენებოდა
სამშობლო ქვეყნის ვარდნი-იანი!...

მის ნორჩ სახეზე უმადურობის,
სულიერ შეოთვის ბეჭედი სჩანდა,
მაგრამ ვაი, რომ წყლულსა და ნაღვლს
ის ცრემლში ნალეს ნაღვლითვე ჰბანდა!..

დ. თომაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკის წერილი თ. ილია ჭავჭავაძესთან.

ბატონო „იგერიის“ რედაქტორო,
თავადო ილია გრიგოლის შვილ!

იმდენი იცოცხლეთ, რამდენი თქვენი შესახები წერილი „კრებულის“ რედაქციას მოსვლოდეს და მოდიოდეს დღესეც, მაგრამ ჩვენ-კი არ გამოგვქონდეს საქვეყნოდ!.. არ ვბეჭდავთ, რადგანაც ზოგი მათგანი უმნიშვნელოა და ზოგიც ისე წვრილმანი, რომ იმათ გამო თქვენისთანა კაცის უზრდელად შეხება და უკადრისად მოხსენება უმართებულობად მიგვაჩნია. თქვენი რედაქცია-კი, თქვენო ბრწყინვალებავ, ჟინჟღილითა და კელაპტრებით ეძებს ამ გვარ რაშეებს ჩემ შესახებ და ჟინ-მორეულ კურძუალივით მწევარ-მეძებრებით გამოდის სანადიროდ, რომ, შემოკვლეული და ნიშანში ამოღებული მსხვერპლი, ყეფა-კიჟინით გამოიმინდვროს და, თუ კურდღელი ვერა, კატა მაინც დაიჭიროს, თავი და კუდი წააჭრას, გაატყავოს და კურდღლად შეაპაროს მკითხველებს. ამ გვარი მაგალითები ბევრი ყოფილა, როგორც სხვების, ისე ჩემ შესახებაც, მაგრამ დღემდე, საზოგადო მოსაზრების გამო, ამიტანია მოთმინებით და ხმა არ ამომიღია!.. დღესეც კიდევ ავიტანდი, რომ მარტო პირადად მე მეხებოდეს და არა საზოგადოსაც, რომლის წაყრუება აღარ შეგვიძლია. გთხოვთ, რომ სხვანაირად არ გაიგოთ ეს ჩემი ზემო-მოყვანილი სიტყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი!.. მე ამითი იმას-კი არ მოგახსენებთ, თუ, რადგანაც მე თქვენ შესახებ არასა ვბეჭდავ ჩემს ჟურნალში, ნულარც თქვენ დაბეჭდავთ ხოლმე ჩემ შესახებ თქვენს გაზეთში-მეთქი!.. სრულიადაც არა!.. პირ-იქით დიდათაც დამავალებთ, თუ არ დამივიწყებთ და გამოაქვეყნებთ ხოლმე, რადგანაც მე ჩემს სიცოცხლეში მისთანა არა ჩამიდენია-რა, არც საზოგადოდ და არც კერძოდ, რომ მისი გამოაშკარავება მერცხვინებოდეს!.. მაგრამ ამას-კი ვითხოვ, რომ მხოლოდ ის იყოს ხოლმე გამოქვეყნებული, რაც ნამდვილად მე მომიქმედია და ჩამიდენია, და არა ის, რაც შურსა და ბოროტებას შეუთხზავს. სწორედ ამგვართაგანნი არიან ის წერილები, რომელთაც თქვენ იხსენიებთ, რომ „სხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდაო“. და ამგვარივეა ის სტატიაც, უკანასკნელად რომ „მოამბის“ მე-VIII №-ში დაიბეჭდა მალალის სათაურით: „აკაკი წერეთელი და ქუთაისის ბანკიო“, და რომლიდანაც თქვენმა გაზეთმა „ივერიამ“ ობოლ-მარგალიტებად, სამინუშო ადგილები ამოჰკრიბა მკითხველების მისახარებლად. ზოგჯერ მგზავრს სადმე გზის პირად უეცრად ეცემა სიმყრალის სუნი და რომ შეჩერდება, დაინახავს იქვე სადმე ახლოს დაგდებულს, დიდი ხნის დამპალსა და აყროლებულ ლეშს; მეტი გზა რომ აღარ არის, მგზავრი სცდილობს სიჩქარით მოშორდეს იმ ადგილს, მოაშოროს თვალიცა და ცხვირიც იმ საზიზღარ ლეშს და მერე არა თუ ილაპარაკოს იმ ბინძურობაზე, აღარც-კი გაიხსენოს!.. სწორედ ამგვარივე გრძნობა აღძრა ჩემში, ცბიერებით წარმოშობილმა და ბოროტ-განზრახვით შეკაზმულმა, „მოამბის“ მე-VIII №-ში დასტამბულმა, და თქვენმა მოწონებულმა ზემოხსენებულმა სტატიამაც. როგორ დავიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბლებდი ისე ან ჩემს კალამს და ან ჩემს გრძნობა-გონებას, რომ იმ სტატიის გამო მეთქვა რამე?! მაგრამ თქვენ-კი... საკუთრად თქვენ, იძულებული გამხადეთ, რომ ხმა ამოვიღო, მით უფრო, რომ თქვენვე ბრძანებთ: „თუ ეს მართალია და დავუჯერებთ კიტა აბაშიძესო;“ თქვენს ვითომ-და იმ ზე: „თუ დავუჯერებთ“ ვინ უნდა გაგცესთ პასუხი, თუ არ მევე?—და კიდევაც მოგახსენებთ, რომ ის თქვენგან დასახელებული სტატია უსაფუძვლო ცილის წამება და ჭორია!.. თქვენ რომ გულდასმითა და დაკვირვებით გადაგეკითხათ ის უცნაური წერილი, თვით იმ სტატიითვე, ჩემ სტატიასთან შეუმოწმებლადაც, ცხადად დაინახავდით, რომ ავტორს, თუმცა გადაუსხვაფერებია „კრებულის“ მე-VI №-ში დაბეჭდილი ჩემი წერილები, და ცდილა ამოწერის დროს აზრის გადამახინჯებას, მაგრამ მაინც კიდევ შეშლია ნახტომი და ლოლიკისათვის ფეხი ვერ მოუკიდვინებია. ეს ყოლიფერი დღესავით ცხადია, მაგრამ რაღაი-კი თქვენ არ მიგიქცევიათ ყურადღება, მე მიგითითებთ, და ნურას უკაცრავად!

ამ რამოდენიმე წლის წინეთ, ტფილისში რომ, ესრედ წოდებული, ჭავჭავაძისა და მაჩაბლის პარტიობა იყო, მე სრულიად გარეშე ვიყავი იმ შეხლა-შემოხლისა: არა თუ ბანკის ზალაში, იქაც კი, სადაც მწერლებს ნება ჰქონდათ შესულიყონ, არ შევსულვარ და მხოლოდ ხან-და-ხან ლოჟაში შევდიოდი სხვებთან ერთად, როგორც გარეშე მაყურებელი. არც ბანკის პარტიის კერძო კრებებზე და არც ოპოზიციისაზე არ დავსწრებივარ. ამის უარს ცალ-ცალკე ვერც ერთი მხარე ვერ იტყვის. მხოლოდ გარეშედ, სადმე გარედ, ან ოჯახში, როდესაც ჩამოვარდებოდა ხოლმე კერძო სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბარი მაშინდელ „ბანკობანაობაზე“, მე არ ვეძოწმებოდი ზოგიერთებს და არ ვიმეორებდი იმას, რასაც ისინი ამბობდენ მაჩაბლისა და ოპოზიციის შესახებ!.. მე ჩემი საკუთარი აზრი და შეხედულობა მქონდა და ამის უფლება, თუმცა ყველას უნდა ჰქონოდეს, მაგრამ მე-კი მაინც ზოგიერთებმა დიდ ცოდვად ჩამითვალეს და ის მომაწერეს, რაც არ ყოფილა: „მაჩაბელსა და ოპოზიციას აკაკი წერეთელი აბრიყვებსო (თვითქოს მართლა ჩემი გასაბრიყვებელი ყოფილიყოს ან ერთი და ან მეორე!..) და მით ქართლი და კახეთი ერთმანეთს გადაჰკიდაო“. მე ყოველთვის მრწამდა და მრწამს, რომ ჭეშმარიტება, ღრმადაც რომ დამარხოს უსამართლობამ, ოდესმე მაინც იჩენს თავს, და სიმართლე ისე არ დაიმალება, როგორც შუბი ხალთაში!.. ამას მხოლოდ დრო უნდა და მოთმინება, და მეც მაშინ ყურადღება არ მიმიქცევია იმ ხმებისათვის, რომ თავი გამემართლებია. მაგრამ დავიწყებით-კი, ის უსიამო შემთხვევა არ დამვიწყებია და წელსაც მიტომ არ მსურდა, ქუთათურ „ბანკობიაში“ ჩარევა და მონაწილეობის მიღება. და მართლაც, სანამ რამდენჯერმე მოციქულები არ მობრძანდენ ჩემთან, მე ხმას არ ვიღებდი, თვით ბანკის დარბაზშიაც!.. ვიყავ ჩემთვის ჩუმად და ყურს ვუგდებდი სხვებს. ხოლო რაიცა შეეხება იმას, რომ ვითომც მე გარეშე ბანკისა „ჩუმ-ჩუმად დავძვრებოდი აქეთ-იქით და ჩიკვაიძის სასარგებლოდ ვმოქმედობდი,“ ეს არ არის სიმართლე. მართალია, მეც გავიგონე რომ ჩიკვაიძე წვეულებაებს მართავსო, აგრეთვე ოპოზიცია სადილებს აკეთებსო, მაგალითად, „იაკორის“ რესტორანშიო და სხვ... მაგრამ მე პირადად არც ერთგან არა ვყოფილვარ და ჩემის თვალით არა მინახავს-რა. სანამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბანკო არჩევანები იყო, მე ჩიკვაიძისას არ გამივლია, არა მიტომ, რომ მე ვითომც მის ოჯახში შესვლას ვთაკილობდე და მისს სახლში სტუმარ-მასპინძლური პურის ჭამა მერცხვინებოდეს, სრულიადაც არა!.. მე ვიცოდი, რომ ზოგიერთები, რომელნიც ძველ-კუდს იქნევდენ და მხოლოდ მიტომ იყვენ ოპოზიციაში ჩამდგარი, რომ თავისი საპირადო საქმე როგორმე გამოევარგებიათ, მეც ჯიბრში მიდგენ, რომ უკულმართად აეხსნათ ჩემი ყოველი მოქმედება და აღარც მე მინდოდა მიზეზი რამ მიმეცა მათთვის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც საქვეყნოდ გაიძახიან: „ჩიკვაიძის საარჩევნო სადილებზე დაიარებოდა აკაკიო“. და ზედაც ათასს რამეებს უმატებენ მოჭორილს. მხოლოდ ზნეობით სიბინძურეს შუძლია სთქვას ის, რომ აკაკი მართლა დადიოდა ჩიკვაიძისას სადილებზეო და სხვანი!.. აბა, მიჩვენონ: ვის ოჯახში დავდიოდი ჩუმ-ჩუმად და ვსცდილობდი ჩამეგონებია ჩიკვაიძის მომხრეობა? ვინ არის ის კაცი, რომელსაც მე დავჰპირდი მარშლობას, ოღონდ ჩიკვაიძეს ნუ ეწინააღმდეგები-მეთქი? ან ვის ვურჩიე მე, რომ ჩიკვაიძეს ნუ აწყენიებ, თორემ კარიერას გაიფუჭებ-მეთქი? მე ჩემს დღეში არც ჩემთვისა და არც სხვისთვის კარიერა არ მიძებნია და ამის შემოწამება, მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც თვით კარიერის გულისათვის ადამიანის უპირველესი გრძნობა გაუყიდია და დღესეც კიდევ გავლენიან პირთა ფეხთა-მლოკია, რომ ეგებ, ერთი ბიჯი კიდევ წინ წადგას ცხოვრებაში. ესეები ყველა შხამიანი ენის უთავ-ბოლობაა!.. არჩევნების დროს მითქმა-მოთქმა, ცილის წამება და უსამართლო დევნა რაღა გასაკვირველია, რომ დღესეც კიდევ იმავე ხელობას ადგიან, ჩემ შესახებ, ის ზნეობითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნაცარქექიები!..“ აი სამინუშო მაგალითი: ბანკის-

ჩევანები რომ გათავდა ქუთაისში, მე რამოდენიმე ხნის შემდეგ დავბრუნდი საჩხერეში; იქ დამხვდა, ჩემს სახლში სტუმრად მოსული ერთი ჩემი ძვირფას ნათესავთაგანი, რომლისათვისაც ჩემს მეზობლებსა და სახლი-კაცებს პატივი ეცათ!.. და, რასაკვირველია, რომ მეც ვალდებული ვიყავი სამაგიერო გადამეხადა და ისინიც მიმეწვია ჩემს ოჯახში. ეს შინაური საქმეა და რა არის აქ ან წეს-რიგის, ან ზნეობისა და ან ბუნების საწინააღმდეგო? ნუ თუ ყოველ კაცს უფლება არა აქვს, რომ თავის სახლში პური სჭამოს და ვინც უნდა მიიწვიოს? ასე ჰკითხეთ ახლა თქვენ მოწონებულ კორესპონდენტებს!.. საქვეყნო საქმედ გაუხდიათ ჩემი წვეულება და აი როგორ გადასცემენ მკითხველებს: აკაკიმ თავისის ქცევით და უკანასკნელის მოქმედებით, ვინც-კი პატიოსანი და რიგიანია იმერეთში, ყველა მოიმდურაო; ჩავარდა საგონებელში, მაგრამ კალისტრატე ჩიკვაიძემ ასწავლა ხერხიო: „წადიო—ურჩიაო—ჩემსავით შენც სადილი გამართე, ლხინი გადაიხადე, მოიწვიე მომდურავები და შეგირიგდებიანო;“ ეს რჩევა დაუჯდა ჭკუაში აკაკის და კიდევაც აასრულაო. ასე ბძანებს სიმართლის მოყვარე, გულწრფელი კორესპონდენტი და მერე ოხუნჯობს თვით იმ ჩემ სადილზედაც: „აკაკის თავის დღეში სტუმარი არ ჰყოლია და რომ ჩიკვაიძეს არ ესწავლებია, არც ახლა ეყოლებოდაო“. „სუფრაზე „მენიუ“ იდვა საჭმელების“, „ნასადილევს ფოტოგრაფმა სურათი გადაიღოო“ და სხვანი ამ გვარები. არ ვიცი, სხვაგან როგორ არის, მაგრამ საჩხერეში-კი წერეთლები უჩვეულო არც ოდესმე ყოფილან და არც არიან პურ-ღვინის! იმათ ოჯახებში ლხინი, ერთმანეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან მისვლა-მოსვლა, ერთად სიამტკბილობით პურის ჭამა და შექცევა თვითქმის ყოველ-დღიური მოვლენაა. და რად გაჭკვირებია, დალოცვილ კორესპონდენტს, ჩემ შესახებაც ამ გვარი რამ?

კორესპონდენტი ისე ასწერს ჩემს სუფრას, როგორც დამსწრე; მაშასადამე მე ის მიმილია ჩემს ოჯახში პატივსაცემ სტუმრად და ის-კი შემოსულა, ვითარცა მეზვერე (ჯაშუში) და აქაც კიდევ ვერ უვარგნია: მეზვერე ვალდებულია, რომ თავის სამარცხვინო ხელობა სიმართლით დაიჭიროს ხელში და ისა სთქვას, რასაც ნამდვილად ნახავს და არა ის, რასაც საკუთარი ოცნება წარმოუდგენს!.. კორესპონდენტ-მეზვერეს-კი ეს უკანასკნელი ჯაშუშობის მოვალეობაც ვერ დაუცვია რიგიანად და იმას სწერს, რაც არ ყოფილა... მხოლოდ ის-კი არის მართალი, რომ ნასადილევს ფოტოგრაფმა ჩემი სახლი გადაიღო და, ვინც მოისურვა, სტუმრებიც... მაგრამ თვით იმ ფოტოგრაფს შეუძლიან დაამოწმოს, რომ მე მისი მოსვლა არ მცოდნია და შემთხვევით იყო ჩემსა მოსული. დიდხანს არ ვაძლევდი ნებას, რომ იმ დღეს გადაეღო ჩემი სახლი და კარ-მიდამო, მაგრამ სხვებმა რომ მოინდომეს, ძალა დამატანეს და მეც ველარ გავუტეხე მათ ხათრი. მაშინ ბევრს უკვირდა ჩემი ჯიუტობა, მაგრამ არ გამიმხელია მიზეზი და ახლა-კი ვიტყვი: მე ვიცი გამოცდილებით, თუ რა სიბრთხილე მიმართებს ყოველ ბიჯის გადადგმაზე, რომ ჩემზე შემოსეულმა მწევარ-მეძებრებმა ყეფა არ დამიწყონ!.. გამიგონია და ვიცი, რომ ჩვენი სახელოვანი თავ. ილია ჭავჭავაძე სხვათა შორის ყოველ-წლობით, ოც მკათათვეს იხდის დღესასწაულს!.. ყოველთვის მიდიან ხოლმე ფოტოგრაფები, რომ მისის სტუმრებია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათ გადაიღონ... ეს რომ ვიცოდი მე, ვიფიქრე: მეც, თუ ახლა ფოტოგრაფს დავრთე ნება, ის მყეფარი დასი, რომელიც, აგერ ორმოცი წელიწადია, შორიდან მიღრენს და საკბენად არა მზოგავს, ამ უბრალო შემთხვევას დაიხვევს ხელზე და ღრეჭით გაავრცელებს ხმას ხალხში, რომ მეც ვითომ ილიას მიბაძვით მიმეყვანოს იმ დღეს ფოტოგრაფი!.. ეს მეუკადრისებოდა მე და მიტომაც არ მინდოდა ნება-რთვის მიცემა. მადლობა ღმერთს! ეს აღარ უთქვამს, მოწონებულ კორესპონდენტს, მაგრამ სხვა უფრო საზიზღარი რამ-კი წამოროშა: „აკაკიმ ფოტოგრაფი მიტომ მიიყვანა, რომ ჯიბით ატაროს მათი სურათი და ქვეყანა დაარწმუნოს ხოლმე, რომ ესენი ყველა ჩემი მეგობრები არიანო“. საკვირველია ჭეშმარიტად!—ეს ვაჟბატონები ამ ორმოცი წლის განმავლობაში სულ იმას ამტკიცებდენ, სხვათა შორის, რომ აკაკიმ მეგობრობა არ იცის და არც მეგობრები სწამსო და ახლა-კი ბრძანებენ: „ჯიბით ატარებსო“. ჯიბით და კუჭით რომ მეტარებია მეგობრები, მაშინ თვით მოწონებული კორესპონდენტი და მისი მსგავსები ჩემი შემომყეფარი და მკბენარები კი აღარ იქნებოდენ, პირ-აქედ, ისე დამიწყებდენ მეც ფეხთა-ლოკვას, როგორც დღეს სხვებს ულოკვენ, მაგრამ ღმერთმა მაშოროს მათი სიახლოვე!.. მე ჩემი მეგობრები ყოველთვის გულით მიტარებია და ვატარებ კიდეც სიკვდილამდე!.. პურ-ღვინითა და მოწყალებით მოპოებული მეგობრები ღმერთმა თვალითაც ნუ დაშანახვოს! ყველა ის, ვინც ჩემი აზრისა და გულის-თქმის თანამოზიარეა ჩვენი ქვეყნის შესახებ, მეგობრებად მიმაჩნია, გაურჩევლად გვარ-ტომობისა, სქესისა და წოდებისა, გინდ თვალითაც არ მენახოს. და ამასთანავე დარწმუნებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარ ჩემ შესახებაც, რომ ვინც-კი მიცნობს, ყოველი ნამართლის მოყვარე და რიგიანი ქართველი და ან გამიცნობს, ჩემი მტერი არაოდეს არ იქნება!.. ეგებ ეს ოცნებაც იყოს, მაგრამ ასე-კი მყავს ჩემი თავი დაჯერებული და კმაყოფილიცა ვარ!.. ესეები, ალბად, არ სცოდნია ჯიბის-კორესპონდენტს და ჩემი გალანძღვის სურვილს ისე გაუტაცნია, რომ თავის თავი და თავისი წრის მეგობრებიც-კი გაულანძღავს: მისის სიტყვებიდგანა სჩანს, რომ მე მიმიწვევია ჩიკვაიძის რჩევით ჩემი მომდურავი პირები, ესე იგი, ოპოზიციის მომხრე და თანამგრძნობნი და ისინიც მოსულან ჩემთან შესარიგებლად, ოღონდ ერთი სადილი-კი ვსჭამოთო?!— ეტყობა, კორესპონდენტი კარგი აზრის ყოფილა თავისიანებზე, თუ ისინი მართლა ერთის სადილის გულისათვის ივიწყებენ საზოგადო სამდურავს და მირბიან შესარიგებლად იმასთან, ვინც ქვეყნის მტრად და ორგულად მიაჩნიათ?!..—რაღა კაცები ყოფილან?! მე კი სწორე უნდა მოგახსენოთ, რომ ვინც მყვანდენ მოწვეულნი, მაგისთანები არ ყოფილან და კორესპონდენტის ცილის-წამება მათ არ ეხება. დიახ. არ ეხება!— მაგრამ ზოგიერთ კორესპონდენტების ხელობა, რომელთა პატიოსნებას ქვანიც-კი ღალადებენ, სხვა რა არის თუ არ ცილის-წამება? სამართალი-კი მოითხოვს, რომ, არა თუ მარტო ჩემ შესახებ, ვის შესახებაც უნდა იყოს, ჩვენებურ მითქმა-მოთქმას: „ამან ეს სთქვაო“, „იმან ის სთქვაო“, „ასე ამბობენო“, „გავიგონეთო“ და სხვანი, როგორც უტყუარ საბუთს, მართებული ხელს არავინ ჩასჭიდებს!.. და სამწუხაროა, რომ ჩვენი ზოგიერთი ჟურნალ-გაზეთები, ბევრს არას დასდევენ და ბანს აძლევენ მატყუარა კორესპონდენტებს!.. აქაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ „კაცია და გუნებაო!“ და თქვენს გაზეთსაც, თქვენო ბრწყინვალებავ, უფლება ჰქონდა დაეჯერებია „მოამბეში“ გატარებული რამეები... მაგრამ ის კი მაკვირვებს, რომ ეგ თქვენი მოწონებული „მოამბის“ სტატია, არ შეგიმოწმებიათ იმ ჩემს სტატიასთან, რომელიც „კრებულის“ მე-VI №-ში იყო დაბეჭდილი!.. გულწრფელად დაგიჯერებიათ ყოველი მისი სიტყვა და თაღლითი კი ნამდვილ მარგალიტად მიგიღიათ!.. ცოტა შრომა რომ მიგეღოთ და ის ორი სტატია ერთმანერთისათვის შეგედარებიათ, მაშინ თქვენი პატივცემული გაზეთი „ივერია“ იმას ეღარ გაიმეორებდა, რაც „მოამბის“ კორესპონდენტსა და პუბლიცისტს უკადრებია! ეჰ, რაღა გაეწყობა, იძულებული ვარ ახლა მე მიგითითოთ იმ „მოამბის“ სტატიაზე და დაგანახვოთ ავტორის კაი-კაცობა. მოვჰყვები ისევ თავიდან! და ვიმეორებ, რომ რასაც კი ჩემ შესახებ ამბობს და ამტკიცებს „მოამბეში“ დაბეჭდილ სტატიის ავტორი, ყოლიფერი მისივე ოცნების ნაწარმოები ოცობოდიაა!..

ბანკის გარეშე რომ არაფერი მონაწილეობა მიმიღია, ეს ხომ ყველამ იცის და რაც შეეხება თვით ბანკის დარბაზში მოქმედებას, ესეც კიდევ ცხადია და წერილობითაც დამოწმებული: ყველა ხედავდა და იცის, რომ მე ბანკის კრებებზე ჩუმად ვიჯექ ჩემთვის, ხმას არ ვიღებდი და მხოლოდ ორჯელ-კი, როცა საჭიროდ დავინახე, ვილაპარაკე ბანკის საწინააღმდეგოდ და შევნიშნე მხოლოდ ის, რაც არ მომწონდა; ვილაპარაკე აუღელვებლად, წყნარად, დაბალის ხმით და უმუშტკრივოდ. ეს კორესპონდენტმაც კარგად იცის, მაგრამ ორივე შემთხვევას მაინც ბრალად მდებს: „ჩუმად იყო მიტომ, რომ ხელი დაეფარებია ბანკისა და ჩიკვაიძისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვისაო, და ორჯელ ილაპარაკა, მიტომ რომ მათვე მოსარჩლებოდაო.“ სწორედ ის მემართება, რაც გერს ბოროტ დედინაცვლის ხელში: გაჩუმდებოდა—მუნჯიაო და ილაპარაკებდა—ყბედიაო!.. როდესაც აღარ მომეშვენ: „შენც სთქვი რამეო! ჩუმად რათა ხარ და ჩვეულებრივად, ადრინდულად გულ-მხურვალედ არ ირჯებიო? მე ავუხსენი მათ ჩემი სიჩუმისა და სიწყნარის მიზეზი: „წინეთ მეტის ატანა შემეძლო, ახალგაზდა ვიყავი; დღეს კი მოხუცი ვარ და ავადმყოფი! და რომ კიდეც მსურდეს თქვენი მიბაძვა—არ შემიძლია!.. აბა დამიბრუნეთ ახალგაზდობა, ძალ-ღონე და სიმრთელე, და თუ მეც თქვენსავით არ დავტრიალდე?!.. მაგრამ ეს მოუხერხებელია. მე კი, განა, არ მინდა, რომ თქვენსავით ახალგაზდა ვიყო? ბატონ ჩიკვაიძის სიცოცხლით სავსე მოძრაობას რომ ვხედავ, გული მწყდება და აგრეევე ბ-ნ თავდგირიძის გულ-წრფელი მღელვარება მეხარბება“-მეთქი. ამ გულ-წრფელ აღსარების შემდეგაც კიდევ აი რას გაიძახიან: „თვისი სიჩუმე კრებაზე ავადმყოფობით აგვიხსნა, თავის, ვითომ-და, გულ-გრილობას გულის ფრიალი დაუდვა მიზეზადო“ და სხვანი.

„ეს ექიმმა ხუნდაძემაც შენიშნა და მიტომაც ურჩია: თუ ავადა ხ რ, რატომ არ წახვალ აქედან? და თუ კარგადა ხარ, რატომ არას ეტყვი ამ კრებას? ხმა ამოიღე, ჩუმად ნუ ხარო!—ეს სიტყვები მეტად მწვავე ირონია იყო და აკაკი ვერ მიხვდაო!..“ მართალია, ხუნდაძე მოვიდა ჩემთან და მირჩია: „ვაი თუ ამ ხმაურობამ, ამ აღელვებამ ცუდათ იმოქმედოს თქვენზე და სჯობს შინ წაბძანდეთო.“ მეც ეს მევობრულ რჩევად მივიღე და მადლი გადავუხადე... მერე კი, როცა აირია მონასტერი და ასტყდა არა დარბაისლური ვაი-უშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველებელი, თვით ექიმი ხუნდაძეც ისე გაიტაცა სხვების მაგალითმა, რომ მოვიდა და მთხოვა, მეთქვა რამე კრების დასაწყნარებლად. ეს შემთხვევა მე თქვენ სამინუშოდ მოვიტანე და ვსთქვი: „ბატონებო, სადაც ამისთანა ხმაურობა, არევ-დარევა, ვნებათა ღელვაა და სხვანი, სწორე მსჯელობა მოუხერხებელია“-მეთქი. ამით მე ბატონი ხუნდაძე არც გამიკიცხავს და არც მის გულწრფელობაზე იქვი რამ შემიტანია, მაგრამ თვითონ ავტორი-კი თაღლით-სტატიისა ვერ უწევს კარგ მოყვრობას მის ამხანაგს: ხუნდაძე ახალგაზდა კაცია, პირველად გამოვიდა საზოგადო ასპარეზზე, ხედავს, რომ იქ მოხუცი მაზე უფრო ცნობილი, უფრო გამოცდილი და გავლენიანი, ზის ჩუმად თავისთვის და ხმას არ იღებს, უგდებს ყურს სხვებს, ეს არ მოსწონს ექიმ ხუნდაძეს, მიდის მასთან და ეუბნება: „ავად ბძანდებით, ვაი თუ გაწყინოსთ ამ ხმაურობამ და წაბძანდითო.“ ცოტა ხნის შემდეგ ისევ მიდის და სულ სხვას ეუბნება: „ხმა გამოიღეთ, სთქვით რამეო!..“ თუ სუყოველივე ეს „ირონია“ ყოფილა, არ ამტკიცებს ხუნდაძის რიგიანობასა და მართებულობას: რა უფლება აქვს, რომ მივიდეს კაცთან, რომელიც თავისთვის ჩუმად არის და უთხრას: „წადი აქედან, ავად ხარო.“ ეს ხომ უზრდელობა და სიბრიყვე არის? მერე მეორედ მივიდეს კიდევ და უთხრას: „რატომ ხმას არ იღებო?“ თუ ავად არ იყო, რად ატყუებდა ბატონი ექიმი? და თუ იყო, რაღად ურჩევდა ილაპარაკე და აღელვდიო? აქ ორივე შემთხვევაში ცუდათ არის მოხსენებული მისის მეგობრისაგან ახალგაზდა ექიმი ხუნდაძე: როგორც კაცი და როგორც ექიმი!.. როგორც კაცი—უზრდელ-თავხედათ და როგორც ექიმი—უმეცრად, რადგანაც უბრალო რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც არ სცოდნია: განა არ არის მისთანა ავადმყოფი, რომ ექიმებმა ზომიერი მოძრაობა და ჩუმად ყოფა კიდეც ურჩიონ, მაგრამ იმავე დროსვე ლაპარაკი და მღელვარება კი აუკრძალონ? არა მგონია, რომ ახალგაზდა ხუნდაძეს ეთქვას სტატიის ავტორისათვის, რომ მე რაცა ვსთქვი, სულ „ირონია“ იყოო?.. ეს, როგორც ეტყობა, თვით ავტორის ჭკუის ირონიაა და აბა ამაზეა ნათქვამი: „უგნური მოყვარე მტერზედაც უარესიაო!“ აი ეს ერთი მინუში კუდაბზიკა პუბლიცისტის ლოღიკისა!.. ახლა კიდევ მეორე: როცა კრებაში წაიკითხეს «კრებულში» დაბეჭდილი ჩემი სტატია ბანკის შესახები, მეც იმ დროს იქ ვიყავი და არა მითქვამსრა. ეს დიდ ცოდვათ ჩაუთვლიათ ჩემთვის და აი როგორ ხსნიან ამ გარემოებას: როდესაც წავიკითხეთ „კრებულის“ მე-XII № ში დასტამბული ქუთაისის ბანკის გამგეთა შესახებ აკაკის დაწერილი სტატია, სადაც მათი საზიზღარი მოქმედება იყო დახატული, იმ დროსაც კი ავტორი იმ სტატიისა, ესე იგი აკაკი, ჩუმად იყო და ხმას არ იღებდაო!.. ეს, დიახ, მართალია, მაგრამ მერე რაო? მამტყუნებენ თუ მამართლებენ? თუ დავსწერე საწინააღმდეგო სტატია, მაშ აღარ ვყოფილვარ ბანკის ხელის დამფარებელი? თუ სხვებმა ის ჩემი სტატია კრებაში წაიკითხეს და მე ჩუმად ვიყავი, სჩანს თანახმა ვყოფილვარ? მე რომ იმ დროს წამომვდგარიყავ და მეთქვა: „არა ბატონებო, ოპოზიცია სტყუის, ეგ ჩემი წერილი არ არის!“ ან და: „მაშინ დავსწერე, მაგრამ ახლა აღარ ვარ მაგ აზრის-თქო!..“ მაშინ ყველას უფლება ექნებოდა ეფიქრა: მიუდგა და ხელს აფარებსო! მაგრამ „თანახმა იყო, წინააღმდეგი არა უთქვამსრა და ამით უნდოდა გაემართლებიაო?—ეს სადაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოლიკაა? ეს ხომ მართლა და ჩიკვაიძის შენიშვნისა არ იყოს: „მიზეზიან დედაკაცისაგან მჟავე კიტრის ამოჩემებაა?“ ამ გვარ რამეების ამოჟინება, სწორედ რომ ან უგნურებაა და ან მკითხველების არად ჩაგდება: მაინც ხომ ვერ მიმიხვდებიან, თავის თავად ვერას გაარჩევენ და სიტყვას დამიჯერებენო!.. ორივე შემთხვევაში დიდი ნიშანია მოსაწონ-პუბლიცისტობის!.. ახლა კიდევ სხვა: „აკაკი წერეთელმა თავის თავზედ და თავის პენსიაზე ილაპარაკა.—მოწყალებას თხოვილობდაო!“ რომ ბრძანებენ, არა რცხვენიათ? პირველად თვითონ ოპოზიციამ არ ჩაჰკიდა ხელი ჩემ პენსიას, რომ ბანკისთვის გამამტყუნებელი საბუთი წარედგინათ? და მე რომ ხმა არ ამომელო, აქაც კიდევ იმას იტყოდენ: მიტომ არ ამოიღო ხმა, რომ მათი გამტყუნება არ უნდოდაო!.. მაგრამ რომ ავდექი და დავამოწმე სიტყვითაც მათი ნათქვამი, მაინც კიდევ მამტყუნებენ: «თავის თავზე და პენსიაზე ილაპარაკაო!..» ესეც «მჟავე კიტრის» ლოლიკა არ არის? აბა რა არის?..

საზოგადოდ, როცა კაცს ვისიმე ან რისიმე მხილება უნდა, უტყუარი და ნამდვილი საბუთი უნდა წარადგინოს და არა ნოცნებარი და მიკიბულ-მოკიბული!.. მეც მის დასამტკიცებლად, რომ ბანკის გამგეობა ზოგჯერ სამართლიანად ვერ იქცევა და თვით-მნებელობას ეძალება, წარვადგინე ის უტყუარი საბუთი, რომელიც ხელში მეჭირა: „ჩემი პენსიის თავ-გადასავალი“. იმ საბუთზე გამგეობას არა უთქვამს-რა!.. ხმა აღარ ამოუღია, რადგანაც ის საბუთი სიმარლე იყო. და მეც რომ სხვებსავით ნამეტანი მომენდომებია და ვცდილიყავ, მის დამტკიცებას, რომ ბანკის გამგეობის და მმართველობის ნაკლულევანება შეცდომა და დაუდევრობა კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არის, პირდაპირ ბოროტ-განზრახულობა და მოლალატობა-მეთქი, მაშინ, უეჭველია, ბიპასუხებდენ და მეც ისე დამაბეჭობდენ, როგორც ზოგიერთებს!.. მაგრამ მე მხოლოდ ისა ვსთქვი, რაც მართალი და საჭირო იყო, და ტყუილი ცილის-შეწამება არ ვისურვე. ეს კარგად უნდა ესმოდესთ კუდაბზიკა რაინდებსაც და მიტომაც, სხვა რამ ველარა მოუხერხებიათ-რა, დაიცინებიან: თავის პენსიაზე ილაპარაკა და მოწყალებას თხოვილობდაო. საქმე ის კი არ არის, ჩემს პენსიაზე ვილაპარაკე, თუ სხვა რამეზე, საქმე საბუთია და რომ ჩემი საბუთი საფუძვლიანი იყო, ამას ვერც ჩემი მოწინააღმდეგენი დაჰფიცვენ, რამდენიც უნდა იხვანცარიკონ და ბანზე ისროლონ სიტყვები!.. მაგრამ, რადგანაც მე ჩემი საბუთი მეჭირა ხელში, საკუთარი და არა მათგან მოწოდებული, უჯერო და უხერხული, რასაკვირველია, ოპოზიციის მტრობას შემწამებდენ და ბანკის მოყვრობას!.. ეგონათ, თუ ამით შემაშინებდენ, ზოგიერთებსავით და თავის ნება-სურვილზე გამატარებდენ... „ვაი ბუჭუას!.. და -ეი მათ ჭკუას!“ აქამდი კიდევ ვერ დაუჯერებიათ გული, რომ საზოგადო საქმის შესახებ სხვისი აზრითა და ბრძანებით მე არას ჩავიდენ!.. ბანკიცა და ოპოზიციაც ჩემ თვალში თანასწორად გასარჩევი და გასამართლებელი იყო: დასაწუნს ორივეს დავუწუნებდი და მოსაწონს ორივეს მოვუწონებდი და კიდეც ასე მოვიქეცი. მე ზოგიერთებსავით საპირადო არა მქონია-რა, რომ ან იქით და ან აქეთ სასწორი გადამეხარა!.. მაგრამ ამ გულწრფელობას განა გაიგებს „ასკიკუკუს“ მოთამაშე პუბლიცისტი!?.. ის სხვებსაც თავის ადლით ზომავს!..

როცა დამიჟინეს: ბანკი მოგწონს თუ არაო? მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვახსენე: „როდის იყო, რომ მე ბანკი მომწონდა-მეთქი?.. ეს ბანკი არც ადრე მომწონებია და არც დღეს მომწონს. ამას წერითაც ვამტკიცებ და სიტყვითაც ალვიარებ-მეთქი!..“ აი ეს როგორ ესმით და რასა ბრძანებენ: „აკაკიმ ისა სთქვა, რომ, მართალია, დღეს არ მომწონს ეს ბანკი და მისი მმართველები, მაგრამ არც ადრე მომწონდაო და მაშ მარტო ჩიკვაიძეს რალას ერჩითო!“ კარგად არ გაუგიათ დალოცვილებს?!.. მე ვსთქვი: „ბატონ ჩიკვაიძის სიცოცხლით სავსე მოძრაობას რომ ვუყურებ, გული მწყდება და აგრეეე თავდგირიძის პატიოსნური მღელვარება მეხარბება-მეთქი.“ ვინ იყო თავდგირიძე?—მეტად მხურვალე და აღელვებული ოპოზიციის წევრი, მოპირდაპირე ბანკისა და ჩიკვაიძის. და ამისთანა კაცზე ვსთქვი, რომ მისი გულწრფელობა და პატიოსნური მღელვარება მეხარბებათქო და ჩიკვაიძის ენერგიაზე კი გული მწყდება-თქო. ეს როგორ უნდა გაიგოს, ვისაც კი შეუძლია გაგება?—ნუ თუ მართლა ეს სიტყვები ჩიკვაიძის საქებრად და ოპოზიციის საგინებლად არის ნათქვამი? ეტყობა, ეს კარგად ესმის კორესპონდენტსაც და მის კალმის უკუღმართობას მიტომ აღარ დაუწერია ის რაც იყო: ბოლო მოუკვეცია, ის რაც თავდგირიძეს შეეხებოდა და რაც თავდგირიძეზე ვსთქვი, ჩიკვაიძისათვის მიუწერია: „ჩიკვაიძის მოქმედება სახარბიელოაო,“ ვითომ მე მეთქვას. ამნაირ საქციელს რა უნდა უწოდოს კაცმა, აღარ ვიცი! მე ვსთქვი: „მაშინ, როდესაც სხვები განზე უდგებოდენ და მაღლიდან დაჰყურებდენ დაბალ-ხალხს, ჩიკვაიძე ჩადგა შიგ და თვისის თავმდაბლობით, ავკარგში თანამოზიარობით, საქმეში დახმარებით, პურლვინითა და ბევრ-გვარ პატივის ცემით მოიგო სოფლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების გული და ეს კარგი საქმეა მეთქი“. ისინი ამბობენ: „მართალია, მაგრამ ჩიკვაიძე ხალხის გულსა და ნდობას ბოროტად ხმაროობსო“. ამაზედ კიდევ მე პასუხს ვაძლევ: „თქვენც გაიგეთ ხალხის გული და თუ ჩიკვაიძე უკეთმართად და ბოროტად ხმაროობს, თქვენ კეთილად და საწალმართოდ მოიხმარეთ-მეთქი!“ ეს რჩევა ურიგო არა მგონია!.. ერთი და იგივე იარაღი კარგადაც არის მოსახმარებელი და ავადაც. ეს არ უნდათ გაიგონ იმათ და გაიძახიან: „აკაკი გარყვნილებასა და საძაგლობას გვირჩევს და გადასულ თათქარიძეების დროს შესტრფისო“. ერთი სიტყვით ასე ასხვაფერებენ და ამახინჯებენ ჩემს ნათქვამსაც და ნაწერსაც, იმ განზრახვით, რომ მის შემოწმებას ბევრი არავინ გამოუდგება და ცარიელ სიტყვას დაგვიჯერებენო. ამგვარადვე გადამახინჯებულია ჩემი სიტყვა განსვენებულ გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ, პატრი ფილიპეს შესახებ და სხვანი... ამდენ ცილის წამებასაც რომ აღარ ჯერდება „მოამბის“ პუბლიცისტი, ოხუნჯობისათვისაც კი მიუყვია ხელი: აქა-და ბატონმა ილია ჭავჭავაძემ იცისო ერთისა და იმავე ფრაზის რამოდენჯერმე განმეორება, იმას მიჰბაძავს და ერთსა და იმავე სიტყვას რამდენჯერმე იმეორებს დაცინვით: „აკაკი წერეთელმა სთქვა, ბანკი წვრილმან რამედ მიმაჩნია და ვისაც დიდი ჰგონია, ზედაც ის დააკვდესო!“ იმ დალოცვილს დავიწყებია, რომ ოხუნჯობასაც თავის კანონები აქვს და უნაგირი ყველას თანასწორად არ დაშვენდება!.. ნეტავ რა არის აქ საოხუნჯო, რომ მე ბანკი არ მიმაჩნია. დიდ საქვეყნო საქმედ?—შედარებით სხვა საქმეებთან, ბანკი დიახ პატარა საქმეა!.. ნუ თუ მართლა დღეს ქართველებს სხვა აღარა გვაქვს-რა საზრუნველი და უნდა მარტო ბანკს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადავჰყვეთ?.. განა არ იცის ეს მოჭახრაკე ავტორმა? მაგრამ ჰგონია, რომ დასახელებას ვერ გავბედავ და თუ გავბედე ვინანებ!.. შემცდარია!.. ათასი რამეებია ბანკზე უფრო დიდი!... ბევრნი არიან ჩვენში, რომელნიც ხან კრებებზე ჭორ-მეტყველეობენ და ხან ყურ-მოჭრილ მონად დაძვრებიან სხვა-და-სხვა რედაქციებში, რომ რეკლამები სწეროონ!.. ან და უკულმართი კალმის შემწეობით საპირადო საქმეები გაისალაშინონ ხოლმე. და ვისაც მოტყუება არ შეუძლიათ, ვინც იმათ კარგად იცნობს, იმათი ცილის-წამება მტრობა რჯულად აიხადონ!— კარგი ხერხი! ამ გვარის ხელ ხითვე არის დაწერილი ის სტატია, რომელიც „ძმობის“ მე-VIII №-ში არის დაბეჭდილი და დიდის სათაურითაც გაიძახის: „აკაკი წეროეთელი და ქუთაისის ბანკი“. რადგანაც ამ სტატიის ყოველი მუხლის ამოწერა შორს წაგვიყვანდა, ჩვენ მივანდობთ მკითხველის სინიდისს, რომ იმან შეამოწმოს, ჩვენი „კრებულის“ მე-VI №-ში დაბეჭდილი „ბანკობიას“ გამო სტატია და შეამოწმოს იმ სტატიასთან, რომელიც „მოამბის“ მე-VIII №-ში არის დაბეჭდილი და თვითონ დასდვას მსჯავრი... მეტს აღარას ვიტყვით! მით უფრო რომ კერპობა ძნელი შესაგონებელია და რაც უნდა ვსთქვათ, ისინი მაინც თავისას არ მოიშლიან!.. გამოცდილებამ დამანახვა, რომ მათთან არა გავა-რა!.. როდესაც პირში წაუდგები და დაიჭერ ცილის-წამებაში, ისინი მაშინ მით მართლულობენ თავს, რომ სხვისაგან გავიგონეთო. იმ სხვასთანაც რომ მიიყვან, ისიც კიდევ სხვას ასახელებს და ამ გვარად სცდილობენ ყოველთვის თავის დაძვრენას!.. როდესაც სიტყვას მოუჭრი და გაამტყუნებ, თუ არ იცინი, „ჯავრობსო—ამბობენ—და არ გვინდა ვაწყენიოთ, თორემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათქმელი როგორ არ გვქონდაო“. თუ იცინი— „ოხუნჯობსო და რა საკადრისიაო“; ნაწერსაც კი როცა ასხვაფერებენ და მის საბუთსაც წარუდგენ, „ეს მართალია სწორედ აგრეა დაწერილიო - ამბობენ—მაგრამ გულში სულ სხვა უნდოდაო“. ამ გვარი რამეები, ვინ მოსთვლის რამდენჯერ გამიგონია და ყოველთვის სვიმონა აბუშკერიძე მომგონებია ხოლმე: ერთი გლახა იყო ჩვენში სვიმონა აბუშკერიძე, მოწყალებას თხოვილობდა ლ როდესაც მისცემდენ, მოჰყვებოდა ხოლმე ღრიალს: „მიშველეთ გამლახესო!“ და რომ ჰკითხავდენ: ვინ გაგლახა? კი არ გაულახავხართ, აი აგერ მოწყალება მოუციათო; ის მაინც მოჰყვებოდა ხოლმე ფიცს: „მოწყალება კი მომცა, მაგრამ შევატყვე, რომ გულში ჩემი გალახვის სურვილი ედვაო!“ ჩემი მოწინააღმდეგეების აბუშკერიძობაც ცხადია და მე რაღა მეთქმის?.. რაცა ვსთქვი, საბუთად ისიც კმარა და ახლა გადავალ სხვაზე... ვსთქვათ, რომ, რაც ჩემზე დაუწერიათ, ყოლიფერი მართალია!.. მე სიბერემა და ავადმყოფობამ ხელი დამრია, ჩემ გრძნობა-გონებაზე აღარა ვარ და დღეიდან ქვეყნის სასარგებლოს ველარას მოვახერხებ!.. მერე-და, თუ მართლა მისთანა კაცი ვარ მე, როგორც ისინი ამბობენ: «დიდი ნიჭიერი პოეტი», «ცნობილი მოღვაწე», «გავლენიანი», «ვენი ქვეყნის ნაღვაწ-ნამსახური» და სხვანი? ნუ თუ ეს ყველა ვენმა ხალხმა უნდა დაივიწყოს და ფლავის კარებამდე მდევნოს, მხოლოდ მიტომ, რომ იკვაიძე არ ასირა და წინააღმდეგობა არ გაუწიაო? ამ მკირე რამესათვის, რომ კიდეც მართალი იყოს, ასეთი უმადურობა უნდა გამოიჩინოს საზოგადოებამ, რომ ორმოცი წლის ნამსახური აღარ მოუხსენოს კაცს? კი, მართალია, არის ხოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მისთანა დანაშაულობა, რომელიც დამნაშავეს არ ეპატივება, გინდ მანამდე მოციქულებრივი და მოწამებრივი ღვაწლიც მიუძღოდეს ქვეყნის წინაშე!.. მაგალითად: „იუდას გამცემლობა“, „კაენის მკვლელობა“ და სხვანი. ვსთქვათ, რომ მეც ამ გვარი რამ ჩავიდინე ამ ბოლოს დროს, მითი რომ ჩიკვაიძის შესახებ მხოლოდ ისა ვსთქვი, რასაც ვფიქრობდი და ის არ გავიმეორე, რასაც სხვები მაიძულებდენ!.. ის სხვები, რომელნიც, როგორც კაცი და როგორც საზოგადო მოღვაწე, ჩიკვაიძეზედაც ბევრად დაბლა დგანან!.. ვსთქვათ, ეს სწორედ ასეა და უნდა მეც გადამხდეს აუცილებელი სასტიკი სასჯელი!.. მაგრამ სასჯელსაც კი თვისი წეს-რიგი და კანონი არა აქვს? განათლებულ ევროპაში, სადაც კაცის მკვლელს სიკვდილითვე სჯიან, მაშინაც კი, როდესაც დამნაშავე თხემის ადგილზე მიჰყავთ, ნება არავის აქვს, რომ სასიკვდილოდ გამზადებულს, პირადი შეურაცხება მიაყენოს და მისი შინაური, კერძო რამეები უპატიურად და უწმინდურად მოიხსენიოს!.. ამას არც კანონი და არც ხალხის სინიდისი არავის შეარჩენს!.. არ აპატივებს!... სადაც მძიმე დამნაშავეს ფეხებში ბორკილს უყრიან და სამუდამოდ მადნებში სამუშაოდ აგზავნიან, დამნაშავის პირადობას ვერავინ ეხება და კანონს გარეშე სხვა ვერავინ შეურაცხყოფს და აქ კი, ჩვენში, ოდესმე ლმობიერებითა და ზრდილობით განთქმულ საქართველოში, ჩემ შესახებ ყოველგვარი წესი კანონისა და ქვეყნის ჩვეულებისა დაურღვევიათ იმ თქვენ მოწონებულ კორესპონდენტებს და თქვენი გაზეთიც სხვათა შორის ბანს აძლევს. პირადი ლანძღვით, აწმყოში რომ ველარ უჯერებიათ გული, მომავლისათვისაც კანონს მიდებენ, თუ როგორ უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიქცე!.. აი რას ბრძანებს თქვენი მოწონებული კორესპონდენტი: „რამდენადაც დიდის პოეტურის ნიჭით არის დაჯილდოებული, იმდენად მცირე მოქალაქობრივი გრძნობითა და ნიჭით დაუსაჩუქრებია აკაკი წერეთელი განგებას!..“ „ცხოვრება თავისის პროზით მეტად სვრის, ამახინჯებს თავად აკაკი წერეთლის პოეტურ სულსო“, „ეს ყველამ იცის და ყოველი პოეტის თაყვანის-მცემელი ურჩევს მას, რომ მოქალაქობრივ მოღვაწეობას თავი დაანებოსო“ და სხვანი...

ამისთანა აზრის გამომთქმელი, ან მასხარა უნდა იყოს და ან პირდაპირ საგიჟეთიდან გამოპარული, თორემ ვისა აქვს ნება, გინდ გენიოსიც იყოს, რომ „ყველას“ მაგიერად ესა სთქვას და ზედაც დაამატოს, რომ „ამასვე ურჩევენ აკაკის მისი მეგობრები და თაყვანის-მცემლებიო!“ არ შეიძლება გამოაცხადოს და გვიჩვენოს ის ვექილობა, რომელიც „ყველას“, ესე იგი მთელ საქართველოს მიუცია მისთვის, რომ აკაკი შეურაცხყავ ჩვენ მაგიერადაცაო! და აკაკის თაყვანის-მცემლებსაც იმ ვექილობაზე ბეჭედი დაუსვამთ? ეს ვექილობა დღეს უთუოდ ხელში ეჭირებათ რედაქტორებს, თორემ როგორ იკადრებდენ ისე გაურჩევლად ყალბ-ვექილობის მიღებას და ყალბი-ვექილის მეგანგაშეობას?..

განა არ იციან, რომ რაოდენობას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ გვარ შემთხვევაში და ერთს ყველას მაგიერად არ შეუძლია იმეტიჩროს? საქართველოში ხომ სამ მილიონამდეა ხალხი და მათ მაგიერად საყოველთაოდ ვინც ლაპარაკობს, საბუთიც უნდა ხელში ეჭიროს!.. როგორცა სჩანს, თქვენ მოწონებულ—პუბლიცისტს მთელ საქართველოდ მარტო თავის თავი მიაჩნია და ის პატარა წრე, სადაც ის გარეულია!.. ის პატარა „წრე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ისე გამოჩნდება მთელ საქართველოში, რო-
გორც ერთი წვეთი მდინარეში!.. სასაცინოა და სამწუ-
ხარო, რომ ეს ვერ გაურჩევიათ ზოგიერთ რედაქტორებ-
საც!... მაგრამ ამაზედაც უფრო საწყენი კიდევ ის არის,
რომ ჩემ გამოისობით გარისხებული კორესპონდენტი,
სხვებსაც ალარ ჰზოგავს და მთელ იმერეთის ინტელი-
გენციას შეურაცხებას აყენებს. აი რასა სწერს საქვეყ-
ნოდ, საშვილიშვილოდ „მოამბეში", და რაც სიამოვნე-
ბით გადაუბეჭდია „ივერია"-საც: „უნივერსიტეტში იმე-
რეთის ახალგაზდობა უფრო მეტია რიცხვით და უნდა
სიმართლე სთქვას კაცმა, უკეთესიც არის თვისებით;
ქართლ-კახეთის ახალგაზდობა რიცხვითაც მცირეა ხოლ-
მე და თვისებითაც ნაკლები; მაგრამ დაინახეთ ეხლა
ცხოვრებაში ორივე ახალგაზდა—იმერელი უმჯობესი
და ქართლელი უარესი. ეს მეორე ყოველთვის მაღლა
სდგას საზოგადოებაში და ცხოვრებაში თავისის ინტე-
ლიგენტობით. იმერელი ახალგაზდობა მალე იცილებს
უნივერსიტეტში შეძენილს ქერქს, სულ ძირს იწევს
და სხვანი... მხოლოდ ორიოდე ინტელიგენტი კი
არის ამდენ აუარებელ ახალგაზდობაში სახსენებელი",
ესე იგი მე და ორი ჩემი ამხანაგი, და დანარჩენები-კი
ღმერთმა შეინახოსო!.. ამინ და კირიელეისონო!.. ვკ!
ვკ! ვკ! რა ჭეშმარიტი აზრია!.. თურმე იმერეთი ისე-
თი რამ ყოფილა, რომ უკეთეს ახალგაზდებსაც კი, რო-
მელთაც მაღალი განათლება მიუღიათ, ჭრყვნის, ზნეობ-
რივ და გონებრივ ქერქს აცლის, თორემ სხვები რალა
სახსენებელი და ადამიანებში გასარევი არიან?!.. ჯან
პუბლიცისტო! უთქვამს და გადაუჭრია!.. მაგრამ ვინ
ვერ შეიტყობს, რომ ეს დიპლომატური სილაღეა და
ავტორი სწერს მხოლოდ იმ განზრახვით, რომ ეგებ ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსტატობით ქართლ-კახელ ახალგაზდობის გული მოვიგოთ... მაგრამ ჩვენ არა გვგონია, რომ ეს ამბავი, ვითომც იმერეთი ისე დაწყევლილი იყოს, რომ აქ რიგიანობა მოუხერხებელი იყოს, ქართლ-კახეთის ინტელიგენციას სასიამოვნოდ დაურჩეს, და არ შესწუხდეს, როგორც ქართველი, რადგანაც მაშინ უდიდესი ნაწილი ჩვენი ქვეყნისა წყალ-წაღებულად უნდა ჩასთვალოს!..

ამას ვინ არ შეატყობს? მაგრამ „ივერიას“ კი მაინც საიქვოდ აქვს ეს ამბავი და ბრძანებს: „თუ მართალია და დაეჯერება კიტა აბაშიძესო!“ და ისეთი კილოთი კი ბრძანებს ამ „თუ მართალიას“, რომ თანვე აგულისხმოს მკითხველს: „ღმერთთან სწორი სჯობს, აქ მაინცა და მაინც დაუჯერებელი არა არის-რაო“. და მე კიდევაც მჯერაო“. ამ გვარად მთელი იმერეთის დახასიათება მაკვირებს და ვერც დავიჯერებ, რომ ეს სტატია, სადაც ამდენი უმართებულობაა, თქვენ წაკითხული გჰქონდეთ დაბეჭდვამდე და თქვენის ნება-რთვით ყოფილიყოს „ივერიაში“ გადაბეჭდილი? ყოველ შემთხვევაში ვუცდით თქვენს პასუხს, თქვენო ბრწყინვალებავ, ბატონო რედაქტორო.

თქვენი მორჩილი

აკაკი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შავი ქვის სამეფო.

I

ერთი დაჰკივლა საცოდავად და პაწია მატარებელი ქშინვითა და კვნესით შეუდგა ყვირილას ხეობას. გზა მიდიოდა აღმართით, ირგვლივ მოჩანდა შავი ტალახი, მაღალი კლდეები და ქუჩა ტყიანი მთები. შავად გამურული მწვირიანი მატარებელი სულ კვიწიალ-კვიწიალით მიქანაობდა აღმოსავლეთით და თითქო აჯავრებდა გულ-ბრაზა ყვირილას, რომელიც მორბოდა წითლად წყროვმით და ღრიალით...

აზვირთებული, აქოჩრილი ყვირილა მრისხანედ მოახეთქებდა ქვებზედ თევზებს, ამ უნუგეშო არსებათ და ამ მღვრია წყალში მარდათ იჭერდენ მათ ასი წლის მოხუცნიც-კი. ახლა-კი მივხვდი ხალხის ანდაზას, ახლა-კი ვსცან, რომ ზოგიერთი იმერელი და ქართლ-კახელიც-კი, ქალი თუ კაცი დახელოვნებული ყოფილა მღვრია წყალში თევზის ჭერას. ახლა-კი გამახსენდა ჩვენი ამ დროის გმირნი მებადურნი, გამახსენდა თფილელ-ქუთათური მარადის მღვრია ყვირილა, ე. ი. ჩვენი დამღუპველი ბანკობია და მათში ლოქოს, გელაქნურის, ზუთხის და ჭანარის მარდი ჭერა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

II

გზა დაიგრიხა ვიწრო ხეობაში, პაწია მანქანა იწევდა წინ ქშინვით და წივილ-კივილით, მთა-გორებზედ მოანდენ მოწითლო მწირი მიწები, ქაჩალი ტყეები, დაკვიჟრული სიმიდები, გადამხმარი ვენახები, კლდეები, გვირაბები და დანგრეული ციხეები. ზეით-კი ამ ბუნების კედლებს დაჭლიმოდა ფირუზა ცა და ყურს უგდებდა თითქო ქვეშ ყვირილას ყვირილს და გულ-ბრაზობას, რომელიც ამ დროს შეღებილიყო შავად და გამხდარიყო უფრო საშიშარი. ოცი თუ მეტი დამრვალი ცხენები აქა-იქ ეყარენ მდინარის პირას და შხამავდენ წყალსა და ჰაერს. სტეფენსონის მანქანამ დაჭკივლა კიდევ უკანასკნელად და გაგვაჩერა პაწია სადგურთან. ჩვენს წინ დაიხატა ახალი საოცარი სურათი. ხეობა გაშლილა ოდნავ, მთა-გორები ჩამოზიდულან ილინცრად, დაუდგავთ დუქნები და სახლები, გაუყვანიათ წვირიანი ქუჩები, დაუდგავთ ყველგან საწონი, კონტორები და მადნის გორები, მოისმის საშინელი ჩოჩქოლი და ხმაურობა, ყველაფერს ჩაუცვავს ირგვლივ შავ-ბნელი სუდარა; თვით ხალხი, თვით ცხენები და ხარები, თვით უზარ-მაზარი თეთრი კირნარი კლდეებიც-კი შეღებილან შავი მტვერით. ირგვლივ სიმყრალე, ირგვლივ სიშავე, ირგვლივ სიბნელე... ეს გახლავთ შავიქვის სამეფო, ეს გახლავთ ჯიათურა!..

იყო დრო, როცა სიზმრადაც არვის ახსოვდა შავი ქვა, იყო დრო, როცა მხოლოდ ყორედ ავლებდენ მას და გულ-მოსულობის დროს ეძახდენ ერთმანეთს: „ვაი შენ და შავი-ქვაო!“ ახლა კი შეცვლილან დრონი; რაც წინად მიაჩნდათ წყევლად, იგი დღეს გამხდარა სიმდიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედ და ბედნიერებად; რასაც გუშინ ჰყრიდენ ლრეებში, მას დღეს დაეძებენ გამწარებული, ხვრეტენ კლდეებს, გლეჯენ მიწას, იღვრებიან ოფლში, ეზიდებიან მილიონ ფუთობით ევროპა-რუსეთში და ივსებენ ჯიბეს.. შავი ქვის ნაცვლად ყვითელი ოქროებით. სადაც გუშინ ჰკიოდენ ტურები, ღმუოდენ მგლები, ძვრებოდენ გვირაბებში ხალხი, ეგონათ ეს საშიშარი მიდამო ქაჯებით და მდევებით დასახლებული, იქ დღეს გაუყვანიათ გზები, აუშენებიათ სახლები, დაუდგავთ მადნის გორები და დაცქრიალობს პაწია მატარებელი, რომელიც მიეზიდება ყოველ წლობით ოცსა და ოცდა-ათს მილიონ ფუთს მარგანეცს. ნეტა, ვინ შეაყვარა ხალხს ეს შავი-ქვა?! ვინ აუხილა მათ თვალები?! ვინ მოხიბლა ამ ლრეებში ბეჩავი მუშა და მაუნაგი მრეწველი, ვინ გაუჩინა ჩვენს ლარიბ გლეხებს სამუშაო და ლუკმა პური?! ეს გახლდათ „იავ-ნანას“, „ნადირობის“ და „თორნიკეს“ ავტორი, ჩვენი საყვარელი აკაკი. პოეტის ზენაარმა ოცნებამ იოცა შავი-ქვის ბზინვარება, მას წარმოუდგა იგი სასარგებლო მადნებად, წარმოუდგა ნათლად მომავალი სიმდიდრე და ბედნიერება; დასდო დროებით ჩანგური მგოსანმა, დაითხოვა დროებით მუზა, წავიდა, აჩვენა მადნის მინუშები რუსეთს და ევროპიელთ, მოიწვია მცოდნე პირები და ამ მეცადინეობას მოჰყვა შედეგად ხელოვნური გვირაბები, მუდმივი მუშაობა, გორად დადგმული მადნები და მილიონები; მას მოჰყვა შედეგად რკინის გზები და ევროპაში ცნობილი ჭიათურა.

ახლა მიბრძანეთ, რითი დააჯილდოვეს ნეტა ჩვენი მგოსანი?! ვინ უთხრა ნეტა მადლობა?! ბრბომ, ხალხმა, მუშამ, ან მადნებით გამდიდრებულმა მრეწველმა?! არა-

ვინ... ხალხმა თუმცა უწყის, ვინც იყო ამ საქმის მეთაური, ჩვენმა პატივცემულმა ჭიათურის მწარმოებლებმა-კი არამც თუ პენსია დაუნიშნეს სამადლობელად, რისიც ღირსი იყო ჩვენი აკაკი, არამედ ორ-ორი მანეთიც-კი დაიშურეს, რომ გამოეღოთ, მოეწვიათ ის პირი, ვის მეოხებითაც ისინი ბოჭვენ მილიონებს, და დაელიათ მისი უბრალო სადღეგრძელო... ჩვენი ქებული პრესსა და ზოგიერთი მოღვაწენი სულ იმის ცდაში არიან, რომ მოსდონ მას ყოველ გვარი ცილი და უმიზეზოდ გაჰკიცხონ იგი.

მაგრამ ესაა ხშირად ხვედრი ჭეშმარიტ მგოსნისა! დეე, თანამედროვე საზოგადოება ჰკიცხავდეს და გმობდეს მირონ-ცხებულთ, გულ-ახდილ, გამბედავ მოღვაწეთ! იცოდეს-კი ყველამ, რომ

„ვითა ბულბული სტვენს მრავალ გვარად
და შორს გაისმის მისი გალობა,
ისე უმდერებს ჩანგ-მოამართვითა
ამგვარსა კაცებს ჩამოამავლობა!..“

III

სადგურზე ვნახე რამდენიმე ჩემი ნაცნობ-მეგობარნი, რომელთაც მიმიწვიეს პარიზის სასტუმროში, იგი ერთად-ერთია მთელს ჭიათურაში და ვერ დაიქადებს თავის სისუფთავით, თუმც შიგ ყველაფერში პარიზული სიძვირეა. მაგრამ ღმერთმა ნუ გაგათევიოსთ იქ ღამე, მკითხველო!.. ჩაწვები თუ არა ლოგინში, ყოველ მხრივ მოიტანს თქვენზედ იერიშს ბაღლინჯოს მესისხლე ლაშკარი და რწყილების გულადი რაზმი; მაშინ უნდა ნახოთ თქვენი ხტუნვა და უსტვირ-უქამანჩო დავლური!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ეს ხომ არაა მაგალითი! მთელი ჭიათურა წარმოადგენს ერთს წარმოუთქმელს სიბინძურეს და სიძვირეს. ჩვენ გვაოცებს მხოლოდ ადგილობრივ ადმინისტრაციის და მწარმოებელთა სხდომის კომიტეტის ამ გვარი გულგრილობა და თვალებზედ ხელის მიფარება.

სასტუმროს დერეფნიდან იშლება ვრცელი სურათი მთელს ჭიათურაზედ. იქ ზეით მთაზედ მოჩანს დატვირთულ ცხენების, ვირების და ხარ-კამეჩიან ურმების ამავალ-ჩამავალი შეუწყვეტელი ძეწკვი; ყველას მიჰყვება თავ-თავის ჩალანდარი ერთი კიჟინით და კუდზედ ხელის კიდებით, რომ არ გადუარდეს კლდეზედ თავის ცხენები და მით არ მოესპოს თავიანთი იმედი და მარჩენელი. დაბლა წონის შემდეგ დაგროვილ მადნის გორებზედ ადიან ქშინვით დაქანცული პირუტყვები, სადაც ცლიან შავი-ქვით დატვირთულ ურმებს და გოდრებს...

IV

ჩვენი ცხენები შეუდგენ მღვიმევის ალმართს. გზა იყო ვიწრო და ქვიანი; ზედ ეყარა მუხლამდე მარგანეცის მტვერი, უცდიდა ქარს, რომ შეეღება შავად ყველაფერი. გზაში გვხვდებოდენ გაუწყვეტლივ მადნით დატვირთული ჩოჩიალა ურმები, გოდრიანი ცხენები და ტომარხვირჯინიანი ვირები. ეს საბრალო პირუტყვები ეზიდებოდენ ქშენით მძიმე ტვირთს. ძარ-გოდრებიდან კი სცვიოდა შავი ქვა, ინსხვრეოდა და ხდებოდა შავ-მტვერად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველო, მინახავს საშინელი გზები, ფეხით თუ ცხენით მივლია რაჭა-ლეჩხუმის ხრეწილებზე, ავსულვარ და ჩამოვსულვარ ფეხით საშინელი ტალახების დროს ბახმაროს მთაზედ, რომლის გზა წარმოადგენს ნამდვილ ჯოჯოხეთის თან-თანას, მაგრამ არსად არ მიგრძვნია ის საშიშრება, რაც ჭიათურას მადნების დაკიდებულ გზებზედ. ეს საოცრად დაკიდებული ვიწრო გზები მიყვებიან გარედან ფერდებს, ჩამოუთლიათ თითქო მთების გარეთა ზურგზე, ასე რომ ერთი მხარე რომ ებჯინება ციცაბო მთასა და კლდეებს, მეორე კი გადაჰყურებს ღრმა ჩაბნელებელ ხრამებს და ხევებს, სადაც მიშხუიან ღელეები და მდინარენი. ამ მხრივ არც ერთ გზაზედ არავითარი კედელი, არავითარი შემაკავებელი რამ არ არის. ასე რომ, საკმარისია, ოდნავ წაუსდეს ფეხი ან კაცს ან ცხოველს, რომ თავის ტვირთით თავ-და ყირა გადავარდეს და ჩაინსხვრეს ხრამში და კლდეებში. ამ საბრალო არსებათ ვერ იხსნის მაშინ დალუპვისაგან ვერავითარი ზენაარი ძალა. ამ გვარი საშინელი მარცხი კი სამწუხაროდ, ხშირია ამ გზებზედ, რომელნიც ფრიად ვიწრო და მუდამ სავსე არიან მოსიარულე დატვირთულ პირუტყვებით და ადამიანით. მეტადრე საშიშია აქ ღამე მგზავრობა.

ჩემ თვალ-წინ გადავარდა კიდეც ერთი დატვირთული ცხენი და ეს სურათი იყო რაღაც საშინელი. შევლის დროს გადუცდა ფეხი კიდეზე მიმავალს საბრალო პირუტყვს, და მოწყდა იგი უეცრივ მიწას, შეტრიალდა ჰაერში თავის ტვირთით და ერთი წუთის შემდეგ წითელი სისხლით შეიღება ქვები და ღელე. დაგლეჯილ-დანსხვრეული პირუტყვი წარმოადგენდა საზარელ სანახაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს გაისმა ჩემს გვერდით საშინელი ღრიალი. ეს იყო ცხენის პატრონი, რომელიც იშენდა თავში ხელებს და უსაზღვრო მწუხარებით მოსთქვამდა თავის იმედს, თავის ცოლ-შვილის მარჩენელს, თავის ცხენს. არა ვგონებ, ცოლის ან შვილის სიკვდილი ისე გაამწარებდა კაცს, როგორც ამ პირუტყვის დაკარგვა. საბრალო გლეხი! ამით ლჭამდა იგი ლუკმას, ამით არჩენდა ოჯახს, ამით იხდიდა მძიმე გადასახადებს, ამით მსახურებდა მტერსა და მოყვარეს, ახლა... ერთმა უხეირო ნაბიჯმა, ერთმა წაფორხილებამ გადუგდო კლდეზედ ცხენი და მშვიდო! ბით ბედნიერებავ! დაბნელდა მისი იმედის ვარსკვლავი-გაღატაკდა და დაეცა სულით ერთი მშრომელი კაცი, გაექვრო მის ოჯახს კერა და მოესპო ჭადი და ლობიო...

მოაქვთ ჭიათურაში მადნებიდან შავი ქვა ამ საბრალო ხალხს, მოეზიდებიან დიდის ტანჯვითა და ვაებით, ცდებიან ათას საბრხეს, მოდიან სასწორზედ, კაცსა და პირუტყვი სდისთ ოფლი ღვარ-ღვარად და ღვთისნიერი მწონავები ჰპარვენ ამ საბრალოთ ყოველ ათს ფუთზედ ორსა და სამ ფუთს, ერთი ფუთი ან ფუთ-ნახევარი ხომ აშკარად მიაქვთ პატრონის სასარგებლოდ; ეს იციან თვით ჩალანდრებმა, მაგრამ რა ჰქნან, როცა ძალა აღმართს ხნავს!...

V

როგორც იყო ჩვენმა ცხენებმა აიარეს ვირიკენჭა და ნასაკირევის მადნები და ჩვენ წინ გარდიშალა-ვრცელი აზილფული ფლატო დაგლეჯილ-დაღარული ღელეებით და მღინარეებით. თვალები საკურად შეაჩერდენ ამ ფლატოზედ გადაჭიმულ სოფლებს, კრამიტიან შენობებს

ტყიებს, მინდვრებს, ყანებს, ხოდაბუნებს, სათიბებს და ჩვენ წინ გარდიშალა სოფ. მღვიმევი, მის გვერდით ჩრდილოეთით წირქვალი, ზოდი და დარკვეთი, დასავლეთით თაბაგრები, რგანი და ზედა-რგანი, აღმოსავლეთით პასიეთი და ითხვისი, სამხრეთით კი მღვიმევის პირ-და-პირ იმზირვია შუქრუთი და პერევისა; იქით შორს აღმოსავლეთით კი მოსჩანს ვრცელი ვაკე შენობებით და ხოდაბუნებით, ესა დაბა საჩხერე. საერთოდ კი ამ ვრცელ ფლატოს, ვაკეებს და გორაკებს ჰქვია ს ა წ ე რ ე თ ლ ო. ეს ვრცელი ადგილები გლეხებით და აზნაურებით ეკუთნოდენ თავად წერეთლებს, ღღესაც კი.... მაგრამ ამაზედ მერე. ეს ვრცელი აზილფული ალაგები წარმოადგენდენ ფრიად საამურ პეისაჟს და უნებლიედ ჰხიბლავდენ მზერას.

ეს მჭიდროდ დასახლებული სოფლები რამდენად მწირია თავის ნიადაგით, იმდენად მდიდარია თავის მადნებით. მათი გული სავსეა იმ ძვირფასი ლითონით, რასაც ეძახიან შავ-ქვას (მარგანეცს). ამ მხრივ მეტადრე განთქმულია მღვიმევი, შუქრუთი, ითხვისი და პერევისა, მათ მოჰყვება რგანი, ზედა-რგანი, თაბაგრები და წირქვალი, და ბოლოს კი დარკვეთი, პასიეთი, რომელთა მადნები ფრიად თხელია და მდაბალი ღირსების.

ამ სოფლების გულში წევს იმოდენა მადანი, რომ ადვილად გაალაღებს მთელს ევროპას რამდენიმე ასი და იქნებ ათასი წლის განმავალობაში. როგორც სივრცით, ეგრეთვე მდებარეობით და მაღალი ღირსებით, რამდენადაც ვიცით, მთელს ქვეყანაზედ ვერც ერთი შავ-ქვის მადანი ვერ შეედრება ჭიათურის მარგანეცს. ხოლო სამწუხარო ისაა, რომ ამ ბუნების სიმდიდრეს ნაღებს და კარაქს აცლიან უცხოელები, რკინის გზა და ფულიანები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადნის პატრონებს და მუშებს კი რჩებათ მხოლოდ უგემური წაქი. რამდენადაც შევნიშე ზემო-ოქმულ სოფლების მადნებში მარგანეცის პლასტები ანუ შრეები მეტ წილად მიჰყვება მიწაში ორიზონტალურად და ფრიად იშვიათად ალმაცერად. შრეების რიცხვი ყველგან ერთი და იგივე არაა: ზოგან ექვსია, ზოგან ხუთი, ზოგან ოთხი ღა ზოგან მხოლოდ სამი ან ორი. პლასტის სისქეც სხვა-სხვაა 6—7 გოჯიდან ერთ გოჯამდე. ხოლო საზოგადოდ შენიშნულია, რომ რამდენად უფრო ღრმად მიდის მიწაში მადანი და რამდენად უფრო ბევრი მიწა (მთა)აწევს თავზედ, იმდენად მადანი უკეთესი ღირსებისაა. მასთან პლასტებიც სქელდებიან, თუმცა მათი რიცხვი იგივე რჩება, რაც თავში იყო. თავში ხშირად ჰპოებთ მჩატეს, დამწვარ მადანს, შიგნით კი აღმოჩნდება მშვენიერი ხასხასა, მძიმე შავი ქვა, პიროლუზიტი ანუ ბიოქსიდი (bioxyde $Mn\,O^2$) სამწუხაროდ აქ ხელთ არ მაქვს ჩვენი მარგანეცის ანალიზები, რომ ისინი გავაცნო მკითხველს; ვიტყვი მხოლოდ, რომ მე მივიღე ევროპაში მღვიმევის შავი-ქვის ორი-სამი მინუში, რომლებსაც მე თვით გავუკეთე ანალიზი პარიზსა და მონპელიეში, ამ ანალიზებით აღმოჩნდა:

წმინდა ბიოქსიდი . . 87-დან—92%-დე (რაიცა უდრის 54%—57% წმინ. ლით. მარგან.

კაჟი . . . 3,63%—5,40%-დე

ფოსფორი . 0 12%—0,21%-დე

რკინა . . . 3,50%—5%-დე.

ეს ციფრები შეამოწმა და შემდეგ სცნო მართლად მონპელიეს ენოლოგიის სადგურის სუ-დირექტორმა და ცნობილმა ქიმიკოსმა ბ. შაბერმა. ამ მინუშთა ანალიზებმა აშკარად დამიმტკიცეს, რომ ჩვენი შავი-ქვა უუმდიდრესი მადანია მთელს ქვეყანაზედ, და მასთან როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარგანეცის ბიოქსიდი (და არა მანგანიტი ან სხვა, რასაც წარმოადგენს უმეტესად სხვა მადნები და მეტადრე ესპანიის მარგანეცი) ბევრად ადვილი სამუშაოა ქარხნებში და ადვილად გარდასაქმნელი წმინდა ლითონად ფერომანგანატების და სხვა რამეების საკეთებლად.

შეიძლება მართლაც იკითხოს ბევრმა, თუ რად უნდათ ეს შავი-ქვა და რად ეზიდებიან ამდენს ევროპაში? ამ მადანს ყურსვენ ქარხნებში და ურევენ უმეტესად რკინას, რითაც აკეთებენ მეტად მაგარს და გამძლე ლითონს (ფოლადს). რომელიც არ ფუჭდება წყალში და არ ჟანგდება ჰაერზედ; ამ რიგად მისგან აკეთებენ ჯავშანოვან გემებს, ბორბლებს, რელსებს და სხვა მრავალ-მანქანებს და იარაღებს. ხმარობენ ეგრეთვე სახარინის საკეთებლად, საღებავებისათვის, ეგრეთვე ჭიქეულობის გასათეთრებლად და კერძოდ პერ-მანგანატ-დეპოტასისათვის, რომელიც იყიდება აფთიაქებში. ხმარობენ ხლორისათვის, აქვს კიდევ მრავალ-გვარი დანიშნულება და სხვა-და-სხვა.

ახლა გავიგოთ მოკლედ მარგანეცის ვითარება. გეოლოგიურად ჩვენის აზრით იგი უნდა ეკუთნოდეს იურიის და ქვა-ნახშირის ფორმაციას, ე. ი. იმ დროს, როცა წარმოსდგა რკინის მადანი. ჯერ სულ წინად რომის იმპერიის დროს მარგანეცს ხმაროობდენ შუშეულის სათეთრებლად, ამიტომ უწოდეს მარგანეცის ბიოქსიდს პიროლუზიტი (ბერძნული ორი სიტყვისაგან: ცეცხლი და ვრეცხავ ანუ უკეთ შუშეულის სარეცხი,) იგი უკარგავს შუშეულს მწვანე ფერს. პირველად ქიმიურად შეისწავლა მარგანეცი მეცნიერმა შეელემ 1774 წელს. ქვეყანაზედ იპოვება სხვა და სხვა გვარი მარგანეცის მადნები. მაგ. პიროლუზიტი, ბრაუნიტი, მანგანიტი, გაუსმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიტი, პსილომელაანი, როდონიტი, გაუეთერიტი, მარგანეცის შპატი და სხვა. თვით მარგანეცი თავის ფერით ძლიერ წააგავს რკინას, ხოლო დასცემს მოწითლო ფერი, მეტად მაგარია, სჭრის ფოლადს, შეშას და არ იზიდება ანდამანტით. მარგანეცს ურევენ რკინაში და აკეთებენ ფერო-მანგანებს, მარგანეცის ფოლადს ბ თეთრ თუჯს ანუ სარკოვან თუჯს. ეგრეთვე მას ურევენ სპილენძში და აკეთებენ ეგრედ წოდებულ მარგანეცის ბრინჯაოს. მარგანეცის მადანი იპოვება ამერიკაში (ჩილში), ინდოეთში, საფრანგეთში, ესპანიაში, გერმანიაში და რუსეთში, მაგ. ურალში და ეკატერინოსლავის გუბერნიაში, სადაც აღმოაჩინეს 1885 წელს და რომლის მადანში მხოლოდ 20-%₀ მარგანეცია. იღებენ ყოველწლობით 60-65,000 ტონს (ერთი ტონი 62 ფუთია). მარგანეცის მოთხოვნილება იზრდება საოცარის სისწრაფით; მაგ. 1885 წელს გამოუღიათ და მოუხმარებიათ 142, 768 ტონი შავი-ქვა (მარგანეცის მადანი), 1890 წელს—422, 645 ტონი. 1893 წელს 440 129 და 1899 წელს კი 700,000 მეტი ტონი, ანუ 42 მილიონი ფუთი. აქედან 30 მილიონი ფუთი მარტო ჭიათურის შავი-ქვაა. როგორც მითხრეს მომავალ წლისათვის მარტო ჭიათურაში შეუკვეთეს და დაიბევეს 50 მილიონი ფუთი. ამ ჟამად მარტო ჭიათურაში მზადდება ყოველ-წლობით 20—40 მილიონი ფუთი მადანი, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებში, ყველა ერთად რომ შევაერთოდ, მხოლოდ 12,13 მილიონი ფუთი.

დღეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ სივრცით და სიმდიდრით მთელს ქვეყანაზედ ყველაზედ უფრო შესანიშნავი შავი-ქვის მადნებია ჭიათურას ირგვლივ მდებარე სოფლების მადნები. გეოლოგების ანგარიშით ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადნების სივრცე აღემატება 126 კვადრატულ ვერსს და წარმოადგენს თითქმის ჰორიზონტალურ ზოლებს ანუ შრეებს, სისქით 0,7 1,2 საჟენამდე; რომ მივიღოთ ბეჰედველობაში მარტო 0,3 საჟენი მაინც 126 კვ. ვერსზედ იზამს 15 მილიარდს, ე. ი. 15.000 მილიონ ფუთ მადანს; ასე რომ ყოველ წლობით რომ 30 მილიონი ფუთი გამოიღონ, მაინც იკმარებს 500 წელიწადს. პასტის საშუალო სისქე რომ ავიღოთ 0,6 საჟენი, მაშინ იზამს 30 მილიარდ ფუთს, რაიცა შეადგენს 1000 წლის მასალას. ეს ჭიათურის მადნები წარმოადგენენ პიროლუზიტს (MnO^2) და მანგანიტს ($Mn^2O^2(OH)^2$), რომელთა ლითონის სიმდიდრე ადის 5058-დე. მასში ფოსფორი კი მხოლოდ 0,16 ან 0,17%-მდეა საშუალოდ. არის ეგრეთვე შავი-ქვის მადნები თფილისის, ერევნის და ელიზავეტოპოლის გუბერნიებში, ეგრეთვე ართვინის და ბათუმის ახლო, ხოლო ისინი შედარებით მდარე ღირსებისაა. ამიტომ ჯერ იმათ არ მუშაობენ.*)

შავი ქვის მადნები, როგორც ვთქვით, საქართველოს გარდა იმყოფება საკმაოდ ამერიკაში (ჩილში), ინდოეთში და ევროპაში, მაგ. ესპანიაში, საფრანგეთში, რუსეთში და გერმანიაში. ხოლო ჩვენი მადნები გაცილებით ყველას სჯობია და მეტი ფასიც აქვს მსოფლიო ბაზარზედ. ჩვენი მადნების ერთი დიდი ღირსება კიდევ ის არის, რომ ადვილი სამუშაოა, და ჩამოტანაც ძლიერ ადვილი იქნება, რომ გზები ვარგოდეს; მასთან რკ. გზის სიდგურზედ

---

*) როგორც ამბობენ ეხლა აღმოჩენილა სამეგრელოში სოფ. გორდში მშვენიერი მარგანეცი, მხოლოდ ერთ-პლასტიანი. რამდენად ხელსაყრელი იქნება მისი წარმოება,—ამის თქმა ამ ჟამად ძნელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლოსაა, შორავს მხოლოდ 2-დან 4—5 ვერსამდე; მასთან ხევებზე ყველგან გაკეთდება ვიწრო რკინის გზა, რის კონვენციაც უკვე აღებული ჰქონია თ. გ. წერეთელს. იმედია, მალე გავიგონებთ იმ ხევებში მატარებლის კივილს. ეგრეთვე ბევრს მადნებს ადვილად გაუკეთდებოდა ღარები და ფისელები, რითაც შავი-ქვის ჩამოზიდვა დაჯდებოდა 1/10-დან 1 კაპეიკამდე ფუთი. ეს უკვე შეუგნიათ ევროპიელ მწარმოებელთ, ბ. პანასიეს და ემერიკს და აპირობენ გამართონ შავი-ქვის ჩამოსაყარი ღარები. ზემო-ჩამოთვლილ სოფლებში მადანის ფასი სხვა და სხვაა; ყველაზედ უფრო ძვირია მღვიმევსა და შუქრუთში, ყველაზედ უფრო იაფი კი დარკვეთსა და პასიეთში. საზოგადოთ ქცევა მადნის ფასი (მიწის ზეითა პირი პატრონისაა) ადის 300-400 მანეთიდან 2000 მანეთამდე და მეტზედაც კი ზოგიერთ შემთხვევაში. ერთ ქცევაში შეიძლება გამოიღონ 300 ათასიდან 600 ათას ფუთამდე მადანი. რომ მივცეთ ბაჟი ფუთზედ 1 კაპ. იზამს 300-დან 600 თუმნამდე ერთი ქცევის იჯარას. ერთი საჟენი ქვა კეთდება პლასტის მიხედვით 4-დან 12 ადლზედ. ერთ კუბ საჟენში კი-2000 ფუთამდეა. მარგანეცი (მადანი). ამ ჟამად კეთდება რკ. გზის ტოტი ჭიათურიდან ითხვისამდე, 4-5 ვერსის სიგრძეზედ, რომელიც მალე დამთავრდება, ხოლო არ ვიცით გადაეხდევნებათ ამ მანძილზედაც მწარმოებელთ საზიდავად ფულები, თუ დასჯერდებიან იმ 7 კაპეიკს, რაიცა ხდებათ ფუთზედ ჭიათურიდან შორაპნამდე, ე. ი. მხოლოდ 35 ვერსზედ, მაშინ როდესაც შორაპნიდან ფოთამდე, ე. ი. 122 ვერსზედ ხდებათ მხოლოდ 2½ კაპ. ჭიათურის ტოტის გაყვანაზედ მთავრობას დაეხარჯა მხოლოდ 400.000 მანეთი, რომელიც ერთ წელიწადში გაანაღდა; ახლა კი იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზაზედ გადააქვთ 20 დან 30 მილიონ ფუთამდე ყოველ-წლობით, რაიცა 7 კაპ. გადახდით (წინად კი 10 კაპ. იყო გარდასახადი) ყოველ-წლობით იზამს საშუალოდ მილიონ ნახევარზედ მეტს მანეოს, ვგონებ მთელს ქვეყანაზედ არაა მაგალითი, რომ რომელიმე რკინის გზის ლიანდაგს შედარებით შამოჰქონდეს ამოდენა შემოსავალი! ამგვარი სასწაულები მოხდება მხოლოდ დალოცვილს საქართველოში...

VI

ახლა ვიკითხოთ, ნეტა რას წარმოადგენს ის ხევის ორპირად მწკრივად ჩარიგებული მაღაროები, რომელთაც შავად დაულრენიათ პირი? ეს გახლავთ ის ხელოვნური გვირაბები (შტოლნებიანი ტუნელები), საიდგანაც იღებენ შავ-ქვას. იყო დრო, როცა ჩვენი წინაპრები (ტროგლოდიტები) აკეთებდენ კლდეებში გვირაბებს და მათში ემალვოდენ ნადირს, მტრებს და წვიმა-სიცივეს. ამ გვარი გვირაბები ახლაც მრავლად მოსჩანს ყვირილას ხეობაზედ (ჭიათურიდამ საჩხერემდე.) გავიდენ საუკუნენი და ათასი წელნი, კაცმა მიატოვა მაღაროები და ზეით მიწის ზურგზე წამოასკუპა ლამაზი სახლები. მაგრამ ახლა, ხედავთ! კვლავ შესდგომიან გვირაბების თხრას და ამრავლებენ მათ რიცხვს საოცარის სისწრაფით. ნეტა რისთვის უნდათ ისინი! მათგან იღებენ ძვირფას ლითონს, მადანს, რომელსაც ახურდავებენ ოქროებზედ, მაგრამ ცხრა მეათედი ამ ოქროებისა ჩადის იმ კაცთა ჯიბაში, რომელნიც სრულიად არ იწუხებენ თავს მადნის მუშაობით, აცარებენ დროებას კლუბ-თეატრებში და ნებივრობენ შუადღემდე ლბილ ლოგინებში. და ერთი მეა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თედი მხოლოდ ცვივა იმ მრავალთა მჭლე ქისაში, რომელნიც დღე და ღამ მუშაობენ შავ-ქვაში, ეზიდებიან ოხვრით და ვიშვით მადანს და წყდებიან ტუნელში მიწის და ქვის ჩამოყრით, ან ვარდებიან კლდეებზედ.

—ახლა შევიხედოთ ტუნელში, შევიდეთ შიგ, ბნელა და საშიშრებაა. პაწია ლამპარი ძლივს ბჟუტავს ჩვენს წინ, იქ შორს მოისმის ჩაკუნი. ჰგავს იქ ხალხია, მუშაობენ, მოისმის ხმაურობა ეგრეთვე გვერდებიდან. სიგრძისად ტუნელის ცა და გვერდები შემაგრებულია მუხის ხეებით, რომ არ ჩამოინგრეს, არ დაიქცეს მაღარო და არ დაიღუპოს ხალხი. ჩვენ ვიწევთ უფრო წინ-წინ. ირგვლივ კვლავ ბნელა საოცრად, აგერ გაგვიარეს სიფრთხილით ორმა გამურულმა არსებამ, მიაგორიალებენ ხელის პაწია ურმით შავ-ქვას; აგერ გაგვიარა კიდევ ერთმა. ხმაურობა თან და თან მატულობს, ჰაერი გრილი, მძიმე და ნესტიანია; აი გმოჩნდა სიბნელეში პაწაწინა მბჟუტავი ნათელი; როგორცაა მივაღწიეთ ბოლომდე. აქ სდგას უბრად ორი-სამი გამურული არსება და ურტყმენ წალკატებს შავ კლდეს. წვირილ-წვრილად იმტვრევა შავი-ქვა და სცვივა ძირს; საბრალო მუშები კი აგრძობენ სიბნელეში ავტომატიურად თავიანთ ერთ-ფეროვანს არა საამურს შრომას, აგრძობენ ამ სიბნელეში მუშაობას დიდის სიბრთხილით, რადგან საკმარისია მოგჯეს ზეიდან ერთი მომსხო ქვა, რომ იმსხვერპლოს კაცი; საკმარისია მოგჯეს გვერდიდან მოჭრდილი ნატეხი, რომ მოტეხოს ფეხი ან ხელი. საკმარისია, ჩამოწვეს ზეიდან მიწა და დაკეტოს გამოსასვლელი გზა, რომ ცოცხლად დამარხოს რამდენიმე მუშა. ამ გვარ სურათებს და უარესსაც მზერთ თქვენ სხვა ტუნელებში. არის ზოგიერთი იმ რიგად საშიშარი, რომ არ იცი, ან აგერ ჩამოწვება მთა და დაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარხავთ ცოხლად და ან აგერო. შეველ ამ გვარ გვარ-ბებშიც კი, ვნახე როგორ მუშაობდენ შიგ ბედისაგან დაჩაგრულნი, და ვკვიროობდი, თუ რა ძალა ჰქონებია სიმშილს და გაჭირვებას, მათ გაუმხნევებიათ კაცი, რომელსაც დაბნელებია თვალები და ვერ მზერს მის წინ დასკუპულს სიკვდილს. ვკვიროობ ძლიერ, თუ რად აძლევენ ნებას შტეიგერები, რომ იმუშაონ ამ გვარ საშიშ ალაგებში? ნუთუ ყველას დაჰკარგვია აქ ადამიანური გრძნობა! ხარბ მწარმოებელთ კი ორიოდ გროშის დახარჯვაც კი ენანებათ, რომ იყიდონ და მისცენ მუშათ ხის ბოძები, რათა მით შეაკავონ ზეით ცა და გადურჩენ მიწის ჩამოწოლით ცოცხლად დამარხვას. მე ვნახე ეგრეთვე ბევრი მადნები, მეტადრე შუქრუთსა და პერევისაში, სადაც წინად ბარბაროსული გლეჯით ისე დაუქცევიათ, რომ მათში თითქმის შეუძლებელია დღეს მუშაობა.

აი ამგვარ პირობებში შრომობს მუდმივ საბრალო ხალხი; შრომობს კლდეებში და მთების სიღრმეში, საშინელს სიბნელეში, შრომობს მძიმე, წამხდარ ჰაერში და ხშირად იძინებს იქვე. დიახ, შრომობს აქ ადამიანი, მზერს თვალ-წინ სნეულებას, სახიჩრებას და სიკვდილს და რას იღებს ნეტა ჯილდოთ? ხუთ მანეთს ან თუმანს დღეში? არა, მ ა ნ ე თ ს ან ე ქ ვ ს ა ბ ა ზ ს... აი მისი ჯილდო! ხშირად მუშაობენ ნარდათ, საჯენობით. მაგ. ურიგდებიან პირველად 20 მანეთად ერთ კუბიკურ საჯენ ქვას, რომლის ადლი როგორც საზოგადოთ 16 გოჯაა. შემდეგ რამდენად უფრო ღრმად შედიან ტუნელში, იმდენი უფრო გამოღება ჯდება ძვირი; მუშები მზერენ არა სახეიროდ ამ 20 მანეთს, ემუდარებიან მადნის პატრონს ფულის მომატებას, „ვულ კეთილი“ პატრონიც უმატებს ხუთ მანეთს საჯენზედ,, ხოლო სთხოვს ნაცვლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე რამეს; სთხოვს, რომ მისი კუბიკური საჯენი იყვეს გაზომილი 18 გოჯიან ადლით. უვიცი მუ'მებიც თანხმდებიან, და ის კი არ უწყიან, თუ რამდენი ემატება ამრიგად პატრონს. გრძელდება მუშაობა, შედიან ტუნელში უფრო და უფრო ღრმად. მუშები კვლავ თხოვილობენ ფასის მომატებას, მგრძნობიარე პატრონიც უმატებს მაშინვე, ხოლო მისი ადლი ხდება ახლა 19 გოჯა, მერე 20, მერე კიდევ 21 და არიან ზოგიერთი გულკეთილი მწარმოებელნი, რომელთა ადლი გაზდილა უკვე 22 გოჯამდე..

ნუ გიკვირს, ნუ ოცდები მკითხველო! მოიცადე პატარა. ამ თილისმურ ადლის ზრდა ჯერ არ დამთავრებულა; იგი იზრდება ყოველ წლობით, ყოველ თვეობით და რა სიგრძემდე მივა კიდევ, მხოლოდ ალაჰმა უწყის! აი ამ გვარი სასწაულები ხდება ჩვენს ღალოცვილ იმერეთში, სადაც არამც თუ ხეები და ბანკის ვალები, თვით ადლებიც კი იზრდებიან! მაგრამ ადლის სასწაული განა შეედრება ჭიათურის საწონთა სასწაულებს!... ამ მხრივ ქართველის ნიჭმა გადააჭარბა თვით ცბიერ ევროპიელთა ოინბაზობას. გაგლეჯა და ექსპლოატაციაარის აქ ასული უმაღლეს წერტილამდე. აქ სცარცვენ მადნების მუშას, აქ ატყუებენ ჩალანდრებს, აქ ატყუებენ ევროპიელ მუშტრებს, ურევენ მარგანეცში მიწას, ტალახს და უბრალო ქვებს; ატყუებენ ნაცვლად თვით ევროპიელნიც, მადნის ანალიზის დროს ჰპარვენ 2-3%, რაიცა შეადგენს ფრიად ბევრს მილიონ ფუთებზე; ჰპარვენ რადგან ჩვენს მწარმოებელთ (გარდა პანასიესი) არა აქვთ არც თავის ლაბორატორია, არ ჰყავთ არც თავის ქიმიკოსი, რომ კონტროლი უყოს ევროპიელთ. მათი მერკანტილური ნიჭი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახურდავებულა წვრილმან გლეჯაზედ, და დიდი, ევროპიული, სისტემატიური ექსპლოატაცია-კი ჯერ ვერ შეუგნიათ. როგორც მარწმუნეს ორიოდ ცნობილმა პირმა, ყოველ შაბათობით, ე. ი. ფულის მიცემის დღეს გ უ ლ კ ე თ ი ლ ი მწარმოებელნი ჯერ ათრობენ თურმე მუშებს და მერე ურიგებენ ხვედრ ფულს; რა მიზნითაა ეს, ან რა ხდება ამ დროს, მიმინდვია მკითხველისათვის. ვკვიროობ რად, არ სდევნიან და რად არ ალაგმავენ ამგვარ საზიზღრებას ადგილობრივი ადმინისტრაცია და სხდომის კომიტეტი.

ამის შემდეგ განა საკვირველია, თუ უმეცარმა ხალხმაც წაბაძეს მათ! საჯენის დადგმის დროს მადნის მუშა ცდილობს შეურიოს უბრალო ქვა და მიწა და მეტი გამოიყვანოს, ჩალანდარი ცდილობს გადაართვას და აგერ სხვას მიჰყიდოს ერთი ტვირთი მაინც, ან ძირს რომ ჩამოვა, დაასველოს მარგანეცი წყლით, რომ წონაში მეტი მოვიდეს და რასაც მას მოჰპარვენ, ის გაიქვითოს. ერთი სიტყვით არის ერთი საყოველთაო ქურდობა, ცარცვა, გლეჯა, მოტყუება... არსად ელექტრონი მადნებში. არსად რელსები და ვახონეტკები მადნის გამოსაღებად, არსად ღარები და ფისელები, არსად შესაფერი სადგურები მუშებისათვის, არსად ექიმი და რიგიანი ქსენონიც-კი; ერთი სიტყვით აქ სუფევს აზია თავის სიბნელით, სიბინძურით ტალახით, წვალებით, მოტყუებით, გლეჯით და ქურდობით...

მიცანი.

(დასასრული შემდეგ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს

დედა-ქალაქი

ტფილისი

(გაგრძელება *)

მაზითის ძირში რომ მივიდა მეფე, ქალაქიდგან, რომელიც უკვე აელო მეფეს (12 ენკენ.), დიდის ვაების ხმა მიესმა. მეფემ შეაყენა ცხენი და მწარედ მოთქმა იწყო:

— ოჰ ღმერთო, რასა ვხედავ და ან რა მესმის... ნაცვლად თქვენის სიხარულისა, დღეს საშინელება ტრიალებს თქვენზე, ნაცვლად თქვენის მხიარულის საკრავებისა, დღეს ატადის კალოს ხმა მესმის თქვენზედ მოსული, ნაცვლად თქვენის უჯავრელის სიმღერისა, დღეს თქვენი მწარე ტირილი ზეცაში ღაღადებს; რამთენი თმა-გაწეწილი დედანი და ქალნი წვიან და კივიან ეხლა, ის ხმა შენ არ გესმის, ღმერთო! რამდენი კაცი ყელ-გამოჭრილი ეყრებიან ეხლა, ამაებს ვერა ხედავ, ღმერთო? ჩემო ძმებო, ჩემო შვილებო, ჩემო მე-

---

*) იხ. „კრებული“ № VIII. 1899 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გობრებო, ჩემო ამხანაგებო, ჩემო საყვარლებო და ჩემო სასურველნო! მე თქვენთვის უნდა მომკვდარვიყავ და თქვენ ჩემთვის იხოცებით. აბა რიღას მეფე ვარ, რით დაგიფარეთ?

მეფე რომ ასე მოსთქვამს, დანარჩენი ქართველები უკან უდგნენ და ცრემლით იღვრებოდნენ. ივანე მუხრან-ბატონი ეხვეწებოდა მეფეს დაჩუმებულიყო, გარნა იგი კვლავ მოსთქვამდა:

— რაც განძრახვა მქონდა, იმ დაწყობილებით რომ დავმარცხებულიყავით, ვიტყოდით, ღმერთმა არ ინებაო და ასე შესაწუხებელი აღარ იქნებოდა. რატომ ღმერთმა გუშინვე ჩემი თავი ომში არ მოაკვლევინა და ეს საშინელი უბედურება მაჩვენა? რა კარგი ბედნიერი სიკვდილი იქნებოდა ჩემთვის! არ ვიცი, ეს ამისთანა უსვინიდისო ღალატი საიდგან რა უნდა იყოს, ვფიქრობ და ვერა გამიგია-რა?

მეფე იმ ღამეს საგურამოში დარჩა და მეორე დღეს ავიდა ანანურს და იქიდგან ბატატაანთკარს, საცა დედოფალი დარია იყო შეხიზნული. მეორე დღეს აქედგან აიყარნენ და ბურდალიანთ კარს ავიდნენ.

აღამაჰმად-ხანმა პირველად მეფის სასახლე ნახა, გაუკვირდა, რომ ქართველთა მეფეს ეს როგორი მშვენიერი სახლი ჰქონიაო. შემდეგ გაძარცვა იგი და დააწვევინა. თვითონ კი წავიდა და „სამშაბათის აბანოში“ იბანა, გამოვიდა და სოღანლუღს წავიდა. ულმობელმა ყაენმა გაანადგურებინა და გააძარცვინა ქალაქი, დაატყვევებინა და ანუ გააჟლეტინა ხალხი. შემდეგ ბრძანა: საქართველოზედ თარეში წავიდესო. ყიზილბაშნი შეესივნენ ქართლს, იარეს ტირიფონამდის, აიკლეს და მიგოხ-მოგოხეს სოფლები, რომელთა მკვიდრნი მთებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხიზნულიყვნენ. შემდეგ დაბრუნდნენ და მივიდნენ სოლანლუღს. კახეთი გადარჩა. სპარსნი ლილოს არ გასცილებიან. ქვეყანა არბიეს ცხრა დღეს და შემდეგ ყაენი აიყარა, რადგან ერეკლეს შიში ჰქონდა, და წავიდა სპარსეთს.

ერეკლემ თვისი სახლობა თელავს გადიყვანა და ტფილისს ჩამოვიდა. შემოფანტული ხალხი შემოჰკრიბა, დააბანაკა და ნუგეშსცა. მალე ქალაქი მოჯობინდა, ტყვეები გამოსყიდულ იქმნენ.*)

ტფილისის აღება

(მესტვირული ლექსი)

ნეტარ ქება როგორ ითქმის ამ თბილის ქალაქისაო:
ზამთარი არის ბრწყინვისა, ზაფხული ზურმუხტისაო;
გარს ახვევია ბაღები, ჩარხი უბრუნავს წყლისაო,
შიგ წისქვილები უბრუნავს, გარ-შემოუვლის წყალია;
ქალაქში აბანოები ბადალი ხმელეთისაო,
ძირიდამ აშენებული აუზები არს ქვისაო,
მაღლიდამ გადაჭედილი წითელი აგურისაო,

---

*) იხ. ა) ა. ჯ.-ორბელიანი, „მოამბე“, 1895 წ., № VIII; ბუტკოვი, ტ. II და III; არქეოგრაფიულ კომისიის აქტები, ტ. I და II; თეიმურაზ ბატონიშვილი, „ივერია“ (1891 წ., №№ ები 51—56), „საქართველოს ისტორია“ მ. ჯანაშვილისა, გვ. 470—472; ბ. იოსელიანი, Описаніе древн. Тифлиса, გვ. 21—22; დ. ბაქრაძე, Тифлисъ въ историческомъ и этнографическомъ отношеніяхъ, 71 და სხ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გვერდიდამ თანჯარაები სანათურია მზისაო,
ვინც შევა აგრეგე გახდის, როგორც თოვლია მთისაო,
ქალი და რძალი გამოდის, ვითა ეკვეილი ხისაო;
დუქნები ბევრი დამართეს, სასხდომი ბაუდებისაო,
ქვეშ ქუჩები დაატანეს, სარბენი არი გზისაო,
წინ ნათხარი ორმოები, ნაგები სარდაფისაო;
ხოის ლაინი ბევრია და თვარჩა ბეზირგნისაო,
საუდარიც ბევრი აგეს ამ თეთრი ქვითკირისაო,
ხატი და ჯვარი შიგ არის, სალოცავია დვთისაო,
ბერი და მდვდელი ამდენი, როგორც რომ წვიმა წულისაო;
ხაზინაები აწუვია, მოჯრილი თამაზ ხნისაო; *)
ერეკლე ბატონი იჯდა, ბადალი ხმელეთისაო,
ასტირდა ცა და ქვეყანა: მისთვის არ მოდის დარია,
ხოჯახანი **) წამოვიდა, თერნიდამ მომავალია,
ამდენი ჯარი მოუდის, არ გადასწვდება თვალია,
შიგ და შიგ სარდალი მისცა, მან-კი აართო მხარია;
შუშის ხან წიგნი დასწერა, ერეკლეს გაუგზავნეა,
თავადები დაერჩივენ, ერთად მოაბან მხარია;
საუდრიდამ გამოასვენეს ის დიდი ძელი ჯვარია,
ზოგი მოუკლავს ტუვიასა, ზოგი მიწას შეუჯამია,
ურჯულოს ხელში ნუ ჩაგვერი, ისევ შენ მოგვეხმარეა,
წინ ერეკლეს გამოუძღვნენ, ვითომ ირემი ხარია,
ასე მოჭქონდა ლაპლაპი, ვით სოფმარი ხმალია,
თუშეთში რომ შემოვიდა, ცხენს მოიგოგებს ნელაო,
დაჯდა და წიგნი დასწერა . . .
„ეს რუს ხელმწიფეს მიმირთვით, მან გადიკითხოს ნელაო,
„ხოჯახანი ჩამოვიდა, ქალაქი შეამტვერაო,

---

*) თამაზხანი, იგივე ნადირშა.

**) ხოჯახანი, იგივე ალამაჰმადხანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე აქეთკენ მოგაქცია, ისევ მიშველე შენაო“.
გადიკითხა რუს ხელმწიფემ, შუბლზედ დაიდვა ხელია:
„ვაი შენ თბილის ქალაქო, რა ძნელი საქმე ჰქენია,
ხაზინაები დაჭარგე და ოქროები ბევრია.
იანარლებს დამიძახეთ, ჯარი შევუარეთ ბევრია,
ზოგი ბოლოზედ წავიდეთ, დაუმონათ მტერია,
ზოგი დარბანზედ გავიდეთ, ორად გავაწყოთ გემია,
ხოჯახანი დავიჭირეთ, ძალიგით დავსჯრათ ყელია,
ქალაქი დავიმორჩილოთ, სულ საქართველო ჩვენია“.
ეს ამისი გამომთქმელი სიტყვების ჩამომთვლელია,
ყველანი ერთად დაგლოცოსთ, რაც ქვეყანაზედ ღვდელია,
მისი მადლი შეგეწიოსთ მცხეთას რომ ხატი სვენია.

—

ბრძოლა თბილისკრწანისში

(ლექსიდამ „ბედი ქართლისა).

...ბატონს თვის ჯარი კრწანისის მინდვრად
დაებანაკა სპარსთან საომრად;
ბატარა კახი ადამაჭმადხანს
უპირებს შებმას ძლიერს, რისხვიანს.
ამ დროს გამოჩნდა სამხრით მტერი...
დაჭრეს ნადარა, გულნი შეზარა,
და მტერთ საომრად ჯარნი შეჭყარა.
ხმა ნადარისა, ეს ხმა ბრძოლისა
ვით არ ადგანთებს, გმირო ქართლისა!
მხდალსა განამხნევს, მხნეს განადვიძებს
და მიჯნურსაცა სულს შეუშფოთებს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეექმნათ მწარე, ძლიერი ომი:
ვითა ნადირსა მშიერი ლომი,
ეკვეთნენ სპარსთა ივერთ მხედარნი
და მტკვარსა შერთეს სისხლისა დვარნი!
ორნივ იბრძვიან გამწარებულნი,
ორნივ ომებში გაქეზებულნი;
თავზე ენისკლთ, მოურავის ძე
და იოანნე კახთ-აბაშიძე
განუმტკიცებდენ მკლავთა ქართველთა;
მეფის ირაკლის დვაწლი უოველთა
შთაუდგამს სულსა ვაჟკაცობისას,—
მაინც ვერ ჭხედვენ ბოლოს ბრძოლისას.
რა ნახეს ქართველთ გაჭირდა საქმე,
მეის ჩაიკეტეს ქუდები თურმე,
ხრმალს ხელი იკრეს მამა-პაპურად
და დაერივნენ თავისებურად.
ბინდმა გაჭეარა მებრძოლნი მტერნი;
გამარჯვებულნი დარჩნენ ივერნი;
მაგრამ რა მეფე ჯარსა უეურებს,
მას გამარჯვება არდა ახარებს:
ძვირად დაუჯდა იგი ირაკლის!
მრავალთ უმაწვილ-კაცთ, ნუგეშთა ქართლის,
დასდვეს აქ თავი მამულისათვის...
მეფემ უბრძანა თვისთა მოხელეთ:
„გვიჯობს, რომ ახლავ ქალაქს მივიქცეთ
და ციხე ჩვენი მჭსწრათულ გავამაგროთ,
თვარემ ხვალ სიმხნით ვერა გავაწეოთ;
ალამაჭმადხან რა აქა გვნახავს,
ხომ იცით, ჯარი დიდ-ძალი ახლავს,
და, იქნება, რომ ციხეში დავხვდეთ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენის ძალისა ფიქრი მიეცეთ“...
  ეველა ეთანხმა ამაში მეფეს,
ქალაქს მოიქცნენ იმავე დამეს
და მჭსწრათულ ზღუდენი ნარიყალისა
ექმნათ საჭურად ჯართა ქართველისა!
  კათენდა დილა მზისა ადმოსვლად,
მაგრამ მნათობმან შუქისა ნაცვლად
ბნელი *) მოჭვინა ტფილისის არეს.
ადამაჭმადხან მოადგა ციხეს;
სამი დღე და ღამ ადგა მას ჯარით,
მაგრამ ვერა-რა ავნო ვერსაით.
დადგნდა სპარსთა მეფე ბორგვნილი
და, თურმე, ეოვლით იმედ მიხდილი
ქართლიდგან წასვლას დაუბირებდა...
მაგრამ იუდა ყამს ეძიებდა!
აჭა მან იგი ან მოიხელთა
და მუხთალისა ანგართა ხელთა
აჭეარეს მამულს სიმტკიცის ბჭენი.
მან მტერთ უმსხვერპლა თვისნი მოძმენი!
სცნა რა ირაკლიმ ესე მუხთლობა,
მოუმეთა თვისთა ესდენ დამცრობა,
მეისვე ალენთო ხელმწიფე ბული,
მტერზედ ამაყად გამზადებული!
მაგრამ ტუდ იყო ეოველი დონე:
ადამაჭმადხან, კვლავ თავ-მომწონე,
შემოეპარა ციხისა კართა
და მოეკლინა მსწრათულ ქართველთ ჯართა...

---

*) მოლრუბლული და ნისლიანი დღე. იყო 11 სექტემბერს, 1795 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ირაკლიმ უკვე გაქუსლა
მთიულეთისკენ თავისი ცხენი.

(აღამაჰმადხანის დაბრუნების შემდეგ ერეკლე თელავიდგან გამოვიდა და გამოემგზავრა ტფილისს).

რა მოახლოვდა ქალაქსა მეფე,
დიდხანს უჯვრეტდა ტრემლთა ადმჩქეფე!
პალატნი მისნი გარდმონგრეულან,
სახლნი სამშობლო დანატრებულან,
მიდამო ჭხედავს უპატრონობას,
ადოხრებასა და ნატამლობას,
დუმილი ჭსუფევს მის არე-მარე,
მხოლოდ ბუტბუტებს მტკვარი მწუხარე ..
ადავსო კვალად ერმან ტფილისი,
რა მობრძანება ჭსტნა ირაკლისი;
ქალაქი ისევ ჩქარად აშენდა,
თუმცა ადრინდელს მრავალი აკლდა! *)

---

*) თუმცა ბუტკოვი სწერს (ტ. III, გვ. 177 და 260), რომ ტფილისში 1783 წლამდის იყო 61,000 მეკომური და ამათგან 1795 წლის შემდეგ დარჩა მხოლოდ 35,000, გარნა ეს შეცდომაა. ამდენ ხალხს ვერ დაიტევდა მაშინდელი ტფილისი, რომელშიაც ტურნეფორის დროს (1701 წ) იყო 20,000 სული მცხოვრები. ეს 61,000 მეკომური უნდა ყოფილიყო მთელს სამეფოში, რის საბუთსაც გვაძლევს თვით ბუტკოვი თავის მეორე ტომში (იხ. გვ. 340), საცა იგი ამბობს, რომ 1783 წლამდის საქართველოში (ამერეთში) იყო 61,000 მეკომურიო, ხოლო აღამაჰმადხანის მიერ ქალაქის გაოხრების შემდეგ კი დარჩა მხოლოდ 35,000 მეკომურამდეო, ხოლო დავით ბატონიშვილის თქმით სპარსთა წაასხეს ტყვედ 10,000 სულიო და ქალაქებში დარჩა 3,000. ქალაქის აოხრებამდის აქ იყო 4,000 სახლიო, 1803 წელს კი 2,700—3,000-მდეო და მათში 30,000 სულიო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფ. ჭალატყე.

(წარმოდგენილი ა. მერკვილაძის-მიერ).

ეს სოფელი ერთი არგვეთის საუკეთესო სოფელთაგანია, საქარის საზოგადოებას ეკუთვნის და ოთხი ვერსით ჰშორავს დ. ყვირილას (ზესტაფონს). ჭალატყე პატარა სოფელია,—სივრცით ხუთი-ექვსი ოთხ-კუთხი ვერსი თუ იქნება და მკვიდრის რიცხვით ხომ საკითხიც არ არის!—მაგრამ, რაც არის,—უნდა გითხრათ—სწორედ ლამაზი, კოხტა სოფელია. ბუნების შნო და ლაზათი არ აკლია.

სამზღვრები ადგილ-მდებარეობით საქარის საზოგადოების ჩრდილო-დასავლეთ ნაწილშია მოქცეული და გარს შემდეგი სოფლები აკრავს: აღმ. ბეღლევი და ზე და საქარა, სამხ. ქვედა-საქარა, დას. სახელმწიფო ეწერი —«ლალატყე» და ს. ზორვეთი, ჩრდ. ტყლაპი-ვაკე (საზანოს ნაწილია) და ბეღლევი. ზოგან ამ სოფლებს შუა ღელე-მდინარე ჩაუდის და სამზღვრებადაც უკეთ ეს ღელე-მდინარე ჩაითვლება: ჩრდ. აშორებს ბეღლევს ერთ ნაიბზე «ბრუტიან-ღელე», რომელიც მდ. ბუჯას ერთვის, და აქედამ-კი ბუჯა ჰყოფს ტყლაპი-ვაკესაგან. ამ მანძილზე ბუჯა დასავლეთისკენ მიმდინარეობს, დასავლეთ სამზღვარზე, იქ სწორედ, სადაც სამხრეთისკენ ხრის, ამას მდ. ძუსა ერთვის ჩრდილოეთიდამ მომდინარე, და ამ „შერთულიდამ"-კი ამ ტყუბ-მდინარეს ძუსა-ბუჯას ჩოლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბური ეწოდება. ერთ მანძილზე ეს ჩოლაბური საზღვრავს «ხუროულს» (ზორვეთის ნაწილია) და მერე კი მარცხნივ შემოქანებული უვლის ჭალებს თავს, ქვედა-საქარას შემოუვლის დაბლა, მოიხრება მარჯვნივ, დასავლეთისკენ იზამს პირს და არგვეთა-ღვანკითის საზღვარზე გადავლილი ყვირილაში ჩაექანება.

ზედა-ბარის მოუკანალობა ჭალა სერისა აქვს. აქედამ წარმოსდგება სახელ-წოდებაც ჭალა-ტყე, ჭალა და ტყე, ანუ ტყით დაფენილი თუ ტყიანი ჭალა. ეს სახელი, იქნება ძველად ზედ-გამოჭრილიც, დღეს ნახევრად-ღა თუ მართლდება. ჭალის რა მოგახსენოთ, ტყეზე-კი ძალიან უკაცრავად არის. მაგრამ სოფელი კი არა, ჭალებზედ ტყის ნატამალიც ალარ მოიპოება დღეს! ტყე ალარ დაუყენებიათ ზედ, აუღიათ და ჭალებიც სახნავად გაუხდიათ. თუ ყოფილა ტყე ამ ჭალებზედ, ეს ოდესმე წინად, უხსოვარ დროებში; და რომ ყოფილა, ამას ეჭვი არ უნდა, ის გარემოებაც ამტკიცებს ამას, სხვათა შორის, რომ გალმა-გამოღმა სერები და ზოგიერთი დაბლობებიც, როგორც უკვე ნახსენები „ლალა-ტყე“ ერთ ნაირი მუხნარით არის დაფენილი სულ, და შიგ-და-შიგ შუა გულზედაც ამაყად წამოჯგიმულა აქა-იქ საჩეროებლად დატოვებული ასწლოვანი მუხები და ცხადია, ეს სერებიც ამ მუხნარით უნდა ყოფილიყო ერთს დროს შეერთებული.

ჭალებში უმთავრესი სათიბია, ჩოლაბურის გასწვრივ, უკეთ რომ ვსთქვათ, ერთი ჭალა იწყება ჩოლაბურის დასაწყისიდან და მიჰყვება სიგძურ მდინარეს, სახელიც სხვა-და-სხვა ადგილს სხვა და-სხვა ჰქვია: აღმოსავლეთ ნაწილს ბუჯასა და ჩოლაბურს შუა ნიოური, შუაგულს სათიბი, დასავლეთ ნაწილს იონჯა, გალმა მარჯვენა მხარეს ჭალა-ტყე, ნასახლარი, გოგიჩაძის ყანა, ნასასახლევი და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერე სარიყავები დაიწყება, რომელიც სხვა სოფლის საკუთრებაა; (მარცხენა ნაპირას მდებარე ადგილებს საერთოდ ჭალა-ტყე ქვიან). რაც ახსოვთ, სანამ სახნავ-საყანედ აიღებოდა, უმალ ამ ჭალებზე სათიბი თესებული და ღღესაც კი თუმცა ზედ ბალახის ნასახაც ალარა სჩანს და ცელის პირიც, ვინ იცის, რამდენი ხანია, ალარ მიჰკარებია მის მოცვეთილ ზურგს — „სათიბს“ ეძახიან კიდევ. ეს ჭალა სათიბი „ჯვარცმის“ ტაძრის საკუთრება ყოფილა, რომელიც ამ ჭალის ცხვრში ღღესაც ისევ არსებობს, მაგრამ მონასტრად-კი ალარ, უბრალო ლარიბ ეკლესიად. მაშინ კი აქ ბერ-მონაზვნები ყოფილან და დიდ-ძალი ყმა და მამულიც ჰქონია. იქვე ღელის ნაპარად ურიებიც სახლებულა მებეგრად და ამ ღელესაც სახელად ურიების-ღელე დარქმევია. ის სათიბიც, რომელ წელში კარგად ალარ ვიცი, სოლომონ მეორეს და დედოფალს მარიამ დადიანის ასულს შეუწირავს ამ ტაძრისთვის და ზედ მდევ დეკანოზ-მერკვილაძეებისთვის უწყალობებია „სამუმოდ“. ეს სათიბიც და ბევრი სხვაც მისი ქონება ამაოსჭერიათ ხელში. ყველა ამ ტაძრის შემოსავალი ამ მერკვილაძეებს საკუთრებად ჰქონებიათ მიცემული. დეკანოზობა ამ ტაძრის სამკვიდრო პრივილეგია ყოფილა ამ გვარისა და თითქოს სამსახურშიაც ეს შემოსავალი რგებიათ. მაგრამ რომ გაუქმებულა მონასტერი ამ საუკუნის ოც-და ათ წლებში, მისი ქონება ვინ იცის, ვის არ გაუტაცნია! ყმა ხაზინას შეხვედრია წილში ზოგი და ზოგიც გელათისთვის შეუწირავს დავით მიტროპოლიტს და ამ ქონებიდგან ჯვარცმას თვითონ ალარაფერი შერჩენია გარდა იმ პატარა ცხვირისა, სადაც იგი მდგარა, — ერთი ნაწილი, ასე სამოიდე ქცევა, „საყდრის გალავანია“, გარს ყორე-შემოვლებული სასაფლაო და მეორე ნაწილი-კი ამდენისავე ზომის სახნავი საიჯა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო ოინჯა, მხოლოდ შერჩენია, ეს ველარ წაურთმევია, ვერ ჩამოურთმევიათ: სილამაზე კოხტა ბუნების, მდებარეობის ლაზათიანი მოყვანილობა და სხვა.

ხსენებულ სათიბისა და ზედ მობმულ ჭალებს გარდა, სხვაც არის ორიოდე კიდევ ღელე-მდინარის გასწვრივ ბუჯისა და ურიების ღელის „ლიპი“. დღეს ეს ჭალები ყველა საყანედ არის აღებული, ზედ სიმინდის მეტს სხვა თესლეულობას არას სთესვენ, და კაი მოსავალიც იცის სილიანმა აყალომ, თუ პირგამოზაფხულს ამინდმა შიგ თესლის ჩაყრა აცალა მუშას ან ცამ კბილი არ დაკრიჭა და მიწა არ გამოგვალა, ან და პირი არ მოალო სულ და ნათესიც არ „დალეშტრა“, ან კიდევ კვირიკობისთვის ქარ-სიცხემ არ მოჩალა, მოასწრაფა ნაყოფი და მოფშუტა ტარო!.. ამ მიწებს ერთი ახირებული თვისება სჭირთ: ავდარში ატალახდება, გაბიჟვინდება ნიადაგი და გვიანობამდე არ შრება, წებოსავით ედება ფეხს, ყველაფერს და ვერც გაატანთ შიგ; და თუ გამოშრა, ხომ წერაქვითაც ველარ მოჭრით, რკინაც აღარ დაეკარება ზედ! და ამიტომაც მეტი დარიც სწყენს და ავდარიც.

აი, ამ ჭალებს თუ ორიოდე ფხეკ-გვერდოს ისრების ფერდოებს და ზეგან ვაკესაც მივუმატებთ, სახნავ-საყანე მიწებიც სულ მთლად გვექნება ნახსენები; აი საყანეებიც: სატობავი, ოინჯა, სათიბი, ნიოური, შერთული, ჭალა ტყე, ლიპი, ქასრი, წვრილ-კაკალა, ქურციკის სეული, ლომას-სეული, ნავენახარი, წითელ-მიწა, ახო, დობილო, ლუტიძის ყანა, საქორია, ფერაძის-სეული, ლეჟავას-სეული.

საზოგადოდ მიწაზე ვიწროდ არიან ძალიან, მაგრამ სოფელს საყანედ მაინც ჰყოფნის კიდევ, ერთი მეორის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან ილებენ სამუშაოდ და გამოდიან ანგარიშში, რომ
გორც არის. ვისაც არა აქვს, ის მეზობლისგან იზიარებს,
იდებს ყანას სანახევროდ: ხშირად „საკაოსაც“ იხდის სამ-
-ოთხიოდ მანეთს ორი-სამი ქცევისაში,—და ისე ჯახი-
რობს საკუთარ მიწაზე, რომ წლის სარჩო მოიყვანოს
გლეხმა, ანუ, როგორც აქ იტყვიან, საკუთარში რომ
სარჩო მოუვიდეს, მისთანა გლეხი „ძალიან ძვირია“ ჩვენ-
ში. ვისაც არ უყიდია მიწა, „სისხლის ოფლით ნაშოვა-
რი თეთრი“ არ მოუპარავს თავის საკუთარი კუჭისათვის,
თუ მომჭირნეთ არ მოჰკიდებია თავის ოფლს, ჯიბეს და
ამნაირად გადარჩენილ ფარებით ადგილი არ შეუძენია,
საბოლოოდ არაფერი უძებნია გამოსადეგარი, რომ სიკვ-
დილის წინად მაინც მოესვენა ორიოდე დღეს, გაჭირვე-
ბულს და სიბერის დროს თბილ კერასთან „ღველფის
ჭადი“ ეკუკნა, იმას ვინ მისცა მაგდენი მამული, რომ
საკუთარმა არჩინოს წლითი-წლობით,—მის საკუთარ
გარჯას ტანჯვა წვალებას თავი დავანებოთ! ბატონ-ყმო-
ბის გაყრისას და ყმების მიწის განადელებისას, ყმებისთვის
ხომ მათი მომავალი ნაშიერის საყოფიც მამული არ მიუ-
ციათ! და იმათაც ხომ მას აქეთ კიდევ ინაშენეს? სანადელო
ამ ყოფაში და უკეთეს დღეში, რასაკვირველია, ალარც სა-
ხემწიფო გლეხები არიან... ყველას უჭირს, ყველას და
ამ წლის წლობამდე სულ სხვის ადგილში იკლავენ თავს,
წელს იწყვეტენ შიგ და გულს, ჯახირობენ, წვალობენ,
ცოდვილობენ, მაგრამ ჩვენებს სოფელს გარედ მაინც არ
სჭირდებათ თოთხიალი, „ლოწიალი“ და ესეც კარგია.

საბალახოს ალარ ვიხსენიებ, არ არის და მიტომ ამ
მიწის სიძვირის ბრალია, რომ საიალალო ადგილებს, საბა-
ლახოდ გაშვებულ მინდვრებს აქ ვერ ნახავთ. საბალახოდ
ვინ მოაცდის მიწას, როცა საყანედაც-კი უჭირს იგი? მცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარეულობას ისევ ყანის ნაპირებში, თუ ნახავთ, ნახალვასა-ში, უყებზე და ეზოებში, თორემ სხვაგან ვერსად. და ყოველ-გვარ მცენარეს-კი, ბალახ-ბულახს, მხალსა და შამბს იპოვით აქ, რაც-კი არგვეთში მოიპოვება,—კიდევ ზედ. მეტსაც; ყველა ხარობს, ყველა ვარგობს და პირუტყვის მოშენებასაც, რალა თქმა უნდა, არ მისდევენ, რასაკვირველია, როგორც ნახირის, რაბდენიმე სულის ყოლას ჯოგობით, თითო-ოროლა სულს ცხვარსა და ღორს, ან კიდევ წვრილ-ფეხ ბატ-ქათამ-ინდოურს თუ არ მოვიხსენიებთ.

სერი, როგორც საზოგადოდ ზეგანი, მწდალი ალაგია და მაშინ, როცა დაბლობში ლენჭყია და კაცი ვერ გაივლის ატალახებულზე, აქ ხინწკალი არ მოგეცხებათ, ისეა გამშრალი და ამიტომაც საცხოვრებლად უფრო დასამხარია, მოხერხებულია სერი, საუკეთესო სამოსახლო ადგილებს წარმოადგენს თავის სიგრილით, ცივ-ცივი კლდის წყაროებით. ამას გარდა, ვენახს თუ გარემოს ხომ ეზოს არ მოაცილებენ ესენი და ვენახისათვისაც ხომ საუმჯობესოა, ხელ-საყრელია სერი. ხე-ტყეც თუმცა ჭალებზე სრულად აუკლიათ, მოუსპიათ და გაუწყვიათ კიდეც, ამ სერებზე, უფრო მის გვერდ-ფხეკზე, იქ, სადაც ნიადაგი სხვა თესლეულობისთვის უვარგისია, აგერ-აგერ კიდევ შერჩენილა და ხალხიც ამ მწდალ, ტყიან სერებს „ეტოვება“ სამოსახლოდ თავის ბალბოსტან-გარემო ვენახიანად. აქვე იკეთებს ვენახს, აშენებს გულ-მოდგინედ მამულს და ზამთრის სუსხისაგანაც ამ ტყეში მოჭრილ შეშით იფარავს შუა-ცეცხლზე მიფიცხებულ გულ-მკერდს. მართალია, ეს ტყე საერთო კუთვნილება არ არის მთელი სოფლის, კერძო საკუთრებაა ზოგიერთის ამ მხრით ბედ-გალიმებულსა, მაგრამ შეშაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელ მოთბობილი არიან მაინც: სასყიდლად ხომ ეშოვებათ და სოფლის სოფლად თრევა-ძანძალი და ლიტინი რომ არ ეჭირებათ, ეს ცოტა სიკეთეა? ხე-ტყის სიძვირე საზოგადო სენია მთელი არგვეთის, ჩვენი სოფელი გამონაკლი როდია და არც სხვაზე ნაკლები! და უტყეობაც ერთნაირად საგრძნობელია და სამწუხარო ყველასათვის, რომელი კუნჭულიც უნდა აიღოთ მისი. მაგრამ ჩვენი პატარა სოფელი-კი ამ მხრითაც უზრუნველ-ყოფილია თითქმის აქედან თუ გააქვთ შეშა, ჩხირი (ჭიღვი) ხარდანი, სარი და წკნელი, თორემ შემოტანით მაინც არ შემოაქვთ; შეშას გარდა ტყე არა ნაკლებად საჭიროა საჭიღვედ და სარაგვად. ჯერ ხომ ვენახი აქ ჩხირზე აკრული იციან და უჩხიროდ, რასაკვირველია, მისი ღატოვება მოუხერხებელიცაა და საზარალოც, და მერე კიდევ გარემო, ეზო, ბახჩა-ბოსტანი შემორაგული უნდა, და აქედან აშკარაა რა შემაწუხებელი სენიც უნდა იყოს უტყეობა ჩვენებური სოფლისათვის! ბევრი ექნებოდათ დღესაც, ყველას ეყოფოდა კიდეც, მაგრამ უგუნურებამ, თუ უმეცრებამ ტყის ფასი ან მისი მოვლა-პატრონობა რა იცის!

ხე-ტყე აქაურებს მართალია საყოფი ჰქონდა ყველას, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, გულ-გატეხილი ადამიანი ეჭვიანია და ნათელიც აღარ სჯერა, თუ იმის ეჭვს არ ათეთრებს! ჩვენი ხალხი ეჭვიანია ძალიან: მას იმდენად გატეხია ნდობა, რომ, რაც გინდ მის სასიკეთოდ მოქმედებდეს სხვა, მას მაინც არ სჯერა: ყველა ეს თვალთმაქცობა, თვალისა და ყურის ასახვევად, მის მოსატყუებლად ჰგონია გამოგონილი და ეჭვის თვალით უყურებს ყველაფერს – და აი სწორედ ამის ბრალია, რომ ხალხში მუდამ ცუდი ხმა დადის, ტრიალებს ამა თუ იმ განკარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულებაზე; ავი ენა არ დაილევა ქვეყნად და იქვნეულსაც ხომ მისი სჯერა, ცუდი ხმაც ფონსა ჰპოებს!!—ამას წინად და მეტადრე შარშან ხმა დააგდეს ტყეს „აკავებენო“ და დამფრთხალი ყველა ერთბაშად მიესია ტყეს, მოუსვეს ხელი და, ვისაც გააჩნდა რამე, ეს „შუშა-ოქროსაკით“, ვინ იცის რამდენი ხნის მოვლილი, სულ ერთიანად ძირს დაუშვეს. მოსპეს, გაანადგურეს—რაც ძველ დროის ხელ უკულმართობას გადარჩენოდა, იმას დღეს აეგო წესი. ესე ააოხრეს და საცოდავად მოხრიოკებული ფხეკები ალარაფრისათვის გამოსადეგარი ალარ არის, სულ მუქთად დაჰკარგეს, მერე-კი იწუხეს, მაგრამ რალა დროს!

ზემოხსენებულ გარემოებას რასაკვირველია წილი უდევს ამ ხე-ტყის მოსპობაში, მაგრამ მთავარი მიზეზი ამისი მიწის სიძვირეა, სივიწროვეა, სახნავი ადგილების, საყანეების ნაკლებობა. ადგილზე ხელ-მოკლედ არის და სადაც-კი დაახელებს მცენარეულობას, ალარ ზოგავს, ყველგან ფხვნის, ჩეხავს, ახოს იღებს, ეკალს, ჩირგვს, ბურდს ჰკაფავს, უყს აბრუნებს და ისე აცოდვილებს ამ წლის მოსავალს, წლის სარჩოს!

ცხოველ-მცენარე რომელი გინდათ, რომ სხვაგან იყოს, არგვეთში და აქ არა! ხე, ჩირგვი, ხილი, ველური თუ ხელით დარგული, თუ სოკო, სხვაგან თუ არის არგვეთში, აქაც ხარობს, ვარგობს; აქვე ნახავთ ყოველ ნაირ ცხოველს: ქვე-წარმავალს, ნადირ მხეცებს, ფრინველს ჩიტებს, მტაცებლებს, მგალობლებს, თუ წვრილ მწერებს, მატლ-პეპლებს, ბუზებს, კალიებს და სხვა უსახელოსაც ბევრს, რაც-კი არგვეთში ნაშიერობს.

მდინარეები ბლომად არის: ბუჯა, ჩოლაბური, ურიეგის-ღელე, ტყემალოური (წვრილ-კაკალა), ბრუტიანი-ღელე, კაპრიან-ღელე და ზედ გადაჯგიმულ წისქვილებსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალს ვერ აურჩევთ, კისერს იტეხენ სულ უსაქმავობით! ჩვენები იჯროობით ჰქმავენ: დილას სადილისთვის ამოაცანცალებს და საღამოს ვახშმისთვის, თუ ერთად სიმინდის დაფშვნა დაეზარა, ან და ძველი ფქვილის ჭადი არ იამა და ახალ-ახალი მოინება. ზამთროობით ხომ ხინწკალსაც არ მოიდებს ფეხზე! ფეხი გამესვრება ტალახშიო და მდინარეზე როდი-ღა ჰკადრულობს საქმავის წაღებას! კარზე უბრუნავს ზოგიერთებს აგერ ეზოში მოჩხრიალე პატარა ღელეებზე ერთი-ორი ქვა, და შორს წაღებას რას გამორჩება?

ეს ღელე-მდინარეები მორჩილებია, პატარაა, მაგრამ კალაპოტი-კი კაი მოზრდილი აქვს—იმერელივით ფუცხურაა და გაუტანელი, ფხიკიანი და ჟინიანი: ზაფხულობით რომ კენჭებზე ვეღარ ხტის დამშრალი და ძლივს-ღა მიწურწკულებს დაწრეტილი, მოდიდებული ამ განიერ კალაპოტშიაც აღარ ეტევა: გადადის ნაპირებზე და ჭალებში ზღვასავით აგოტრებული ზლაზვნით მიიგლაგნება, და აქამდე რომ მიწას არ აჩნდა, ახლა მთა-ბარი მიაქვს, ჰგლეჯს ყველაფერს, არეს ღრიალით აყრუებს და ქვეყნიერებას წალეკას უპირებს. ეს ღელეები ჩოლაბურს ერთვის და ის კი ყვირილაში ჩადის, გზაზე მრავალ სხვა ნაკადულებ შეერთებული. ბევრი წვრილ-წვრილი ღელეები ერთვის ადგილობრივ ნაწრეტი წყლისაგან შემდგარი, და ამიტომაც პირ გამოზაფხულს ყვირილაზე ადრე თბება და ამ სითბოს გულისათვის-კი საქვირითოდ ქვირითობის დროს თევზი ყვირილიდან ჯოგად შემოუტოვებს ხოლმე ამ შემთბარ, შემდორებულ წყალს, როცა მთავარი წყლები ჯერ კიდევ ნამქერით არის შეტბორებული, და აქ, ამ აჭრილ დაწმენდილ წყალში ქვირითობენ ან, როგორც აქ ამბობენ, „ტობობენ“, თუმცა ტობს გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, სხვასაც ბევრ-ჯურის თევზს იზიდავს ამ დროს შემთ-
ბარი ჩოლაბური; თევზიც ძალიან გემრიელი იცის და ხალ
ხიც ძალიან ეტოვება კიდეც.

ეს ერთად ერთი სოფელია მთელს არგვეთში, სადაც
კაცმა უწყლულობა, თუ მისი ნაკლებობა არ იცის.
არგვეთში საზოგადოდ, სასმელი წყალი ნაკლებია ძალიან,
იშვიათია წყარო, რომ ხელი არაფრისა ჰქონდეს! წყურ-
ვილით ხახა ამოუხმება უცხო ადამიანს და აქაურ ნო-
ყო-წყალს-კი პირში ვერ ჩაიკარებს. აქაური ცივ-ცივი,
ანკარა წყაროები-კი სწორედ მთის ჩუხჩუხა ნაკადებს
მოგაგონებსთ! ჰაერ გრილია და ზოჰიერი. მაღლობი
ტყით დაფენილი სერები, ძირს ვაკეზე გაშლილი „ლალა-
ტყე“ ცივი წყაროები, ხშირი ღელეები და ახლოს
მდინარეები ჰაერს საკმაოდ აგრილებენ და ისედაც ლამა-
ზი შეხედულობა სოფელს თითქმის საზაფხულო, საგა-
რაკო ადგილად ხდიან. მთის თოვლიან მწვერვალებიდან
გადმოვარდნილი ცელქი ნიავი, სხვაგან რომ ველარსად
იკიდებს ფეხს თუ იკავებს თავს არგვეთში. მოსხლეტილი
პირ და პირ ამ სერებს შემოუტოვებს... შემოუქროლებს
გარშემო ერთსაც, ფრთებ-მოწყვეტილი შევარდენივით,
გაფურჩულ მუხნარს და, აქ რომ შეეთამაშება ცაში მო-
თამაშე ხის ყლორტებიან კენწეროებს, ნორჩ კენწლებს
შეარხევს, აქვე—ახლოს ცივ მდინარის ჭევლებში გან-
ბანილი, სიგრილესაც აქ სტოვებს მთლად მისი ნაზი
სიო, აქ აბარებს სულს მშობლის მსგავსს ძიძას, მაღალ
ტყეს და, წელ-მოწყვეტილი მის დაშორებით, გაექანება
ბერე ლაჟვარდი ცის თოვლიანი კიდისაკენ!.. დასავლე-
თის გრილი ნიავი საკმაოდ აგრილებს აქ სიცხით აქო-
ქინებულ ზაფხულის ბუნებას, საცხე-პაპანაქებაში სულს
უბრუნებს შეწუხებულ სულდგმულს და აცოცხლებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულს მომაკვდავ-დამიანისას, თუ ხანდახან აღმოსავლეთის ცხელმა ქარმა არ შეუჭენა და შეუხუთა სული!

ზაფხული ზომიერია, საკმაოდ გრილა და ზამთარიც არ იცის ცივი ძალიან. თოვლს სანახავად თუ მოგვაჩვენებს ხოლმე, თორემ შობამდე ძალიან ძვირად დადებს, რაც ეს ორიოდ-სამი წელიწადია, არ შეუჭენა,—აღარც ზამთარია უწინდული და აღარც ზაფხული!.. ადრე მთებს დათოვს და მის კალთებსაც თუ ჩამოთოვს, თორემ ჩვენამდე ვერ მოაწევს, ვერ მობედავს... აქ უფრო თოში (რთვილი) და ხოშკაკალა იცის. თოვას-კი ნაშობევს დაიწყებს და მარტამდის გაატანს,—ისიც დრო-გამოშვებით წამოთოვს ხოლმე: მოფიფქავს მიწას, მოფარავს და აიღებს ისევ.—და მარტიდან უფრო ხოშკაკალა იცის. პირ-გამოზაფხულსა და შემოდგომაზე წვიმა-ნიავ-ღვრები და დამოკიდებული ამაზე ნამქერი და წყალ-დიდობა. ზაფხულობით ახლა და ახლა, აგერ-ეგერ სეტყვაც შემოგვეჩვია!..

ლაზათიანი სოფელია, სწორედ მოსაწონი და თითქმის ყველაფრით შემკობილი. ჩემით არ ვაქებ და სოფელ-ქვეყანად ნათრევი და წოწიალა მათხოვარიც ამასვე ამბობს. აქ რომ ამოსულა, ამ სერზე ბევრჯერ მოუხსნია ორ-ძაგრად ბეჭებში ჩაკრული გუდა და გულდამშვიდებით დაუსვენია. სიამით უცქერია აქაურობისათვის, ალერსით უმზერია შორს მოკეკლუცე კორტოხებისათვის, ჩუმად უმუსაიფნია გულში უტყვ-ბუნებასთან... გული დაუამებია, თვალისთვის წყალი დაულევინებია და.. აი დაშურებია კიდეც გამოთხოვება მისი სიმშვენიერით ნასიამოვნებს. „ჩემი დღე კარში დავთოთხავ... ქვეყნის-ქვეყნობამდი ვყოფილვარ, ბევრი ქვეყნებიც მომივლია, მაგრამ ჯერ ასე სოფელი არ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწონებია... და არც ასე შემკული სოფელი მინახავს-ყველაფრით!“ უთქვამს ბოლოს, რომ მიუხედ-მოუხედია და ამ მიდამოების სიტურფე-სილამაზე გულში ღრმად ჩარჩენია... და მაინც ლამაზიც რომ არის! მაგრამ ბუნებამ რა ჰქნას? მარტო ბუნების სილამაზე არას იზამს, თუ ადამიანმაც თავის დალოცვილი მარჯვენა არ მიახმარა? ცოდნით გაშუქებული ჭკუა-გონებით არ იკურთხა მარჯვენა და ბუნების სიმშვენიერეც სასიკეთოდ არ გამოიყენა! ბუნება ლამაზია, ლამაზი, მაგრამ ხალხი-კი გამრჯელი—მშიერი...

ნიადაგი მდინარის ნაპირებში სილიანია, ცოტა მოშორებ სილა-ნარევი აყალო, ჭალებში—შავი აყალო და სერებზე, საზოგადოდ, ზეგანზე ყველგან, თიხა ან კირ-ნარევი აყალო, წითელი აყალო, ანუ და სულ კირ-ნარი ან თიხ-ნარი...

მეურნეობაა ერთად ერთი მოხელეობა, რომლის წყალობით თუ საშუალებითაც ამათ სარჩო-საბადებელი მოჰყავთ და წლითი-წლობით ძაღლ-უმადურად თავი გაქვთ... ხვნა-თესვა, როგორც არგვეთის სხვა კუთხეშიაც—და უფრო შორსაც კიდევ—„ადამ-ჟამის“ კულტურის დაჟანგებული იარაღებით და დახავსებული წესრიგით სრულდება. სულ მუდამ ერთსა და იმავე პირს ჩასცივებიან, ყოველ წელს ამ ერთ-გოჯა-სისქე მიწას აბრუნებენ და სასუქის მიცემას-კი არ ეძებენ... მიწამ ველარ გასძლო, ნიადაგი მოცვდა, მოიჭამა, ნოყიერება გამოელია, გამწირდა, გამოფიტდა, ნაყოფიერებას უკლო.

ჭალებზე და მძიმე მიწებზე ყველგან, განსაკუთრებით, სიმინდი მოჰყავთ. მძიმე მიწა უფრო წყლიანია, ნოტიო და ნიადაგში წყალს დიდ-ხნობამდე იკავებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიანობამდე არ შრება, არ იგვალება და სიმინდსაც ამისთანა ნიადაგი უყვარს და ხვავიც ბარაქიანი იცის ნოყიერ ჭალებში. ამ სინოყივრეს გარდა აქ სიმინდის თესვა უფრო მოხერხებულია, საიოლოა, ვიდრე თესლეულობისა.—საზოგადოდ, აქ უფრო სიმინდსა ხმაროობენ, ჭადია ამათი საჭმელი, და სხვა ხორბლეულობას ხილად თუ დასთესენ. სხვა-და-სხვა რამე რომ დასთესონ, ან რა სახეირო იქნება? სხვა იმას არ მოუცდის და შემორაგვითაც ხომ ვერ შეირაგვავს ცალკე! და ისევ, მეტი ჯანი არ არის, ერთი-მეორეს უნდა უყურონ და, რასაც ერთი დასთესს, მეზობლებმაც, რომ არ უნდოდესთ კიდეც, ის უნდა დასთესონ მაინც. ვენახიც ხომ შეკრული უნდა? ამიტომაც ვენახს ისევ ეზოს აკრავენ და გარემოსაც მიტომ ეძახიან კიდეც ვენახიან ადგილს, მამულს... ზეგანი ქვიანი მიწა მალე წდება, წყალს ნაკლებად იყენებს, ცოტას იტოვებს და ვაზიც ამისთანა ნიადაგში უფრო ხარობს: ღვინო მაგარი იცის, ნაკლებ-წყლიანი, ვიდრე მძიმე მიწების ნოყიერ ნიადაგში, თუმცა მოსხმა მადლიანი მძიმე მიწაზე უფრო იცის და გამოსავალიც ბარაქიანი. ამიტომაც ზეგანზე, სერებზე და ფერდობებზე, როგორც მჩატე მიწაზე, ვენახს აშენებენ, თუ არა სთესენ: პურს, ფეტვს, ბამბას, თუთუნს, ჯიქურას საცოცხედ, კანაფს, ლერწამს და სიმინდსაც, მაგრამ თეთრი წვრილი სიმინდი უფრო ვარგობს. ყველაზე უფრო-კი გავრცელებული ვენახის კეთებაა. ვაზის შენებას მისდევენ და კარგი ღვინოებიც დგება—და მერე კიდევ, სარაგვადაც უფრო ადგილია სერი ადგილი.—აქაური სერები და სამხრეთისკენ დაფენებული ფერდობ-გვერდოები თითქმის ხელ-მისმით, პირმიყოლით ყველა საუკეთესო სავენახე ადგილებია. ვე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახი, როგორც საზოგადოდ არგვეთში, დაბლარია და ჩხირზეა აკრული. წინად-კი აქაც მაღლარად სცოდნიათ, ყველა ხეებზე შეშვებული, და დღეს კი თვით მაღლარიც ოლიხზეა დათარგულებული, მაგრამ ისიც ალარსად არის.

დღემდის მთელი არგეთის სიმდიდრე და მასთან ჩვენი პატარა სოფლისაც ღვინის მოსავალი იყო. თუ გამორჩებოდა რასმე აქაური კაცი თავის ხელს, ეს გამოსარჩენიც ერთად-ერთი ღვინო იყო: მითი იცვამ-იხურავდა—გლეხი იყო თუ აზნაური, უხვდებოდა მტერმოყვარეს, მკვდარს მითი იცილებდა და ცოცხალს... სული მითი ედგა. უძღვებოდა ცხოვრების ყოველგვარ გაჭირვებას და სოფლის უკულმართს, როგორც იყო, ავად თუ კარგად უძლებდა. დღეს კი ამანაც უმტყუნა: ფილოქსერამ ვაზს სასიკვდილოდ ყურები ჩამოაყრევინა და... ვენებიც, ღვინის მოუსავლობით წელ-მოწყვეტილები, ვალიდან და ვახშიდან ველარ გამოსულან! წელი ველარ წამოუღიათ და სახე-ჩამომტირალნი ლამის მათხოვარს დაემგვანონ!!.. ცოტა არ იყოს, ამ წელში კი ღვინის მოსავალმა ბევრი მოიმადრიელა... შემდეგში ვენახის გამობრუნების—დროებით მაინც, იმედი მოგვცა და მტირალი სახეც ცოტაც არის, გამოგვიმხიარულა!..

სახლ-კარი, ჭურ-მარანი და სხვა შენობები მარგულად არის ნაშენები, მარგულადვე შიგნით და გარედ მორთულ-მოწყობილი. იგივე ბოძებზე წამოყუნცული ხის სახლები; იგივე ფიცრულ-ძელური წინ მოხვეულით, ოთახ-მოდგმული კათხა, თუ უოთახოდ, წინ-კარით, რაც სხვაგან არგვეთში. იგივე სამ-ოთხ-თვალიანი ოდა, კასალი გული მუხა, ძელქვა ან თელა, აგერ-ეგერ კრამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტითაც ჯუფრო ხშირად ყავრით დახურული. მდიდარი, კაი დაგანძული მოსახლე ჩვენში ის არის, თუ მჭადი არ გამოელია საჭმელად. ეს ეშოვება საძღომად, ლობიოც ზედ-მისაწებლად—ხან და ხან თუ ქათმის ხორცითაც გაიხსნილა, მაგას ხომ რაღა აჯობებს!—და ზეიდან დასაყოლებლად ღვინოც. აქამდე კი მით მოჰქონდა თავი, ღვინით ყოყოჩობდა მარგელი, მითი იყო გათამამებული და დღეს იმაზედაც ბოდიშს იხდის მოურიდებლად!...—ოჯახიც მარგულია, მარგულადვე გამრჯელი ხელ-მოსაქნარე დედა-კაცებით...

მკვიდრი სულ 40 მოსახლეა, გვარად: მერკვილაძეები (16 მოსახლე), რცხილაშვილები, ნიქაბერიძე, გურეშიძე, მესხი, სამხარაძე, ჩუბინიძე, ორახელაშვილი და გაბუნია. ტიპით, ხასიათით, ენით, საქცევებით და კილოთი, ტანით, ზნით, თვალ-ტანადობით და გუნება-ბუნებით ნამდვილი მარგველია: ზნე-ჩვეულება, რწმენა-ცრუ-მორწმუნეობა საერთო აქვთ ყველა არგვეთის მკვიდრთან; ზნეობრივი შეხედულება—მკვდრისა და ცოცხლის მოვლა-პატრონობა, თუ ჭირისა და ლხინის, საოჯახო ყოფა-ქცევა, დედა-კაცის და მამა-კაცის დამოკიდებულება ერთი აქვთ მათთან. ამ ზნე-ჩვეულებას-კი, როდესაც საზოგადოდ არგვეთს გადავავლებთ თვალს, მაშინ გავიცნობთ ყველას, თვით მარგველის ტიპს, თავის ცოდნა-უმეცრებით, რწმენა-ცრუ-მორწმუნეობით, სიმდიდრე-სილარიბით, სახლ-კარ ჭურ-მარნით, ზნეობა-ხასიათით და გულის სიალალ-მართლითა და სიმრუდესიავით, მანამ-კი ეს ვიკმაროთ—ვიცოდეთ მხოლოდ, რომ აქაც, ამ მცირე სოფელშიაც, ნამდვილი მარგველები მკვიდრობენ—სხვა რჯულისა და შთამოების ხალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხი არგვეთში, ბაზარს გარედ, ვერ ხეირობს და მარ-
გველები ხომ წმინდა იმერლობაა!

სწავლა-განათლების საქმე, როგორც ჩვენი კურთხეულ-
ი ქვეყნის სხვა კუთხეშია, ისე-კი არის და მეტი არა.
მიღოღავს კუს ნაბიჯით, დამუხრუჭებული თამამად
ფრთებს ვერ შლის და თავის მადლიან სინათლის სხი-
ვებსაც შორს ვერ აწვდენს. „მოგეცათ ღვთის წყალო-
ბა,“ წერა-კითხვის მცოდნე კაცები აქ იყვენ,—ასში
ორს მაინც ეცოდინება!...

სწორედ ის ცოდნა გვაკლია, რომელიც რამდე-
ნადმე, გულსაც აჯერებს და კუჭსაც სიმშილის სახ-
მილს აცილებს, ადამიანს ხელში იარაღს აძლევს, შრო-
მის, გარჯის უნარს ანიჭებს და მარჯვენას ულონი-
ერებს, ესე იგი სამეურნეო ცოდნა, რომლის წყა-
ლობითაც, ნაკლებს ნიადაგს, რაც შეიძლება, მეტი
მოსავალი გამოვაღებიოთ, ნაკლების ჯაფით; ჩვენი მი-
წის მოხმარება შეგვაძლებიოს, ხვავის გაბარაქიანება,
და მოსავლის განაღდება. აქ არის ჩვენი ხსნა, აქ მხო-
ლოდ! ძვირფასი სავენახე ადგილები გავერნებულია,
მდიდარი ნიადაგი შეუმუშავებელია, ურიცხვი მადანი
ხელ-უხლებელია და ჩვენ, მის ადამ ჟამის პატრონებს,
სიმშილით კუჭი გვიხმება!...

სამეურნეო სკოლები გვინდა, ზედ-მოდგმული სა-
ბაღოსნო ადგილით. ჩვენ სკოლასაც მოეძებნება, ეგუ-
ლება საბაღოსნოდ შვენიერი, სწორედ ზედ-გამოჭრი-
ლი ადგილი, აქვე ეკკლესიის გალავანზე მობმული, სა-
ეკკლესიო მამული „იონჯა“. ეს ერთი ნაჭერი აქვს კი-
დევ შერჩენილი ეკკლესიას და დღეს ესეც იჯარით
არის გაცემული 27 მანეთში. აი, კაი იქნებოდა, ეს
ადგილი სასოფლო სკოლას დათმობოდა საბაღოსნოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბევრის წილადაც აჯობებდა იქიდან შემოტანილს 27 მანეთს მაშინ მისი სარგებლობა!.. მაგრამ პატრონი სად არის! მოთავე ვინ არის საქმის?.. საქმე ის არის, რომ სკოლის ასაგებად, რიგიანი მასწავლებლის მოსაწვევად, რასაკვირველია, ხელი უნდა გამოიღოს და თავი გამოიდვას მრევლმაც... მზა-მზარეულს ჩვენთვის აბა ვინ რას გაიმეტებს!? სოფელსაც ხარჯი დასჭირდება— და ამ ხარჯს ყველა ერიდება; სხვა, რაც გინდათ ის უთხარით, მოგიწონებს, თუ არა არ დაგიწუნებს—და ფულის შელევას-კი ნუ გააგონებთ, თორემ ზურგს შემოგაქცევსთ, და ყველა ჩამოგეცლებათ. ყველას ფულის დახარჯვა ძალიან აფრთხობს აქაურებს, თორემ ისე, უფულოდ ყველა მოგიწონებს და ტაშს დაგიკრავს სიამით. ჭამა ყველას უყვარს მუქთად, და ხარჯი-კი ეზარებათ. მოგეცათ სიკეთე, მზა-მზარეულზე თვალებ-გამოპრაწული ესენი არ იყვენ! მაგრამ სუფრა გზა-შარაზე ვის გაუფენია? „შენი თუ არაფერი იხარჯებოდეს, ლხინს ნურა გირჩევნია-რაო!“ — ტყუილად-კი არ არის ნათქვამი! ეს ბრიყვს უთქვამსო, იციან ხოლმე, მაგრამ აქაურებში—და გარეულებშიაც, ბევრი გამოჩნდება ამ ანდაზის სიამით მკმეველი, ნაცხადებად თუ არა მალულად მაინც.

შესანიშნავი ადგილებიც არ აკლია ამ პატარა სოფელს, მაგრამ მათში მხოლოდ ზოგიერთს დავასახელებთ. შესანიშნავები, „ნაძრახ ადგილებს“ გარდა, სადაც, სოფლის ცრუ-მორწმუნეობით, იმალებიან, ვითომ მავნე სულები ანუ „მამნეები“, როგორც აქ იტყვიან, სხვაც ბევრია:

1) ჯვარცმის ეკკლესია, 2) ჯვარცმა (ხატია), 3) თომა (მოციქულის) თავი (ხატია), 4) ხელით ნაქარგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდამოხსნა, 5) ბეშუაშვილის კოშკი, 6) საკვირაო, 7) ქვიტ-კირის ხიდი, 8) აბაშიძის წისქვილის ნანგვრევები, 9) ნასასახლევი, 10) სუროიანი საყდარი, 11) 730 ჩაფიანი ჭური.

ისტორიული ნაშთები. სუროიანი საყდარი ჩოლაბურის მარჯვენა ნაპირზე სდგას. ეს უბრალო რიყის ქვის და ხვინჭკისაგან არის ნაშენი. ორი კედელი კიდევ მთლად შერჩენია, სამხრეთის დაქცეულია სულ და დასავლეთის ჩამოქცეულ-ჩამონგვრეული (ზედა ნაწილი); ცა თუ თალი აღარა აქვს, მაგრამ ქვის ნაცვლად სუროთია დღეს შეკრული: გარშემო ისე შემოხვევია და დაუბურავს, რომ კედლებიც აღარ მოჩანს, და მიტომაც უძახიან „სუროიან საყდარს“. ეს ყოფილა სოლომონ I-ის წინა-დროული მეფეების საყდარი „ჯვარცმა“ და საზაფხულო სასახლეც იქვე მდგარა ახლოს. ბევრს ახსოვს ამ სასახლის „ქვიტკირში“ დატანებული გასკვნილ ხის საძირკველი დაურღვევლად, თავებ-შერუჯული, დიდი მუხების ჩრდილში, მაგრამ დღეს აღარც ის მუხებია და აღარც ის საძირკველი. იქ, სადაც წინედ მეფის სასახლე ყოფილა, დღეს ზედ მესხის დაფშუტული ჩალიანი ქოქოლაღა დგას და, სადაც ოდესმე სიცოცხლე ჰყვაოდა, ახლა იქ კვამლი-ღა ამოფუის, ხჩის მიმქრალებული სიცოცხლის ცეცხლი ⁄ ის გვატყობიებს— „სიცოცხლე სულ ჯერაც არ ჩამქრალაო!..“ აქ ჰქონებია მეფეს საზაფხულო ბინადრობა და ვარციხიდან წამოსულიც პირდაპირ აქ მოვიდოდაო, იტყვიან ხოლმე. ამ საყდარს წინ ქვიტკირის ჯებირი აქვს, სულ ცალიერი დაცემენტებული კირი,—ალბად წყალს რომ არ გადაეხეთქა!.. ამ ბეგზე ჯიხური ყოფილა წყალზე გად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომდგარი, მაღალი სეფა, მეფის საგრილობლად... დღეს ამ ჯიხურსაც შეახეს ხელი და შლიან...

პირდაპირ, გამოლმა, მაღალ კოჟზე გადმოსკუპულია მაღალი, ოთხ-კუთხიანი კოშკი, თლილი ქვისაგან ნაშენი, სიმაღლეზედაც წაწოწოლავებული და თავიც გადაგლეჯილი აქვს. ეს საყარაულო ყოფილა ალბად სასახლის და ერთად-ერთი კოშკია, თუ არ ვსცდები, მთელს არგვეთში, ჩხარის მრგვალ კოშკს თუ არ მოვიხსენიებთ.

ქვიტკირის ხიდი ჩოლაბურზეა გადებული და „სურროიან საყდარივით“ ესეც რიყის ქვისა და ხვინჭაკირისაგან არის მხოლოდ აშენებული, თითებ-გაშლილ კვანხის მსგავსად მოყვანილი; წელ-აზურგულებული, კარგად გაგანიერებულ კუთხესავით, ოთხ ქვითკირის ბურჯზე დაშვებული, მაგრამ ორი ნაპირი მიწაშია შესული და ამიტომაც ამათ უფრო სათავეები ეთქმის, და ორი-კი იქით-აქეთ საწელურია. ვინ იცის, რამდენს წელს გასძლებდა! მაგრამ მოუვლელობით გაცვეთილი ისევ გათხელებული, თუ პატრონი არ გამოუჩნდა, მალე გაწყდება წელში... ერთგან წყალი გაჟონავს შიგ, მაგრამ მიმხედავი პატრონი ვინ არის? არავინ, გარდა „ერთი ღმერთისა,“ და „ღმერთს“-კი ამას გარდა სხვაც ბევრი აქვს საქმე!.. ამბობენ: „გალმა-გამოლმა ბურჯში თითო თუნგი თეთრი მარხია, რომ წახდეს, იმან გააკეთოსო;“ მაგრამ, რამ ადგილს, ვეღარ ასახელებენ. ეს არ უთქვამთო, რომ სიხარბეს არვინ წაეძლია და უკეთურებს ხიდიც ძალით არ დაენგვრიათო... ზოგი ამბობს თამარ დედოფლის აშენებულიაო: თითო-თითო ქვა და ლეჩაქის ყურში გამოკრული კირი ყველას მიჰქონდათ, ვინც თან ახლდაო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, სადაც დასჭირდებოდა, იქ დაყრიდენ ქვასა და კირს და ხიდს ხელად გააკეთებდენ ზედ და გავიდოდნენო. ეს ხიდიც ერთ დღეს არის აგებული, იმდენი მხლებელი ჰყოლია თანაო. მაგრამ ეს თქმულება უფრო თამარის ძლიერებას ამტკიცებს, ვიდრე საძიებელ სიმართლეს. უფრო ლევან აბაშიძეს აწერენ მის აგებას. აი თქმულებაც:

დიდი ლევან აბაშიძე (დილიკაურელ აბაშიძეების ძველი) დიდ-მეფე სოლომონის გულის ბიძა იყო. მოურავი იყო მეფის და, მეფე რომ მომკვდარა, სამეფოც იმას ჩავარდნია ხელში. მეფე ცოტა ღალბათი კაცი ყოფილა და სამეფოც არეულ-დარეული დაუტოვებია. დიდი მეფე სოლომონი სამი წლის დარჩენილა მამას. თვალს უჭრიდა თურმე ლევან აბაშიძეს და დედამაც მოარიდა, გადაუმალა ბავშვი. ტახტი-კი აბაშიძეს ჩაუგდია ხელში და ყველა მოწინააღმდეგე დაუმორჩილებია, მოთავეებისათვის თავები დაუყრევინებია, სხვები ურჩი დაუჩუმებია ყველა და სამეფოს მოწყობას, მოწეს-რიგებას შესდგომია. აუშენებია ეს „ქვიტკირის ხიდი“ ჩოლაბურზე, ჭიშურაზე „ვირი-ფოლას ხიდი“, „ქვიტკირის წყარო“ სათიბში და აბაშიძის „ქვიტკირის წისქვილი“ ჩოლაბურზე (ხიდს ზეით არის, იქვე ახლოს). რომ შეექნილა ოც-და-რვა წლის დიდი მეფე სოლომონი, ტახტი მოუთხოვია ბიძისათვის. ბიძა ველარ შელევია ტახტს—მეფობა თვითონ მოუნდომებია, და მოსვლიათ ჩხუბი. მეფეს მაშინვე ყველა აჯანყებული თავადობა მიმხრობია და ომი ხრესილზე (ოკრიბაშია) ყოფილა. იქ მოუკლავთ ლევანი და, რომ უნახავს მეფეს მკვდარი,—„მიაყარეთ, მიაყარეთ მაგ ძაღლსო!“ უთქვამს. და მერე მისი ნაკეთებიც აღარაფერი ნდომებია გაეშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა, დაეყენებია. წისქვილის რაფი გაუჭრევინებია (ქვითკირის ყოფილა ყველა რაფიც და ზედვე გადამდგარი წისქვილიც) და ხიდის დასანგვრევადაც დაეყენებია ხალხი... ერთი პირი გადაეძროთ კიდეც. რიკულები ჰქონოდა და ისიც მოეცილებიათ და ანგრევდენ თურმე სულ, მაგრამ მოსულიყო ერთი მიხრწნილი, სულ ყაჭის ფრად გათეთრებული მოხუცი, ილლიებში ჯოხებმიცემული და უყვირია, უტირია, მოუთქვამს:

— „ვაი ჩვენს უბედურებას, ჩვენს მოსწრებას!! ჩვენ შავ-დღიანს, უბედურს, უპატრონოს, უმეფოს!! მეფე უფლისწული ხიდს, გზას ქე უნდა აშენებდეს, აკეთებდეს თუ ქე არღვევდეს, აქცევდეს?! აქცევს, მაგრამ რას უპირობს ხალხს, სამეფოს... ან თვითონ თავის-თავს... ან აქ, ან იქ, რა აცხოვრებს, რა?!.“

— შეგიძლია ეგ მოახსენო მეფეს? უკითხავს მოურავს.

— როგორ არ შემიძლია!.. მაგრამ მეფე სად არის, სად? მე ვინ მაჩვენებსო!!

— მეფე, აბა, მუხურაშიაო...

— უჰ! მე იმის ნახვა ქე სად შემიძლია, აბა... ორი ჯოხითაც ვეღარ დავიარებიო, უთხრობია გულ-დაწყვეტილს.

— მე წაგიყვან, მხოლოდ შენ ეგ უთხარიო. შეუჩერებია მაშინვე ხალხი, ის მოხუცი შეუჯენია ცხენზე და წაუყვანია მუხურას მეფესთან. იქ მეფისთვის მოხუცს შეუჩივლია, შეუტირია და მეფესაც ხიდის დარღვევა დაუშლია, მხოლოდ, რაც აეძროთ, ის აღარ გაუკეთებიათ და იმ დღიდანაც, სხვა რაც დარჩენოდა დაუნგრეველი, ხელი აღარაფრისათვის უხლია. წისქვილი-კი მერე ქაიხოსრო აბაშიძისთვის (საქარელი აბა-

შიძეების პაპაა) ეწყალობებია (ბუში ყოფილა ლევანის), შეურიგებია და მისი ქონებაც ყველა უჩუქებია და მოურავობაც ამისთვის მიუცია. გაჩეხილი რაფი ამას ხის რაფით შეუერთებია, გაუახლებია ძველი წისქვილი 1803 წლის მარტის 30-ს და ერთი ქვაც „ჯვარცმისთვის“ შეუწირავს, მერკვილაძეების საქმოდ.

საკვირაო—უწინდებური პატარა საყდარია. აქ ყოფილა დასვენებული „თომა მოციქულის თავი“ და საწირავადაც მღვდელი თურმე ერთხელ ადიოდა კვირეში ჯვარცმიდამ—და საკვირაოც მიტომ რქმევია. დღეს სამი კედელი-ღაა დაუქცეველი, ორი მთელია სულ და ერთიც გაბზარული, მაგრამ ჯერ კიდევ დაუცილებელია. წინა კედელია მხოლოდ დანგვრეული და ცა სულ ჩამოქცეული. ეს გაუთლელი, ყამირი ქვების ოთხკუთხი შენობაა. ზოგიერთი იმ სიდიდეა, რომ ძირიდან ცამდე უწევს; კედლებზე მხატვრობა ყოფილა,—დღესაც ემჩნევა, მაგრამ გამოცნობა აღარ შეიძლება, რადგან კირი ჩამოფხეკილა კედლებზე. ეს საკვირაო ჩვენი საკუთარი ყოფილა, მერე აღარ უძებნიათ შეკეთება და ხატიც აგერ ახლა „ჯვარცმაზე“ გადუსვენებიათ. დღესაც ამ ორ ხატს „ჯვარცმას“ და „თომას თავს“ მერკვილაძისას ეძახის ხალხი: „მტყუანს მერკვილაძის ჯვარცმამ რისხოსო“, „მერკვილაძის ჯვარცმა არ გამიწყრესო“, ასე იფიცავენ ხოლმე. ძლიერადაც მიაჩნიათ ძალიან. დასაფიცავად და გადასაცემად აქ მორბიან და სამართალსაც ამ ხატებს აჭრევინებენ. დღეობაც ამ ხატის—თომა მოციქულის სახელზე გვაქვს დადებული და სოფელიც მთლად ახალ კვირეს (კვირაცხოვლობას) იხდის.

ჭურები, რამდენი დღეა წელიწადში, იმდენი კოკა ღვინო უნდა ჩაესხათო შიგ, მაშ შვიდას ოცდა ათი, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორმეტი (2×365=730) ჩაფი ანუ ფუთი. ერთი ნიკოლოზ მერკვილაძის ვენახში მარხია, სხვაგანაც ყოფილან, მაგრამ დამტვრეულა და თავ-წასილულია.

კატები: მიზალო მერკვილაძე—შესანიშნავი მეზღაპრეა (ვაშკაცია ჯერ).

ნესტორ მერკვილაძე—ოც-და-ერთი წლის არის და თვალ-ტანადობა შვიდი-რვა წლის ბავშვისა აქვს: ზერელ-ქვერ,ლე ავადმყოფია და ეს ავადმყოფობაა მიზეზი კიდეც, რომ ზრდა მოშლია სხეულს და ტანიც ვერ აუყრია.

ექიმები: მოსია ჩუბინიძე (მოხუცია) ბრაზს ექიმობს, რალაც ჭია ყოფილა და იმის შხამსა ხმარობს ცოფზე; ასმევს ცოფიანისგან დაკბენილ ძაღლს და არჩენს; ძაღლი გადარეული (გაცოფიანებული) თუ არ იქნა სულ, მისწრების მეტი არ უნდაო, მხოლოდ საქონლის: ხარისა და ცხენის წამლობას-კი ვერ ჩემულობს; ადამიანსაც აქიმობს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხალხური ლექსები.

(შეკრებილი სოფ. არგვეთში აფრას. მერკვილაძისაგან)

გ ე ი რ უ ლ ი.

— ალაზანსა და იორსა
დავყოფ პირსა და ყლაპს ვუზამ;
ას ლიტრა შვილდსა მოვზიდავ,
ცას ისარს ვესვრი—ფშვნას ვუზამ;
ქვეყანას პანღურს ამოვჭრავ,
შევაშინებ და ბაქს ვუზამ:
ბიჭი ვარ ამისთანაი,
იცი, მე შენს ქმარს რას ვუზამ?..
— ვაჟო, სად იყავ მანამდი,
ოდეს არ ვიყავ ქმროსანი!
დღეს ღმერთმა ქმარი მიბოძა,
ძალიან დიდი-ყმოსანი;
შინ მოვა, აბჯარს ჩაიცვამს,
გამოვა ქარქაშოსანი,
შვიდასს ჩამოჰყრის შენისთანას
შიშველი, პერანგოსანი.

—

ამ ჩემს ძმასა დაშვენდება
მწვანე ჩოხა სკალატისა,
ზე შილიფად შემორტყმული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხმალი ოქროს ქარქაშისა,
ომში შესვლა, შეტოვება,
ხელთა მშვილდი ალმასისა...
გული აქვს გაუდრეკელი—
აგრე უნდა მამაცისა!

—

როგორ გაქო, როგორ გაქო!
თეთრი სპილოს ძალა გაქო;
მიიხედავ, მოიხედავ,
ალმასისა თვალი გაქო;
ბასრი ხმალი წელს გარტყია,
მარჯვე ლახტი ხელთა გაქო;
რაზმის ომში რომ შეხვიდე,
სიკვდილისგან ზნე არ გაქო;
მტერსა უშიშრად შემოჰკრავ,
გულსა რიდი არა გაქო!..

—

ჯეონიები შეიყარენ, რჩევა მისცეს ერთმანეთსა. [სა;
ხოსიამ სთქვა: „თუ თქვენც მირჩევთ, დავპატიჟებ ძლიერ მტერ-
მას ჭგონია, მრავალს მასმევს—თავს დავუშვებ ზეცის მეხსა;
მისსა ლამაზსა ყმანებსა ვაურევიებ ცხელსა ტრემლსა“.
კაცობი დარბაზს მივა, ბედაურ ცხენსა შებძანდა.
—ყმანებო! ყველა მეახელ, ჯამას მიპირობს ჯეონია.
—ბატონო, ნუ მიბრძანდები, გიდალატებენ, გონია.
—ჩემს დალატს რაგორ გაბედავს ხოსიელი ჯეონია?
ჩავალ და ტოლს მირონს ვუცხებ“... გადმოიარა ბორია. *)
ჩავიდა, სრულა შეიქნა... ორი კი მოხვდა, გონია!
საწყალ კაცობას, ნათოფარს, გადმოდებია ქონია;

*) ბორი—სოფელია ხარაგოულს ქვემოდ მდებარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიცხლად ბიჭები მიათრევს, როგორც რომ ბეგრის ღორია;
მინდორშიდა გაიტანეს, ვითამ გათლილი ბრალია.
დაჯდა და წიგნი დასწერა, მტრედს გამოაბა მხარადა.
—„ეს დედა-ჩემსა მიართვი: მე ვერ მოგივალ ხანადა;
ჩემი ტოლი ქმარს მიეცი, მე რომ მჯობდეს თვალ-ტანადა;
თეთრი ფერფილი უუვარდა, არ დაეღებოს შავადა;
ხშირი თმანი გაიშალოს, ტრემლი გაუშვას დვარადა“.

—

საყოფაც�eო.

(ჩვეულება-ცრუ-მორწმუნეობა).

უვალიერში ჩილი ვჭამე,
ალგომასა გამახსენდა.—
ნურც მაცივებ, ~~ნურც მაცხელებ,~~
ნურც მაჩვენებ ქვე-მავალსა!

—

თქვენსა ქალებს—ვირის თავი,
ჩვენსა ქალებს—კვირის-ტავი!
თქვენს ვენახში—კიმბლა-კიმბლა,
ჩვენს ვენახში—მტევნა-მტევნა!

—

არული კუდიანებსა,
ჯვარი აქაურობასა!
თქვენი სვიო და თქვენი სჯამეთ,
ჩემსას ჯვარი დაგვიწერეთ!

—

ჯვარი სწერია
შენი თვალისაგან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი თვალი — ქვას,
შენი ირშიკი — ძალს!

—

საოჯახო.

ვაი, დედა, რა ვიგონო
ავი დედა-მთიელისაო!
ლავგჯდები და კუტს მეძახის,
ავდგები და — ძუნძულასო,
თუ ვჭამ რასმე ულაბიასა,
თუ არა და — წუნიასა.
მოგმიყენა ჭუჭულებსა,
გავატანე ძერასაო.
ღმერთო, შენ გამოათხოვე
წუთი-სოფლის მზერასაო!

—

გამხიარულდი, ბუხარო!
უცეცხლობასა სწუხარო?
ხანდისხან მტერსაც ევედრე,
სულ ჩემს ამარა ნუ ხარო.

—

ჩვენო ერისთვის ბუხარო,
რავა მარტოკა უუხარო!
სტუმრები ბევრი მოგიდის,
მასპინძლობასა სწუხარო?
აღე, მასპინძელს უთხარი:
გულ-ჩათხრობილი ნუ ხარო;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ურმოულ შეშას მოგაური,
გამხიარულდი ბუხარო!

—

ჩემო ლეკურ-დამბახაო,
სახხაკუნო ჩამანჩაო!

—

სატრფიალო.

ვინ-სახოცს გამოგიგზავნი,
ჩემი ხელით მოქარგულსა;
შიგ გაგიხვევ სულსა და გულს,
შენგან დამწვარ-დადაგულსა.

—

ეს სოფელი შენთვის მინდა,
შენ გიმზირო, ჩემო მზეო;
მაგრამ ფრთები არ მასხია,
გადმოვფრინდე შენთან მეო.

—

აქედგანა და შენამდე
ვარდი მასხია ველამდე!
რო ვინმე გამომიშვებდეს,
სულ ფრენით მოვალ შენამდე!

—

ქვეშ მიმინო-შევარდენი,
მალლა იბუდებს ბარია.—
ტან-წვრილო, ტანად ლერწამო,
გიურია შავი თვალია,
გიშრისა თმასა გინძრევდა
ზედან ქვედანი ქარია...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დმერთმან იცის, არ მენახოს
შენს უტურფესი ქალია!

—

ქალო, წითელ-ბერანგს!
შენ რომ წახვალ, მე რა ვქნა?

—

ერთის ნახვით შემიყვარდი,
გულში დარდათ ჩამიყარდი.
ნეტამც, სულაც არ მენახე,
რადგან ასე შემიყვარდი!

—

საყვარელო, მოგწერ წიგნსა,
მოგეხვევი, მოგკოცნ ტკბილსა!

—

ოთხივ კუთხით მზეს ვეძებდი,
ერთი ვნახე, მეტი არა...
ვაჭ, თუ გული შეუწუხდა!—
სუსტია და ვერ იარა.

—

გადავაგდე მარგალიტი,
ამოვიდა გუბე წყალი.—
ნეტა მომკლა შენს კალთაში,
შენი ხელით მასვა წყალი!
ამას მაინც იტყვის ვინმე:
„მისთვის მოკვდა ი საწყალი!“

—

რა ხანია, მტერისაგან
ჩემი თავი დამსმენია!
არც მასვა და არც მაჭამა,
სულამც შენთვის მამზერია;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენი ხმა ტკბილი, ნარ-ნარი
გაუსხლტლად მასმენია;
შენ ჩემზე გულით გამეოფა,
ჩემსას არვინ გარჩევნია!

—

მიყვარს შენი თმა ქუჩუჩი,
შენს სიყვარულს ვერ გადვურჩი!

—

მეშინია ბიჭისაო,
გაწვალებს იცისაო;
დაიდოცა ბერი-კაცი,
არ გამტეხი თვიცისაო.

—

ჩემო მკვლელო, ჩემო მწველო,
ჩემო ცეცხლის მოამდებელო,
შენ რომ ცეცხლი მოამიკიდე,
მითხარ, რითი გავინელო!

—

ნეტა ინათ მაქცია—
კავებზე დაგელებოდე,
ხატარა ჩიტად მაქცია—
უბეში ჩაგიძვრებოდე,
შაქარ-უინულად მაქცია—
ენაზე დაგადნებოდე.

—

აირ-ჩამოიარე,
ჩემო ია-გულისაო!
სუფრას თვეი არ დაშიკრა,
ჩემო ლერწამ-ტანისაო!

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეცას ვიკვე, ზეცა ვნახე,—
ვარსკვლავებსაც დავენახე
მთვარემ კაცი მოიგზავნა
—„თუ აქ იკვე, რად არ მნახე?“
—„შენ მოიკვდე, არა მცალდა:
ქარგის ქუდსა ვკერავდიო,
ზედ მარგალიტს ვაყოლებდი,
კრავლის ქობას ვავლებდიო“.

—

ბატარა საყვარელო,
რისთვის მოიკალ გული?
გალიაში კაგზარდე,
ვით მაისის ბულბული;
შაქარს ისე გაგმევდი,
როგორც ყველი და ბური!..

—

მე ხომ ვკვდები, ეს არის,
ვთავდები ნელა-ნელა.
ყველა შენ გენატვალოს,
ჩემო ციტინათელა!

—

სულო, წიგნი მოგეწერა,
სიტყვა ეწერა მრავალი.
ვერც ვნახე მისი მომტანი,
არც არის ფეხზე მავალი,—
ეშმაკის ამხანაგია,
ფრინველებრ არის მავალი.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვიმა მოდის მასველებს,
დარდები არ მასვენებს...
იმას კი ვენაცვალე,
ვინც რომ ხშირად მახსენებს!

—

ყოველი ჩიტი ბუდეს ზის,
მიმინო კაკაბიანა.
ნეტამც ჩამაცვა წაღები,
შენ წინა დამაბზიალა!

—

საყვარელმა ასე მითხრა:
„ძალით ვერ შეგიყვარებ;
შორით დაგწვავ და დაგდაგავ,
ახლოს არ გაგიკარებ!“

—

ქალო, შენი თეთრი კაბა
თეთრად გაგიხამებია,
ჩემი გული შენ მოგიკლავს,
სხვისი გაგიხარებია!

—

საყვარელო, სად მოგნახო,
სად დაგიგო ველთა მახე?..
ჩემი გულის მოსაკლავად,
ნეტა, სულაც არ მენახე!

—

ნეტაი, გოგო, დედა-შენს,
რო გაუზდიხარ შვილათა:
არც გინდა პირის დაბანა,
არც უმარული ხშირათა!

—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წელი მტკივა, გვერდებიო,—
უცოლ-შვილო ვბერდებიო.

—

რა გენალვლება, იქროლოს
ზენა ქარმა და ქვენამ,—
იქნება ერთად შეგვყაროს
იმ ჩვენმა ბედის-წერამ!

—

გაზაფხულზე აყვავდება
ურუშა და ბაიაო;—
შენ რომ გლახა ქმარი გყავდეს,
მე რა გიყო, დაიაო!

—

ზემოთიდან წამოვედი,
წამოვიღე ნამგალიო;—
გოგოებში გავერიე,
როგორც თეთრი მამალიო.

—

ქალო, წითელ კაბაზე
ნემსი დაგკიდებია.
თუ ჩემს გარდა სხვა გიყვარდეს,
ცეცხლიც წაგკიდებია!

—

ღვთისაგან პატივ-ნადებო,
რად გინდა ჩემგან ქებაო:
უფალმა მოგცეს სიმდიდრე,
ბატონთან პატივ-დებაო.

—

დედა-ჩემო, გამათხოვე,
რას მიყურებ, რასაო,—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გათხოვდენ ჩემი ტოლები,
გაუყენეს გზასაო!

—

პატარა გოგო ვიყავი,
პატარა თინიელაო;
პატარა ბიჭი შევირთე,
პატარა კვირიელაო!

—

ნეტა, ცა მომცა ქალალდათ,
ზღვა მელნად, და ტევრი კალმათ,
მზე მწერლათ, მთვარე მკითხველათ,
ვარსკვლავი სარონებელათ;
ეგ შენი თავიც აქ მომცა
სამსახურისა საგებლათ.

—

რა ღირსა შავი მელანი
თეთრი ქალალდის წერასა!
დახედე ცუდსა ანბავსა,
შევარდენი ჰყავს ძერასა;
გაუფრინდება, წაუვა,
გული დაუწყებს ძგერასა;
აქეთ ის კვდება, იქით ის.
ვაი მათ ბედის-წერასა!

—

საყვარელი მისთვის მინდა,
სიცოცხლეში გამახაროს;
რომ მოვკვდები, დამიტიროს
ცხარე ცრემლი მომაყაროს.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა ლ ხ ი ნ ო.

დავდიე დვინო, მან მოამკლა, არა და—მისმა სურვილმა!

—

დვინოს დავლევ მარგულსა, არც წყლს მატკენს, არც გულსა.

—

მასხინძელი მასხინძლობს გულითა მხიარულითა,
ახალი ჩექმა დახია მარანში სიარულითა!

—

ვადგეგრძელოთ ის კაცი, ვინც რომ იყოს მამაცი,
ცოლ-შვილს კარგად ინახავდეს და არ იყოს ზარმაცი.

—

მ უ ზ უ რ ი

(ნადური)

ოდელია სამარგელო, ჭო! უდვინობამ დაგვანელა, ჭო!
დელი-ოდელა-ოდილა, ოდელია ნახია, ჭო!

—

ნამგალო, ჩემო რგინაო, გასწერ, გამიძახ წინაო!
ჭეპ, ჭოპ! ჭეპ, ჭოპ! ეკა, ოკა! ეკა, ოკა!
ავხე, ავხე, ავხე, ავხე! ბიჭო, ჩემი მკაცა ნახე!
ჭეპუნა, ჭოპუნა! ეკა, ოკა! ეკა, ოკა!

—

ალალ მაქო, თალალ მაქო—დიდ-მინდორა ყანა მაქო
მუშა ბევრი შევიწყიე, ლუკმა-ბური ალარ მაქო!

—

ხის წვერობი ჩიტი გწამდა, გიდლით ჩამოგიტანეო;
საწნახელში რომ ჩაგეარე, თვეხით გამოგიყვანეო;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყრები რომ გაგირეცხე, ჩაფით გამოგიტანეთ;
ამდენი შრომა გავწიე, მაინც არ გამიტანეთ.

—

ძილის პირები.

ამ ბატონების დედასა უდგია ოქრო აკვანი;
შიგ უწევს ბატონიშვილი, უსხია ოქრო ქოჩორი.
მოახსენებენ ნანასა... ნანინა ბატონებსა!
ნანას გეტევი, მოგახსენებ ნანავ, ბატონო!
ნანინა ბატონებსა, ნაი-ნინა!
იასა ვკრეფ, ვარდსა ვჭკონავ, ია-ნანინა,
ბატონების მოსაფენად, ნაი ნინა!

—

აფორიზმები.

წუთი-სოფლის სტუმრები ვართ, ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება;
თუ ერთმანერთს ორას ვარგებთ, – ამის მეტი რა შეგვრჩება?

—

სიმდიდრე კაცსა გადარევს, თუ მოერია თეორია,
აგრეთვე სიღარიბეში დაავიწყდება ღმერთია;—
გონიერ კაცსა რომ ჰკითხო, მისთვის ორივე ერთია.

—

ქვეყანა საგარჯიოო, ზარმაცი სათაკილოო,
მისი სიტოტხლე-სიკვდილი სატირალ-სასაცილოო.

—

კარგი კაცის ბურ-მარილი გზაზე ხიდად გაიდების,
რომ მოკვდება კაი კაცი, მკვდარი ტოტხლად ჩაითვლების.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოცანები.

(შეკრებილი ს. არგვეთში მისგანვე)

ავსაცა აქვს, მასაცა აქვს, ბატონსაც და ემასაცა აქვს.

— სახლი.

აიანურ, ბაიანურ, წითელ კაკაიანური,
მოიშლება, მოიწყობა, მოსწყინდება სიარული.

— საათი.

არ ისმება, არ იგმება, არც ხელით დასაჭერია,
თვითონ გასმევს, თვითონ გაგმევს—კაცისთვის ეველაფერია.

— ჭკუა-გონება.

ბოსტანშიდა თესლი ვთესე, მწვანედ იყო ამოსული,
ჩავჭკარ ხელი, ამოვიღე—ხუცურ იყო შემოსული.

— კიტრი.

გავშალე ქვეყნის ოდენზე, დავკეცე ფარის ოდენზე.

— თვალი.

დედასა შვილი მოვსტაცე, სხვას მივაბარე ეულსა,
ისიც იმასა სტირდა, ვაი რა ვუყო სნეულსა!

— ნამყენი.

დიდი ტეიდან გამოვიდა დიდი უზურბელა,
თავი—კვატუშელა, კუდი—ისრიელა.

— კამბეჩი.

ეზოში გოგავს, ერთი ხოხავს.

— ურმის გოგრები და ფრჩხილები.

ერთ მინდორზე კვიცები იკიდებიან.

— მაგრატელი.

ერთსა ბატარა მინდორსა ერთი რამე ხტისა,
ოთველი კაცი ხელს ურტყავს, სისხლი არსად სდისა.

— ბურთი.

ვზივარ კლდესა, ვაქნევ ხელსა,—
„მოდი, მამიშენის მზესა!“

— სარეკელა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზევიდგანა მოდიოდა კაბა-კუბა თხელოსანი,
ეგელა იმას ერიდება ქვეითი და ცხენოსანი.

— სეტყვა.

ზევიდგანა მოწიწინობს,—ვაი, დედა, ქურქი დამრჩა!

— კაკალი.

თვალში ხელი შეგუეგი, ამოიღო ნაცოხარი.

— მაგრატელი.

თოკი სვამს, ხბო იბერება

— კიტრი ბარდიანა.

თოთი ხისა, ტყვია—წულისა, ხესა მოხვდა, ქვა მობრუნდა.

— წისქვილი.

მოდგა და მოდგა ლაშქარი, მოდგა და მოიყარაო,
უჩხუბრად სისხლი გასდინდა, გადგა და გაიყარაო.

— წურბელა.

ბატარა კედე-კუტაი, კედელზე მიესკუბაი.

— ბზიკის ბუდე.

რამეა ერთი ძლიერი, უჩინარი და ხმიანი,
ზღვასა და ხმელეთს დაივლის, რომ შეიქნება ტრიალი.

— ქარი.

რკინის ხარს ბამბის კუდი აბია.

— ნევსი და ძაფი.

— სად მიხვალ, შე მოხუკულო?
— შენთან მოვალ, გამართულო.

— ნამგალი და პური.

სახლში მივალ, დამაერიან კაჟ-კუჟუ-კუჟუნასა,
გამისმენ და გამოიმენ ცალ-გვერდულა ხაზუნასა.

— კევრი.

ტუეში ხარი შემივიდა,—გამო, გამო, გიშერა!
ნაბდის ეუა შიგ დატოვა, გამოვიდა შიშველა.

— თხილის ჭია.

ფეხებს ვახვევ, მუტელს ვადებ,
ბირ-დადებულს ლუკმას ვაძლევ.

— დგიმ-სავარცხელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შაშვს ბოლო შავი მიაქვს.

— ბოლოშავი — ფრინველია

შეგხედე: ყანაში არის ლამაზი ულვაშიანი.

— სიმინდი.

შიგნით ოქრო, გარედ — ვერცხლი, გატეხს — ადარ აშენდების.

— კვერცხი.

შიგნით — ხვრელა, გარედ — ჭრელა,
„უჭუ"-ს საძახილებელა.

— თოფი.

შიგნით — ტყავი, გარედ — ხორცი.

— კუჭი.

ხე — ბრუნდი და ხე — მართალი, წვერზე ხუთი მარცვალი.

— ხელი და თითები.

ჯერ მწარეა, მერე ტკბილი, ბოლოს-კი მატირებელი.

— ღვინო.

ᲒᲣᲠᲣᲚᲘ ᲐᲡᲐᲮᲡᲜᲔᲚᲔᲑᲘ (ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ)

(სოფ. გოგორეთში ჩაწერილი ალექ მერკვილაძისაგან).

ი კაცი რა კაცია, ცხრაი კაბა ტანს აცვია?

— სიმინდი.

გახტა გაბელი, გაუვა საბელი.

— ნევსი და ძაფი.

დუდს, დუდს, ხვარხვარებს, მოსწეურდება, წყალს დალევს.

— ლობიო და ქოთანი.

ერთი ბატარა მანანა თავზე ცეცხლს იკიდებს.

— ჩიბუხი.

ერთი ბატარა მანანა მიტოტდება-მოტოტდება, კიბესთან მიეთვრება

— ცოცხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთს ხატარა მინდორში ჯორის თავი ჩკიდია.

— ზარა.

ვზიავარ შუაში, არ მაქვს თასი, დამტქერია უფელა თავლში.

— ცეცხლი.

ზაქარია კორკოტაო სახლიდგანა მორბოდაო.

— ლოკოკინა.

ზურგ-კეხი, მუცელ-ტაშტი, თავლ-კაჟი, ფეხ-ტაიჭი.

— კიბორჩხალი.

ლიხარი მივა, გზას მიიჭრის.

— მაგრატელი.

მივა-მოვა, კვალს არ ჩენს.

— ნავი.

მოვიდა კურო მოზვერი, მოძღუნკა სუნთლად სოფელი.

— ღამე და ძილი.

ოთხი ძმა-კაცი ჯვარს ვაცვი, ვალაბარაკე სხვა ხმაი.

— ჩანგური.

ოთხი წეგს და ასი ჩგორავს.

— სხვენი (ღომის გასაფენი).

ოხრაგუნ, დახრაგუნ, დომიწვი და დაწკაბუნ!

— აკვანი.

ბირ-შიშველი, თავ-შიშველი, კარეშა ვერ მიხვდები.

— მშველი.

უმაგრატლოდ გამოჭრილი, უენდროთა შედებილი.

— ქათმის ბიმბილი.

ქვეანას გადაცვდება, ჭურის ბირს არა.

— ფული.

შიგნით—ჭექა, კარედ—ელვა.

— ფიშტო.

წავა ტეკში, ჩქეფს, ჩქეფს, მოვა—დაეგდება.

— ცულდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი:

განყოფილება პირველი.

		გვერ.
II	**სვიმონ მაჩაბლის პასუხი.** ლექსი, გიორგი ერისთავისადმი.	5—8
III	**ამირანი.** დრამატიული პოემა. სუბ. გახუჩილაძისა	9—62
IV	**პროგრამმა ეთნოგრაფიულ და იურიდიულ ცნობების შესაკრებად.** (გაგრძ.) ალ. ხახანაშვილისა	63—81
V	**საქართველოს ძველ-ქალაქი ტფილისი.** (გაგრძელება) მოსე ჯანაშვილისა	
VI	**ევროპის მეაბრეშუმობა.** (დასასრული) ს. ქვარიანისა	

მეორე განყოფილება.

I	**სოფ. ბოსტანა.** წარმოდგ. მღ. ალ. ბარამიძისაგან	1—9
II	**ილბლის სასწორი.** ზღაპარი და ხალხური ლექსები, წარმოდგენილი თ. ს. მახარბლის მიერ.	10—16
III	**თუშური ლექსები.** შეკრებილი ივ. ბუქურაულის მიერ	17—24
	განცხადებანი.	